# კვირის პალიტრა

№ 47 (407) ◆ 25 ნოემბერი – 1 დეკემბერი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „უმჯობესია, პარლამენტის სპიკერად კანონიერი ქურდი დავაყენოთ...“

რატომღაც, დღევანდელ პარლამენტში და პოლიტიკურ ელიტაში ისეა მიღებული, რომ დემოკრატიულობა და ევროპული ორიენტაცია „ვალენტინოს“ 200-დოლარიან ჰალსტუხს და 600-დოლარიან მობილურ ტელეფონს ნიშნავს. ეს კიდევ არაფერი, ამგვარ ევროპელობას ძველბიჭობაც შეუხამეს და ერთმანეთს ქვეყნის უზენაეს საკანონმდებლო შენობაში საცემრად დასდევენ... ერთადერთი საქმე, რასაც დღევანდელი პარლამენტი ახერხებს, ტელევიზიის საშუალებით მოსახლეობის გართობაა. თუ ამაზეც უარს ამბობენ და „სიჩუმეში“ უნდათ ერთმანეთს ურტყან, მთლად უვარგისები ყოფილან... გვ.3 ლუიზა შაკიაშვილი

## ვინ მოერევა მაფიას?!

„რუსები „რიცარს“ ეძახდნენ და ქართველებმა გაიმეტეს...“

ექსკლუზიური ინტერვიუ კახი ასათიანის მეუღლესთან



ჩვენს საზოგადოებაში თანდათან მკვიდრდება აზრი, რომ იტალიას ვემსგავსებით. ამის ამოძირკვას საუკუნეები დასჭირდება...

...ნარჩემაშვილზე ამბობდა, ეგეთი მინისტრი არ გვყოლიაო. არაჩვეულებრივი იურისტია და როგორ მენანება, რომ გააფუჭონო. გვ.5,34

## ძველი ბანდები და საქმოები აღდგენილია

„უჩინარი პიროვნება“ ცდილობს საზოგადოების ფსიქოლოგიური ტერორის გზით პროცესები სათავისოდ მართოს... შს მინისტრი იფიცება, რომ „მისი“ პოლიციელები „შავ სამყაროსთან“ გარიგებაზე არ წავლენ, ეტყობა, არიან „სხვისი“ პოლიციელებიც... გვ.5,8

## ვინ წააქეზა ცისკარიშვილი?



...უნდა გაირკვეს, ვინ აიმედებდა მას, საგანელიძეზე თუ შურს იძიებ, პასუხს არავინ მოგთხოვსო. მაეჭვებს ის ხალხი, რომლებიც ამ ამბის შემდეგ დასტრიალებდნენ პეტრე ცისკარიშვილს... ამ ხალხს კავშირი აქვს ხელისუფლებასა და ხელისუფლების დიდჩინოსნებთან. გვ.7

## დამიბრუნეთ დაკარგული შვილი...

„ვაპირებ სარჩელის აღძვრას სასამართლოში ჩვენი დიპლომატების, კერძოდ, საბერძნეთში საქართველოს ელჩისა და გენერალური კონსულის წინააღმდეგ და მოვითხოვ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას...

ფარულად გადააფრინეს ბავშვი ათენში და სამშობლო და მამა დაუკარგეს.“ გვ.6

## ვიფხიზლოთ მართლმადიდებელნო

... რა მოაქვს საქართველოსთვის „იეღოვას მოწმეების“ სექტას;

... როდის და სად წარმოიშვა მწვალებელთა ეს სექტა;

... რას ქადაგებენ იეღოველები;

... როგორ ალვუდგეთ წინ ამ ცრუსწავლებას. გვ.12

**მტრის ენა უნდა ვიცოდეთ!**

გვ.13



## ინტერვიუ გალის გამგებლის ახალ მოადგილესთან

„მალიშამ“ ჩვენი ხალხის თავებით გაგრაში ფეხბურთი ითამაშა, დავიჭირეთ და არ მოგვეკლა?

## რუსთაველი „ტერორისტის“ შურისძიება?!



პაპაშვილი 20 ნოემბერს, დილით, ძალზე აღელვებული და ნასვამი ჩავიდა რუსთავში. ჯიბეში ნაგანი და ხელყუმბარა Ф-1 ჰქონდა, რადგან მეგობარსა (სავარაუდოდ, დაჭრილ თემურ მჭედლიშვილთან) და მეგობარ ქალთან ანგარიშსწორებას აპირებდა. გვ.8

## „გამაჩნია ვიდეომასალა, რომელიც ნადარეიშვილს ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებაში ამხელს“



გვ.11

## დონალდ რამსფელდი: რა უნდა იცოდეს პოლიტიკოსმა

პოლიტიკოსი, რომელსაც ჭეშმარიტი პოლიტიკოსობა სურს, აუცილებლად უნდა იცნობდეს დონალდ რამსფელდის წესების წიგნს, რომელიც მსოფლიოში ბესტსელერად იქცა. გვ.26

## გიორგობის სასწაული



ადამიანებისგან განწირულ და გამეტებულ ახალშობილს, გიორგობა დღეს, სასეირნოდ გამოყვანილი კოკერ-სპანიელი თოვლისა და ქვების სამალავში პოულობს... გვ.2

## იცით, რა მაღალი ვიყავი ამ დროს...



ამერიკაში რომ ვიყავით კონცერტზე ამ ბოლოს, თემურ თათარაშვილს ისეთი მონატრებულები დახვდნენ წინა კონცერტების მსმენელები, რომ უზომოდ მიხაროდა. მერე სადაც კი იტყოდი, ქართველი ვარო, იმ წუთში სუხიშვილების ანსამბლზე და ნინო ანანიაშვილზე იწყებდნენ საუბარს. იცით, რა მაღალი ვიყავი ამ დროს, **მე, პატარა ნეკა?** გვ.16

ვერსია

## სოკვლილი ქალის სანაცვლოდ

გვ.10

დინჯად, მოზომილად შემართა ორივე ხელი და ქვა მთელი ძალით დაუშვა საბრალოს თავზე. მერე მიცვალებულს შარვალი გახადა და თვითონ ჩაიცვა. გულშეღონებულ ქალს, რომელიც ამას ნამდვილად არ მოელოდა, ხელი ჩასჭიდა და თავდაღმართს დაუყვა.

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

### კახი ასათიანი მოკლეს

ოთხშაბათ საღამოს, დაახლოებით 7 საათსა და 20 წუთზე საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს სპორტის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი კახი ასათიანი. იგი აბაშიძის ქუჩაზე, ერთ-ერთ ბინაში ასულ მძღოლს „მერსედესის" მარკის ავტომობილში ელოდებოდა, როდესაც გაურკვეველნომრებიანი, BMW მარკის ავტომობილიდან ესროლეს (ვრცლად იხ. გვ. 34).

ბატონი კახი ასათიანის სამოქალაქო პანაშვიდები კვირას, სპორტის სასახლეში გაიმართა.

**„კვირის პალიტრის" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი კახი ასათიანის ტრაგიკული გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულის ოჯახს.**

### შეცვლა რამეს უშველის?

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსული სამშვიდობო ძალების ახალი სარდალი დანიშნეს. გენერალ-მაიორი პრიზემლინი მისსავე რანგის სამხედრომ, ნაბზდოროვმა შეცვალა. მანამდე იგი ტაჯიკეთის მოტომსროლელი დივიზიის მეთაური იყო, ბოლო რვა თვის მანძილზე კი ჩეჩნეთის ერთ-ერთი რეგიონის სამხედრო კომენდანტის მოვალეობას ასრულებდა.

### რუსი სამხედროები ქართულ ბიუჯეტში გადაიხდიან

ქრონიკულად შეუსრულებელ ბიუჯეტს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტი დაეხმარება. თუ მას პარლამენტი დაამტკიცებს, საქართველოში განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზებს საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ გვარიანი თანხის გადახდა მოუწევთ.

გადასახადი გულისხმობს ყველა სახის ბეგარას — მათ შორის, რუს სამხედროთა სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთებისა და უძრავი ქონებისათვის.

### კორუფცია საქართველოს სამსახურში

თუნდაც ერთხელ, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის კორუფციამ, როგორც ჩანს, დადებითი როლი ითამაშა. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის ქვეყნებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, გენადი ტიხონოვის განცხადებით, აფხაზეთში რუსული პასპორტების გაცემა შეჩერებულია. საქართველოს „დიდი სიყვარულით" ცნობილი რუსი ჩინოვნიკი ამტკიცებს, რომ რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება აფხაზმა თანამდებობის პირებმა პირადი გამდიდრების მიზნით გამოიყენეს. მისი თქმით, რუსული პასპორტისთვის ოფიციალურად დადგენილი 50 დოლარის ნაცვლად, აფხაზი ჩინოვნიკები მოსახლეობას 100 დოლარს ართმევდნენ. კორუფციაში ამხილეს აფხაზეთის რუსული სათვისტომოს ხელმძღვანელი ნიკიტჩენკოც. როგორც აღმოჩნდა, თანამემამულეების დახმარების ნაცვლად, რუსეთის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით იგი ავტომობილებს და სახლებს ყიდულობდა.

### აღარც ბოდენის დოკუმენტი უნდათ, აღარც რკინიგზა

სეპარატისტული მთავრობის ვიცე-პრეზიდენტის, არშბას განცხადებით, სოხუმი ბოდენის დოკუმენტის სასტიკი წინააღმდეგია. სეპარატისტები მიიჩნევენ, რომ ასეთ დოკუმენტზე ხელის მოწერა მხოლოდ საქართველოს მხრიდან რკინიგზის გახსნისთვის არ ღირს. როგორც არშბა ამტკიცებს, აფხაზეთის ეკონომიკისთვის სრულიად საკმარისია რუსეთის მხრიდან მოქმედი სოჭი-სოხუმისა და სოჭი-გალის სარკინიგზო ხაზები.

### დეპუტატები აღარ ხუმრობენ...

უწინდელი მუშტი-კრივი, პანღური და დედის გინება საქართველოს პარლამენტში დატრიალებული მოვლენების ფონზე უკვე უწყინარ გართობად გამოჩნდა. დარბაზში მყოფი „ახალი მემარჯვენე" დავით საგანელიძე „ნაციონალისტმა" პეტრე ცისკარიშვილმა გარეთ გაიხმო და გასვლისთანავე, თვითმხილველთა თქმით, სახეში რკინის საგანი დაარტყა. მძიმე მდგომარეობაში მყოფი საგანელიძე საავადმყოფოში წაიყვანეს, ცისკარიშვილი კი შემთხვევის ადგილიდან გაუჩინარდა. როგორც ჩანს, დეპუტატებმა მომავალი საფრთხე იგრძნეს და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ავტომატებისა თუ ხელყუმბარების გამოჩენამდე ბოროტი ხულიგნობისთვის მკაცრი სანქციების შემოღებაზე ალაპარაკდნენ. „ნაციონალური მოძრაობის" საბჭომ პარლამენტარი პარტიის რიგებიდან გარიცხა. გამოძიებას კი გენერალური პროკურატურა აწარმოებს. საინტერესოა, რომ თავად ცისკარიშვილის განცხადებით, ანგარიშსწორება ჯერ არ დამთავრებულა და მისი გალახვისთვის რისხვას კიდევ ორი კაცი უნდა ელოდეს...

### დეპუტატები გადარჩნენ...

გასულ კვირას ელენე თევდორაძის, გიორგი ბარამიძის და ელდარ შენგელაიას დეპუტატობის მანდატი ბეწვზე ეკიდა. პარლამენტმა ლამის ერთხმად გადაწყვიტა, რომ დედაქალაქის თვითმმართველობაში და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მათი ერთდროული მოღვაწეობა შეუძლებელი იყო. სამი პარლამენტარის უფლებამოსილების შეჩერებას სულ რაღაც 79 ხმა სჭირდებოდა და საშიშროება იმდენად რეალური ჩანდა, რომ ფრაქცია „აღორძინებამ" თევდორაძის ადგილზე კომიტეტის თავმჯდომარედ საკუთარი კანდიდატურაც კი წამოაყენა. მიუხედავად ამისა, დეპუტატების გაძევების ცერემონია არ შედგა. გადამწყვეტი როლი ზურაბ ჟვანიას გამოსვლამ ითამაშა, რომელმაც დეპუტატებს შეახსენა, რომ მისი ფრაქციელებისთვის უფლებამოსილების გაუქმება უფრო საკანონმდებლო კოლიზიის შედეგი იქნებოდა, ვიდრე კანონის დარღვევისა. „ეს კი პოლიტიკური რეპრესიების დაწყების ნიშანი იქნება", — დაასრულა ზურაბ ჟვანიამ. ყოფილი სპიკერის პათოსმა გაჭრა და სახელისუფლებოდ წოდებული ფრაქციებიც კი ერთმანეთის მიყოლებით დანებდნენ. გადაწყდა, საკითხი წარსულს ჩაჰბარდეს და განხილვას აღარ დაექვემდებაროს.

### სხდომა გადაიდო, რუსები დამარცხდნენ..

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების სხდომა, რომელიც აფხაზეთის საკითხს ეძღვნებოდა, დეკემბრის თვეში გადაიდო. რაც მთავარია, უშიშროების საბჭოს უმრავლესობის გადაწყვეტილებით, აფხაზური წარმომადგენლობა სხდომაზე მონაწილეობას ვერ მიიღებს.

რუსეთი აქტიურად უწევდა ამ საკითხს ლობირებას, თუმცა საბჭოს დანარჩენმა მონაწილეებმა თავისი პოზიცია ერთპიროვნულად დააფიქსირეს. მათი განცხადებით, არ არსებობს სტატუსი, რომლის მიხედვითაც აფხაზი სეპარატისტები შეიძლება სხდომას დაესწრონ.

### ახლა ელექტროენერგიასაც ვითხოვთ...

როგორც ჩანს, მათხოვრობამ მიჩვევა იცის და ქართველ ჩინოვნიკებს უკვე აღარაფერი ეუხერხულებათ. კრედიტებისა და ტრანშების თხოვნა, შემდეგ კი შეჭმა ქართულ რეალობაში ტრადიციად იქცა. ახლა კი ფეხს ელექტროენერგიის მათხოვრობა იკიდებს. საქართველოს ენერგოსისტემის რეაბილიტაციაზე ასეულობით ათასი დოლარის დახმარება და ინვესტიციაა დახარჯული. გარდა ამისა, პრეზიდენტიც და ენერგეტიკოსი ბობოლებიც ყოველ ზაფხულს მძიმე ზამთრისთვის მზადებაზე საუბრით ამთავრებენ. მიუხედავად ამისა, ელექტროენერგიით უზრუნველყოფის პირველივე შეფერხებაზე ქართველმა ჩინოვნიკებმა ისე ჩამოიარეს მეზობელი ქვეყნები დენის სათხოვნელად, თითქოს საკუთარ სამეზობლოში პურს ან შაქარს სესხულობდნენ. სომხეთმა უარი გვითხრა და ჯერ წინა დავალიანების გასტუმრება მოგვთხოვა, ასევე მოიქცა მოსკოვიც. გულუხვი მხოლოდ აზერბაიჯანი აღმოჩნდა, რომელიც დღემდე 60 მეგავატ ელექტროენერგიას გვაწვდის.

### კარგად დაფიქრდა და აღარ გვაძლევს...

პიტერ შოუს გათავისუფლებას ევროკავშირის დაპირებაც მოჰყვა — ტრანშებისა და გრანტების მოწოდებას განგიახლებთო. მაგრამ, როგორც ჩანს, ევროკავშირმა გადაწყვიტა, რომ დახმარების განახლებისთვის მხოლოდ პიტერ შოუს გამოშვება არ კმარა. საქართველოში ევროკომისიის ხელმძღვანელის, ტორბერნ ჰოლცეს თქმით, ევროკავშირის პრეტენზიები და საყვედურები საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ ევროკავშირის ექსპერტის ან მხოლოდ ევროპის მოქალაქეების უსაფრთხოების დაუცველობას არ გამოუწვევია. „საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქის უფლებები თანაბრად უნდა იყოს დაცული", — განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენელმა. თუ ევროპა მართლაც ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, საქართველოს ხელისუფლებას ტრანშების ლოდინი კიდევ დიდხანს მოუწევს, — ხელისუფლებას, თორემ ხალხისთვის ტრანშის მიღებას მნიშვნელობა არ აქვს...

### წყნარად, თავისთვის იჭიდავებენ...

სხვანაირი განმარტება ძნელად თუ მოეძებნება ზოგიერთი პარლამენტარის ინიციატივას, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სესიებიდან პირდაპირი ტელეტრანსლაციის შეწყვეტის შესახებ. ვიტალი ხაზარაძის განცხადებით, ზოგიერთი დეპუტატი ტელეეთერის გამო პარლამენტის სხდომას სხვადასხვა შოუს მოსაწყობად იყენებს. ესეც არ იყოს, უკანასკნელ პერიოდში დატრიალებული მოვლენების გამო, ხალხის თვალში პარლამენტი ნდობას და იმიჯს დაკარგავსო. ასეა თუ ისე, ნდობისა რა მოგახსენოთ და სესიების ტელეტრანსლაციის შეწყვეტის შემთხვევაში კი პარლამენტი ერთადერთ ფუნქციას — ხალხის გართობას — მართლაც დაკარგავს.

### სახალხო დამცველი სტრასბურგში ჩივის

იოლი წარმოსადგენია, რა დღეში იქნება ჩვეულებრივი მოქალაქე, როდესაც საქართველოს სახალხო დამცველს საკუთარი უფლებების დასაცავად სტრასბურგში უწევს სირბილი. ნანა დევდარიანმა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს შესაბამის განყოფილებას გენერალური პროკურორის, გაბრიჩიძისა და სამხედრო პროკურორის, ჯიქიას კანონსაწინააღმდეგო ქმედებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარუდგინა. სახალხო დამცველი გაბრიჩიძეს ჩეჩნების უკანონო ექსტრადიციაში ამხელს და აცხადებს, რომ მან რუსეთის მხარეს სრულიად სხვა პირები გადასცა, რადგან მათი იდენტიფიკაცია მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი.

რაც შეეხება ჯიქიას, მისი დანაშაულებრივი წარსულის შესწავლას ნანა დევდარიანი პარალელურად საქართველოს პარლამენტის სპიკერს, ნინო ბურჯანაძესაც სთხოვს, რადგან ამ საკითხზე მომუშავე გენერალური პროკურატურის სპეციალურმა კომისიამ დასკვნა ჯიქიას სასარგებლოდ გამოიტანა.

### იქაც გაასაჩივრებს...

როგორც ჩანს, ლეიბორისტების ლიდერს, შალვა ნათელაშვილს სასამართლოებში ბედი არ სწყალობს. როგორც ცნობილია, მას სარჩელი ჰქონდა შეტანილი სტრასბურგის ევროსასამართლოში, არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე ნათელაშვილი სარჩელის განხილვით კმაყოფილიც იყო და პროცესის მოგებაზე თამამ განცხადებებსაც აკეთებდა, ამჯერად მან პოზიციები შეცვალა და უკვე სარჩელის სტრასბურგის სასამართლოს მე-2 სექციიდან ამავე სასამართლოს დიდ პალატაში გადატანაზე ალაპარაკდა. მისი თქმით, 3 წლის წინ შეტანილი სარჩელის გაჯანჯლება იმან გამოიწვია, რომ საქართველოს კორუმპირებულ მთავრობას მოსამართლის სახით ლობისტი ევროსასამართლოშიც ჰყავს. ლეიბორისტების ლიდერის განცხადებით, გადაწყვეტილების დიდ პალატაში გასაჩივრება ევროპაში მიღებული წესია.

### დროშები, დროშები, დროშები ჩქარა!..

დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ახალი ინიციატივით გამოვიდა. მიხეილ სააკაშვილი მოითხოვს, თბილისის მერიის შენობაზე ოფიციალურ, სახელმწიფო დროშასთან ერთად ევროკავშირისა და წითელჯვრიანი ისტორიული დროშაც ფრიალებდეს. ჯერჯერობით კი „ნაციონალისტების" ლიდერი აღნიშნული დროშებით მხოლოდ საკრებულოში მდებარე მისი კაბინეტის აივნიდან გადმოფენას სჯერდება.

### კიდევ ერთი თურქული გემი

ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უკანონოდ მყოფი კიდევ ერთი თურქული გემი დააკავეს. სასაზღვრო დეპარტამენტის შტაბის უფროსის, კორნელი სალიას განცხადებით, დამრღვევი ამჯერად თევზმჭერი სეინერი აღმოჩნდა, რომელიც ქართველი მესაზღვრეების მოთხოვნას არ დაემორჩილა. სროლის შედეგად თურქული გემის ეკიპაჟის ორი წევრი დაიჭრა, 16 — დაპატიმრებულია.

### ხანძარი მერიამ მოაწყო?

ყოველ შემთხვევაში, ასე ირწმუნებიან ლტოლვილი გარემოვაჭრენი, რომელთა საქონელიც „ბავშვთა სამყაროს" მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩენილმა ხანძარმა შთანთქა. დაიწვა 50-ზე მეტი დახლი, გასაყიდი ავეჯი, ტანსაცმელი და ნოხები. სამართალდამცველთა და მეხანძრეთა წინასწარი ვარაუდით, ხანძარი მოკლე ჩართვამ გამოიწვია, თვითონ გამყიდველები კი დარწმუნებულნი არიან, რომ ხანძარი ტერიტორიის გასათავისუფლებლად მოაწყვეს.

### მძევლების გათავისუფლება უსისხლოდ მოხერხდა

რუსთავის მოსახლეობა რამდენიმე საათის განმავლობაში უცნაური სანახაობის მომსწრე გახდა — პოლიციის უფროსის მოადგილის „მერსედესი" ხუთი-ექვსი მანქანის კორტეჟით ქალაქში მოძრაობდა. დროდადრო ავტომობილი ჩერდებოდა და მანქანებიდან გადმომხტარი პოლიციელები გამვლელებს სთხოვდნენ, „მერსედესს" არ მიჰკარებოდნენ. როგორც აღმოჩნდა, ვინმე დათო პაპაშვილმა ხელყუმბარის აფეთქების მუქარით ქალბატონი აიყვანა მძევლად, რომელსაც თავისი ნებით რუსთავის პოლიციის უფროსი და მისი მოადგილე შეენაცვლნენ (ვრცლად იხ. გვ. 8).

### საქართველომ ნატოს კარზე დააკაკუნა

პრაღაში გამართულ ნატოს სამიტზე ჩასული საქართველოს პრეზიდენტი დამსწრე საზოგადოების წინაშე სამწუთიანი მოხსენებით წარდგა და ერთხელ და სამუდამოდ მოუღო ბოლო გაუთავებელ დებატებს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ. შევარდნაძემ ჩვენი ქვეყნის უცვლელ პრიორიტეტად ნატოში გაწევრება და დასავლეთთან ინტეგრაცია გამოაცხადა. საქართველოს პრეზიდენტი ჯორჯ ბუშსაც შეხვდა. მდიდარი და გაჭირვებული ქვეყნების პრეზიდენტებმა მომავალ თანამშრომლობაზე ისაუბრეს. შევარდნაძის განცხადებით, ამერიკა დაეხმარება საქართველოს ეკონომიკური პრობლემების დაძლევაში.

### პატიაშვილს არ დაუჯერეს, ხაბურძანია გაამართლეს

ჯუმბერ პატიაშვილი პარლამენტში სერიოზული სკანდალის აგორებას შეეცადა. მისი განცხადებით, უშიშროების სამინისტროში სპეციალური დოკუმენტი შემუშავდა, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის და ეკლესიის მკაცრ ზედამხედველობას ითვალისწინებს. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ახსნა-განმარტებისთვის დაბარებულმა უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ განაცხადა, რომ მისი უწყება მსგავს საქმიანობას არ აპირებს და არც არასოდეს აპირებდა. უშიშროების მინისტრის განცხადებით, პატიაშვილის მიერ ნახსენები დოკუმენტი სამინისტროში ორი წლის წინ მართლაც შეიქმნა. მაგრამ მისი ავტორი, ვასილ სანებლიძე სამსახურიდან გაათავისუფლეს, დოკუმენტის მიღებაზე ან განხორციელებაზე კი, უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელის თქმით, არც უფიქრიათ.

### პარლამენტმა შეღავათები აღადგინა

ხანგრძლივი დებატების შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა სოციალური შეღავათები დააკანონა ომისა და სამხედრო ვეტერანებისათვის, ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებისთვის. მათ ზამთარში 250, ხოლო ზაფხულში — 180 კვტ/სთ ელექტროენერგია უფასოდ მიეწოდებათ. ამასთანავე, აუნაზღაურდებათ ბუნებრივი აირისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯებიც. შეღავათებს სახელმწიფო დააფინანსებს, რისთვისაც ბიუჯეტიდან 8 მლნ ლარის გამოყოფაა დაგეგმილი (შეგახსენებთ, რომ შეღავათები პარლამენტმა 1999 წელს გააუქმა, მაგრამ დაღუპულთა ოჯახებმა საკონსტიტუციო სასამართლოში იჩივლეს და საქმე მოიგეს კიდეც).

### აფხაზები ნებას დაგვრთავენ(!)

აფხაზეთიც საქართველოს შემადგენელი ნაწილია და ენგურჰესიც, მაგრამ აფხაზები სხვაგვარად მსჯელობენ და, რაც უნდა გასაკვირი იყოს, ამაში ქართველებიც სიამოვნებით ეთანხმებიან. მიუხედავად მათ მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობისა, აფხაზი სეპარატისტები უარს არ ამბობენ, საქართველომ მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური გადაიხადოს. ამის სანაცვლოდ კი ენგურჰესის რეაბილიტაციის უფლებას მოგვცემენ(?!) (რასაკვირველია, ჩვენ მიერვე მოპოვებული სახსრებით!).

### ეკოლოგიური კატასტროფა



ჩრდილო-დასავლეთ ესპანეთში, ე. წ. „სიკვდილის სანაპიროს" მახლობლად, ბერძენი გემთმფლობელების ტანკერი ჩაიძირა. საკმაოდ ძველი, 26 წლის ხომალდი ბაჰამის დროშით დაცურავდა, რადგან აფრიკული ქვეყნები სოციალური და ეკოლოგიური საკითხების მიმართ ძალიან ლოიალურები არიან. ტანკერის გადარჩენას მაშველები რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდნენ, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა — ბოლო მომენტში ტანკერი შუაზე გადატყდა და ზღვაში ჩაიძირა. იმ შემთხვევაში, თუ ნავთობი ჩაძირული ტანკერის ცისტერნებიდანაც გაჟონავს, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებს ყველა დროის უდიდესი ეკოლოგიური კატასტროფა დაემუქრება.

### სასწაული გიორგობა დღეს

მოსკოვის ერთ-ერთი მცხოვრები, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, გარეუბანში მდებარე ტყეპარკში თავის სპანიელს ასეირნებდა. შინ წამოსვლისას ძაღლი უცნაურად აფორიაქდა, გაღიზიანებული ერთ-ერთ ხეს მისჩერებოდა და უყეფდა. როდესაც პატრონი ხეს მიუახლოვდა, შეამჩნია, რომ მის ძირში ფუღურო ქვებითა და ტოტებით იყო შენიღბული. „ალმა" (ასე ჰქვია ძაღლს) სწორედ ამ ადგილს არ შორდებოდა. ქვების გადმოყრის შემდეგ მამაკაცის თვალწინ საოცარი სურათი გადაიშალა — ფუღუროში ჩვრებში გახვეული ახალშობილი იწვა. უახლოესი საავადმყოფოს რეანიმაციაში დაადგინეს, რომ ბავშვი 5-6 საათის წინ იყო დაბადებული. მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს და ჩვილი ძაღლის პატრონმა იშვილა. იმის გამო, რომ ბავშვი თოვლში იპოვეს, მას „სნეჟანა" დაარქვეს. პატრონის თქმით, ფუღურო ისე იყო შენიღბული, ძაღლი რომ არა, გამვლელი ვერც კი შენიშნავდა. როგორც ჩანს, ღვთის სურვილს წინ ვერაფერი დაუდგება...

# „უმჯობესია, პარლამენტის სპიკერად კანონიერი ქურდი დავაყენოთ"

საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე ჩვენი ქვეყნის მიმართ დღევანდელ საერთაშორისო განწყობასა და დახმარების მდინარეებზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი იყო: იმ პერიოდიდან არცთუ ბევრი — 8-9 წელია გასული, მაგრამ ბევრი ჩვენგანი მაშინდელ ეროვნულ აღტკინებას როგორც საზოგადოებაში, ისე პარლამენტსა თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში (მიუხედავად ამ უკანასკნელთა მიერ დაშვებული შეცდომებისა) გარკვეული ნოსტალგიითაც კი იხსენებს. ეროვნული ცნობიერება დღეს მხოლოდ სუფრაზე თუ შემორჩა, სხვა დანარჩენში კი ყველაფრის წარმმართველი ფული და პირადი კეთილდღეობაა. ალბათ საზოგადოებას კარგად ეხსომება, როგორი იყო ქართული პარლამენტარიზმი 90-იანი წლების დასაწყისში. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ძირითადად ეროვნული ძალებიდან მოსული პიროვნებებით იყო დაკომპლექტებული. იმართებოდა ცხარე დებატებიც, შესაძლოა შეურაცხყოფასაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ არც „შავი გაგებით" მოჰქონდა ვინმეს თავი და არც დაუნდობელ მუშტი-კრივს მართავდნენ კოლეგებთან. პირადად მე, მაშინდელი საპარლამენტო „პაქრობიდან" ლუიზა შაკიაშვილის სატელევიზიო გამოსვლა დამამახსოვრდა, როდესაც ოპონენტს ფანდურზე შესრულებული შაირით უპასუხა. დღეს, როდესაც პარლამენტარები ერთმანეთთან ურთიერთობას კასტეტებით და „გაურკვეველი წარმომავლობის ბასრი ნივთებით" არკვევენ, მაშინდელი სულისკვეთება და ურთიერთდამოკიდებულება გულუბრყვილობად მოჩანს. ეროვნული იდეოლოგიის რაობაზე მსჯელობა ანაქრონიზმად ითვლება. თანამედროვე ქართველი დეპუტატები ერთმანეთს თავს მობილური ტელეფონებით, ევროპელ დიზაინერთა სამარკო კოსტიუმებით, ავტომობილებითა და სხვადასხვა ბიზნეს-წილებით აწონებენ. მიუხედავად საქართველოს მიმართ აშკარა საერთაშორისო კეთილგანწყობისა, ქვეყნის შიგნით ყველაფერი თავდაყირა დგას — პოლიციელები ქურდობენ; ქურდები ავტომატებით სხედან ციხეში და ძარცვას თუ „ვაზვრატებს" ტელეფონით არეგულირებენ; დეპუტატები „ქურდულ გაგებით" ამაყობენ; მრავალგზის დანაყვედრებული სტაბილიზაცია კი მხოლოდ იმაში თუ გამოიხატება, რომ ქუჩაში სტაბილურად კლავენ ცნობილ ადამიანებს, სტაბილურად იტაცებენ და გამტაცებლებსაც სტაბილურად ვერ პოულობენ. თუ ჯერ კიდევ გვქვია სახელმწიფო, ალბათ ჩვენი უბედურების მიზეზები პირველ რიგში სწორედ სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უნდა ვეძიოთ, რადგან „ხალხის რჩეულები" სწორედ აქ ქმნიან სხვადასხვა კანონს და მათი შესრულების მაგალითსაც აქედანვე იძლევიან... რა მოხდა ისეთი ქართულ ცნობიერებაში, რომ ქართული პარლამენტარიზმი ეროვნული ცნობიერებისგან ქურდული ცნობიერებისკენ გადაიხარა? რატომ დასდევენ თითქოსდა დემოკრატიისთვის თავგადადებული, ევროპული განათლებისა და ორიენტაციის პარლამენტარები ერთმანეთს საცემრად? რატომ არის ქართველი დეპუტატი პირადი კეთილდღეობისა და „წარმატებული" ბიზნესის სიმბოლო? ამ საკითხებზე სასაუბროდ ამჯერად ვცადეთ, სწორედ პირველი მოწვევის პარლამენტის ისეთი წევრი შეგვერჩია, რომელიც დღეს პოლიტიკისგანაც და ბიზნესისგანაც ერთნაირად შორს დგას. ვესაუბრებით **ლუიზა შაკიაშვილს:**

— ჩემი დეპუტატობის პერიოდში პარლამენტის სხდომებს საქართველოს პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა. როდესაც რაიმე საკითხთან დაკავშირებით წყობიდან გამოვიდოდა ხოლმე (თუმცა, ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდებოდა), რატომღაც ოპოზიციონერ დეპუტატებს თავდაჯერებული, ნიშნისმოგებით გვეუბნებოდა — თქვენ ველარ მოხვდებით მომავალ პარლამენტში, ხალხი აღარ აგირჩევთო. მაშინ მისი პათოსი სასაცილოდაც არ მყოფნიდა. სამწუხაროდ, მართალი გამოდგა. შემდეგ და შემდეგ საპარლამენტო არჩევნებზე იდეამ, პროგრამამ თუ კანდიდატის წარსულმა უკანა პლანზე გადაინაცვლა და ყველაზე მნიშვნელოვან არგუმენტად ფული იქცა. ასე, თანდათან, ქართულ პარლამენტში ან ისევ ძველი პარტიული ნომენკლატურა მოკალათდა, ან შევარდნაძის და მისი გუნდის „ხელის ბიჭები" — ზოგმა ევროპაში მიიღო განათლება, ზოგმა ამერიკაში და ზოგიც ადგილობრივ ბიზნესში დაწინაურდა, თუ დაწინაურეს.

ერთი მითხარით, დღეს რომ ოპოზიციონერობით მოაქვთ თავი და პრეზიდენტს ლანძღავენ, თავის დროზე ვის კალთას იყვნენ შეფარებულნი? ვერავინ დამაჯერებს, რომ საქართველოში წარმატებული ბიზნესი და სერიოზული კაპიტალის შოვნა შევარდნაძის და მისი ოჯახის ხელდასხმის გარეშე ხდებოდეს. მერე და მერე, ეს ბიჭები წამოიჩიტნენ, დავაუკაცდნენ და „პაპა კარლოს" აღარ ემორჩილებიან.

**— თქვენი დროის პარლამენტში არც ორიენტაციათა ასეთი გამიჯვნა იყო.**

— არ ვიცი, „განსხვავებულ ორიენტაციებში" პოლიტიკა იგულისხმეთ, ბიოლოგია თუ მორალი. სამწუხაროდ, დღევანდელ პარლამენტში არც ერთის ნაკლებობა შეიმჩნევა, არც მეორის და არც მესამისა. არ ვიცი, თვითონ სჯერათ ასე, არ ვიცი, ხალხს ატყუებენ — რატომღაც, დღევანდელ პარლამენტში და პოლიტიკურ ელიტაში ისეა მიღებული, რომ დემოკრატიულობა და ევროპული ორიენტაცია „ვალენტინოს" 200-დოლარიან ჰალსტუხს და 600-დოლარიან მობილურ ტელეფონს ნიშნავს.



ეს კიდევ არაფერი, ამგვარ ევროპელობას ძველბიჭობაც შეუხამეს და ქვეყნის უზენაეს საკანონმდებლო შენობაში ერთმანეთს საცემრად დასდევენ...

ის, რაც დღევანდელ პარლამენტში ხდება, არა მხოლოდ რომელიმე პოლიტიკური პარტიის სირცხვილია, არამედ ეროვნულ კატასტროფად შეიძლება ჩაითვალოს — ეგეთი რამე გინახავთ, ხალხო, დეპუტატი, უმაღლესი კანონმდებელი ტრაბახობდეს, — ქუჩის აკადემია მაქვს დამთავრებულიო და თავის კოლეგას ემუქრებოდეს, — მე მაგას პასუხს „სხვაგვარად" მოვთხოვო?.. მიდი ახლა და მე-8 კლასელ ბიჭს მოსთხოვე, კანონმორჩილი იყოს და შეურაცხყოფისთვის თანატოლს დანა არ გაუყაროს...

ეს „ქუჩის აკადემია" გასაგებია, რაც არის — ალბათ, მავანს იმის თქმა უნდა, რომ ბამბებში გაზრდილი არა ვარო. ასეც უნდა იყოს, კაცი იმისია, დარტყმაც უნდა შეეძლოს და თავის გატანაც, მაგრამ ეს ხომ მამაკაცის ერთ-ერთი და არა ერთადერთი თვისებაა! ქვეყანაში იმდენი უკულმართობა ხდება, ლამის ეჭვი შემეპაროს, მე ხომ არ ვცდები რამეში-მეთქი; მაგრამ, რა ვიცი, მე ეგრე მაქვს ნასწავლი და გაგონილი, რომ საქართველოში ქალის კულტი და პატივისცემა ყოფილა (ოდესღაც!), რომ არა თუ პარლამენტში, ქუჩაშიც კი, მანდილოსნის თანდასწრებით უხამსობა არ შეიძლება. ზის ნინო ბურჯანაძე სპიკერის ჩაქუჩით ხელში და აღარ იცის, რა ქნას... პარლამენტარები კიდევ ტელევიზიით გვაწონებენ თავს — კოლეგას დასარტყმელად ვერ მივწვდი, მაგრამ ასე და ისე შევაგინეო.

აბა, რა გითხრათ. თუ ასე გაგრძელდა, უმჯობესია, პარლამენტის სპიკერად კანონიერი ქურდი დავაყენოთ, თავი კი მოაქვთ ჩვენს დეპუტატებს ქურდული გაგებით და ძველბიჭობით და ეგებ, იმას მაინც დაუჯერონ...

**— ალბათ მასკარადად ქცეული დღევანდელი პარლამენტის მუშაობის შეფასება არასერიოზული იქნება. ამის ფონზე ზოგიერთმა დეპუტატმა საკმაოდ სერიოზული სახით წამოაყენა ინიციატივა პარლამენტის სხდომათა ტელეტრანსლაციის შეწყვეტის შესახებ. მათი არგუმენტაციით, პირდაპირ ტელეეთერს პარლამენტის ზოგიერთი წევრი პოპულისტური გამოხდომებისა და თავის გარშემო აჟიოტაჟის შესაქმნელად იყენებს, საქმეც ამის გამო ვერ კეთდება...**

— მე მგონი, ერთადერთი საქმე, რასაც დღევანდელი პარლამენტი ახერხებს, ტელევიზიის საშუალებით მოსახლეობის გართობაა. თუ ამაზეც უარს ამბობენ და „სიჩუმეში" უნდათ, ერთმანეთს ურტყან, მთლად უვარგისები ყოფილან... ის აღარ ჰყოფნით, რომ ხალხი მოატყუეს და ფულისა და მუშტი-კრივის მეტს არაფერს აკეთებენ, ახლა ხალხმაც აღარ უნდა დაინახოს, რას წარმოადგენენ?!

პირიქით, საქართველოს მოსახლეობამ რაც შეიძლება მსხვილი პლანით უნდა უყუროს მაგათ უმსგავსობას, რომ საკუთარ არჩევანს უფრო სერიოზულად და შიშითაც კი მოეკიდოს.

**— მაგრამ უახლოესმა წარსულმა დაგვარწმუნა, რომ საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ თვითმმართველობის არჩევნებში ხალხის აზრს ყველაზე ნაკლებად ითვალისწინებენ. ალბათ ამიტომაც არის, რომ მოსახლეობა საარჩევნო ბასტი-ბუბუში მხოლოდ სეირის საყურებლად თუ მიდის.**

— ასეც არ არის. ერთ და ორ კაცს ნამდვილად არავინ არაფერს ეკითხება, მაგრამ მერწმუნეთ, პოლიტიკოსებს და ჩვენს დღევანდელ უსახურ მთავრობასაც ყველაზე მეტად ხალხის ეშინია და ყველაზე მეტ ანგარიშსაც ხალხს უწევს — ყველას ახსოვს, პარლამენტის შენობის წინ ახალგაზრდობის სამი-ოთხი დღით შეკრებამ და კატეგორიულმა მოთხოვნებმა მთელი მთავრობის გადადგომა რომ გამოიწვია. მაგრამ როგორც კი ხალხი ამით დაკმაყოფილდა და დამშვიდდა, შევარდნაძემ ერთი პაიკი მეორით შეცვალა, სახელმწიფოში სერიოზულად არაფერი შეცვლილა.

როდესაც არჩევნებზე მოსახლეობის უმრავლესობა მივა და თავის გაკეთებულ არჩევანს ბოლომდე მიჰყვება, გაყალბებას აზრი დაეკარგება. არ ვქადაგებ, მაინცდამაინც, რომელიმე კონკრეტულ პარტიას ან ლიდერს დაუჭიროს ყველამ მხარი, მაგრამ ხმას ვისაც მისცემს, ამომრჩეველი მას ბოლომდე უნდა მიჰყვეს, მანამდე კი კარგად დაფიქრდეს, მხარს რატომ უჭერს და ის პიროვნება პირადად მისთვის კი არა, ქვეყნისთვის რას გააკეთებს. ასეთ შემთხვევაში, გაყალბებასაც აზრი დაეკარგება და არც სამოქალაქო დაპირისპირება შედგება — საშიშროება, რომლითაც ჩვენი პრეზიდენტი ესოდენ მოხერხებულად მანიპულირებს ხოლმე. ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ხმის მიცემაც მოვალეობის მოხდად იქცა. შედეგიც სახეზეა, დღევანდელი დეპუტატების უმრავლესობა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ისე მოხვდა, შეიძლება ზედიზედ ორი კანონი არ ჰქონდა წაკითხული. სამაგიეროდ, ჰქონდათ ბიზნესი და მისი დაცვა-გაძლიერების სურვილი. ზოგიერთმა მათგანმა ორდღიანი ასფალტი დააგო, ზოგმაც ორ-ორი კილო შაქარი დაარიგა, სხვებმა — ქალაქის გამწვანების იმიტაცია შექმნეს — გაზონებში ალაგ-ალაგ მწვანე ტოტები ჩაარჭვეს. პარალელურად მანამდე არსებულ გაყალბების ორასამდე მაქინაციას ორი იმდენი მიუმატეს და შედეგად თავკომბალა პარლამენტი მივიღეთ — ოღონდ ამ შემთხვევაში თავი ცარიელია...

ან კი, ამ ერთი ციცქნა ქვეყანაში რა საჭიროა ამხელა პარლამენტი? 235 დეპუტატიდან ნახევარი მაინც არ დადის და კვორუმის მისაღწევად სპიკერმა ლამის არის დეპუტატების მშობლები დაიბაროს გაცდენებზე სალაპარაკოდ.

პარლამენტში გაცდენილი დროის შესაბამისად ხელფასი დაექვითებათო... სასაცილო არ არის? იმ დეპუტატის ხელფასი უბრალო მოკვდავისთვის არის საოცნებო, თორემ ჩვენი დეპუტატების დიდი ნაწილი, ორ მაგდენ ფულს რესტორანში ტოვებს ერთ შესვლაზე. ვისაც არა სჯერა, სოკოებივით მომრავლებული რესტორნები შემოიაროს — მათ წინ ვერც დაბმულ ვირს ნახავთ, ვერც ურემს და ვერც ველოსიპედს, მერსედესებით კიდევ, ვინც დადის, ყველამ კარგად იცის... ან კი, რა უნდა პარლამენტში მელუდეს, მეღვინეს, პოეტს, მსახიობს... როგორ დავიჯერო, რომ ქვეყანაში ასამდე წესიერი იურისტი, ფილოსოფოსი და ეკონომისტი ვერ მოიძებნება, რომ ყველამ თავისი საქმე აკეთოს? მაგრამ საქართველოში ფილოსოფოსები და ეკონომისტები ბაზრობაზე წვრილმანებით ვაჭრობენ, უმაღლეს სტრუქტურებში მოკალათებული სულით ვაჭრები კი ქვეყნის შენებაზე დებენ თავს და საკუთარ ეზო-ყორეს იშენებენ... ყველაზე ცუდი აქ ის არის, რომ ხალხი ყველაფერს შეეგუა და დაბეჩავდა — მერე რა, თუ ვინმეს მოიტაცებენ, მერე რა, თუ ვინმეს დღისით-მზისით ჩაცხრილავენ, დააყაჩაღებენ... დაამცირებენ...

რაც მთავარია, ფართო მასებში ისიც მიღებული აზრია, რომ პოლიციელი ფულს ქურდებზე და ყაჩაღებზე აკეთებს, რომ მინისტრი თუ მისი მოადგილე, სახელმწიფოს ხარჯზე ბევრ ფულს შოულობს, ნებისმიერ „ფულიან" თანამდებობაზე დასანიშნად ფულია საჭირო; ყველანაირი დანაშაული შეგრჩება, თუ ვერ წაგასწრეს, — თუ წაგასწრეს, მაინც შეგრჩება, ოღონდ ფული გადაიხადე... ჩემი ნათქვამი რამდენადაც შაბლონური და გაცვეთილია, იმდენად საშიშია და დამღუპველი.

**— რაც ჩვენს თავს ხდება, გასაგებია, მაგრამ აქ ჩამოსული უცხოელი კონსულტანტ-ექსპერტებიც აღარ ჩამოგვრჩებიან და კორუფციის ანა-ბანას წარმატებით ითვისებენ.**

— ეს ხომ ძალიან მომგებიანია — იქ, თავის ქვეყანაში ელემენტარული დანაშაულისთვისაც უბრალო ჩინოვნიკს კი არა, პრეზიდენტსაც მკაცრად სთხოვენ პასუხს. აქ ჩამოსულებს, მით უმეტეს, ერთგვარი „უცხოელის" იმუნიტეტი იცავთ. თანაც სამშობლოში ჯუნგლების დონის ქვეყანაში მუშაობას გმირობად უთვლიან... აგერ, „ბანკიჭამია" პიტერ შოუმ რამდენიმე წელიწადში თუ რამე მოსახვეჭი დაიგულა, მოიხვეჭა, მერე პატარა და გულისამაჩუყებელი შოუ დაგვიდგა და სამშობლოში გმირად დაბრუნდა. ჩვენი დოყლაპია სამართალდამცავები კიდევ კახეთში დადიან და ორმოს ეძებენ, სადაც გატაცებული პიტერ შოუ იჯდა. კახურად ვიტყვი — იჯდა, რო?!

ყველა სიკეთესთან ერთად ჩვენს საზოგადოებას უცხოელთა უაზროდ გაფეტიშების მანიაც დასჩემდა. რასაკვირველია, არც ნაციზმს ვქადაგებ და არც ქსენოფობიას, მაგრამ სახელმწიფოში ყველა თანასწორუფლებიანი უნდა იყოს — გერმანელიც და ამერიკელიც. ყველამ უნდა იცოდეს, რომ დანაშაულისთვის აქაც ისევე დაისჯება, როგორც საკუთარ სამშობლოში. რეალობა სხვაგვარია — უცხოელებს ყველაფრის უფლება აქვთ, მათი გატაცება თუ დაყაჩაღება საშინელ აჟიოტაჟს იწვევს მაშინ, როდესაც ყოველდღიურად ასობით ჩვენი თანამემამულე ანალოგიურ დღეშია.

**— დიდი წვალებით არჩეულმა თბილისის საკრებულომ, როგორც იქნა, მუშაობა დაიწყო. პირველივე სხდომები „რევოლუციურად" წარიმართა და მერის გარდა, თითქმის ქალაქის მთელი მთავრობა გადააყენეს. შემდეგ საკრებულოში კულტურის ცნობილი მოღვაწეები მივიდნენ და ვანო ზოდელავას არავის დავაჩაგვრინებთო, ამბობდნენ...**

— საქართველოში რაღა გვიკვირს, რომ ეს გაგვიკვირდეს. სხვათა შორის, იგივე ხალხი, მახსოვს, დიდი წარმატებით ნადირობდა ჩემს დროინდელ ოპოზიციონერ დეპუტატებზეც და შევარდნაძეს საქართველოს ერთადერთ გადამრჩენადაც გვისახავდა. როგორც ჩანს, მერისგან უფრო პირადი, ვიდრე საზოგადოებრივი სიკეთე ახსოვთ და ამიტომაც იცავენ ასე თავგამოდებით... საერთოდ, უმჯობესი იქნება, თუ საკრებულო პირადად ვანო ზოდელავასგან მტრის ხატის შექმნის ნაცვლად, პარლამენტის წინაშე დედაქალაქის მერის სახალხოდ არჩევის საკითხს დააყენებს. მერე ხომ მაინც გამოჩნდება, ხალხს მერად ვანო ზოდელავა უნდა, პეტრე თუ პავლე. ახლა, პრეზიდენტს რომ მის გადაყენებას სთხოვენ, რა იციან, მის ნაცვლად ისეთ კაცს რომ არ დააყენებს, ზოდელავა სანატრელი გაგვიხადოს? ხალხს რაც მეტად მივანდობთ საკუთარი ბედის გადაწყვეტას, მით უკეთესი იქნება — მით უფრო სწრაფად გაქრება ნიჰილიზმი და საზოგადოება იმ დასკვნამდე მივა, რომ პრეზიდენტის თუ მერის არჩევა საკუთარი მომავლის არჩევას ნიშნავს. რაც არ უნდა დიდი გველეშაპი იყოს ამ ქვეყანაზე გადამჯდარი, ახალი თაობა მაინც მოდის — ერთხელაც იქნება, გაგვანებებს ეს კაცი თავს და მემუარების წერას დაიწყებს. მერე რა ვქნათ, ვის ვეხვეწოთ ამა თუ იმ თანამდებობის პირის შერჩევაზე, ქვეყნის მმართველი პარტიის დადგენასა თუ რომელიმე პარტიული ლიდერის დაწინაურებაზე? თუ ისე დავამტვრიოთ თავპირი ერთმანეთს, როგორც დღევანდელი პარლამენტარები იქცევიან?

მომავალ არჩევნებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. თუ ხალხმა სერიოზული დასკვნები არ გამოიტანა, ვშიშობ, რომ ისინი, ვინც დღეს ერთმანეთს კასტეტებით და დანებით დასდევენ, ხვალ ავტომატებით დაიწყებენ ანგარიშსწორებას. მაშინ ველარც დასავლეთი გვიშველის და ველარც ჩრდილოეთი.

**— დღეს დიდი და პატარა ევროპაამერიკის მხარდაჭერაზე ლაპარაკობს. უფრო მეტიც, პრაღაში გამართულ სამიტზე გამოჩნდა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრება არცთუ შორეული პერსპექტივაა...**

— რაც არ უნდა აღტაცებული ვიყოთ ნატოს და ევროკავშირის კეთილგანწყობით, ერთი რამ ფაქტია — საქართველოს მიმართ მათ განსაზღვრული, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები აქვთ. ამ ინტერესების განხორციელებისთვის კი გზას და საშუალებას იმისდა მიუხედავად გამონახავენ, აქ ხალხი ცივილიზებურად იცხოვრებს თუ პაპუასებივით — ევროპა-ამერიკის ორიენტაციისა და გავლენის მქონე ასეთი ქვეყნებიც არსებობენ...

მიუხედავად ამისა, პესიმისტურად განწყობილი ჩვენი ქვეყნის მომავლისადმი მაინც არ ვარ — სამყაროს პალიტრაში საქართველო, თუნდაც პაწაწინაა და შელახული, მაგრამ იმდენად ლამაზი ფერია, რომ ღმერთი დასაკარგად არ გაწირავს. აქ კი ის ანდაზაც უნდა გვახსოვდეს, ხელი გაიქნიე და ღმერთიც დაგეხმარებაო...

*დარი გრძელიშვილი*

# პუანტები, თოჯინები, „უსარგებლო“ ფიზიკა-მათემატიკა და პატარა ბალერინა...



*ამ სახლში ხან პუანტებს ეძებენ, ხან გრიმს, ხან ფორმას არჩევენ... „დღეს სად გაქვს რეპეტიცია?“ — ყოველ დილით ისმის კითხვა... „კლასიკაზე დაიგვიანებ!“ — განუწყვეტლივ ამ ფრაზას იმეორებენ და ისიც თავქუდმოგლეჯილი გარბის ხან ქორეოგრაფიული სასწავლებლისკენ, ხან ოპერისკენ. ბევრისთვის* **თამუნა აბუთიძის** *სახელი და გვარი არაფრის მთქმელია, მაგრამ, ვინც მას იცნობს, დარწმუნებულია, რომ გავა დრო და ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ გაჩნდება დიდი აფიშა — „ცეკვავს პრიმა-ბალერინა თამარ აბუთიძე“. დარბაზი გაიჭედება მაყურებლით და თამუნაც თავისი გრაციით და არტისტიზმით უამრავ მაყურებელს მოხიბლავს. სპექტაკლის ბოლოს აუცილებლად იქნება ოვაცია და ყვავილების ზღვა... მანამდე კი...*

*ჯერჯერობით თამუნა 13 წლისაა და თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეა. შეუძლებელია არ გაგაოცოთ მისმა შრომისმოყვარეობამ... საღამოს ხანდახან ისეა ძალაგამოცლილი და დაქანცული, რომ ხმასაც ვერ იღებს, მაგრამ... რა ქნას, იძულებულია, ჩანთა გახსნას, წიგნები ამოალაგოს და, მსუბუქად რომ ვთქვათ, ეს „საძულველი“ ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია და ასე შემდეგ — მისთვის „უსარგებლო“ საგნები იმეცადინოს...*

*— ჩემს სტუდიაში იმისთვის არ დადიან, რომ მაინცდამაინც პრიმა-ბალერინები გამოვიდნენ. მე ვზრდი უბრალოდ, ბალეტის მოყვარულებს და კარგ მაყურებელს. ასიორასი ბავშვიდან შეიძლება მხოლოდ ერთს აღმოაჩნდეს ჭეშმარიტი ტალანტი — ხშირად იმეორებს მაკა მახარაძე...*

*დარწმუნებული ვარ, რომ თამუნა სწორედ ის ერთია ორასიდან, ვისაც განსაკუთრებული ნიჭი გააჩნია. ამას კი ის მაფიქრებინებს, თამუნამ სწორედ მაკა მახარაძის დაჟინებული თხოვნით რომ ჩააბარა ქორეოგრაფიულ სასწავლებელში...*

— **პირველად როდის ნახე საბალეტო სპექტაკლი?**

— პატარა ვიყავი, როცა ბიცოლამ ოპერისა და ბალეტის თეატრში წამიყვანა. კარგად მახსოვს — გადიოდა სპექტაკლი „კონკია“. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ცეკვამ. დედას ვთხოვე, ბალეტზე მივეყვანე. მაკა მახარაძის სტუდიაში შემიყვანა, სადაც რამდენიმე წელი ვსწავლობდი. შემდეგ სწორედ მაკა მასწავლებლის თხოვნით ჩავაბარე ქორეოგრაფიულ სასწავლებელში.

— **შენი დღის რეჟიმი ჩვეულებრივი მოსწავლეების რეჟიმისგან განსხვავებულია. ფაქტობრივად, მთელ დღეს სკოლაში ატარებ. არ გიძნელდება?**

— შინ უფრო ვიღლები. იმდენად მიყვარს ცეკვა, რომ ჩემთვის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში გატარებული თითოეული დღე ბედნიერებაა. სამწუხაროდ, მიწისძვრის შემდეგ სასწავლებლის შენობა დაზიანდა, ამიტომ რეპეტიციები ოპერის თეატრსა და სუხიშვილების სტუდიის დარბაზებში გვიტარდება ხოლმე... რეპეტიციებს სკოლის ჩვეულებრივი გაკვეთილებიც ემატება. სიამოვნებით ვსწავლობ ქართულს, რუსულს, ისტორიას, ფრანგულს... უნდა გამოგიტყდეთ, რომ ტექნიკურ საგნებზე დიდად არ ვგიჟდები.

— **ბალეტი მაკა მასწავლებელმა შეგაყვარა?**

— კი. ძალიან მიყვარს მაკა მასწავლებელი, დღემდე ძალიან თბილი ურთიერთობა გვაქვს. ქორეოგრაფიულ სასწავლებელში კი სვეტა მთვარელიშვილი მასწავლის. სვეტა მასწავლებელი ძალიან მკაცრია, მაგრამ სამართლიანი. სულ მეშინია, არაფერი შემეშალოს და ვცდილობ, უკეთ ვიმეცადინო.

— **11 წლის ასაკში პირველად იცეკვე ოპერის სცენაზე... რა გრძნობა გქონდა მაშინ?**

— კულისებში უფრო ვნერვიულობდი, მაგრამ როცა მასწავლებელმა სცენაზე გამიყვანა, ყურადღება არ მიმიქცევია ხალხისთვის — ჩემთვის ვცეკვავდი. იმ დღეს მთავარ პარტიას ბეზირგანი ასრულებდა. არაჩვეულებრივი გრძნობაა, როცა შენ წინ ასეთი ცნობილი ადამიანია და შენც მასთან ერთად მონაწილეობ სპექტაკლში... თუმცა მაშინ სცენაზე სულ რაღაც ათი წუთი ვიდექი...

— **ახლახან ისევ იცეკვე „დონ კიხოტში“. თითქმის მთელი მესამე აქტის განმავლობაში სცენაზე იყავი, ძნელი იყო?**

— არა, უფრო — სასიამოვნო... წარმოვიდგინე ის ეპოქა, როცა დონ კიხოტი და სანჩო ცხოვრობდნენ, ვცდილობდი, ბუნებრივად მემოძრავა... ერთადერთი, რამაც ძალიან შემაწუხა, იყო პარიკი, რომელიც არც ისე სწორად მომარგეს და თვალებზე მქონდა ჩამოფხატული.

— **მიუხედავად ამისა, შენზე თქვეს, საოცარი არტისტიზმით გამოირჩევაო...**

— მეც და ჩემი მეგობრებიც თითქმის ერთნაირად ვცეკვავთ, თუ ვინმე განსაკუთრებულად ფიქრობს ჩემზე, ბედნიერი ვარ.

— **რომელი მოცეკვავე გიყვარს განსაკუთრებით?**

— პლისეცკაია, ანანიაშვილი, ნიორაძე, ბეზირგანი, კანდელაკი, ჭაბუკიანი, ცისკარიძე, მახათელი... ბევრი მათგანი სცენაზე არ მინახავს, მაგრამ ჩანაწერებს ვუყურებ ხოლმე...

— **ცეკვის გარდა რა გიყვარს?**

— ხატვა და ნამცხვრების ცხობა. როცა თავისუფალი დრო მაქვს, მეგობრები შევიკრიბებით ხოლმე. ხან ვჭორაობთ, ხან წიგნებს ვკითხულობთ, ხან ვმღერით, ხანაც ცეკვას ვასწავლი ჩემს დას და ამხანაგებს.

— **რაზე ოცნებობ?**

— ძალიან მინდა ცნობილი ბალერინა გამოვიდე. როცა თბილისში სასწავლებელს დავამთავრებ, ალბათ მოსკოვში წავალ და ბალეტის აკადემიაში ჩავაბარებ.

— **ბევრმა ქართველმა მოცეკვავემ დატოვა საქართველო. შენც ამას აპირებ?**

— თბილისში არ არსებობს ბალეტის აკადემია. ჩვენი სასწავლებლის დირექტორი თამაზ ვაშაკიძე ოცნებობს, აქაც დააარსოს მსგავსი სასწავლებელი. თუ ეს მოხდა, დიდი სიამოვნებით დავრჩები თბილისში. მე ჩემი ქალაქი ძალიან მიყვარს.

*ძალიან ბავშვურია... ოპერის თეატრიდან დაბრუნებული, თოჯინებით თამაშობს ხოლმე. როცა ცეკვავს, ხშირად მახსენდება ფილმი „აურზაური სალხინეთში“, რომელშიც პატარა ნინო ანანიაშვილის ცეკვაა აღბეჭდილი... ღმერთმა ქნას, თამუნამ და მისმა მეგობრებმაც ისე აალაპარაკონ მთელი მსოფლიო, როგორც ეს მათმა სათაყვანებელმა მოცეკვავემ მოახერხა...*

# თბილისელი (და არა მარტო თბილისელი)... კატები

ეზოში საშინელი კნავილით შემოვიდა... ერთი ციდა, ფუმფულა, ულამაზესმა არსებამ კუდი აპრიხა, ოჯახის წევრებს სათითაოდ მოგველაქუცა და დაჯდა... არც ფეხის დაბაკუნებამ გაქრა, არც ყვირილმა. იჯდა და საცოდავად იყურებოდა... იმდენად შეგვეცოდა, პური გამოვუტანეთ. დაყნოსა და მადიანად შეუდგა ჭამას... სასწრაფოდ მოვძებნეთ ყუთი, შიგ ნაჭრები ჩავუფინეთ. ისიც კოხტად მოკალათდა და მშვიდად დაიძინა. ასე გახდა ბასა ჩვენი ოჯახის წევრი.

მეორე დღეს სახლში შემოიძურწა... ვერ გავაგდეთ... მესამე დღეს სავარძელზე შესკუპდა, მეოთხე დღეს მუხლებზე ამოგვახოხდა და იძულებული გავხდით, ვეტერინარისთვის მიგვემართა... ცოფის საწინააღმდეგო ნემსიც პროტესტის გარეშე გაიკეთა, ვიტამინებიც მიირთვა და გულმოდგინედ დაიწყო „კიტიკეტის“ კვნეტა..

ვიღაცამ მითხრა, უნდა დაბანოო... წყალი გავათბე, შამპუნი მოვიმარჯვე, დავიჭირე და... ეს კი მრისხანედ გააპროტესტა. შამპუნით კარგად გაქაფული გამექცა და ძლივს მოვიტყუე კატაბალახას წვეთებით. რის ვაი-ვაგლახით გადავავლე წყალი. იჯდა გაბრაზებული, ზურგს მიჩვენებდა და ორი დღე არც „მელაპარაკებოდა“ და არც საჭმელს ჭამდა.

ისევ გავიქეცი ვეტერინართან — თავი დაანებე, თვითონ იბანს, კატაზე სუფთა ცხოველი არ არსებობსო, მითხრა.

თუ დავაგვიანეთ, ძაღლივით ეზოს კართან აიტუზება და გველოდება. ისეთი ჩხავილით გვხვდება, წამსვე ვხვდებით, რომ გაბრაზებულია და ჩხუბობს.

თუ ვინმეს რაიმე აგვტკივდება, მაშინვე მოგვვარდება და ცდილობს ან მოკალათდეს მტკივან ადგილზე, ან თათით მაინც შეგვეხოს, დაჯდება, ჩართავს თავის „გენერატორს“, კრუტუნებს, კრუტუნებს, და ნელ-ნელა გვამშვიდებს...

თეთრია, კრემისფერი ლაქებით დაჩითული... ჩემი მეგობრები შაყირობენ — ეკას ხაჭაპურის ფერი კატა ჰყავსო. სამი წელია ჩვენთან ცხოვრობს და „ოჯახის უფროსად“ მიაჩნია თავი. გასუქდა, გაიზარდა, რომ შეხედოთ, ვეფხვის ბოკვერი გეგონებათ.

მაინც რა შეუძლიათ კატებს? — არ მასვენებდა კითხვა და ამიტომ, როცა გავიგე, რუსთაველის მეტროს წინ „კატების კლუბი“ გაიხსნაო, მაშინვე მის ექიმ-ვეტერინარს — ქალბატონ ნინას მივაკითხე...

— კატებს ბევრი რამ შეუძლიათ, — აღფრთოვანება ვერ დამალა ქალბატონმა ნინამ, — თურმე ისინი ხედავენ იმას, რაც ადამიანის თვალით შეუმჩნეველია. კატები რომ დადებითი და უარყოფითი ენერგიით დამუხტულ ადგილებს არჩევენ სახლში, ცნობილი გახლავთ. იოლად პოულობენ პატრონის მტკივან ადგილებს, მოკალათდებიან და ტკივილს უმსუბუქებენ. იყო ასეთი შემთხვევა — პატარა გოგო ავად გახდა. ექიმებმა ვერაფერი გაუგეს. ერთ საღამოს კატა აიპარა გოგონას საწოლზე, ყელის და მკერდის არეზე გაერთხა და ვერაფრით ჩამოაგდეს იქიდან — ახლოს არავის იკარებდა, იფხაჭნებოდა... მთელი ღამე გაუთენეს მშობლებმა. დილით ფისო თავისი ნებით ძლივძლივობით ჩამოლასლასდა, კუთხეში მიეგდო და კრუსუნი დაიწყო. გოგონას იმ წუთიდან უკეთესობა დაეტყო. მალე საჭმელიც მოითხოვა, ფერიც მოუვიდა და გახალისდა. კატა კი ერთი კვირის განმავლობაში საცოდავად ეგდო კუთხეში და კრუსუნებდა. მერე, თანდათან, ისიც გამოკეთდა. ეს ფაქტი ვერავინ ახსნა....

— **ცნობილია, რომ ცხოველები სტიქიურ მოვლენებს წინასწარ გრძნობენ...**

— თბილისის მიწისძვრის დღეს ერთმა ქალბატონმა მოგვმართა — ჩემი კატა აცრილი მყავს, მაგრამ მაინც მგონია, გაცოფდა და ძალიან გვეშინიაო. სანახავად წავედით. ახლოს ვერ გავეკარეთ — მართლაც ცოფიანივით დაქროდა და უცნაურ მოძრაობებს აკეთებდა. დამაწყნარებელი წამალი დავუყარეთ — არც დაყნოსა... საღამოს ყველაფერი ნათელი გახდა — იძრა თუ არა მიწა, წამსვე მოცელილივით მიეგდო ერთ ადგილას და დამშვიდდაო, — გვიამბო შემდეგ პატრონმა.

— **ამბობენ, ერთადერთი ცხოველი, რომელიც ბიბლიაში არ არის ნახსენები, კატააო...**

— დანამდვილებით ვერ გეტყვით, მართლა ასეა თუ არა, მაგრამ... ერთმა მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურმა მითხრა, რომ თურმე კატის შესვლის შემდეგ ტაძარს კურთხევა არ სჭირდება, — იმდენად სუფთა და კეთილგანწყობილი ცხოველიაო... ძველ ეგვიპტეში ფარაონებს კატის კულტი ჰქონდათ — წმინდა ცხოველად ჰყავდათ გამოცხადებული.

— **კატები მადლიერებასაც თავისებურად გამოხატავენ...**

— თუ სითბო აჩვენა პატრონმა, საოცარი ერთგულება იციან. კალიებს და თაგვებს რომ დაიჭერენ, მასთან მიჰყავთ და ამაყობენ — აი, რა მაგარი ვარო. მეტისმეტად აყვარებენ თავს ოჯახის წევრებს...

— **ვიცი, კარგი სინოპტიკოსებიც არიან.**

— ამას დაკვირვება უნდა. თუ დილით სახის დაბანის შემდეგ მაშინვე ყურს მოიფხანენ, წვიმაა მოსალოდნელი, თუ არა — მზიანი დღე... თუ აფხორილი დადიან, ქარს უნდა ველოდოთ.



სხვათა შორის, კატები ძაღლებზე ნაკლებად არ გრძნობენ ოჯახში უცხო ადამიანის შემოსვლას, უბრალოდ, ყეფა არ იციან, თორემ ერთი ფეხის გაფაჩუნებაზეც კი ყურებს ცქვეტენ....

გამახსენდა... ერთხელ ჩემთან სტუმრები მოვიდნენ... ბასა არავის შეუმჩნევია — დაბორიალებდა თავისთვის. როცა ლაპარაკში გავერთეთ, საშინელი მსხვრევის ხმამ წამოგვაგდო სკამებიდან — უყურადღებობით გაღიზიანებული, კარადაზე ამძვრალა და იქიდან ლარნაკი თათებით გადმოუგდია...

როცა მშვიდად გრძნობს თავს, წევს თვალებმილულული, გაფუებული და კმაყოფილი... წვიმაში გარეთ ვერ გააგდებ, ბრაზდება, როცა წყლის წვეთები ხვდება... ხანდახან თუ მსუბუქი საგანი ნახა, ბურთივით აგორებს და გამოცდილ მეკარესავით ხტება აქეთ-იქით... გელაქუცება, გელაქუცება და მხოლოდ მაშინ ბრაზობს, თუ ძალიან შეაწუხე... ისე, ბასა იშვიათი ჯიშის არაბული მებრძოლი აღმოჩნდა, მაგრამ თაგვები დიდად არ მოსდის თვალში — ეტყობა, ძალიან გავათამამეთ...

ასე რომ, თუ ქუჩაში უპატრონო, უმწეო ფისოს დაინახავთ, არც ქვა ესროლოთ და არც წიხლი უთავაზოთ. დღევანდელ ყოფაში ისეთი ძნელი მოსაპოვებელია სიმშვიდე... დაფიქრდით... მათ შეუძლიათ ბევრი სიკეთე მოგიტანოთ...

***გვერდი მოამზადა ეკა მახარაშვილმა***



გამომცემლობა «ფავორიტი»
გთავაზობთ ეკოლოგიურად სუფთა, სასკოლო მელნით დაბეჭდილ რვეულებს, შეღავათიან ფასად
რვეულები შეგიძლიათ შეიძინოთ სავაჭრო ქსელში. ბითუმად შეძენის მსურველებმა მოგვმართეთ მისამართზე: ქიზიყის ქ. №20.
ტ: 26-10-13; 899 58-96-91

ჩვენ გვწერენ

# ქურდბაცაცები სამარშრუტო ტაქსებში!

მინდა თქვენი გაზეთის ფურცლებზე ვიხილო რაც შეიძლება მეტი წერილი მკითხველებისა. ამ გაუსაძლის ყოფაში ადამიანს იმდენი რამ აწუხებს, რომ უორმაგებს გასაჭირს და აღიზიანებს ყოფითი არანორმალური მოვლენები თუ ქმედებანი.

ვიცოდი, ჯიბის ქურდები თავისუფლად რომ „ატარებენ“ დროს მეტროში, ავტობუსებში, ტრამვაი-ტროლეიბუსებში, მაგრამ როგორ წარმოვიდგენდი სამარშრუტო ტაქსებში ქურდების „ბაირამობას“. ისიც ვერ წარმომედგინა, რომ შეთანხმებულ-შეკავშირებულნი ყოფილან მძღოლებთან. რა თქმა უნდა, ყველა მძღოლზე არ შეიძლება ამის თქმა.

ამ ცოტა ხნის წინ მეტრო „სარაჯიშვილთან“ ჩავჯექი №202 სამარშრუტო ტაქსიში, რომელიც მიდიოდა ვაკეში. ისედაც გავსებულ მანქანაში 3-4-ჯერ მაინც გამოიცვალა „მგზავრები“ და როცა ჩამოსვლა დავაპირე, ხელი ჩავიყავი გულის ჯიბეში ფულის ამოსაღებად, მაგრამ... ჩემი საბუთები და ცოტაოდენი ფული გამქრალიყო. მძღოლმა ვითომ შეიცხადა...

აი, ასე ემსახურებიან შეხმატკბილებულად მგზავრებს კანონთან მწყრალად მყოფი მძღოლები და მათი „პარტნიორი“ ქურდბაცაცები. თუ მე ვცდები იმ მანქანის მძღოლის წინაშე, ის მაინც დამნაშავეა. სალონში არსებულ ადგილებს მგზავრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს.

მე კი დავზარალდი — მომპარეს მეტროს ბილეთი, ომის ვეტერანის მოწმობა, 6-7 ლარი, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო.

***ვახტანგ ზოდელავა,***
***სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდი, შრომის ვეტერანთა კავშირის გლდანი-ნაძალადევის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგი***

# „ვინ მოერევა მაფიას“

## „რუსები „რიცარს“ ეძახდნენ და ქართველებმა გაიმეტეს...“



თბილისში ელიტარული სისხლიანი გარჩევები გრძელდება. თუმცა, წარსულში მომხდარი გახმაურებული მკვლელობებისგან განსხვავებით, საქართველოში, კახი ასათიანი პირველი ბიზნესმენია, ვინც მოკლეს. როგორც ჩანს, რუსეთში ბიზნესმენთა მკვლელობის სერიალმა ჩვენში გადმოინაცვლა.

წარსულში სპორტისა და ტურიზმის მინისტრისა და შემდგომ საავიაციო ბიზნესში ჩართული კახი ასათიანის მკვლელობის ირგვლივ არაერთი ვერსია ამოტივტივდა.

უცნაურია, რატომ არ დადიოდა დაცვით. როგორც ჩანს, ის სერიოზულ დარტყმას არავისგან ელოდა. თუმცა გარდაცვლილის შარვლის ჯიბიდან სამართალდამცველებმა არარეგისტრირებული რევოლვერი ამოიღეს, რომლის გამოყენებაც კახი ასათიანმა ვერ მოასწრო. მისი მეუღლე, ლუიზა ასათიანი პირად საუბარში გვიმხელს, რომ კახის ძალიან უყვარდა ეს იარაღი, მთელი ცხოვრება თან ატარებდა, როგორც განსაკუთრებული პიროვნების ნაჩუქარს. ამ პიროვნების სახელი და გვარი ასათიანის ოჯახმა არ გაგვიმხილა.

დღეს გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს. როგორც საგამოძიებო ჯგუფის პროცესუალური ხელმძღვანელი ელდარ თოფჩიევი აცხადებს, ამ ეტაპზე რომელიმე ვერსიის პრიორიტეტულად მიჩნევა შეუძლებელია. იგი არც იმას მალავს, რომ კახი ასათიანის მკვლელობას დღეს გაუხსნელ საქმედ მიიჩნევს.

არაოფიციალური ინფორმაციით, გამოძიების კვალი მაინც „აირზენას“ საქმიანობისკენ იხრება (კახი ასათიანი „აირზენას“ ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ). მართალია, ჩვენთან საუბრისას „აირზენას“ პრეზიდენტი თამაზ გაიაშვილი კომპანიაში არსებულ ვითარებაზე არაფერს გვეუბნება, მაგრამ სანდო წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, როგორც ჩანს, საჰაერო ბიზნესით მაფია კარგა ხანია სერიოზულად დაინტერესდა. სხვათა შორის, ითქვა ისიც, რომ აეროპორტი არის ის ადგილი, საიდანაც ნარკოტიკებისა და იარაღის მოძრაობა დიდი რაოდენობით ხდება. როგორც ამბობენ, საჰაერო ბიზნესს უშიშროება ბოლომდე ვერ აკონტროლებს. მაშინ, ერთი წლის წინ, თამაზ გაიაშვილის დისშვილის დავით ბახტაძის მკვლელობა (როგორც ამბობენ, იგი თამაზ გაიაშვილში შეეშალათ), სავარაუდოდ, იმავე საქმიანობას უკავშირდება. დავით ბახტაძე მანქანიდან გადმოსვლისას მოკლეს. ჩვენი ინფორმაციით, ბიძისგან განსხვავებით, იგი მაღალი აღნაგობის იყო, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მკვლელობის დროს ბნელოდა და სავარაუდოდ, გასროლა სარდაფის ჩასასვლელიდან მოხდა. ეს მკვლელობა დღემდე გაუხსნელია. თამაზ გაიაშვილს ჩვენთან საუბრისას ერთი ფრაზა წამოსცდა: „ჩემი დისშვილის მკვლელობაზე რაიმე რომ დადგენილიყო, დღეს ამ მკვლელობას ველარ გაბედავდნენო“.

ვესაუბრებით „აირზენას“ პრეზიდენტს **თამაზ გაიაშვილს.**

— **ბატონო თამაზ, ერთი წლის წინ თქვენი დისშვილი მოკლეს. ამბობენ, სინამდვილეში თქვენი მოკვლა უნდოდათ.**

— არ ვიცი... ამ ქვეყანაში გამორიცხული არაფერი არ არის.

— **როგორ ფიქრობთ, შესაძლოა ბატონი კახის მკვლელობა „აირზენას“ ბიზნესს უკავშირდებოდეს?**

— მე დღეს არაფრის თქმა არ შემიძლია.

— **ამბობენ, რომ კომპანიაში იყო დაპირისპირებები...**

— კახის საქმე არავისთვის არასდროს გაურჩევია. იგი უკონფლიქტო და ყველასთვის მიმტევებელი კაცი იყო.

— **მართალია, რომ ზოგიერთებს თქვენი ბიზნესის ხელში ჩაგდება სურთ?**

*(გაგრძელება იხ. გვ. 34)*

# ძველი ბანდები და საძმოები აღდგენილია

***ტ**რასეკაზე, საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებსა და დასავლეთთან ინტეგრაციაზე ლაპარაკით გართულ ჩინოსნებს კრიმინოდესტაბილიზაცია „შეუმჩნევლად“ შემოეპარა.*

*პანკისელი „ბოევიკები,“ ადამიანთა გატაცება, გახმაურებული მკვლელობები და სხვა, ხშირად განგებ პოლიტიზირებული ფაქტებიც, საზოგადოებისთვის მაინც „სხვისი ჭირი“ აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, არც პანიკა დანერგილა მასობრივად, თუმცა, ბოლო ხანს დაუცველობის შიში დღითი დღე მეტ ადამიანს ახსენებს თავს. ეს ნაცნობი გრძნობა უნებურად იმ დროს გვაგონებს, შებინდებისას დედაქალაქი რომ იცლებოდა, პერიფერიებში კი ღამე მანქანით გავლას პოლიციელებიც ვერ ბედავდნენ.*

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ქვეყანაში გახშირებული ყაჩაღობისა და ავტომანქანების გატაცების ზუსტი სტატისტიკა პოლიციასაც არ გააჩნია. მიზეზი მარტივია: მძღოლი, რომელიც მანქანის წართმევას გადაურჩა, „მცირე“ დანაკარგის გამო პოლიციაში ჩვენებებზე სირბილს და ზედმეტ ხარჯებს, გაჩუმებას ამჯობინებს. გაძარცული მგზავრი ან გატაცებული მანქანის იურიდიული მფლობელი არ არის დარწმუნებული, რომ პოლიცია დანაკარგს დაუბრუნებს. დაზარალებული ბედს ურიგდება ან გამოსავალს კვლავ დამნაშავეთა სამყაროში ეძებს. დამნაშავეთა სამყარო კი ციხიდან იმართება. გატაცებული მანქანების დაბრუნება-არდაბრუნების ბედი ციხეებიდან სატელეფონო დირექტივებით წყდება. ციხე რომ მართლაც აუღებელი ციხესიმაგრეა და იქ თითქმის ყველა ტიპის იარაღი ტრიალებს, ამას პარასკევს პატიმარი ძმების სასიკვდილოდ დაჭრაც ადასტურებს.

პოლიციისთვის ცნობილი ფაქტების ოფიციალური სტატისტიკა ასე გამოიყურება: 2002 წლის ათი თვის მანძილზე საქართველოში რეგისტრირებულია სულ 622 ყაჩაღური თავდასხმა. შსს-ს ექსპერტები ირწმუნებიან, რომ რეალური ციფრი 800-900-მდეა. დღემდე ყაჩაღობისთვის იძებნება 544 პირი. ალბათ რეალურად გაცილებით მეტია. პარლამენტში დასაკითხად მიწვეულმა მინისტრმა კი აღიარა, რომ „გასულ წლებთან შედარებით 1137 ერთეულით მეტი დანაშაული მოხდა“, თუმცა ამ ციფრს იგი კურიოზული კანონმდებლობისა და აღრიცხვიანობის მოწესრიგების შედეგად მიიჩნევს. ახლო წარსულში, როდესაც თარგამაძემ დედაქალაქში „სტაბილიზაცია“ დაამყარა და ეს მთლიანად ქვეყანაში სტაბილიზაციასთან გაიგივდა, ცხელი წერტილი სამეგრელო-გურიის მონაკვეთი იყო. იქიდან გატაცებული მანქანების რეალიზაცია კი აფხაზეთში (გალში) ხდებოდა. დღეს ეს ქსელიც და რეალიზაციის ბაზარიც საკმაოდ გაფართოვდა. ყაჩაღობებმა იმერეთშიც იმატა, ამ მხრივ კარები სამხრეთ საქართველოს (ე.წ. სამხრეთ ოსეთი) ბაზრობებზეც ღიაა.

ტრასებზე „მომუშავე“ ყაჩაღთა ჯგუფები გარკვეული მეთოდებით მოქმედებენ. სამეგრელოში, ხობის ტერიტორიასა და სამტრედიის ტრასაზე გაძარცული სხვადასხვა მიკროავტობუსის მგზავრები იხსენებენ, რომ მანქანაში ორი პიროვნება საეჭვოდ იქცეოდა, წარამარა რეკავდა და ვიღაცას გაურკვევლად, რებუსებით ელაპარაკებოდა. როგორც გაირკვა, ორივე შემთხვევაში საეჭვო პირები სამტრედიაში ჩამოვიდნენ. აღნიშნულ ადგილზე კი მანქანებს ჩასაფრებული ბანდიტები აჩერებენ და პირწმინდად ძარცვავენ მგზავრებს. პროცესებმა უკვე დედაქალაქში გადმოინაცვლა. თბილისის ცენტრალურ უბნებში ბოროტმოქმედები მანქანებს დღისით-მზისით იტაცებენ. ისინი გემოვნებით გამოირჩევიან და განსაკუთრებით პოლიტიკოსების მანქანებს ერჩიან, თუმცა არც რიგითი მოქალაქეების ძვირად ღირებულ მანქანებზე ამბობენ უარს. ამ „მოარსენო“ ელემენტებმა დილით, სამსახურში მიმავალი ერთ-ერთი ცნობილი ადვოკატი საკუთარი მანქანიდან ჩამოაგდეს და პროფესიაც თამამად შეუგინეს. ფაქტია, რომ მათ პასუხისმგებლობის შიში ნამდვილად არა აქვთ.

მაღალი რანგის ჩინოსანი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, ირწმუნება, რომ ძველი ბანდები და საძმოები აღდგენილია და მათ „ვიღაცები“ მფარველობენ. მისი აზრით, პოლიცია დამნაშავეებთან თანამშრომლობს. კობა ნარჩემაშვილი კი იფიცება, რომ „მისი“ პოლიციელები „შავ სამყაროსთან“ გარიგებაზე არ წავლენ. ეტყობა, არიან „სხვისი“ პოლიციელებიც.

აშკარაა, რომ „ვიღაც“ ნამდვილად „წყალს ამღვრევს“, როგორც ყოველთვის, რამდენიმე სავარაუდო მიზნით. ერთ-ერთი მიზანია ის, რომ ნატოში შესვლის ოცნება ოცნებად დარჩეს ან იმ უჩინარმა „ვიღაცამ“ საზოგადოება ფსიქოლოგიური ტერორის გზით სათავისოდ მართოს. არ არის გამორიცხული, ეს ორი მიზანი თუ მიზეზი ერთმანეთს შეუთავსდეს.

*(გაგრძელება იხ. გვ. 8)*




CMYK

# დამიბრუნეთ დაკარგული შვილი...

## პატარა გიორგის სამშობლო, დედაენა და მამა დაუკარგეს

***ცოლმა ქმარს ბავშვი მოსტაცა. საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და დიპლომატიური კორპუსის ზოგიერთი თანამშრომლის დახმარებით საზღვარზე მალულად გადაიყვანა და გადამალა. საოცარია, მაგრამ ფაქტი — თუ სასაზღვრო-საკონტროლო გამშვები პუნქტის კომპიუტერს დავუჯერებთ, მცირეწლოვან ბავშვს საზღვარი არ გადაულახავს. არადა, საზღვარგარეთ ძაღლი რომ მიჰყავთ, კომპიუტერში მასაც აღრიცხავენ, არათუ ცოცხალ ადამიანს. გამოდის, არსებობს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ადამიანი საქართველოს სახელმწიფო საზღვარს ყველაზე კონტროლირებად მონაკვეთებზეც კი უპრობლემოდ გადაკვეთს და თან რასაც ან ვისაც უნდა, გადაიტან-გადაიყვანს. მაგ. ბავშვებს, ისტორიული და მხატვრული ღირებულების ნივთებს, სახელმწიფო მნიშვნელობის რელიკვიებს, სიწმინდეებს, და ა. შ.***

ყოველწლიურად საქართველოდან საზღვარგარეთ ასეულობით ბავშვი მიემგზავრება. ზოგი უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად მიდის, ზოგიერთი კი საზღვარგარეთ მიმავალ მშობლებს თან მიჰყავთ. სწორედ ერთი ასეთი შემთხვევა გვინდა გიამბოთ:

გიორგი თ. (გვარებს შეგნებულად არ ვასახელებთ) ტელეკომპანია „ქართულ ტელეფილმში" რეჟისორ-ოპერატორად მრავალი წელია, რაც მუშაობს. სწორედ ტელევიზიაში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე მაია გ. ახალგაზრდებმა 1989 წელს იქორწინეს. ერთი წლის შემდეგ ვაჟიშვილი შეეძინათ, რომელსაც დედამ მეუღლის პატივსაცემად გიორგი დაარქვა. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მეუღლეებს შორის 1998 წლიდან შავმა კატამ გაირბინა. გიორგის ოჯახის შენახვა გაუჭირდა — იმდენს ვერ შოულობდა, რამდენსაც მისგან მეუღლე ითხოვდა. ნელ-ნელა კამათი კონფლიქტში გადაიზარდა. თუმცა სჯობს **გიორგი თ**-ს მოვუსმინოთ: „1994 წელს ჩემი მეუღლის მშობლები სამუშაოდ საბერძნეთში გაემგზავრნენ. მოგვიანებით ჩემმა მეუღლემ ბავშვთან ერთად მშობლების მოსანახულებლად საბერძნეთში წასვლა გადაწყვიტა. ვიფიქრე, ცოტას დაისვენებენ, თვალს წყალს დაალევინებენ და ჩამოვლენ-მეთქი და უარი არ მითქვამს. მალე დედა-შვილი უკან დაბრუნდა, მაგრამ საბერძნეთში ყოფნის შემდეგ მაიამ იქ საცხოვრებლად წასვლა აიკვიატა. მეუბნებოდა, ამ დაქცეულ და გაჭირვებულ ქვეყანაში რა ჯანდაბა გვინდა? სჯობს საბერძნეთში წავიდეთ საცხოვრებლად, ბავშვს იქ უკეთესად გავზრდითო, მე კი საქართველოს გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომედგინა. ამდენ ჩხუბსა და კამათში მაიას გული გაუცივდა და 1998 წლიდან ერთმანეთს არაოფიციალურად დავშორდით. იმავე წელს საბერძნეთში ბავშვთან ერთად გაემგზავრა ისე, რომ ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის ოფიციალური ნებართვა არ მიმიცია. საინტერესოა, როგორ მოახერხა ჩემმა ყოფილმა მეუღლემ მამის ნებართვის გარეშე ბავშვის საბერძნეთში წაყვანა (კანონის მიხედვით, როცა ერთ მეუღლეს შვილი საზღვარგარეთ მიჰყავს, აუცილებელია მეორე მეუღლის ოფიციალური თანხმობა. უამისოდ ბავშვი ვიზას ვერ მიიღებს — ზ. ჩ.)?! ერთი სიტყვით, პატარა გიორგი მეუღლემ საბერძნეთში წაიყვანა და იქ მშობლებთან დატოვა, თვითონ კი თბილისში ჩამობრძანდა და ოფიციალურად გაყრისათვის საბუთების მოგროვება დაიწყო". ახლა დროებით გიორგი თ-ს მონოლოგს ვწყვეტთ და დიდუბის რაიონის პროკურატურის უფროსი გამომძიებლის, ე. კაიშაურის სისხლის სამართლის საქმის აღუძვრელობის შესახებ დადგენილებას გაგაცნობთ მცირეოდენი შემოკლებით: „...1998 წლის სექტემბერში მაია გ-მ განცხადებით მიმართა დიდუბის რაიონის სასამართლოს ქორწინების გასაბათილებლად. ამ პერიოდში მისი მეუღლე გიორგი თბილისში არ იმყოფებოდა და სასამართლო პროცესზე ვერ გამოცხადდა. მაია გ-მ შექმნა ყალბი დოკუმენტი. კერძოდ, გიორგი თ-ს სახელით დაწერა განცხადება — თანხმობა იმის შესახებ, რომ მის დაუსწრებლად მოეხდინათ განქორწინება, რომელიც დაამოწმებინა ძიებით დაუდგენელ პირს. სასამართლომ განქორწინება ერთი თვით გადადო. ხოლო ერთი თვის შემდეგ, კერძოდ, ოქტომბერში მაია გ-მ კვლავ შექმნა ყალბი დოკუმენტი. დაწერა განცხადება მეუღლის სახელით და კვლავ დაამოწმებინა ბეჭდით, რომელიც შეიტანა სასამართლოში და ყალბი განცხადება გახდა საფუძველი ქორწინების გაბათილებისა. მაია გ-მ აღიარა, რომ მან შექმნა და გამოიყენა ყალბი დოკუმენტები, მაგრამ განმარტა, რომ იგი წინასწარ იყო შეთანხმებული მეუღლესთან და ამიტომ დაწერა მისი სახელით განცხადება... მაია გ-ს მიერ ყალბი დოკუმენტების გაკეთება-გამოყენება მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე და 214-ე მუხლებს, მაგრამ მივიღე მხედველობაში ის გარემოება, რომ მეუღლემ აპატია ჩადენილი დანაშაული, დაჰპირდა მას შვილის საბერძნეთიდან თბილისში ჩამოყვანას და საერთოდ, რადგან მის მიერ ჩადენილი დანაშაული არ წარმოადგენს საზოგადოებისათვის დიდ საშიშროებას, დავადგინე — არ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე მის წინააღმდეგ". ამ დადგენილებაში დაკვირვებული თვალი რამდენიმე კურიოზულ ფაქტს იოლად აღმოაჩენს, მაგრამ სამართალდამცველთა მუშაობა დღეს არ წარმოადგენს ჩვენი სტატიის თემას. კვლავ **გიორგი თ**-ს მოვუსმინოთ: „ჩემმა ყოფილმა მეუღლემ პირობა არ შეასრულა და შვილი საბერძნეთში გადამიმალა. მეხუთე წელია, რაც ჩემი სისხლი და ხორცი არ მინახავს. ბოლოდროინდელი ფოტოსურათიც კი არ მაქვს... მივმართე საქართველოს საკონსულო დეპარტამენტის ხელმძღვანელს ზაურ გამსახურდიას. იგი და მისი მოადგილეები ცინიკურად მპასუხობდნენ, საკონსულო პასუხს არ აგებს ბავშვის საზღვარგარეთ თუნდაც უკანონო გაყვანაზე და საერთოდ, ძნელია უცხო ქვეყანაში ადამიანის მოძებნა და ჩამოყვანაო. თურმე საკონსულო დეპარტამენტის მოვალეობა მხოლოდ ის ყოფილა, საზღვარგარეთ გემი დააკავოს ან დაპატიმრებული ტვირთი გამოიხსნას. მოგვიანებით საქმეში ჩავრთე პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი და სახალხო დამცველი. მათი მეშვეობით ჩვენი დიპლომატებისა და სხვა სახელმწიფო სამსახურების მიერ დანაშაულის ხელშეწყობისა და დაფარვის ფაქტები გამოვლინდა. როგორც გითხარით, დედამ ბავშვი უკანონოდ წაიყვანა საბერძნეთში. საინტერესოა, საბერძნეთში გასამგზავრებელი ვიზა ვინ მისცა ბავშვს? მეორე — საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სასაზღვრო ძალების შტაბიდან ასეთი ოფიციალური ცნობა მივიღეთ: რომ მაია გ-მ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთა ორჯერ — 1998-სა და ერთხელ — 1999 წელს. რაც შეეხება



გიორგი თ. 3 წლის გიორგისთან ერთად

მცირეწლოვან ბავშვს, სასაზღვრო საკონტროლო-გამშვები პუნქტის, ასევე საქართველოს სასაზღვრო ძალების კომპიუტერში იგი აღრიცხული არ არის. ამ ცნობას ხელს აწერს სასაზღვრო ძალების შტაბის საერთაშორისო მიმოსვლის გზებზე სასაზღვრო კონტროლის განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ბედოშვილი. გამოდის, ჩემს შვილს არ დაუტოვებია საქართველოს ტერიტორია. არადა ვიცი, რომ ჩემი მეუღლე ათენში თბილისის აეროპორტიდან გაფრინდა ბავშვთან ერთად. აშკარაა, ჩემს მეუღლეს ასწავლეს, როგორ და რა ხერხებით გაეყვანა ბავშვი საზღვარგარეთ ისე, რომ ბავშვი საზღვარზე არ დაეფიქსირებინათ. 1999 წლის 14 ივნისს, საქართველოს საელჩომ ათენში ე. წ. ვერბალური ნოტით (№7/028-99) მიმართა საბერძნეთის საკონსულოს საქართველოში, რათა საკონსულოს მიეცა მაია გ-თვის (უკვე მეორედ) საბერძნეთში წასასვლელი ვიზა უბავშვოდ, არადა ბავშვი უკვე საბერძნეთში იყო და ეს კარგად იცოდნენ, როგორც საბერძნეთში საქართველოს საელჩოსა და გენერალური საკონსულოს წარმომადგენლებმა, ასევე ბერძენმა დიპლომატებმა საქართველოში, რადგან სწორედ მათ გასცეს 1998 წელს ბავშვზე საბერძნეთის ვიზა. საინტერესოა, როცა ჩემი მეუღლე საბერძნეთიდან უბავშვოდ დაბრუნდა, რატომ არ ჰკითხეს ან მესაზღვრეებმა, ან მებაჟეებმა, ბავშვი რა უყავითო?!"

კომენტარისათვის ჩვენ საქართველოს სასაზღვრო ძალების შტაბს ვესტუმრეთ. სასაზღვრო ძალების ლეიტენანტი **შალვა ლონდარიძე**: „შესაძლოა, ბავშვმა ფარულად მართლაც გადალახა სახელმწიფო საზღვარი. არსებობს საზღვრის მონაკვეთები, რომლებსაც ვერ ვაკონტროლებთ. ბავშვი დედას შეეძლო ცხინვალის რეგიონის გავლითაც გაეყვანა უცხო ქვეყანაში, თუმცა ისიც დასაშვებია, რომელიღაც მესაზღვრემ საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე თვალი დახუჭა..." საუბარში სასაზღვრო ძალების შტაბის საერთაშორისო მიმოსვლის გზებზე სასაზღვრო კონტროლის განყოფილების მაიორი **ალეკო ქობელაშვილი** ჩაგვერთო: „შეიძლება ბავშვი კომპიუტერში იმიტომ ვერ შევიდა, რომ რუსებმა ძველი, უვარგისი კომპიუტერული ტექნიკა დაგვიტოვეს და იმ დროს ყველა წამსვლელის აღრიცხვას ვერ ვახერხებდით. მხოლოდ 2000 წლისთვის მოვახერხეთ სასაზღვრო-საკონტროლო გამშვები პუნქტების კომპიუტერიზაცია.

— **დავუშვათ ასეც იყო, მაშ, როგორ მოხერხდა, რომ თქვენივე განყოფილების №11/4-460 წერილით დეტალურად არის დაფიქსირებული ქალბატონ მაია გ-ს მოგზაურობა თბილისიდან ათენში 1998 წლიდან 1999 წლამდე?**




გიორგის მამა საბერძნეთის საელჩოსთან

— ხომ გითხარით, მაშინ არასრულყოფილი კომპიუტერული სისტემა გვქონდა და ამიტომაც არ ჩაიწერა მცირეწლოვანი ბავშვის მიერ საზღვრის გადაკვეთის ფაქტი. იმავე წერილში იმიტომაც აღვნიშნეთ — „რაც შეეხება ბავშვს, იგი კომპიუტერულ ქსელში არ აღირიცხება".

— **საბერძნეთში რატომღა არ დააფიქსირეს დედასთან ერთად ბავშვის ჩასვლა?**

— ბერძნებთან შედარებით ჩვენ ანგელოზები ვართ(!). ვიღაცამ შეიძლება მართლაც იმამძაღლა ჩვენთანაც და საბერძნეთშიც. სხვათა შორის, ყველა მესაზღვრე, რომლებიც არაკეთილსინდისიერ საქციელში ვამხილეთ, გავათავისუფლეთ დაკავებული თანამდებობიდან...

საქართველოს სასაზღვრო ძალების შტაბიდან წამოსულებმა საგარეო საქმეთა სამინისტროში, კერძოდ კი საქართველოს საკონსულო დეპარტამენტში შევიარეთ. დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე **ნუკრი გოგიტიძე**: — ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ბავშვის საქართველოში დასაბრუნებლად, მაგრამ ჯერჯერობით ეს საკითხი ვერ გადავჭერით. 1999 წელს, როდესაც საქართველოს საელჩომ საბერძნეთში ვერბალური ნოტით მიმართა საბერძნეთის საკონსულოს თბილისში, მოქალაქე მაია გ-თვის უბავშვოდ ვიზის გაცემაზე, ბავშვი უკვე საბერძნეთში იყო. სწორედ ეს არის საჩოთირო მომენტი. საქართველოს ელჩმა საბერძნეთში ბატონმა საშა ჩიკვაიძემ, ვის სთხოვა, რატომ სთხოვა, ეს მასთან არის გასარკვევი.

— **საბერძნეთის ხელისუფლებას მცირეწლოვანი გიორგისათვის ვიზა 2005 წლამდე გაუგრძელებია, არადა კანონით ვიზის გაგრძელება საბერძნეთის საკონსულოს თბილისში მას შემდეგ შეუძლია, როცა მოქალაქე თბილისში ჩამოვა. რატომ დაირღვა ეს პროცედურა?**

> „ვაპირებ სარჩელის აღძვრას სასამართლოში ჩვენი დიპლომატების, კერძოდ, საბერძნეთში საქართველოს ელჩისა და გენერალური კონსულის, ასევე საქართველოს საკონსულო დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და სასაზღვრო ძალების თანამშრომლების წინააღმდეგ და მოვითხოვ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. ამ მაღალჩინოსნებმა ბერძენი დიპლომატების ხელშეწყობით უკანონოდ, ფარულად გადააფრინეს ბავშვი ათენში და სამშობლო და მამა დაუკარგეს."

— ეგ კითხვა საბერძნეთის საელჩოს და საკონსულოს დაუსვით. ისე, ჩვენ საკონსულოს უნდა ემუშავა ბავშვის საქართველოში დასაბრუნებლად. თუმცა შეიძლება ჩვენს საკონსულოს საბერძნეთში არც სცოდნოდა, რომ ბავშვი იქ იყო(?!).

— **მაგრამ დედას პასპორტში ხომ ჰქონდა დაფიქსირებული, რომ იგი 1998 წელს ბავშვთან ერთად გაემგზავრა საბერძნეთში?**

— ჩვენი რა ბრალია, ჩვენ ხომ არ ვაძლევთ ვიზას საბერძნეთში გასამგზავრებლად. მიაკითხეთ საბერძნეთის საელჩოს...

სანამ საბერძნეთის საელჩოს მივაკითხავდით, ერთი მეტად საინტერესო დეტალი შევიტყვეთ. გიორგი თ-მ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა „მშობლის უფლებების განხორციელების ხელშეშლის აღკვეთისა და მცირეწლოვანი ბავშვის საქართველოში დაბრუნების შესახებ". სასამართლომ მამის სარჩელი დააკმაყოფილა და დაადგინა: „დედას აღეკვეთა მამის მიერ მშობლის უფლებების განხორციელების ხელშეშლა და მიეცეს შვილთან ურთიერთობის საშუალება" (სტილი დაცულია), ამასთან, სასამართლოს დადგენილებით არასრულწლოვანი გიორგი უნდა დააბრუნონ საქართველოში. სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ საქმეში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ჩაერია. საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი **გელა ბადრიაშვილი**: „ჩვენსა და საბერძნეთს შორის არსებობს ხელშეკრულება: სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის საკანონმდებლო თანამშრომლობის შესახებ, ე.ი. თუ არსებობს რომელიმე ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა ორივე მხარისათვის. ჩვენ გადავთარგმნეთ სასამართლოს გადაწყვეტილება და გავუგზავნეთ სხვა დოკუმენტებთან ერთად საბერძნეთის იუსტიციის სამინისტროს, რათა მან ხელი შეუწყოს ბავშვის საქართველოში დაბრუნების პროცედურის დაჩქარებას. დაახლოებით ექვსი ასეთი წერილი მივწერეთ, მაგრამ საბერძნეთის იუსტიციის სამინისტრომ პასუხის ღირსადაც არ ჩაგვთვალა."

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული **ცირა თელოიანი**: „იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო დეპარტამენტმა საბერძნეთის იუსტიციის სამინისტროდან მიიღო ფაქსიმილე, რომლითაც ჩვენთვისაც და იუსტიციის სამინისტროსთვის ცნობილი გახდა, რომ ბავშვის გატაცების თაობაზე ჰააგის კონვენციის მიხედვით იხილება საქმე საბერძნეთის სასამართლოში. პატარა გიორგი საქართველოს მოქალაქეა. საქართველოს სასამართლომ იმსჯელა ბავშვის საბერძნეთში უკანონო გაყვანასა და არა გატაცებაზე და მიიღო კიდეც შესაბამისი გადაწყვეტილება. დარჩა მხოლოდ კეთილი ნება შესაბამისი უწყებების მხრიდან, რათა გიორგი დაბრუნდეს საქართველოში და მის აღზრდაში მამამაც მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო საბერძნეთის მხარე საქმეს აჯანჯლებს. ბავშვი მოწყვეტილია საკუთარ ოჯახს, სამშობლოს, ენას და იზრდება იქაური წესით."

**გიორგი თ.**: „წინააღმდეგი არ ვარ, ბავშვი დედასთან იზრდებოდეს, თუნდაც საბერძნეთში, მაგრამ წელიწადში ერთხელ ხომ უნდა მქონდეს საკუთარი ბავშვის ნახვის საშუალება. მისი მგზავრობის ხარჯებს მე ვკისრულობ. დიდ პატივს ვცემ ბერძენ ერთმორწმუნე ერს, მაგრამ მინდა ჩემი შვილი ქართველად გავზარდო. ამ რამდენიმე წლის წინ, როცა ორიოდე წუთით ტელეფონით ველაპარაკე ბავშვს, ქართულად მეტყველება უჭირდა. ყველაფერს გავაკეთებ, რათა იგი საქართველოში დავაბრუნო. ვაპირებ სარჩელის აღძვრას სასამართლოში ჩვენი დიპლომატების, კერძოდ, საბერძნეთში საქართველოს ელჩისა და გენერალური კონსულის, ასევე საქართველოს საკონსულო დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და სასაზღვრო ძალების თანამშრომლების წინააღმდეგ და მოვითხოვ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. ამ მაღალჩინოსნებმა ბერძენი დიპლომატების ხელშეწყობით უკანონოდ, ფარულად გადააფრინეს ბავშვი ათენში და სამშობლო და მამა დაუკარგეს."

ბატონი **ნუკრი გოგიტიძის** რეკომენდაციით, თბილისში საბერძნეთის საკონსულოში მივედი კომენტარისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ნუკრი გოგიტიძეს კონსულის მდივანმა ჟურნალისტის მიღებაზე თანხმობა განუცხადა, საკონსულოში არ შემიშვეს. მდივანთან, ქალბატონ ელენესთან (გვარი უცნობია) მხოლოდ სატელეფონო საუბარი მოვახერხე.

— რატომ მეუბნებით უარს შეხვედრაზე?

— ჩვენ აქაური არქივი გადავქექეთ და თქვენთვის საინტერესო პიროვნებებზე — არც დედასა და არც შვილზე საკონსულოს ვიზა არ აქვს გაცემული(?!).

— მე გაჩვენებთ საბუთებს, მათ შორის ელჩის მიერ დაწერილ დოკუმენტს, სადაც დასტურდება საკონსულოს მიერ ვიზის გაცემის ფაქტი.

— მე არაფერი ვიცი.

— შემახვედრეთ კონსულს, სულ ხუთი წუთით მოვაცდენ.

— კონსული დაკავებულია და ვერ მიგიღებთ.

როდესაც საკონსულოს მდივანთან ტელეფონზე ვსაუბრობდი, გარეთ ვიზის მომლოდინე ხალხი იცდიდა. მოულოდნელად ჩოჩქოლი ატყდა. გიორგი თ. მოსულიყო თავის მეგობრებთან ერთად, ხელთ ტრანსპარანტი ჰქონდა წარწერით — „დამიბრუნეთ შვილი!". სწორედ ამ მოწოდებით დავამთავრებ სტატიას. ბატონებო (ვისაც ხელეწიფება), დაუბრუნეთ მამას შვილი, რათა მან საქართველოს ღირსეული მოქალაქე აღზარდოს.

*P.S. ამ დღეებში შემთხვევით ხელთ ჩამივარდა საბერძნეთში საქართველოს საელჩოს თანამშრომლების სია. იქნებ დამთხვევაც იყოს, მაგრამ საელჩოს რეფერენტი პატარა გიორგის დედის მოგვარე აღმოჩნდა. არა, ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ვერსიის დონეზე ხომ შეიძლება ვიფიქროთ...*

***ზვიად ჩაკვეტაძე***

Rოგორც ჩანს, საპარლამენტო ოპოზიციას სიფრთხილის გრძნობა აშკარად დაუჩლუნგდა. ვერ ამჩნევს, რომ ბოლო დროს ბრძოლას კანცელარია აშკარად უგებს. გასულ კვირას პრეზიდენტობის ექსკანდიდატმა ჯუმბერ პატიაშვილმა სცადა ოპოზიციის შეკვრა — ხელისუფლება რევანშისთვის ემზადება და გავერთიანდეთო. რას ფიქრობენ პოლიტიკოსები ქვეყანასა და უმაღლეს სახელისუფლებო ორგანოებში შექმნილ დაპირისპირებასა და განუკითხაობაზე? ვესაუბრებით „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერს **დავით გამყრელიძეს,** რომელიც ერთ დროს პრეზიდენტის მხარდამჭერი გახლდათ, მერე ზომიერი ოპოზიციონერი, შემდეგ კი ხელისუფლების მწვავე ოპონენტი გახდა.

**— ბატონო დავით, თქვენ ბიზნესსაქმიანობის დასაწყისშივე მოგეცათ საშუალება მტკიცედ მოგეკიდებინათ ფეხი. მაშინ ყოველივე პრეზიდენტის ვაჟთან მეგობრობით ახსნეს.**

— ჯერ კიდევ 1989 წლიდან ვფიქრობდი სადაზღვევო ბიზნესის განვითარებაზე. როდესაც ბიზნესს მოვკიდე ხელი, ედუარდ შევარდნაძე საერთოდ არ იმყოფებოდა საქართველოში, ეს იყო 1990 წელს. მართალია, მის ვაჟს პაატა შევარდნაძეს კარგად ვიცნობდი, მაგრამ ჩემი საქმიანობის დასაწყისისთვის იგი საქართველოში აღარ ცხოვრობდა. მასთან არასოდეს მქონია ბიზნესურთიერთობებზე ლაპარაკი და არც რაიმე შეღავათი გაუწევია პრეზიდენტის ოჯახს. საქმიანობისას სულ ორჯერ მქონდა შევარდნაძესთან შეხვედრა და ისიც



# ვინ წააქეზა ცისკარიშვილი?

უცხოელებთან ვიზიტს უკავშირდებოდა. სანამ აქტიურ პოლიტიკაში ჩავერთვებოდი, უმკაცრესი რეპრესიების გადატანა მომიხდა სახელმწიფო, ძალოვანი და მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან. არ მომკლებია არც კონტროლის პალატა, არც პროკურატურა, არც მე-6 განყოფილება, არც საგადასახადო და ყველა ეს სტრუქტურა ედუარდ შევარდნაძის დავალებით შემოდიოდა ჩვენთან. სანამ ბიზნესში ვიყავი, არასოდეს გამიკვლევია გზა ქრთამით და მაღალი თანამდებობის პირების წილში ჩართვით.

**— ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ, ამბობენ, რომ თქვენს კომპანიაზე ზეწოლა განსაკუთრებით გაიზარდა.**

— ოპოზიციონერობა დინების საწინააღმდეგოდ ცურვას ნიშნავდა, იმდენად სახიფათო იყო. ეს ძალზე მალე აისახა ჩემს საქმიანობაზეც. ეს იყო უწესო თამაში, როცა კონკურენტი პოლიტიკით კი არ გიპირისპირდება, არამედ ძალისმიერი მეთოდით. ცხვირს ყოფს შენს პირად ცხოვრებაში, შენს ოჯახში, ბიზნესში და ძალმომრეობით ცდილობს შენს მოთვინიერებას, გონზე მოყვანას. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. ჩემი ოპონენტების გასაგონად ვამბობ, ის პიროვნება არ ვარ, რომლის მოთვინიერება ამ მეთოდით შეიძლება. სხვადასხვა უწყების დიდჩინოსნები, რომლებიც დაბრკოლებებს მიქმნიან თბილისსა და რაიონებში, დაშინებით ცდილობენ თავიანთი გავლენის სფეროში მოგვაქციონ მე და ჩემი მეგობრები, ტყუილად კარგავენ დროს, წარმატებას მაინც ვერ მიაღწევენ. რაც დღეს „ალდაგის“ გარშემო ხდება, უშუალოდ უკავშირდება პრეზიდენტის წინააღმდეგ დემარშში ჩემს მონაწილეობას.

დღეს უკვე აშკარაა, რომ მიმდინარეობს რეიტინგის მქონე ოპოზიციური პარტიების დისკრედიტაცია, მათი მიზანმიმართული შევიწროება და დაუძლურება, რათა ურეიტინგო მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა შეინარჩუნონ სავარძლები. ამ მიზანს ემსახურებოდა პარლამენტის სხდომების ტელეტრანსლაციის შეწყვეტის მოთხოვნა და სახელმწიფო მინისტრის დემარში, რომელიც არა მგონია, პრეზიდენტთან შეთანხმებული არ ყოფილიყო. ხელისუფლების აგრესიის ფონზე ოპოზიციური ძალები იძულებულები ხდებიან, ნებისმიერი საშუალებით დაიცვან თავი.

**— თუ ჯუმბერ პატიაშვილის ინფორმაცია დადასტურდა, უშიშროების ორგანოებისგან ოპოზიციის გაკონტროლებისა და მოსმენების შესახებ, ოპოზიციურ პარტიებს ახალი საშიშროება გელით.**

— ზეპირი, დაუზუსტებელი ინფორმაციით, უშიშროების სამინისტროსა და სპეცსამსახურებში აქვთ ვერსია, თითქოს „ახალი მემარჯვენეები“ რუსეთის სპეცსამსახურებისთვის ვმუშაობთ და, აქედან გამომდინარე, უნდა დაიწყოს აქტიური ღონისძიებები ჩვენს წინააღმდეგ, კერძოდ, ჩვენი პარტიის წევრების ოპერატიული დამუშავება. ყველაფერი ეს ალბათ, იმიტომ კეთდება, რათა სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ პრეზიდენტს და მისგან შესაბამისი განკარგულებები მიიღონ. ვიმედოვნებ, პრეზიდენტი არ უგულებელყოფს კონსტიტუციას და ოპოზიციურ ძალებს შანტაჟით, პროვოკაციებითა და რეპრესიებით არ გაუმართავს ბრძოლას.

**— მაგრამ ცხადია, პარლამენტიც აღარ ჰგავს სერიოზულ სახელმწიფო დაწესებულებას. ე.ი. გამოდის, რომ კანცელარია ომს (რომელზეც მიუთითეთ) იგებს.**

— პარლამენტში შექმნილი ქაოსი კანცელარიიდან იმართება. იგი ცდილობს დაასუსტოს საკანონმდებლო ორგანო და საბოლოოდ გაუტეხოს სახელი. „მოქკავშირის“ დღევანდელი ხელმძღვანელობა იმდენად ხისტი და უხეშია, იმასაც არ ცდილობს, თუნდაც ფორმალურად მაინც შენიღბოს თავისი ქმედებები დემოკრატიული ატრიბუტიკით.

**— ამ ვითარებაში ოპოზიციონერები ერთად დგომის ნაცვლად, ერთმანეთის სახის „გამშვენიერებით“ არიან გართულნი.**

— სწორად მოიქცა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელობა, როცა კრიმინალური დანაშაულის ჩადენის შემდგომ პეტრე ცისკარიშვილი პარტიიდან გარიცხა. ეს მაძლევს საფუძველს, რათა გავაგრძელო თანამშრომლობა ამ პარტიასთან და სხვა ოპოზიციურ ძალებთან. ხსნა მხოლოდ ოპოზიციური ძალების თანამშრომლობაშია. ეს არის ამ ხელისუფლებისაგან გათავისუფლების ერთადერთი შანსი.

ვფიქრობ, პროკურატურამ უნდა გამოიკვლიოს, ვინ წააქეზა პეტრე ცისკარიშვილი ამ დანაშაულის ჩადენისკენ, უნდა გაირკვეს, ვინ აიმედებდა მას, საგანელიძეზე თუ შურს იძიებ, პასუხს არავინ მოგთხოვსო. ეს იყო პროვოკაცია „ნაციონალური მოძრაობის“ და, საერთოდ, ოპოზიციური ერთობის წინააღმდეგ.

**— იქნებ დააკონკრეტოთ, ვინ წააქეზა ცისკარიშვილი?**

> ...უნდა გაირკვეს, ვინ აიმედებდა მას, საგანელიძეზე თუ შურს იძიებ, პასუხს არავინ მოგთხოვსო. მაეჭვებს ის ხალხი, რომლებიც ამ ამბის შემდეგ დასტრიალებდნენ პეტრე ცისკარიშვილს... ამ ხალხს კავშირი აქვს ხელისუფლებასა და ხელისუფლების დიდჩინოსნებთან.

— არ მინდა დაუზუსტებელი ინფორმაცია გავახმაურო, მაგრამ მაეჭვებს ის ხალხი, რომლებიც ამ ამბის შემდეგ დასტრიალებდნენ პეტრე ცისკარიშვილს და მერეც აქტიურობდნენ მოლაპარაკებების დროს. ამ ხალხს კავშირი აქვს ხელისუფლებასა და ხელისუფლების დიდჩინოსნებთან. ვაფრთხილებ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს, სახელმწიფო მინისტრს და პრეზიდენტს — თავი დაანებონ პროვოკაციებს. იმ ძალოვანმა სტრუქტურებმა, რომელთაც ორგანული კანონით ეკრძალებათ პოლიტიკაში ჩარევა, პარლამენტისა და საკრებულოს საქმეებში ცხვირი არ უნდა ჩაყონ.

**— გასულ კვირას ქვეყანაში არსებული ქაოსისა და განუკითხაობის გამო, შინაგან საქმეთა მინისტრი წარდგა პარლამენტის წინაშე ანგარიშით...**

— ძალზე შეურაცხყოფილი ვარ შს მინისტრის ზოგიერთი გამონათქვამით. ბატონი მინისტრი დიდი ამბიციებითა და პრეტენზიებით იყო მოსული პარლამენტში მაშინ, როცა ქვეყანა თავზე გვექცევა; როცა საქართველოში დამნაშავეები დათარეშობენ, როდესაც მთელი მსოფლიოდან უკვე დაიძრნენ აქეთ არა მარტო ქართველი, არამედ სხვა ეროვნების საერთაშორისო „ავტორიტეტები“, რომელთაც ხელისუფლებასთან ერთად ქვეყნისა და აქაური ბიზნესის გაკონტროლება სურთ. ეს ის ტენდენციაა, ის საშიშროება, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ვერ გაუმკლავდება. სხვაგან ალბათ ვერსად ნახავთ ასე შეხმატკბილებულ დამნაშავეებსა და ძალოვან სტრუქტურებს. ასეთი რამ სიცილიასა და კოლუმბიაშიც არ ყოფილა. ამ ვითარებაში მოსახლეობა კი არა, დეპუტატებიც არ ვართ დაცული საფრთხისაგან, ვერავინ მოგვცემს გარანტიას, რომ არ გვემუქრება ფიზიკური ანგარიშსწორება ჩვენი პოლიტიკური შეხედულებების გამო.

***გვერდი მოამზადა იზო რიკაძემ***

# „ჩემი ჩაჩოჩება მოინდომეს, მე კი ავდექი და გავიწიე...“

როგორც წესი, მეფის კარი ინტრიგების გარეშე არ არსებობს. ამ კანონზომიერებას ვერც ასლან აბაშიძის გარემოცვა ასცდა. ჭორები „აღორძინებაში“ არსებულ დაპირისპირებაზე თბილისამდე კარგა ხანია მოვიდა. აბაშიძის კარის შეთქმულებას ბ-ნი ასლანის ფავორიტი გიორგი თარგამაძე ეწირება.

„აღორძინებაში“ თვალში არ მოსდიოდათ გიორგი თარგამაძის გამორჩეული მდგომარეობა, თუმც აბაშიძის რიდით დუმილს არჩევდნენ. მხოლოდ ზედმეტად თამამ სანდრო ბრეგაძეს თუ დასცდებოდა ხოლმე სამდურავი, მაგრამ სანდრო ბრეგაძის საყვედურები თარგამაძის „დასაცურებლად“ საკმარისი არ იყო. ამის შანსი აბაშიძის რჩეულის მოწინააღმდეგეებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა მისცა. მაშინ „აღორძინების“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარეს (გიორგი თარგამაძეს) ასლან აბაშიძემ პირველი საყვედური უთხრა. — თარგამაძის ოპონენტებმა კარგად გამოიყენეს აჭარის ლიდერის თვისება — მოსმენის, ყურის დაგდების ჩვევა და აბაშიძეს ჩასჩურჩულეს, თქვენი გაზრდილი რეიტინგებში გვარიანად გისწრებთო. ეს უკვე მეტისმეტი იყო და შედეგმაც არ დააყოვნა. გიორგი თარგამაძე „აღორძინების“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარეობას გამოეთხოვა. რამდენიმე დღეში კი, ალბათ, ფრაქციის თავმჯდომარეობასაც დაემშვიდობება.

„აღორძინების“ ბანაკში არსებულ განხეთქილებას ოფიციალურად არავინ ადასტურებს, რადგან გიორგი თარგამაძეზე შეტევის „ვიზა“ აბაშიძეს ჯერ არ გაუცია. ექსთანამებრძოლების არაოფიციალური მონათხრობი კი ასეთია: „გიორგი ნიჭიერი ბიჭი იყო. ეს კარგად დაინახა ასლან აბაშიძემ. დაიახლოვა და ყველაფერი გაუკეთა, მოუწყო სახლ-კარი, აუწყო ბიზნესი, მოიყვანა პოლიტიკაში, ერთი სიტყვით, მისცა ბადე და თევზის ჭერაც ასწავლა. თბილისში გადმოსვლის შემდეგ გიორგი ეიფორიაში აღმოჩნდა. რაკი მას ყველაფერი უწვალებლად, მზამზარეულად მისცეს, იფიქრა, ყოველივე ჩემი დამსახურებააო. სახელისუფლო გაზეთები გიორგის განგებ უბეჭდავდნენ რეიტინგებს, სადაც ის ასლან აბაშიძეზე წინ ფიგურირებდა. პოლიტიკაში, ძირითადად, ყასბები არიან. მათ გიორგის სახით გულუბრყვილო წარმატებისაგან თავბრუდახვეული ბავშვი დაინახეს და სულ მთლად გააოგნეს.

გიორგის აბაშიძის მიმართ ქვენა გრძნობები არ გასჩენია, თუმცა დაიჯერა, რომ აბაშიძეზე პოპულარული იყო. მტრები პირად საუბრებში, სუფრაზე აწვეთებდნენ, — შენისთანა პროგრესულ ახალგაზრდას აბაშიძესთან რა უნდაო. ამიტომაც თარგამაძემ დაიწყო აბაშიძის პოლიტიკის იმ საკითხებისგან გამიჯვნა, რაც მისი აზრით, მომგებიანი არ იქნებოდა. გიორგის მიაჩნდა, — იმდენად პოპულარული ვარ, ჩემი ფონით ჩატარებული არჩევნები სრულ გამარჯვებას მოგვიტანსო და ადგილობრივ არჩევნებში არ გამოუყენებია „აღორძინების“ არც ერთი „ბრჭყვიალა“ ფიგურა — არც ასლან აბაშიძე, არც მუხრან მაჭავარიანი, არც რეზო მიშველაძე და არც „აღორძინებაში“ ახალმისული, მაგრამ საკრებულოს ომებში გამოცდილი ჯონდი ბაღათურია.

მაგრამ ხალხისთვის გიორგი მხოლოდ კარგი მოლაპარაკე, საყვარელი ბიჭი იყო, რომელსაც თავის ბედს ვერ ანდობდა. ამან განაპირობა არჩევნების შედეგიც. ამ წარუმატებლობამ და კრიტიკამ გიორგი დააბნია. გაიბუტა, ბათუმში შეკრებებზე აღარ ჩავიდა. შესაბამისად კი გააქტიურდა სანდრო ბრეგაძე. თარგამაძემ იფიქრა, რომ ეს ასლან აბაშიძის მხარდაჭერით იყო განპირობებული და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. რაკი გიორგიმ შედარებით იოლ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებს ვერ გაართვა თავი, საჭირო გახდა მისი ჩანაცვლება უფრო აგრესიული, მებრძოლი და გამოცდილი პირებით. თარგამაძის ადგილზე ცოტნე ბაკურიას დანიშვნით „აღორძინებამ“ დასავლეთსა და ამერიკაში კარგი კავშირების მქონე ადამიანი წამოსწია წინ. პოლიტიკურ მდივნად აქტიური ჯონდი ბაღათურიას დანიშვნამ კი არჩევნებში გამოცდილი 200 ყოფილი „ედეპეშნიკი“ შემატა აბაშიძის ბანაკს.

დღემდე გიორგი თარგამაძე ასლან აბაშიძის განებივრებული შვილობილი იყო. თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტიდან მოხსნა პირველი პრობლემაა, რაც მას აბაშიძესთან ურთიერთობის მანძილზე შეხვდა. თუ ჭკუა ეყოფა და არ გაიბუტა, თანამდებობიდან რატომ მომხსნესო, ალბათ, ექნება შანსი უფრო მაღალ პოსტზეც მოვიდეს მომავალში,“ — ამბობს თარგამაძის ინკოგნიტო ოპონენტი.

რას ფიქრობს **გიორგი თარგამაძე** თავის ახლანდელ მდგომარეობაზე და აპირებს თუ არა „აღორძინებაში“ დარჩენას, ამის გარკვევა მასთან საუბრისას ვცადეთ.

— ჯერ კიდევ 2 თვის წინ დავტოვე ჩემი თანამდებობა. ასე რომ, აღარ ვარ „აღორძინების“ ლიდერი. ველოდები პარტიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებს და ამის შემდეგ განვსაზღვრავ ჩემს ფუნქციას პარტიაში.

**— თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ ასლან აბაშიძემ ბიზნესშიც ჩაგრთოთ და კარიერაც შეგიქმნათ.**

— მაინტერესებს იმ უსინდისოს სახელი და გვარი, რომელიც თავს უფლებას აძლევს და ამბობს ტყუილს — თითქოს ბ-ნ ასლანთან ურთიერთობით ბიზნესი ავაწყვე. ბედნიერი კაცი ვიქნებოდი, რაიმე სტაბილური ან არასტაბილური ბიზნესი რომ მქონდეს. აჭარაშიც და თბილისშიც ყველამ კარგად იცის, — არანაირ ბიზნესში არ ვარ ჩართული. იმას, ვინც ასეთ რამეს აცხადებს, სინდისის ნატამალი არ აქვს. ასეთ ხალხზე რომ ამყარებენ „აღორძინების“ ლიდერები იმედს, სწორედ ამიტომ იქნება „აღორძინების“ საქმე „კარგად“. როცა აჭარაში წავედი, ზოგიერთებისაგან განსხვავებით, კარიერა გაკეთებული მქონდა პირველ სატელევიზიო კონკურსში და „მაყურებლის სიმპათიის“ პრიზი მქონდა მიღებული. ამიტომ აჭარაში კარიერის გასაკეთებლად კი არა, გასაგრძელებლად წავედი. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბ-ნი ასლანის პიროვნებას, რომლის მადლიერი ყოველთვის ვიქნები და ზოგიერთის გასარჩევი არ არის (და ღმერთმა ნუ გახადოს) ჩემი და ბ-ნი ასლანის ურთიერთობა.

**— ამბობენ, რომ ბ-ნი ასლანის განაწყენების მიზეზი რეიტინგებში წინა პოზიციებზე თქვენი დომინირება იყო.**

— იმას მაინც ნუ დამაბრალებენ, რომ რეიტინგებს სხვადასხვა გაზეთში მე ვაკომპლექტებდი. სრულიად არ მრცხვენია იმის, რომ ხალხი პატივს მცემს.

**— რა საკითხზე წარმოიქმნა სანდრო ბრეგაძესთან პიროვნული უთანხმოებანი?**

— განსაკუთრებულად კარგი ან ცუდი დამოკიდებულება სანდრო ბრეგაძესთან არ მქონია. მას ვუყურებდი, როგორც ჩემს კოლეგას. თუმც იმ პირების მიმართ, რომლებიც



ახლა დაინიშნენ თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელებად, ყველამ კარგად იცოდა, მაინცდამაინც კეთილგანწყობილი არ ვყოფილვარ. სულაც არ ვამტკიცებ, რომ ისინი ცუდები არიან და მე კარგი, მაგრამ მათში ბევრი რამ მიუღებელია ჩემთვის. ჩვენ დიდად განსხვავებულები ვართ ერთმანეთისგან. ამიტომ ჩვენი ერთად ყოფნა გამორიცხულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრინციპების დათმობა მომიწევდა, რასაც არ გავაკეთებ.

**— რას გულისხმობთ?**

— დამთავრდება ეს პროცესი და გაიგებთ.

**— ახალდანიშნულები ფიქრობენ, რომ არჩევნებს გამოცდილი ადამიანები და მაგარი ბიჭები იგებენ.**

— ხომ არიან მაგარი ბიჭები, მოიგონ. როგორც კი დაინიშნენ თანამდებობებზე, წარმატება ვუსურვე და ვთქვი, — ახლა შემიძლია მშვიდად ვიყო იმიტომ, რომ თბილისის ორგანიზაცია „საიმედო“ ადამიანების ხელშია-მეთქი. კარგი იქნება, თუ ისინი თავიანთი წინამორბედის საქმეების ჩხრეკას და კრიტიკას თავს დაანებებენ და ჩემზე მეტს გააკეთებენ პარტიისთვის. თუ ისინი პარტიულ და იდეოლოგიურ პოლიტიკას გიორგი თარგამაძის დევნაზე ააგებენ და ჩემს წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვას გააგრძელებენ, კარგს ვერაფერს მოიმკიან. ამიტომ ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რას იტყვის ეს ხალხი ჩემზე, უმთავრესია საზოგადოებაში არ გაჩნდეს სულ მცირეოდენი ეჭვიც კი. მათთვის საშიშროებას აღარ წარმოვადგენ. ჩემი ჩაჩოჩება მოინდომეს, მე კი ავდექი და გავიწიე. მათთვის აღარ ვარ სამიზნე. ამ ხალხმა უკვე მოიპოვა თანამდებობები, გავლენა და იქცნენ „აღორძინების“ სახედ.

**— ბოლო დროს „ახლების“ მიმართ კეთილგანწყობას გაბრალებენ.**

— დიახ, ბატონო, „ახლებისადმი“ მაქვს სიმპათია და ყველა იმ ადამიანისადმი, რომელშიც პოზიტიურ მარცვალს დავინახავ. ასეთები შეიძლება „ახლებშიც“ იყვნენ და სხვაგანაც. „ახლებში“ ჩემი თაობის ხალხია და ემთხვევა ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს. ყველაზე კარგად კი ჩემს პარტიაში ვიყავი. თუ არ უნდათ, ძალად მაცხონე ვერ ვიქნები. არ ვჭირდები? ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ ის ხალხი, რომლებიც დღეს „აღორძინების“ სახეს წარმოადგენენ.

# რუსთაველი „ტერორისტის" შურისძიება?!



გასულ ოთხშაბათს ქალაქ რუსთავის მკვიდრთ ნამდვილად არ იცავდა პოლიცია. უფრო სწორად, ქალაქის ყველაზე მაღალი რანგის ჩინოვნიკები ვეღარ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მისიას, რადგან ისინი 21 წლის დავით პაპაშვილის მძევლები გახდნენ. ტყვეობიდან თავის დახსნა უკანასკნელმა მძევალმა, სამხარეო პოლიციის უფროსმა ალეკო ბუკიამ დაახლოებით დღის ოთხ საათზე შეძლო.

პოლიციელთა სახიფათო ოდისეა კუმისის ტბის მიდამოებში დასრულდა — პაპაშვილმა ყველა მძევალი უვნებელი გაუშვა, მისი მსხვერპლი მხოლოდ მეზობელი, თემურ მჭედლიშვილი აღმოჩნდა, რომელიც პაპაშვილმა სადარბაზოში დაჭრა.

ვინ არის დავით პაპაშვილი და რატომ აიყვანა მან მძევლად პოლიციის მაღალჩინოსნები? ამის თაობაზე რამდენიმე ვერსია (მისი თანამოქალაქეების და ახლობლების ნაამბობი — მ.ზ.) არსებობს:

დავით პაპაშვილს დალხენილი ბავშვობა არ ჰქონია. დედა ადრე გარდაეცვალა. მამამ ცოლი მოიყვანა, დედინაცვალი გერს ხშირად სცემდა და სახლიდან აგდებდა. ამის გამო პაპაშვილი ბავშვობიდანვე ქუჩის ცხოვრებით ცხოვრობდა და როგორც რუსთაველი პოლიციელები ამბობენ, წვრილმანი ხულიგნობისთვის არაერთხელ მიუყვანიათ განყოფილებაში. ყაჩაღობაშიც იყო ეჭვმიტანილი, მაგრამ სათანადო მტკიცებულებების არქონის გამო ბრალი ვერ წაუყენეს. ასე რომ, პაპაშვილს პოლიციაში კარგად იცნობდნენ და გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ...

პაპაშვილი 20 ნოემბერს, დილით ძალზე აღელვებული და ნასვამი ჩავიდა რუსთავში. ჯიბეში ნაგანი და ხელყუმბარა Ф-1 ჰქონდა, რადგან მეგობარსა (სავარაუდოდ, დაჭრილ თემურ მჭედლიშვილთან) და მეგობარ ქალთან ანგარიშსწორებას აპირებდა. დავით პაპაშვილის სასოწარკვეთილების მიზეზი ჯანმრთელობის გაუარესება იყო. როგორც ამბობს, იმ ქალისგან, რომელიც მეგობარმა (სავარაუდოდ, თემურ მჭედლიშვილმა) გააცნო, რაღაც სენი გადაედო, რომელიც შემდგომ სიმსივნეში გადაეზარდა. ის ონკოლოგიურ საავადმყოფოში იმყოფება აღრიცხვაზე.

სახლიდან გამოსვლისთანავე, პაპაშვილი პოლიციელებს წააწყდა, რომლებიც ქალაქში რეიდს ატარებდნენ. კარგად ნაცნობ პაპაშვილს დაუძახეს, მანქანაში ჩაისვეს და რუსთავის №1 განყოფილებისკენ წაიყვანეს. დავით პაპაშვილი მიხვდა, რომ იარაღის უკანონო ტარებისთვის კარგი დღე არ დაადგებოდა, ამიტომ სასტუმრო „რუსთავთან" ხელყუმბარა გახსნა და პოლიციელების მანქანიდან გადახტა. იქვე, გაჩერებაზე მდგარი ქალი — მარინა მდივანი ტაქსიში ჩასვა და მძღოლს თავისი სახლისკენ უბრძანა წასვლა. მძევალი პაპაშვილმა თავის ბინაში, მე-9 სართულზე აიყვანა. შემდგომში მისი მოქმედება გაუგებარი ხდება — როგორც თავად ამბობს, — თემურ მჭედლიშვილს ეძებდა, რომელიც იპოვა და მისსავე კართან დაჭრა. მალე სახლთან პოლიცია მივიდა. პაპაშვილმა შეიტყო ეს და სართულიდან სართულზე ანგარიშმიუცემლად დაიწყო სირბილი. მოულოდნელად მე-5 სართულზე ღია კარი დაინახა და შევიდა. სწორედ ამ დროს ხდება მძევლის, მარინა მდივანის ქალაქის პოლიციის უფროსით, ნიკო ჯაფარიძითა და მისი მოადგილით, დავით მჭედლიშვილით ჩანაცვლება. პაპაშვილი ცდილობს ხაფანგს თავი დააღწიოს, ჯაფარიძესა და მჭედლიშვილს ხელბორკილს ადებს და ეზოში ჩადის. იქ სამხარეო პოლიციის უფროსი, ალეკო ბუკიაც აჰყავს მძევლად. იმავდროულად, პაპაშვილს რუსეთში გაქცევის იდეა უჩნდება და 5 ათას დოლარს ითხოვს, მაგრამ ფულის გადაცემის შემდეგ აეროპორტის ნაცვლად (ბუკიამ დაარწმუნა, რომ რუსები არ მიიღებდნენ და უკან დააბრუნებდნენ), კუმისის ტბაზე მიდის, სადაც ათავისუფლებს მჭედლიშვილსა და ჯაფარიძეს. გამოფხიზლებისა და მამასთან გასაუბრების შემდეგ კი იგი ალეკო ბუკიას თელეთის პოლიციის განყოფილებაში მიჰყვება.

არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის თანახმად, „რუსთაველ ტერორისტს" 5 ათასი დოლარი წაგებული ჰქონდა. 20 ნოემბერს ფული „პატრონისთვის" უნდა ჩაებარებინა. პაპაშვილმა სახელის გატეხას „სროკზე" წასვლა ამჯობინა (ქურდული ტრადიციების მიხედვით, თუ ვალის ჩატანის დღეს თანხა ნაშოვნი გაქვს და ამის შესახებ ვინმემ იცის, გაგამართლებენ — მ.ზ.).

***მარი ზანდუკელი***

**P.S. როცა რუსთავისა და ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლები გასული კვირის „გამარჯვებით" თავს იწონებდნენ, ერთ გამოცდილ პოლიციელს დასცდა — ომის დროს სტალინი რომ მძევლად ჩაჰბარებოდა გერმანელებს, ომს როგორ მოიგებდაო? ასე რომ, ვაჟკაცური საქციელი — მძევალი ქალის ჩანაცვლება — პოლიციის პირველი პირისთვის შეიძლება სერიოზულ ტაქტიკურ შეცდომადაც შეაფასონ.**

სამხედრო თემაზე

# ნატო, გააღე, ჩვენ ვართ, ჩვენ!..

პრაღაში NATO-ს სამიტზე საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი განაცხადი გააკეთა, რითაც, წესით, საბოლოოდ მოიჭრა უკან დასახევი გზა და გაარკვია ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის მიმართულება — დასავლეთისკენ.

მერე რა, რომ ქართული არმია, ანუ სახელმწიფოს ის სტრუქტურა, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა გაერთიანდეს NATO-ს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში, სამწუხაროდ, ძალიან შორს დგას სასურველი პარამეტრებისგან და თანაც ხელისუფლების დიდი „დახმარებით".

მთავარია, რომ ამჟამინდელმა ხელისუფლებამ გადადგა პოლიტიკურად მომგებიანი ნაბიჯი, რომელიც, საბედნიეროდ, ემთხვევა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ინტერესებს.

NATO-შიც კარგად იციან, რომ ქართული არმია არ არის სათანადოდ მომზადებული და ამიტომაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი საქართველოსთან ინდივიდუალური თანამშრომლობის პროგრამას განახორციელებს.

რჩება შთაბეჭდილება, რომ NATO თავადვე უფროა დაინტერესებული საქართველოს მის რიგებში გაწევრებით, რასაც თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს.

NATO-მ პოსტსაბჭოური რესპუბლიკების — ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მიღებით საბოლოოდ გააქარწყლა რუსეთის იმედი, რომ NATO აღმოსავლეთ ევროპას აღარ გადმოსცდებოდა.

პირიქით, NATO აგრძელებს აღმოსავლეთისკენ გაფართოებას, რასაც ადრე თუ გვიან, მოჰყვება მის რიგებში უკრაინის (მიუხედავად ამჟამად არსებული გაუგებრობისა კიევსა და ვაშინგტონს შორის), მოლდოვისა და თვით ბელორუსიის შესვლაც კი (ეს უკანასკნელი ალბათ პროდასავლურ კურსს მას შემდეგ



აირჩევს, როდესაც ლუკაშენკო პრეზიდენტად აღარ ეყოლება, რისთვისაც დასავლეთში სერიოზულად ემზადებიან).

მაგრამ რჩება სამხრეთი მიმართულებაც, ანუ სამხრეთ კავკასია. ძნელი წარმოსადგენია, რომ NATO-მ მარტო აღმოსავლეთით გაფართოებაზე იფიქროს და უყურადღებოდ დატოვოს რუსეთის სამხრეთი საზღვრები. საქართველო და აზერბაიჯანი 5-7 წელიწადში უთუოდ გახდებიან NATO-ს წევრები.

სომხეთი, როგორც რუსეთის მთავარი ფორპოსტი სამხრეთ კავკასიაში, ჯერჯერობით ამ პროცესებში აქტიურად ვერ ჩაერთვება, მაგრამ პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება თავისი სასიცოცხლო ინტერესების დამცველად 2010 წლისთვის (ან უფრო ადრე) რუსეთის ფედერაციის ნაცვლად NATO აღიაროს. ოფიციალური ერევნისთვის მთავარია არ განმეორდეს ომი თურქეთთან და აზერბაიჯანთან, რადგან რუსეთის დაუხმარებლად სასტიკად დამარცხდება. ხოლო თუკი საქართველო და აზერბაიჯანი მანამდე მართლაც გახდებიან NATO-ს სრულუფლებიანი წევრები, ძნელი წარმოსადგენი იქნება, რუსეთი ასევე იოლად დაეხმაროს სომხეთს, თუნდაც სამხედრო ტექნიკით, რასაც იგი დღემდე ადვილად ახორციელებდა საქართველოს ტერიტორიისა და საჰაერო სივრცის უკითხავად გადალახვით.

შუა აზიის პოსტსაბჭოურ ქვეყნებში კი ავღანეთში საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაციის მიზეზით უკვე წელიწადზე მეტია მოქმედებს დასავლეთის სამხედრო ბაზები. ეს შუააზიური ქვეყნები ისედაც მონაწილეობენ NATO-ს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამაში (ყველაზე ბოლოს ამ პროგრამას შეუერთდა ტაჯიკეთიც — რუსეთის მთავარი სამხედრო-პოლიტიკური ფორპოსტი შუა აზიაში), რაც იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ NATO თავის რიგებში არც შუააზიური პოსტსაბჭოური ქვეყნების მიღებაზე იტყვის უარს.

ყოველივე ამის შემდეგ NATO-ს წევრი ქვეყნები და სავარაუდოდ ამ ქვეყნებში განლაგებული NATO-ს ბაზები ნახევარრკალად შემოერტყმიან რუსეთის ფედერაციას.

სწორედ ასე უმტკივნეულოდ და გრანდიოზული, ფართომასშტაბიანი ბრძოლების გარეშე დასავლეთი „ცივ ომს" საბოლოოდ მოუგებს რუსეთს.

თუმცა იმ დროისთვის „ბოროტების კერა", როგორც საბჭოთა კავშირს ამერიკელებმა თავის დროზე შეარქვეს, მოსკოვიდან ალბათ სადღაც ახლო აღმოსავლეთში ან სულაც ჩინეთში გადაინაცვლებს. სამწუხაროდ მსოფლიო მუდმივი დაპირისპირებების გარეშე ვერ ვითარდება!

*P.S. NATO-ს პრაღის სამიტზე მიღებული დეკლარაციის ერთ-ერთი მუხლი დაბეჯითებით ითხოვს რუსეთის ფედერაციისგან სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილების შესრულებას, ანუ მოლდოვიდან და საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას.*

*პანკისის მოვლენების გამო ქართულ-რუსული მოლაპარაკებები ამ თემაზე იმ პერიოდში შეწყდა, როდესაც თბილისი რუსული სამხედრო ბაზების სალიკვიდაციოდ ჯიუტად მოითხოვდა სამ წელიწადს, მოსკოვი კი 24-დან 11 წელზე ჩამოვიდა.*

*NATO ბუნებრივია, ვერ შეეგუება, რომ მის წევრ ქვეყანაში უცხო და მით უმეტეს, რუსული სამხედრო ბაზების დარჩენას. ამიტომაც სამი წელი ის კრიტიკული ზღვარია, რომლის გაჭიანურება აღარც თბილისს აძლევს ხელს და არც ბრიუსელს.*

*NATO-ს სამიტის დღეს საქართველოს პარლამენტმა მიიღო თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ წარმოდგენილი დადგენილება, რომელიც რუსეთის სამხედრო ბაზებს ავალდებულებს, გადაიხადონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მიწისა და ქონების გადასახადი. თუკი თავისი სტრატეგიული სამხედრო ბაზისთვის — გაბალინის შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის ფაზირებული რადიოლოკაციური სადგურის ექსპლუატაციისთვის მოსკოვი ბაქოს ყოველწლიურად 7 მლნ დოლარს, ხოლო ყაზახეთს ბაიკონურის კოსმოდრომის გამოყენებისთვის — 105 მლნ დოლარს უხდის, რა დააშავა საქართველომ?!*

# ძველი ბანდები და საძმოები აღდგენილია

***(დასაწყისი იხ. გვ. 5)***

სატელევიზიო გამოსვლაში შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი ვაჟკაცურად შეეცადა, რომ მოსახლეობას მის მიმართ ნაზი გრძნობები არ გასჩენოდა, მაგრამ ის მაინც შეებრალათ. ნარჩემაშვილს, ეტყობა, ავი წინათგრძნობა აქვს, რადგან აღსარების გუნებაზე დადგა. „შეიძლება ჩემი გამოსვლები ყოველთვის არ ასახავდა რეალობას, მაგრამ მასში მუდამ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო ინტერესები", — ამბობს იგი და ამ „ინტერესების გათვალისწინებისთვის" ხსნას ისევ პრეზიდენტისგან ელის.

შსს სისტემაში კი კახა თარგამაძის აჩრდილი დადის და ნარჩემაშვილს სიცოცხლეს უმწარებს — მოქმედ მინისტრს სულ ექსმინისტრის სახელით მიმართავენ. მათ პროფესიონალიზმზეც უსიამოვნო პარალელებს ავლებენ.

კახა თარგამაძის აღზრდილები არსებულ სიტუაციას ასე ხსნიან: ახალგაპოლიციელებულმა ნარჩემაშვილმა საქმეს თავი ვერ მოაბა, პოლიცია ბალახვნელი მემწვანილეებით აავსო, პროფესიონალები სისტემიდან გარბიან და მალე 1991-93 წლების მდგომარეობაც კი მოგვენატრებაო.

ნარჩემაშვილის გულშემატკივრები კი კახა თარგამაძეს „ადებენ ხელს" — წყალს სწორედ ის ამღვრევს, — პოლიციაში 25 წელი იმუშავა და იცის, ვინ როგორ მართოსო.

ისე, ორივე მოსაზრება ლოგიკურია. უკანასკნელი კი საკმაოდ სათუთი და ბუნდოვანი თემა გახლავთ. მართალია, კახა თარგამაძეს ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვს რუსეთის შს ყოფილ და დღევანდელ მინისტრებთან, ისიც კი გაგვიგია, რომ ჩეჩნებზე განრისხებულმა პუტინმა შევარდნაძესთან ლაპარაკი მხოლოდ კახა თარგამაძის დაჟინებული თხოვნის შემდეგ იკადრა. თუმცა, ვფიქრობთ, ეს კავშირები არ შეიძლება მასზე ეჭვის მისატანად გამოდგეს. როგორც კულუარებში ამბობენ, კახა თარგამაძე პოლიტიკაში სერიოზული ნაბიჯების გადადგმას აპირებს და ძველი პოსტი არც აინტერესებს. თურმე, გაცილებით მეტზე ფიქრობს.

ელიტარულ წრეებში კი მაფიოზური დაპირისპირებები ძლიერდება. იზრდება მოთხოვნილება ახალ პროფესიაზე ანუ კილერებზე. ჩვენ ჰუმანურ (თუნდაც „შავ") საზოგადოებას ცივილიზებულ სამყაროსთან ინტეგრაციამ დღემდე მიუღებელი და გაცილებით სასტიკი წესები შესთავაზა. საყურადღებოა, რომ ნიჭიერებით გამორჩეული ქართველები სიახლეს განსაკუთრებული მონდომებით ავიტაცებთ ხოლმე. ამერიკასა და რუსეთში „შეკვეთებზე" უმთავრესად ვიეტნამისა და ავღანეთის სინდრომით შეპყრობილი ან უთვისტომო ადამიანები მუშაობენ, შესაფერისი სოციალური ფონი ჩვენთანაცაა. არც ომებიდან დაბრუნებული გულგატეხილი და დაბოღმილი ხალხი გვაკლია და არც უთვისტომო, მაწანწალა კონტინგენტი. შემკვეთებიც ბლომად ჩანან, საქართველოში მილიონები „დაუკითხავად" ბევრმა იშოვა...

არც ის არის გამორიცხული, რომ ამ შეკვეთებს კილერთა ერთი ჯგუფი ასრულებდეს. ელიტარულ მაფიოზებს ხომ ჯერ ამ მხრივ დიდი არჩევანის საშუალება არა აქვთ.

ამ პროცესებს საკანონმდებლო ბაზაც მშვენივრად „ეხმარება". მოქმედი კანონით, თუ დანაშაული ხუთი თვის მანძილზე არ გაიხსნება, საქმე ავტომატურად იხურება. დიდი შანსი არსებობს, რომ კახი ასათიანის ვერაგული მკვლელობის საქმესაც იგივე ბედი ეწიოს.

***რუსუდან ხუბულავა***

# ამერიკული გათვლით, თბილისიდან ბაღდადიც მოჩანს

შევარდნაძემ ვერ მოასწრო NATO-ს კარებზე მიკაკუნება, რომ დასავლეთი სერიოზულად გეგმავს საქართველოს ჩართვას იმ ოპერაციაში, რასაც ერაყელი დიქტატორის სადამ ჰუსეინის რეჟიმის განადგურება უნდა მოჰყვეს.

პრაღიდან დაბრუნებულ საქართველოს ხელისუფლებას ფეხდაფეხ ჩამოჰყვა ამერიკელი ოთხვარსკვლავიანი გენერალი რიჩარდ მაიერსი. იგი ჩვენი თანამემამულის ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის ერთგვარი მემკვიდრე გახლავთ და ამჟამად ჩრდილო ამერიკაში ყველაზე მაღალი სამხედრო პოსტი უკავია — აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტატების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის მეთაურია.

იგი, წესისამებრ, შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს და თავდაცვის მინისტრს. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საუბარი შეეხო საქართველო-აშშ-ის სამხედრო თანამშრომლობას, „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამას და მის პრობლემებს საქართველოს დაახლოების პროცესს NATO-სთან და ა.შ.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც რიჩარდ მაიერსის საქართველოს ხელისუფლებასთან ერაყის თემაზე მიმდინარე მოლაპარაკებები გახლდათ. არ დაგვავიწყდეს, რომ სწორედ რიჩარდ მაიერსია დანიშნული იმ ოპერაციის ხელმძღვანელად, რომელიც ერაყის წინააღმდეგ ალბათ გაისად მაინც დაიწყება.

მანამდე კი, თეთრი სახლი და პენტაგონი მომავალი ომის წინ გამალებით ეძებენ მოკავშირეებს. მათი მოძებნა ამერიკელებს უჭირთ, რადგან ევროპის წამყვანი ქვეყნები — საფრანგეთი და გერმანია — თავს იკავებენ, აქტიურად ჩაებან ანტიერაყულ სამხედრო კამპანიაში, როგორც ეს 11 წლის წინათ მოხდა.

ამიტომაც თითოეული მოკავშირე, როგორი სუსტი არმიაც არ უნდა ჰყავდეს მას, ამერიკელებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მათ შორისაა საქართველოც, განსაკუთრებით ხელსაყრელია მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც თეთრი სახლისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს.

არ არის აუცილებელი, ვიფიქროთ, რომ ამერიკელები მაინცდამაინც საქართველოს აეროდრომებიდან აფრენილი თვითმფრინავებით დაბომბავენ ერაყს, უბრალოდ, ეს სპეცოპერაცია შეიძლება ჩვენი ტერიტორიიდან განხორციელდეს, რასაც ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში ჰუსეინის ოპოზიციური ძალების, მათ შორის ქურთების, შეიარაღებული რაზმების ტყვია-წამლითა და სხვა საჭირო საშუალებებით ჰაერიდან მომარაგება ჰქვია. ანალოგიურ დახმარებას ამერიკელები თურქეთის ინჯირლიყის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან, გასაგები პოლიტიკური მიზეზების გამო (მით უმეტეს, თურქეთში ამას წინათ ახალი, უფრო რადიკალური მუსლიმანური ძალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ) ერაყელ ქურთებს ვერ აღმოუჩენენ. ბაღდადში მყოფი სადამ ჰუსეინისა და მისი ერთგული გვარდიის პოზიციების დასაბომბად კი პენტაგონს საკმაო ძალები გააჩნია საუდის არაბეთში, ქუვეითსა თუ კატარში, რომ აღარაფერი ვთქვათ, სპარსეთის ყურეში მოდრეიფე ავიამზიდებზე.

# სკანდალური გარიგება 21 დოლარად

მაშინ, როდესაც გასულ კვირას მთელი მსოფლიოს ყურადღება პრაღაში მიმდინარე NATO-ს სამიტისკენ იყო მიპყრობილი, საერთაშორისო საინფორმაციო საიტებზე ერთი პატარა ინფორმაცია გამოჩნდა: ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ თეთრი სახლი გაითვალისწინებდა კრემლის ეკონომიკურ ინტერესებს ერაყთან ომის დაწყების შემთხვევაში.

ნაკლებად დიპლომატიური და მკითხველისთვის გასაგები ენით რომ ვთქვათ, ყოველივე ეს ნიშნავს შემდეგს: თუკი პენტაგონი მაინც დაიწყებს სამხედრო ოპერაციას სადამ ჰუსეინის დასამხობად და სავარაუდოდ, მალე წარმატებასაც მიაღწევს, ნავთობი მნიშვნელოვნად არ გაიაფდება!

ანუ თეთრი სახლი ისწრაფვის, სადამ ჰუსეინი ჩამოაშოროს ერაყის ნავთობის მდიდარ საბადოებს, რათა აშშ-ს საშუალება მიეცეს თავად დაარეგულიროს მსოფლიო ფასები მოპოვებულ ნავთობზე. ეს კი რუსეთისთვის სრულ კატასტროფას ნიშნავს, რადგან ამ უზარმაზარი ქვეყნის ბიუჯეტი ძირითადად სწორედ ციმბირში მოპოვებული და ექსპორტირებული ნავთობის ოდენობასა და ფასზეა აგებული.

თუკი მოპოვებული ნავთობის ერთი ბარელის ფასი 15-18 აშშ დოლარამდე ან უფრო დაბლა დაეცემა, რუსეთის ეკონომიკა კრახის წინ აღმოჩნდება.

ამიტომაც კრემლმა თეთრ სახლთან დადო „ჯენტლმენური ხელშეკრულება“, რომლის თანახმადაც, ჰუსეინის ჩამომგდები ამერიკელები ერთ ბარელ ნავთობზე ფასს 21 დოლარზე დაბლა არ დასწევენ. სამაგიეროდ, რუსეთის ხელმძღვანელობა ეტყობა, თვალს დახუჭავს ამერიკელების მიერ მიზეზის ძებნაზე ერაყზე იერიშის მისატანად.



მიუხედავად იმისა, რომ გაეროს №1441 რეზოლუცია მრავალმა ქვეყანამ მოიწონა და გაეროს სამხედრო ინსპექტორები უკვე ერაყში იმყოფებიან საეჭვო ობიექტების შესამოწმებლად, ძალიან ბევრი ნიშანი არსებობს იმისა, რომ პენტაგონი თავისი მუქარის ასრულებას სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასამხობად მაინც დაიწყებს და თანაც ორ-სამ თვეში.

ამისთვის მიზეზისა და საბაბის გამონახვა თეთრ სახლს სულაც არ გაუჭირდება. გაეროს სამხედრო ინსპექტორთა ჯგუფი რომელიმე შენობაში რომ არ შეუშვან, ამას უთუოდ მოჰყვება მსხვილმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები, თუკი მანამდე აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის დივერსიულმა ჯგუფებმა, რომლებიც უკვე ერაყის ტერიტორიაზე არიან, ფიზიკურად არ გააუვნებელყვეს სადამ ჰუსეინი.

# ლენცოფანაჭამი ჯარისკაცები



რამდენიმე დღის წინ, სამხრეთ რუსეთში, სტავროპოლის მხარეში დისლოცირებულ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში მოულოდნელად 7 ჯარისკაცი კომაში ჩავარდა.

სანამ ჰოსპიტალში მათ გადარჩენაზე ზრუნავდნენ, რუსეთის სამხედრო კონტრდაზვერვა სერიოზულად ამუშავებდა ვერსიას იმის შესახებ, რომ რუსი ჯარისკაცები ჩეჩენმა ტერორისტებმა მოწამლეს. ვერსიას ამაგრებდა ორი კვირის წინანდელი საშინელი შემთხვევა — აქაურ რძის ქარხანაში დამზადებულმა იოგურტმა ასობით მომხმარებელი მოწამლა.

თუკი ეს ვარაუდები დადასტურდებოდა, „კრემლის რუპორს“, იასტრჟემბსკის, საუკეთესო შესაძლებლობა ექნებოდა, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ჩეჩნები კიდევ ერთხელ დაედანაშაულებინა საერთაშორისო ტერორიზმში, კერძოდ კი მისი ყველაზე დამამძიმებელი ფორმის — ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებაში.

მაგრამ რამდენიმე დღეში შვიდივე მოწამლული ჯარისკაცი ექიმებმა კომიდან გამოიყვანეს. მათ ძალზე მორცხვად აღიარეს, რომ სამხედრო ნაწილთან მობიბინე... ლენცოფას მიეტანენ (როგორც რუსები იტყვიან „Белены объелись“) და ძლიერი ნარკოტიკული მოწამვლაც მიიღეს.



სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ყოველთვის მშვიდობიანად როდი მთავრდება — ორიოდე თვის წინ თავდაცვის სამინისტროს კოჯრის სასწავლო ცენტრში ერთი ქართველი ჯარისკაცი სოკომ მოწამლა და გარდაიცვალა (ყოველ შემთხვევაში, ასეთია გამოძიების წინასწარი მონაცემები).

კვების პროდუქტებით მოწამვლა არცთუ იშვიათი მოვლენაა, თუმცა ერთია, როდესაც ასეთ პროდუქტებს ჯარისკაცები იღებენ ზურგის, მომარაგების საწყობებიდან და მეორე, როდესაც ისინი თავისი სურვილით უსინჯავენ გემოს სხვადასხვა ბალახეულს თუ სოკოს სახეობებს.

ჩვეულებრივი სამხედრო დანაყოფების მომსახურეთაგან განსხვავებით, სპეცდანიშნულების რაზმებში მებრძოლები გადიან სპეცკურსს, თუ როგორ უნდა იკვებონ მტრის ზურგში მოხვედრისას. მათ გამოცდილი ოფიცრები ასწავლიან საჭმელი სოკოსა და ბალახეულის სახეობების გამოცნობას. როგორც ჩანს, ასეთი კურსი არც უბრალო ჯარისკაცებს აწყენდათ, რომლებიც ან შიმშილის, ანდა ცნობისმოყვარეობის გამო სახიფათო მცენარეულობას უსინჯავენ გემოს.

# ყარაბაღელებს ირანელების „ჰერკულესის“ ჩამოგდება შერჩათ

## თეირანმა სომხური რაკეტის საბედისწერო „ოინებზე“ თვალი დახუჭა

კავკასია აზიისა და ევროპის შემაერთებელი ხიდია, ოღონდ არა მარტო სახმელეთო, არამედ საჰაეროც. ვისაც არ დაეზარება ყოველ ათთხუთმეტ წუთში ერთხელ ცაში ახედვა, აუცილებლად დაინახავს ლურჯ, ლაჟვარდოვან კაბადონზე თეთრ ხაზს, რომელსაც უჩინარი მხატვარი ავლებს. ეს ის ინვენსირებული კვალია, რასაც მაღალ სიმაღლეებზე მფრენი სამგზავრო თუ სამხედრო თვითმფრინავები ტოვებენ.

სამგზავრო ლაინერებში კომფორტულად მოწყობილ ადამიანებს, წესით, არაფრის არ უნდა ეშინოდეთ, რადგან მათი თვითმფრინავის ფრენის მარშრუტი წინასწარ არის შეთანხმებული მიწაზე მყოფ დისპეტჩერებთან და მათ უსაფრთხოებაზე ასობით ადამიანი ზრუნავს.

შეიძლება ასევე უდარდელად დაჰყურებდნენ დედამიწას ილუმინატორებიდან ის მგზავრები, რომლებიც სუსხიანი მოსკოვიდან მშობლიურ თეირანში ბრუნდებოდნენ. რატომაც არა — სადარდელი არაფერი ჰქონდათ — ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების C-130 ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავმა მოსკოვში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლებს შერემეტიევოზე ჩააკითხა და სამშობლოში გამოაფრინა.

ფრენის მარშრუტი დასასრულს უახლოვდებოდა. ირანულმა „ჰერკულესმა“ გადმოკვეთა კავკასიონის ქედი და გეზი ირანისკენ აიღო. აზერბაიჯანის საჰაერო სივრცეში „ჰერკულესის“ მგზავრების ნაწილი მთაგორიან რელიეფს ათვალიერებდა, ნაწილსაც ეძინა. ამ დროს ერთმა პატარა ირანელმა გოგონამ დედას ხელი ჩასჭიდა — ნახე, რა ლამაზი თეთრი ძაფი მოექანება ჩვენკენო. გოგონამ წინადადების დამთავრება ვერ მოასწრო, რომ საშინელი აფეთქების ხმა გაისმა და „ჰერკულესი“ ჰაერშივე დაიშალა. მისი ალმოდებული ნაწილები, ადამიანების ნაკვთებთან ერთად 7 კმ-ის სიმაღლიდან მიწაზე ცვიოდა — ერთ წამში ათობით ადამიანის სიცოცხლე შეწყდა.



„ჰერკულესის“ დაღუპვის მიზეზის გამოძიებას დიდი დრო არ დასჭირვებია — იგი მართვადი საზენიტო რაკეტით (სავარაუდოდ, Куб-ის სისტემის) იქნა ჩამოგდებული. მალე ჩამომგდების ვინაობაც გახდა ცნობილი — აუღიარებელი მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ნაწილის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის გათვლა. თუმცა ყველაფრის დაბრალება მეზენიტე-კაპიტანსა და რიგითებზე არ შეიძლებოდა, რადგან მათ ბრძანება სტეფანაკერტიდან მიიღეს — ჩამოეგდოთ ყარაბაღის საჰაერო სივრცის ყველა დამრღვევი.

ირანული „ჰერკულესი“ ყარაბაღელების საზენიტო რაკეტამ იმსხვერპლა



სამოქალაქო პირთა და მით უმეტეს, ხელშეუხებელი დიპლომატების დაღუპვას სამხრეთ კავკასიის ცაში უთუოდ დიდი სკანდალი მოჰყვებოდა, მაგრამ ყველასგან მოულოდნელად, ეს ტრაგედია უხმაუროდ ჩაიფარცხა.

ოფიციალურმა თეირანმა, რომელიც სულ მცირე კრიტიკასაც კი ავადმყოფურად განიცდის, რაიმე სერიოზული პროტესტი არ განაცხადა თვითაღიარებული სეპარატისტების მიმართ. როგორც შემდგომში გაირკვა, ამას გარკვეული მიზეზებიც ჰქონდა — თეირანი აფართოებდა კავშირებს ერევანთან და მას ერთგვარად მხარსაც კი უჭერდა აზერბაიჯანელებთან ომში; ამიტომაც ამ ერთი თვითმფრინავისა და მისი მგზავრების გამო არც ერთს არ სურდა ურთიერთობების გაფუჭება.

ამასთან, სომხებმა ირანელები დაარწმუნეს — რუსეთიდან აზერბაიჯანის საჰაერო სივრცეში შემოფრენილი ირანული „ჰერკულესის“ ეკიპაჟი საგანგებოდ მოატყუა ბაქოელმა დისპეტჩერმა და იგი მთიანი ყარაბაღისკენ მიმართაო. სტეფანაკერტელ მზვერავებს კი იმ მომენტისთვის ჰქონდათ ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანელები სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ Ан-12-ით ეცდებოდნენ, მთიანი ყარაბაღის თავზე ჩამოეყარათ მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებებით სავსე კასრები. ამიტომაც, როგორც კი ყარაბაღელმა მეზენიტეებმა დაინახეს ოთხძრავიანი, ტურბოხრახნიანი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი, იგი აზერბაიჯანელების Ан-12 ეგონათ (ამერიკული C-130 და საბჭოთა Ан-12 მართლაც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს) და საზენიტო რაკეტაც ესროლეს.

ასე შეეწირა დიდ პოლიტიკურ თამაშებს ათობით უდანაშაულო ადამიანი, ისევე როგორც ეს მოხდა 1983 წლის 31 აგვისტოს, როდესაც კამჩატკასთან საბჭოთა გამანადგურებელ-გზაგადამჭრელმა Су-15-მა ორი „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტით ჩამოაგდო სამხრეთ კორეის სამგზავრო „ბოინგ-B-747“. მაშინ ასობით უდანაშაულო ადამიანი მოსკოვისა და ვაშინგტონის სადაზვერვო თამაშებს ემსხვერპლა. ერთი წლის წინ კი შავი ზღვის თავზე უკრაინელმა ვაი-მეზენიტეებმა მძლავრი C-200 ტიპის საზენიტო რაკეტით რუსული სამგზავრო Ту-154 შეიწირეს.

# მკითხველის სვეტი

**ძალიან გთხოვთ განმიმარტოთ, რას წარმოადგენს СВУ?**

***მინდია მგელაძე, ქ. ქუთაისი***

მართალი გითხრათ, ამ რუბრიკის ავტორს ასეთი აბრევიატურა ჯერ არ შეხვედრია, თუმცა არსებობს СВУ ОЦ-03-АС — ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც უცნაურად კლასიფიცირდება — სნაიპერული ავტომატი.

ვისაც შაშხანით სნაიპერული ცეცხლი უწარმოებია, კარგად ეცოდინება, რომ ყოველი გასროლის შემდეგ სამიზნის ოკულარში მიზანი ხელახლა უნდა მოიძებნოს, რადგან გასროლისას წარმოქმნილი უკუდარტყმა მკვეთრად „ათამაშებს“ შაშხანას, ამიტომაც სნაიპერული ავტომატის ცნება ცოტათი დაუჯერებელი ჩანს.

რუსმა კონსტრუქტორებმა კი, ლეგენდარული საბჭოთა შაშხანა СВД-ის (იგი 1963 წელს მიიღეს შეიარაღებაში) კარდინალური მოდერნიზაცია გადაწყვიტეს, რის შემდეგაც იშვა СВУ ОЦ-03-АС ან უბრალოდ СВУ-АС (ან სულაც СВУ-А). „ბულპაპის“ პრინციპის გამოყენების გამო (მჭიდე მოთავსებულია სასხლეტის უკან) იგი СВД-ზე 23,5



СВУ-АС

სმ-ით მოკლე გამოვიდა, ამასთან, წინამორბედისგან განსხვავებით აქვს დასაკეცი საყრდენები, რაც საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად და დიდხანს გყავდეს მოწინააღმდეგე მიზანში ამოღებული და არც ხელი დაგეღალოს.

СВУ-АС-ის ლულის ბოლო გამსხვილებულია, რაც შეიძლება ბევრს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამ სნაიპერულ ავტომატს მაყუჩი უკეთია. სინამდვილეში იგი კომბინირებულ მოწყობილობას წარმოადგენს, რომელიც ერთდროულად ასრულებს ლულის მუხრუჭის (გასროლისას წარმოქმნილი მაღალი წნევით დამწვარი დენთის აირის ნაკადის გამფანტველი), ცეცხლჩამქრობის (გასროლისას წარმოქმნილი ცეცხლის ეფექტის გასანეიტრალებლად, რათა ღამით მოწინააღმდეგემ არ შეამჩნიოს, საიდან ისვრიან) და კომპენსატორის მოვალეობას. ამასთან, გასროლის ხმასაც ოდნავ ახშობს. სხვა მხრივ, თავისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებით СВУ-АС-ი СВД-ის იდენტურია, СВУ-АС-ს ძირითადად რუსეთის შსს-ს სპეცრაზმები იყენებენ ჩეჩნეთში, მათ შორის დასახლებული პუნქტების ჩხრეკისას, რადგან მოკლე სნაიპერული ავტომატი შენობებში ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა.

**რას წარმოადგენს ავტომატი „ბიზონი“?**

***თემურ სირაძე***

ПП-19 ან Бизон-2 ფაქტობრივად ავტომატი კი არა, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევია, თუმცა გარეგნულად მართლაც წააგავს „კალაშნიკოვის“ ავტომატს და კერძოდ მის დამოკლებულ ვარიანტს АКС-74У-ს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან „ბიზონის“ ავტორი გახლავთ მიხეილ კალაშნიკოვის ვაჟი ვიქტორ კალაშნიკოვი. მან „ბიზონი“ მამის ავტომატზე ააწყო, მაგრამ სასროლად პისტოლეტის, კერძოდ კი, „მაკაროვის“ ვაზნები გამოიყენა, რის გამოც „ბიზონი“ მძიმე პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების კლასს მიეკუთვნა.



ПП-19 Бизон-2

„ბიზონის“ მთავარი განმასხვავებელი დეტალი მისი მჭიდია. იგი ცილინდრული ფორმისაა და მასში „მაკაროვის“ 64 ვაზნა ჩადის. დაკეცილკონდახიანი, „ბიზონის“ სიგრძე 43 სმ-ს არ აღემატება, ცარიელი მჭიდით 2,5 კგ-ს იწონის. სწრაფსროლის ტემპი წუთში 700 გასროლაა, ტყვიის საწყისი სიჩქარე 420 მ/წმ, ხოლო სროლის ეფექტური მანძილი 100 მ-ია.

მიუხედავად ორიგინალური და, რაც მთავარია, 64-ვაზნიანი მჭიდისა, „ბიზონი“ მებრძოლებს შორის მძიმე და მოუხერხებელი იარაღის სახელით სარგებლობს. იგი, ფაქტობრივად, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევისა და მოკლელულიანი ავტომატის სიმბიოზს წარმოადგენს და ვერც ერთისთვის დასახულ ამოცანას ბოლომდე ვერ წყვეტს.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# სიკვდილი ქალის სანაცვლოდ

*ძველ გაგრაში, ჩრდილო კარიბჭის ზემოთ, აღმართში, თუ არ მეშლება, დონეცკელების დასასვენებელი სახლი იდგა და მის შემოგარენსაც დონეცკელების ბირჟას ეძახდნენ. აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებოდით მეშახტეთა ქალაქის წარმომადგენლებს. კურორტის სხვადასხვა უბნის დამსვენებელი დონეცკელები, როგორც წესი, კვირაღლეს აქ მოდიოდნენ იმ იმედით, იქნებ მეგობარს ან ნაცნობს გადავეყაროთო. გორელი ვანო ტერ-მანელოვი კი აქ მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ იმ დღეს, იმავე უბანში, ცოლშვილი დააბინავა და მერე ბაზარში შეიარა სანოვაგის შესაძენად. ხორაგით დატვირთული ჩანთები ნაქირავები ოთახის შესასვლელში დააწყო, მეუღლეს დაუბარა, — ბავშვებს გაუფრთხილდი, განსაკუთრებით, ბანაობის დროსო და თავისი „ჟიგულით" თავდაღმართში დაეშვა. უკვე გვიანი იყო და იცოდა, სოხუმამდე შემოაღამდებოდა. ღამის გათევას ოჩამჩირის კემპინგში აპირებდა იმ იმედით — რაკი მეუღლისაგან თავი დავიძვრინე, იქნებ რომელიმე ჩრდილოელ ლამაზმანს გადავეყაროო. მათი ნაკლებობა კი აქ სულაც არ იგრძნობოდა ხოლმე. ის იყო, ცენტრალურ გზაზე უნდა გადაეხვია, რომ მოსახვევში წინ აესვეტა ახალგაზრდა ქალი, უფრო სწორად, ხორცშესხმული ვენერა, რომელთანაც როგორც ჩემი თაობის მძღოლები ხუმრობდნენ ხოლმე, მანქანა თავისთავად, მძღოლის ჩარევის გარეშე ჩერდება. არც ვანო და მისი მანქანა გახლდათ გამონაკლისი. აქედანვე იწყება ტრაგედიაც.*

## უცნობი ქალი და მისი თანამგზავრი

— სოხუმამდე წაგვიყვანთ? — უაქცენტო რუსულით ჰკითხა ქალმა ვანოს და პასუხსაც აღარ დაელოდა, წინა კარი გამოაღო და მოშიშვლებული მკერდი სახეში შეანათა კაცს.

— უფრო შორსაც წაგიყვანთ, თუ ამის უფლებას მომცემთ, — ასევე გამართული რუსულით უპასუხა ვაჟმა და ის იყო, მანქანის დაძვრა დააპირა, რომ ქალმა შეაჩერა.

— იცით, მარტო არა ვარ, ერთი ძველი ნაცნობი მგზავრობს ჩემთან ერთად, თუმცა შესაძლოა გზაში ჩამოგვცილდეს კიდეც, — ქალმა თვალი მაცდურად ჩაუკრა ვანოს და გზის მეორე მხარეს მდგარ ნახშირივით შავ, თითქოს ოჩოფეხებზე აყუდებულ საფრთხობელას ხელი დაუქნია. ვანოს მისი დანახვა ნამდვილად არ გახარებია, მაგრამ დიდად არც სწყენია იმიტომ, რომ მასთან შედარებით თვითონ ნამდვილ აპოლონს ჰგავდა. მართალია, დიდი განათლებით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ მუშაკაცის პირობაზე ნაკითხიც იყო და ენამოსწრებულიც — გორის ავტოშემკეთებელ სახელოსნოში მისული მძღოლებისათვის მანქანების შეკეთება, ძირითადად, საბაბი იყო, რადგან მათ აქ ენაკვიმატი ზეინკლის საუბრები უფრო იზიდავდა.

საფრთხობელა თავისი დიდი ჩანთით უკანა სავარძელზე მოკალათდა, არც მისალმებია ვანოს, შტატიანი დირექტორივით ბრძანა — პაპიროსი და სიგარეტს მოუკიდა.

— მაინც რა უსამართლოა წუთისოფელი, — გაიფიქრა ვანომ და გუნებაში დაასკვნა — ალბათ ასეთები იყვნენო ესმერალდა და კვაზიმოდო. მერე რა, რომ ამას კუზი არა აქვს, სამაგიეროდ, სხვა დანარჩენით ალბათ კვაზიმოდოზე მახინჯია და უეჭველია, სულიც ასეთივე მახინჯი უდგასო. ამაში კი ნამდვილად არ შემცდარა, მაგრამ რაც შეეხება დანარჩენს, უფრო მდედრის გამო მამრის მიმართ ქიშპი განაპირობებდა მის შეხედულებას, თორემ მართალი რომ ვთქვათ, არც მთლად აგრე წყალწაღებული ბრძანდებოდა ქალის თანამგზავრი. თუმცა წყვილს შორის შეუსაბამობა აშკარად თვალში საცემი იყო.

— ტატიანა პალუხინა, შეგიძლიათ ტანია დამიძახოთ. ეს კი ჩემი ახლობელი სტეპანია, ჩვენებურად — სტიოპა, არც ისეთი შავია, როგორი გარეგნობაც აქვს. სოხუმი გვინდა ვნახოთ და მერე სტიოპა უკან დაბრუნდება. მე კი რამდენიმე დღე ზღვაზე დავრჩები. იქნებ ცოტა გავირუჯო, თორემ აქაურებთან შედარებით თეთრი ყვავივით ვარ... — თქვა ტანიამ და ისედაც მოკლე კაბა კიდევ უფრო ზევით აიწია და ვანოს თავისი ჯიშიანი, თეთრი ბარძაყები უჩვენა. კაცს გააჟრჟოლა, თუმცა თავს მოერია და თვითონაც წარუდგა.

— ვანო, იგივე ვანია. ცოლ-შვილი გაგრაში დავაბინავე და უკან, გორში, ვბრუნდები. კარგია, სოხუმამდე ხმის გამცემი რომ მეყოლება თქვენი სახით, მაგრამ ბევრად უფრო გრძელი გზის გავლა მარტოს მომიწევს. რომ წამოხვიდოდეთ, გორში დაგპატიჟებდით. მართალია, ახლა მოდაში აღარაა, მაგრამ სტალინის სახლმუზეუმს დაგათვალიერებინებდით, მანამდე კი ზუგდიდში დადიანების სასახლეს ვნახავდით, მერე ქუთაისში ბაგრატის ტაძარს, თბილისშიც გავისეირნებდით. ასე რომ, თითქმის მთელი საქართველოს გავლა მოგიწევთ. იფიქრეთ ამაზე.

— მაგას რაღა ფიქრი უნდა, წავედით. სტიოპა, შენ რას იზამ, სოხუმში დარჩები თუ...

— მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხა ქალმა თანამგზავრს და სიგარეტი გააბოლა.

— ჯერ სოხუმში ჩავიდეთ, მერე ვნახოთ...

ბინდდებოდა, როცა სოხუმში შევიდნენ. ქალაქი განათებული კი იყო, მაგრამ არც იმდენად, ღამით რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი დათვალიერება. ერთადერთი, რაც მართლა ზღაპრული სანახავი იყო, რეიდზე მდგარი ვეებერთელა გემი „ივან ფრანკო" გახლდათ, რომელიც ერთიანად მოკაშკაშე ნათურების გირლიანდებით იყო განათებული. ვანო ქალს უკვე თავისად თვლიდა და მხოლოდ იმას შიშობდა, სოხუმს თუ ამაღამვე არ გავაცილე, დღისით რომ ნახოს აქაურობა, ვაითუ, აღარ გამომყვესო და ღამის შინაარსიანად გატარების იდეა ოჩამჩირის კემპინგში შესთავაზა; ხოლო როცა ვაგზლის სიახლოვეს სტიოპა მანქანიდან გადავიდა და დაიბარა: თუ ერთ საათში არ მოვედი, შეგიძლიათ წახვიდეთო, ვანო აღტაცებას ველარ მალავდა და ტანიას მომავალი მოგზაურობის მოსალოდნელ სიამოვნებებზე ესაუბრებოდა. კიდევ რამდენიმე წუთიც და ლოდინის ერთი საათიც გასრულდებოდა. ვანო დარწმუნებული იყო, იმ საფრთხობელა სტიოპას მეტად აღარ იხილავდა და ის იყო, მანქანის დაქოქვა დააპირა, რომ სტიოპამ უკანა კარი გამოაღო და ხვნეშა-ხვნეშით მოკალათდა თავის განუყრელ ჩანთასთან ერთად, რომელიც ვანოს ამჯერად უფრო დამძიმებული მოეჩვენა.

— ფული მქონდა ნასესხები აქაური ნაცნობისაგან. სანაცვლოდ, ჩემი პირადი ნივთები დამატოვებინა მაშინ. ახლა გავისტუმრე და... — თავის მართლებასავით გამოუვიდა. ვანოს არ გამოჰპარვია ეს და უფრო დააეჭვა ამ კაცმა.

ბოლოს და ბოლოს, ვინ არის იგი, ამ ანგელოზთან რა აკავშირებს? თუ დამსვენებელია, აქ დაეტიოს, რას დაეხეტება აქეთ-იქით.

— ახლა რა ვქნათ? — ხმამაღლა იკითხა და სტიოპას გახედა.

— წავედით. აქ საქმე აღარაფერი მაქვს. გავისეირნოთ საქართველოში. ბელადის სახლსაც სიამოვნებით ვნახავ. მე ხომ მისი გარდაცვალების დღეს, 1953 წლის 5 მარტს გავჩნდი ამ ქვეყანაზე... — ეს იყო და ეს, ოჩამჩირემდე ხმა აღარ ამოუღია. ის კი არ უთქვამს, რომ ათი წუთის წინ საიუველირო სალონი გაძარცვა და ჩანთაც იქიდან წამოღებული ძვირფასეულობით აავსო; რომ ის, ნიკალაი ნიკალაევიჩ ლაპიკუსი საშიში ბოროტმოქმედია და ამ წუთებშიც მთელი საბჭოთა კავშირის მილიცია და უშიშროების ორგანოები ეძებდნენ; რომ ქვეყნის გენერალურმა პროკურორმა რეკუნკოვმა ჯერ კიდევ გასულ წელს მოაწერა ხელი განკარგულებას, რომელშიც სიტყვასიტყვით იკითხებოდა: „დაკავებისას, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, ნებადართულია მისი ადგილზევე ლიკვიდაცია." ამას მოგვიანებით გაარკვევენ ჩვენი სამართალდამცველები. მანამდე კი ნიკალაი ნიკალაევიჩს ისევ სტიოპად მოვიხსენიებთ, რადგან ასე მიმართავს მას მშვენიერი ტანია, რომელიც მისი საყვარელი და თანამზრახველია ყველა შავბნელ საქმეში და ახლა ძალზე გახარებულია იმით, რომ სტიოპას ასე იოლად გამოუვიდა ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ ჩაფიქრებული სოხუმის საიუველირო სალონის გაძარცვა. დღემდე მხოლოდ იმის გამო ვერ გააკეთეს ეს საქმე, რომ ტრანსპორტი ვერ იშოვეს. რომ არა შემთხვევით გადაყრილი ვანო, ხელმოჭრილებივით იქნებოდნენ.

ახლა კი, როცა მანქანიანი და ამასთან, ტანიას დანახვით თავბრუდახვეული მძღოლი ჰყავდათ იმედად, სტიოპასაც გული მიეცა, მით უმეტეს, რომ წინასწარ შესწავლილი სიგნალიზაციის გათიშვა მისთვის ძნელი სულაც არ იყო. სტიოპა ამ საქმის დიდოსტატი გახლდათ და აგერ, მის ჩანთაში, ახლა ოცდაშვიდი ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასეულობა დევს (ამასაც მერე იანგარიშებენ სოხუმელი იუველირები) და, მაშასადამე, გაგრიალებაც შეიძლება. თანაც შენი არაფერი იხარჯება. ეს ხბოსავით მიამიტი ტიპი კისრულობს ყველაფერს.

ოჩამჩირის კემპინგში მხოლოდ მანქანის დასაყენებელი ადგილი იშოვეს, ისე გადაჭედილი იყო იქაურობა, ღამის გასათევი ოთახი არც უკითხავთ. ტანიამ დაიჟინა — რა მოხდა მერე, მანქანაშიც შესანიშნავად გამოვიძინებთ, მანამდე კი ვივახშმოთ და გავერთოთო. დილამდე იცეკვეს ვანომ და ტანიამ. შესანიშნავი წყვილი გამოვიდა: ათლეტური აღნაგობის ვაჟი და ჰაეროვანი, მაგრამ მკერდსავსე ქალი, რომლის ერთი გაღიმებაც კმაროდა, ნებისმიერი მამაკაცი რომ მოენადირებინა. ასე რომ, ვანოს არ გაემტყუნებოდა ამ მშვენიერებისაკენ ლტოლვა. ვანომ არც იცოდა და აღარც აინტერესებდა ქალის ვინაობა, მთავარი ის იყო, რომ წყვილებით სავსე დისკოთეკაზე მასზე ლამაზი მეწყვილე ერთსაც არ ახლდა და ამის გამო უზომოდ ბედნიერი იყო. გამოადგა ვანოს ჯარში სამსახურის დროს „ტანცებზე" მიღებული გაკვეთილები და რუსული ენის ცოდნაც, რომელსაც ისევ სამხედრო სამსახურს უმადლოდა.

მხოლოდ მაშინ გაიღვიძეს, როცა მზემ შეაწუხა მანქანაში მძინარე სამეული. თერთმეტი საათი გამხდარიყო. იქვე, კაფეში, სახელდახელოდ წაიხემსეს და გზას გაუდგნენ, მაგრამ წუხანდელის შემდეგ ვანოს თავი უბრუოდა. დიდი მსმელი არასოდეს ყოფილა და ეტყობა, ზედმეტი მოუვიდა. საცეკვაო ანტრაქტებში, როცა ის და ტანია დროდადრო სუფრას უბრუნდებოდნენ (რომელთანაც ფეხმოუცვლელად იჯდა საფრთხობელა სტიოპა), ვანო იძულებული იყო, მასპინძლის შესაფერისი კუდ-



მაკრატელა სადღეგრძელოები წარმოეთქვა და სასმისიც გამოეცალა. მართალია, დათვრა, მაგრამ არც სტიოპა იყო კარგ დღეში და ვანომ გადაწყვიტა, სიცოცხლეში პირველად, სმაში გასჯიბრებოდა და ისე დაეთრო მურმანის ეკალივით ამოსული ეს მეცამეტე გოჭი, რომ ქალთან უშიშრად დაწოლილიყო. სხვა აღარაფერი უნდოდა, — ეს ქალი მასში დაუოკებელ ვნებას აღვიძებდა.

ის იყო, ილორს გამოსცდნენ და ენგურის ხიდამდეც მხოლოდ რამდენიმე კილომეტრიღა რჩებოდა, რომ მილიციელებმა გააჩერეს და რატომღაც დაიჟინეს, უნდა გაგჩხრიკოთო. ვანოს გაუხარდა კიდეც, რაკი წუხანდელი ნაბახუსევი ჭიქაში არ ჩამასუნთქეს, რამდენიც უნდათ, იმდენი მჩხრიკონ, რას აღმოაჩენენო. სამაგიეროდ, ჩხრეკის გაგონებაზე ტანია სტიოპას ჩანთას ეცა — აქ ჩემი თეთრეული და კოსმეტიკაა. იმედია, აფხაზი რაინდები ქალის ნივთებში ქექვას არ იკადრებენო და ისე აუჟუჟუნა თვალები მილიციელებს, აშკარად შეეტყოთ, ვენერას რომ ებრძანებინა, ენგურშიაც სიამოვნებით გადახტებოდნენ.

— გაატარეთ, — ჩაილაპარაკა მილიციელთა შორის წოდებით უფროსმა და ტანიამაც შვებით ამოისუნთქა.

სენაკის გამოსასვლელში, ნოსირის გზისპირა სასადილოსთან რომ გაჩერდნენ, შუადღე უკვე გადასული იყო.

— დავლიოთ? — სტიოპამ თვალებში ჩახედა ვანოს.

— ჯერ არა, ავტოინსპექციის მეშინია. აი, ზესტაფონს რომ გავცდებით, მერე რამდენიც გინდა, იმდენი დავლიოთ. ახლა თუ გინდა, შენ დალიე, მე გპატიჟებ.

— არა. მარტო დალევას ჩვეული არა ვარ. საღამომდე გავძლებ... — მიუგო და ინდაურის ბარკალი დაითრია. სადილი ჩვეულებრივზე დიდხანს გაგრძელდა. კაცები არ სვამდნენ, მაგრამ ტანიამ ხან ჩაი მოითხოვა, ხანაც — ყავა და საცოდავმა მიმტანმა ქალმა მეზობლებში ირბინა ერთი კოვზი ყავა რომ ეშოვა (მაშინ არავის მოსდიოდა აზრად, სასადილო ღვინო-არყის გარდა, ამგვარი სასმელებითაც მოემარაგებინა).

ღამდებოდა. აბაშა-სამტრედიის საზღვარზე, სოფელ მარანს რომ გამოსცდნენ, სტიოპამ მოიმიზეზა — ეტყობა, სასადილოში რაღაცამ მომწამლა და ჰაერზე უნდა გავიარო, თქვენ აქ დამელოდეთო. ჩანთა აიღო და სიბნელეს მისცა თავი. ვანო არაფერზე დაეჭვებულა. გაუხარდა კიდეც, რაკი ტანიასთან თუნდაც რამდენიმე წუთით მარტო დარჩენის საშუალება მისცეს. მანქანა გზის გვერდულზე გადააყენა და ქალისკენ დაიხარა.

— ნუ ჩქარობ. ვახშამზე სტიოპა დათვრება და მეც უფრო გავთამამდები. მართალია, მას ანგარიშს არ ვაბარებ, მაგრამ ხომ იცი, მაინც მამაკაცია. მამაკაცები კი ასეთ დროს ზედმეტად ეჭვიანები ხართ, მიუხედავად იმისა, გაქვთ თუ არა ამის საფუძველი.

— ვინაა? რას აგკიდებია? რა საერთო აქვს შენთან? რატომ ვერ ხვდება, რომ შენი შესაფერისი არაა? — ერთბაშად მიაყარა ვანომ.

— ჩემებურია. გუშინ შემთხვევით გადავეყარე გაგრაში და აღმოჩნდა, რომ ორივენი სოხუმში ვაპირებდით გამგზავრებას. ეს იყო და ეს. მერე შენ გამოჩნდი და აქეთ დაგვპატიჟე. შეგეძლო არ წამოგეყვანა, მაგრამ ახლა უხერხულია, ერთბაშად რომ მოვისროლოთ. მალე თვითონ მიხვდება და ჩამოგვშორდება. ოღონდ მაგრად დაათვრე.

— ეგ იოლია... — თავდაჯერებით თქვა ვანომ. მისი ვარაუდით სანეტარო წუთებამდე რამდენიმე საათი რჩებოდა.

ამასობაში სტიოპამ, ვიდრე დაბინდდებოდა, გარემო გულდასმით დაზვერა. კარგად დაიმახსოვრა საგზაო ფირნიშის გადახაზული წარწერა — „მარანი", რაც ამ სოფლის დასასრულს ნიშნავდა. მანქანა გააჩერებინა, ცოტას გავივლიო და ლელიანში შერგო თავი. გზის მარჯვნივ, ჭალის გასწვრივ, ორი მდინარე — რიონი და ცხენისწყალი ერთვოდა ერთმანეთს. ჭალაში ერთი თუთის ხე იდგა ობლად. სწორედ ის ამოირჩია რატომღაც სტიოპამ. იქაურობა ერთხელ კიდევ მოათვალიერა და როცა დარწმუნდა, ვერავინ მხედავსო, ჩანთიდან მოგრძო მაკრატელი დააძრო და ხის ქვეშ ორმოს თხრას შეუდგა. დიდხანს ჩიჩქნიდა მიწას. კარგა ღრმა ორმო ამოთხარა, მერე ჩანთიდან მოზრდილი, მძიმე პარკი ამოიღო, რომელიც საიუველირო სალონიდან მოპარული ძვირფასეულობით იყო სავსე და ორმოში უკრა თავი. მიწაც მიაყარა, დატკეპნა, მერე ზემოდან ბალახები წააყარა, მდინარეში ხელები დაიბანა და მანქანაში დაბრუნდა.

— იღბალი არა მაქვს. აკი თქვენც იგივე საჭმელი ჭამეთ, რაღა მაინცდამაინც მე მოვიწამლეო, — წაიბურტყუნა, ჩანთა თავთან ამოიდო და ჩაიძინა.

— ტანია, წინასწარ გაფრთხილებ, ამ მხარეში გასართობი ადგილები, „ტანცები" არაა. აი, თბილისში რომ ჩავალთ, იქ რამდენიც გინდა.

— არაა და არც მინდა მაგნაირი რესტორანი, სჯობს პიკნიკი მოვაწყოთ ღია ცის ქვეშ. მგონი ასე აჯობებს, არა?

— კი, რა თქმა უნდა, ცოტა ხანში მთვარეც ამოვა და...

ზესტაფონში ბლომად ღვინო და არაყი იყიდა ვანომ, საჭმელიც აიღო და რაკი ავტოინსპექციის ვაჭევის საგუშაგოს გასცდა, თავი სამშვიდობოს დაიგულა. კიდევ ცოტაც და სოფელ ილემის აღმართს შეუყვა მისი მანქანა. ასე აჯობებსო — იფიქრა. ცენტრალური გზიდან მოშორებით ამ დროს ალბათ გამვლელიც აღარ იქნება და გემრიელად მოვილხენთო.

ტატიანამ ჩანთიდან დიდი, ყვავილებით მორთული თავსაფარი დააძრო და სუფრის მაგივრად დააფინა გზისპირა მდელოზე. წამში სახელდახელო პურმარილიც გაიშალა და ჭიქებიც ბოლომდე შეივსო. ყველაფრიდან ჩანდა, სტიოპას ტანია სულაც არ ანაღვლებდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა ვანო და ჭიქას ჭიქაზე ავსებდა. შეისვა ძმობისა და მეგობრობის, სამშობლოსა და ქვეყნის, ქალისა და სიყვარულის სადღეგრძელოები. ტანიამ სტიოპასგან მალულად ისიც ანიშნა ვანოს, შენ ნაკლები დალიეო, რადგან მასაც არანაკლები ვნება წაჰკიდებოდა ამ აპოლონივით ჩამოსხმული ვაჟკაცის შემყურეს. დიდ ცოდვადაც არ ჩაეთვლებოდა საყვარლის ღალატი, მით უმეტეს, ეს არც პირველი იყო და მომავალშიც ასე გაგრძელდებოდა. ასეთი იყო პირობა. სტიოპაც შეგუებული იყო ამ აზრს და ვიდრე ტვინი არ შეუხურდა, პროტესტის გრძნობაც არ გასჩენია. მაგრამ რაც უფრო მოეკიდა სასმელი, მით უფრო გაუმძაფრდა მამაკაცური თავმოყვარეობა და ვანოს მარცხენა ხელი ტანიას მორღვეულ დეკოლტეში ჩაცურებული რომ დაინახა, ერთბაშად აენთო და ზეწამოიჭრა.

— შენ, ეი, გრუზინ! ამ ქალს ხელი გაუშვი, თორემ აქვე სულს გაგაფრთხობინებ. ეგ ქალი ჩემია და სულაც არ ვაპირებ ვინმეს დავუთმო.

სიბნელეში არ ჩანდა, როგორ ამღვრეოდა თვალები საფრთხობელას. ვანოს მისი მუქარა არ ესიამოვნა, თორემ შიშით ნამდვილად არ შეშინებია. ამასთან, ჩხუბს არ აპირებდა, თორემ ამისთანას ორ-სამს მიბეგვავდა ერთდროულად, — ლადნო, ლადნოო, უთხრა, ქალს ხელი შეუშვა და მორიგი სადღეგრძელო წამოიწყო.

— რა გაახურე, შენი არც საყვარელი ვარ და არც საქონელი. ვინ გეკითხება ჩემს საქმეში რომ ერევი, მგონი შენთვის დახმარებაც არ მითხოვია! მოკეტე და შენს ტყავში დაეტიე, გესმის? — სტიოპას შეუღრინა ტანიამ. ვანოს ხელს დასწვდა და პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნა... საკუთარ უბეში.

— გასაგებია, გასაგები... ქალს თუ კაცი უნდა, რას გააწყობ, მე განზე გავდივარ, — სინანულით ამოთქვა სტიოპამ, წამოდგა და ბანცალით გაშორდა იქაურობას — თითქოს ამას ელოდებოდაო, ქალმა ორივე ხელით თავი დაუჭირა ვაჟს და მის ბაგეს დაეკონა. დიდხანს არ გაგრძელებულა ქალ-ვაჟის ერთმანეთით ტკბობა, ორიოდე წუთის შემდეგ სტიოპა უკან დაბრუნდა... დიდი, ბრტყელი ქვით ხელში. არც ვანოს, არც ტანიას მისი მოახლოება არ შეუნიშნავთ. სტიოპამ დინჯად, მოზომილად შემართა ორივე ხელი და ქვა მთელი ძალით დაუშვა საბრალო ვანოს თავზე. ტანიაც აიძულა იგივე გაემეორებინა არაერთგზის. მერე მიცვალებულს შარვალი გახადა და თვითონ ჩაიცვა. გულშეღონებულ ქალს, რომელიც ამას ნამდვილად არ მოელოდა, ხელი ჩასჭიდა და თავდაღმართს დაუყვა.

P.S. მეორე დილით სოფლიდან ქალაქისკენ მიმავალმა გლეხებმა შენიშნეს კარებღია „ჟიგული" და იქვე გაშოტილი ახალგაზრდა მამაკაცის გვამი. საქმეში მილიცია ჩაერთო.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

**დინჯად, მოზომილად შემართა ორივე ხელი და ქვა მთელი ძალით დაუშვა საბრალოს თავზე. მერე მიცვალებულს შარვალი გახადა და თვითონ ჩაიცვა. გულშეღონებულ ქალს, რომელიც ამას ნამდვილად არ მოელოდა, ხელი ჩასჭიდა და თავდაღმართს დაუყვა.**

***ვაჟა გავაშელი***

# „ემეუქრებოდნენ და ბოლოს თვითონ დარჩნენ შეშინებულები...“

## „გამაჩნია ვიდეომასალა, რომელიც ნადარეიშვილს ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებაში ამხელს“


ფოტო, რომელიც ჯონდი ბალათურიამ მოგვაწოდა

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი „აღორძინების“ პარტიის თბილისის ბიუროს პოლიტიკურ მდივანს ჯონდი ბალათურიას სასამართლოში უჩივის და ცილისწამებისთვის კომპენსაციის სახით 600 ათას ლარს სთხოვს. საქმე ეხება ბალათურიას მიერ გაკეთებულ სკანდალურ განცხადებებს, რომელიც თამაზ ნადარეიშვილს კორუფციაში, უკანონო ბიზნესსა და სამშობლოს ღალატში ადანაშაულებს. თავის მხრივ, ყოფილი ედპ-ელი და „აღორძინებაში“ არცთუ დიდი ხნის წინ გადაბარგებული ჯონდი ბალათურია გადაჭრით ამბობს, რომ მას აქვს უამრავი დოკუმენტური და ვიდეომასალა, რომელიც ნადარეიშვილის ბრალეულობას არგუმენტებით და ფაქტებით ამტკიცებს. სხვათა შორის, მანვე გადმოგვცა ნადარეიშვილის საცხოვრებელი სახლის ფოტო. გარდა ამისა, გვაჩვენა ნადარეიშვილისავე ახალი, მშენებარე სახლის სურათი. მეორე მხრივ, **ჯონდი ბალათურია** უახლოეს მომავალში საპასუხო სარჩელის შეტანას აპირებს 6 მლნ ლარის მოთხოვნით... ასე რომ, პროცესი მალე განახლდება და ის საკმაოდ სკანდალური იქნება. ისე კი, საინტერესოა, ვის შეხვდება ფულადი კომპენსაცია და რომელი მხარე აიშენებს ახალ, დიდებულ სასახლეს.

გთავაზობთ ნადარეიშვილის წინააღმდეგ ბალათურიას მიერ წარმოდგენილი კომპრო-

რომელიც ყვავის საქართველოში, აფხაზეთში ქართული იურისდიქციის არარსებობის გამო. ეს არის ნარკობიზნესი, იარაღის, ჯართის, ასევე კონტრაბანდული და სხვა, რომელშიც მონაწილეობენ ცენტრალური და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურები. არასოდეს მიფიქრია ჩემი ოპონენტების სახლების თუ მანქანების დათვლა, მაგრამ ნადარეიშვილის შემთხვევაში, სხვა სიბრტყეში წამოტივტივდა მისი სახლების საკითხი. თუკი ადამიანი ფიქრობს აფხაზეთში დაბრუნებას, მაშინ თბილისში ფეშენებელური სასახლეების შენებას არ წამოიწყებს. კანონიერი შემოსავალიც რომ ჰქონდეს, მას არა აქვს ასე კომფორტულად ცხოვრების მორალური უფლება.

**— ბატონო ჯონდი, უფრო კონკრეტულად რა შეგიძლიათ თქვათ, ანუ რით ამტკიცებთ ამ ყველაფერს?**

— მინდა ზოგიერთი დოკუმენტი სასამართლოზე მისთვის მოულოდნელი იყოს. მაქვს ოფიციალური საბუთები, რისი მეშვეობითაც მტკიცდება, რომ კერძო ბიზნესისთვის გამოყენებულია თანხები აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ბიუჯეტიდან. დამეთ-

მატების ნაწილს, რომლის დოკუმენტურ გამო-ანხმებით, რომ ეს ბიუჯეტი უნდა ემსახურე-
ქვეყნებას „აღორძინების“ თბილისის ბიუროსბოდეს დევნილთა უკიდურესად გაჭირვებუ-
პოლიტიკური მდივანი სასამართლოზელი ყოფის შემსუბუქებას, მაგრამ როგორ
აპირებს. სხვათა შორის, ბალათურიამ ისიცმოხერხდება ეს, როცა თანხები არამიზნო-
გაგვიმხილა, რომ მის მიერ მოპოვებულ დან-ბრივად არის დახარჯული?! ზოგიერთი
აშაულებრივ დოკუმენტებში პრეზიდენტის რე-უკანონო ოპერაცია ხორციელდებოდა აფხ-
ზოლუციაც ფიგურირებს და, შესაბამისად,აზეთის უზენაესი საბჭოს, ზოგიც — მინის-
ის სასამართლოზე ედუარდ შევარდნაძისტრთა საბჭოს დადგენილებით.
მოწმედ დაკითხვას მოითხოვს.

**— ბატონო ჯონდი, თქვენ თამაზ ნადარეიშვილს უკანონო ქმედებებში ადანაშაულებთ, რის გამოც სასამართლოში გიჩივლათ და ცილისწამებისთვის კომპენსაციის სახით 600 ათას ლარს ითხოვს. გაქვთ კი არგუმენტები, რისი საშუალებითაც შეძლებთ სასამართლო პროცესის მოგებას?**

— ვთქვი და ვიმეორებ, რომ ნადარეიშვილი და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სხვა პირები არიან კორუმპირებულები. ნადარეიშვილი არის ანტისახელმწიფოებრივი ელემენტი და არაერთი ნაბიჯი აქვს გადადგმული სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ. მე დავამტკიცებ, რომ მისი ქმედებები ეწინააღმდეგებოდა აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენას. ასევე მაქვს ინფორმაციები მის უკანონო შემოსავლებზე, რომელიც, ბუნებრივია, მოდის უკანონო ბიზნესიდან ან ფინანსური მაქინაციებიდან, იმ ბიზნესზე,

**— ეს კონკრეტულად რომელ წლებს ეხება და რა თანხებზეა ლაპარაკი?**

— ეს ხდებოდა წლების განმავლობაში და საკმაოდ დიდ თანხებზეა ლაპარაკი. ერთ-ერთი ფრაგმენტი, მაგალითად, ნახევარ მილიონამდეა. ჩემს ხელთ არსებული მასალები კი ორმოცამდე ფრაგმენტს მოიცავს. ყოველი მათგანი შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს.

**— რა კერძო ბიზნესში იდებოდა ეს თანხები?**

— მაგალითად, თქვენი ერთ ლარად შეფასებული ნივთი სამ ლარად რომ იყიდოს ბიუჯეტმა, ეს არ არის უკანონო ბიზნესი?!

**— 40-მდე ფრაგმენტი არისო. ნაწილი მაინც გაშიფრეთ...**

— კარგი. მაგალითად, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირის მფლობელობაში არსებული ძალიან იაფად შეძენილი მანქანა ბიუჯეტმა საარაკოდ ძვირად შეისყიდა. ასეთი ფრაგმენტი არაერთია. დავუშვათ, მანქანა ღირს 25 ათასი, ხოლო დაფიქსირებულია 75 ათასი. აი, ასეთი სხვაობაა. თან გაითვალისწინეთ, რომ თანამდებობის პირს არა აქვს უფლება თავისი ნივთი ბიუჯეტს შეასყიდვინოს და ბიზნესი გააკეთოს...

**— კიდევ რა გაქვთ?**

— ძალიან დიდ პატივს ვცემ თქვენს გაზეთს, როგორც ყველაზე ობიექტურ და პროფესიონალურს, მაგრამ გაითვალისწინეთ ჩემი ინტერესი. ეს არის ჩემი ტაქტიკა — არ მინდა მოვამზადო ჩემი ოპონენტი, რომელიც ამ შემთხვევაში, მხოლოდ ნადარეიშვილი არ გახლავთ. დღეს ნადარეიშვილი ასრულებს პრეზიდენტ შევარდნაძის დავალებას, მისი ასეთი გააქტიურება და სასამართლოს საეჭვო მოქმედება (არ შემატყობინეს და ჩემ გარეშე ჩაატარეს სასამართლო პროცესი) შემთხვევითი არ არის.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*






# რა მოაქვს საქართველოსთვის „იეღოვას მოწმეების“ სექტას



## ვიფხიზლოთ, მართლმადიდებელნო!

**ბევრი გვესმის ამ მოძალებული სექტის და მისი მიმდევრების შესახებ... აქედან გამომდინარე, თქვენი ინტერესიც დიდია — ვინ არიან, რას ქადაგებენ, რით გვემუქრება ეს მწვალებლობა. გთავაზობთ ამონარიდს ბროშურიდან, რომელიც მომზადდა წუღრუღაშენის მონასტრის წინამძღვრის, მამა მიქაელის (დვალიშვილი) მიერ არქიმანდრიტ რაფაელ კარელინის ნაშრომზე დაყრდნობით და დაიბეჭდა ბოლნის-დმანისის ეპისკოპოსის, მეუფე თადეოზ (იორამაშვილის) ლოცვა-კურთხევით.**

**მთელ რიგ რაიონებში, სადაც მძლავრობს იეღოვას მოწმეთა სექტები, გაიგზავნა სრული ტექსტი — ბროშურა, რომლის გარეკანსაც აქ ხედავთ, „კვირის პალიტრის“ ამ ნომერში ჩაიდო...**

**სამწუხაროდ, ბროშურის სრული ტირაჟი (30.000 ცალი) გაზეთის ყველა მკითხველს არ გასწვდა. ამიტომ შემოგთავაზეთ ძირითადი ამონაკრები..**



მრავალ გიორგობას დაგასწროთ უფალმა ღვთისა და ერის სამსახურში, თქვენი ოჯახების კეთილდღეობით

### რით გვემუქრება იეღოველობა ადამიანებს?

იეღოველები თავიანთი ცრუსწავლების გასავრცელებლად ასწავლიან ამქვეყნიურ ცხოვრებაზე და არა — ზეციურზე. ქადაგებენ ქვეყნიურ სუფევას და არა — ცათა სასუფეველს, ათეისტურ სახელმწიფოში აღზრდილი ადამიანები, რომელთაც დათრგუნვილი აქვთ სულიერება და რელიგიური გრძნობები, უფრო ადვილად იღებენ სწავლებას ამქვეყნიური ბედნიერი ცხოვრების შესახებ, რომელშიც ვითომც უხვად იქნება სარჩო-საბადებელიცა და ყველანაირი შვება-სიამეც. იეღოველები მოხერხებულად იყენებენ ადამიანთა მწუხარებას ახლობელთა სიკვდილის გამო და ჰპირდებიან — იეღოვა ხელახლა შექმნის მათ, ამქვეყნად დააბრუნებს და თქვენ კვლავ შეხვდებითო ერთმანეთს. და განა მოინახება ქვეყნად ისეთი შვილმკვდარი დედა, ვინც არ მოისურვებდა კვლავ ენახა თავისი შვილი, იმგვარივე, როგორიც ის ხორციელად მოჰკვდომია, დაბრუნებული ამქვეყნად იმისათვის, რომ ოჯახს მოეკიდოს, შვილები შვას?

— იეღოველობა მახვილივით არის მიმართული გულის-გულისკენ ქრისტიანობისა. ჩვენი რწმენის საფუძველი, ჩვენი იმედი და სასოება იმაში მდგომარეობს, რომ იესო ქრისტე ღმერთია, რომელმაც ადამიანური სხეული მიიღო, განკაცდა, რათა გამოესყიდა, ეხსნა კაცობრიობა. ხოლო იეღოველები ასწავლიან, რომ ჩვენი მხსნელი იესო ქრისტე ღმერთი კი არ არის, არამედ უმაღლესი ანგელოზია. იეღოველები სიტყვიერ ხრიკებს მიმართავენ, რომელთა მიზანიც ერთია: დაარწმუნონ ადამიანები იმაში, რომ იესო ქრისტე არ არის თანასწორი და ერთარსი თავისი ღვთაებრივი მამისა და ამიტომ თითქოს მისი ჯვარცმა არ ყოფილა სრულყოფილი მსხვერპლი გაღებული კაცობრიობის ცოდვათა გამოსასყიდად.

ჩვენ იესო ქრისტე გვწამს, როგორ ჭეშმარიტი ღმერთი და მხსნელი.

იეღოველები უარყოფენ ეკლესიას, მიუხედავად იმისა, რომ თვით ქრისტე გვიმოწმებს მის არსებობას და აუცილებლობას: „...ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მათე 16.18). ხოლო იეღოველებს არათუ მიაჩნიათ, რომ ეკლესია უკვე დამარცხებულია ჯოჯოხეთის მიერ, არამედ „ბაბილონის მეძავადაც“ აცხადებენ მას. ამგვარი გმობა, აქამდე არნახული და წარმოუდგენელი, მხოლოდ ეშმაკეულის საქციელია.

იეღოველები უარყოფენ ქრისტეს ეკლესიის უმთავრეს დოგმატს — ყოვლადწმინდა სამებას და საღმრთო პირთა — მამის, ძის და სულიწმინდის თანასწორობასა და ერთარსობას.

საქართველოში ძველთაგანვე განსაკუთრებული მოწონებით ეთაყვანებოდნენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს — ივერია ხომ მისი წილხვედრი ქვეყანაა. ცნობები ამის შესახებ სხვა ხალხების მატიანეებშიც გვხვდება. იეღოველებს კი ამ სიწმინდეზეც — ყოვლადწმინდა ღვთისმშობელზე — მარადის ქალწულ მარიამზეც აღუმართავთ ხელი. ისინი ცრუდ ამტკიცებენ, რომ მას შემდეგ, რაც იესო ქრისტე იშვა სულიწმინდისგან, ღვთისმშობელს თითქოს სხვა შვილებიც ეყოლა იოსებ დამწინდველისგან. სინამდვილეში კი ისინი, ვისაც სახარებაში იესოს ძმანი ეწოდებათ, იოსებ დამწინდველის შვილები არიან მისი პირველი ქორწინებიდან. იუდეველი ხალხისა და ასევე ბევრი სხვა ძველი ხალხის კანონებით, ასეთი ნათესაობა სისხლისმიერ დაძმობას უთანაბრდებოდა...

იეღოველები უარყოფენ წმინდა ხატებს, მათ თაყვანისცემას და ამტკიცებენ, ხატები კერპებიაო. მაგრამ როგორც ვიცით, ქერუბიმთა გამოსახულებანი — ეს პირველი ხატები — სჯულის კიდობნის თავზე ჰქონდათ გამოსახული ძველ იუდეველებს. ისინი ძველი აღთქმის კრეტსაბმელზეც იყო ამოქარგული წმიდათაწმიდაში — საკურთხეველში. იმისათვის, რომ გვერდი აუქციონ თავისთვის უსიამო ფაქტს, — ბიბლიის მოწმობას, იეღოველები ამბობენ, რომ თითქოს ეს მხოლოდ ნახატები იყო ხალხისთვის, აწინდელი მათი ილუსტრირებული წიგნების მსგავსი. მაგრამ წმიდათაწმიდაში — ძველი აღთქმის საკურთხეველში შესვლა მხოლოდ მღვდელმთავარს შეეძლო და ისიც წელიწადში ერთხელ... კვალად, იეღოველები უარყოფენ გარდაცვლილთა მკვდრეთით აღდგომასაც და ამბობენ, რომ ღმერთი, რომელსაც დამახსოვრებული ჰყავს თითოეული ადამიანი, მეორედ შექმნის მათ.

იეღოველები უარყოფენ მღვდლობასაც, თუმცა კი ცნობილია, რომ თვით უფლის წმინდა მოციქულნი ასხამდნენ ხელს და აკურთხებდნენ ეპისკოპოსებს, მღვდლებსა და დიაკვნებს ახალი აღთქმის ეკლესიისთვის.

იეღოველები უარყოფენ საეკლესიო წეს-ჩვეულებებსაც. მაგალითად, სანთლებისა და კანდელების დანთებას. და ეს მაშინ, როცა ცეცხლი აქ თაყვანისცემის საგანი კი არ არის, არამედ მხოლოდ სიმბოლოა, რათა ღვთაებრივი მადლი — სანთლისა თუ კანდელის ნათელივით გვინათებდეს ცხოვრების გზაზე.

იეღოველებს სძაგთ ჯვარი და იმისათვის, რომ მისი ხსოვნაც კი მოესპოთ, ისინი „თალმუდს“ დაესესხნენ ცნობას მასზედ, თითქოს იესო ქრისტე ბოძს მიამსჭვალეს და არა — ჯვარს.

თავის შვილებს ჯვრით ლოცავდა ყოველი ქრისტიანი დედა: ჯვრებით აცისკროვნებდნენ ჩვენი მამა-პაპების საფლავებს; ჯვრებს აღმართავდა ხალხი მთებსა და მიუდგომელ კლდეებზე, რითაც ღმერთს მიუძღვანებდა თავის მიწა-წყალს. ჯვრის გამოსახულებები ძველი აღთქმის ეკლესიაშიც იყო; მაგალითად, სწორედ ჯვრის გამოსახულება გააკეთებინა მოსემ, როცა აღმართულ ბოძზე სპილენძის გველი მიაკვრევინა და ხალხს უთხრა, გველი რომ დაგგესლავთ, რწმენით შეხედეთ ამ გამოსახულებას — ჯვარს — და ღმერთი სიკვდილისგან დაგიხსნითო, და ამის შემდეგ, მართლაც, ყველა დაგესლილი ცოცხალი რჩებოდა. ჯვარი უფლისა ის ძალაა, რომლითაც იესო ქრისტემ ჯოჯოხეთს სძლია; ამიტომაც სატანას — ბოროტ სულს — სძულს ჯვარი და ყველა მანქანებითა და მზაკვარებით ებრძვის მას თავისი მსახურების — იეღოველი მწვალებლების მეშვეობით.

### რას ქადაგებენ იეღოველები

იეღოველები ქადაგებენ იმას, რაც ყველაზე მეტად აინტერესებს და იტაცებს ადამიანს, ანუ ქვეყნის დასასრულის საშინელ ამბებს. იეღოველებმა წარსულში რამდენჯერმე დათქვეს ქვეყნის დასასრულის „ზუსტი“ თარიღი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ მომხდარა. ამას სულაც არ შეუცბუნებია ისინი, ყოველთვის გამონახავდნენ ხოლმე თავიანთი შეცდომის „გამამართლებელ მიზეზს“.

იეღოველების ქადაგებებში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი მსოფლიო ბრძოლის აღწერას — ე.წ. „არმაგედონს“, ანუ ხოცვა-ჟლეტას, რომელშიც მთელი კაცობრიობა უნდა მოისპოს, რა თქმა უნდა, იეღოველების გამოკლებით. თუმცა კი ახალ აღთქმაში სულ სხვა მოვლენებზეა ლაპარაკი — ქრისტეს მეორედ მოსვლისა და ქვეყნის დასასრულის წინ ანტიქრისტეს გამოჩენაზე, რომელიც ცრუმოძღვარი და ტირანი იქნება: იეღოველები უარყოფენ ეკლესიის სწავლებას ანტიქრისტეზე, რომელიც შეეცდება წინ აღუდგეს ქრისტეს. თუკი ჩვენ არ გვეცოდინება ჭეშმარიტი სწავლება ანტიქრისტეზე, მაშინ მისი გამოჩენა მოულოდნელი იქნება ჩვენთვის და მისი ცრუ, მოჩვენებითი სასწაულებით შეგვაცდენს, მათ ჩვენ ჭეშმარიტ, ღვთაებრივ სასწაულებად მივიჩნევთ...

კვალად, იეღოველები უარყოფენ იესო ქრისტეს სხეულებრივ მკვდრეთით აღდგომას. მათი შეხედულებით, მისი სხეული ან კვლავაც სადღაც მიწისქვეშა მღვიმეში დევს, ანდა ჰაერს განზავებია და სრულიად გამქრალა. იეღოველებისათვის არ არსებობს პასექის — ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული და ამ ლოგიკით ისინი არც კვირას (უფლის დღეს) აღნიშნავენ.

იეღოველებს მხოლოდ ერთი დღესასწაული აქვთ — ქრისტეს ვნების — „ძელზე გამოკიდების“ მოხსენიება, რომლის დროსაც გამოაქვთ წითელი ღვინო და პური. ამ „ტრაპეზში“ მხოლოდ ისინი მონაწილეობენ იეღოველთაგან, რომელთაც იეღოვას „რჩეულებად“ მოაქვთ თავი, სხვანი — „რიგითნი“ ამ დროს დუმილით ადევნებენ თვალს ამ სცენას. ლოცვითი შეკრებების დროს იეღოველების უფროსი ხმამაღლა კითხულობს იმპროვიზებულ ლოცვას, სხვები კი მხოლოდ უსმენენ.

იეღოველთა ყოველი წევრი ვალდებულია რამდენიმე ადამიანი მაინც მიიყვანოს სექტაში. უმთავრესი საზრუნავი იეღოველებისა არის ბიბლიის შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება, სემინარების მოწყობა, ასევე ახალ მქადაგებელთა მომზადება, რა თქმა უნდა, ბიბლიის ახსნა-განმარტება ხდება იეღოველების პოზიციებიდან, ბრუკლინის ცენტრიდან გამოგზავნილი გეგმებისა და სქემების მიხედვით.

### როგორ აღვუდგეთ წინ იეღოველთა სწავლებას

პირველ ყოვლისა, საჭიროა სახარებისა და საეკლესიო წიგნების შესწავლა სულიერი მოძღვრის ხელმძღვანელობით; ცხოვრების ქრისტიანული წესისა და რიტმის დამკვიდრება ყოველ ოჯახში, მონაწილეობა საეკლესიო საიდუმლოებებში, უმთავრესად — სინანულისა (აღსარება) და ზიარების საიდუმლოებებში.

უმთავრესი კი ის არის, რომ ყოველ სოფელში, დაბასა თუ უბანში აღდგეს, აშენდეს და ამოქმედდეს ეკლესია-ტაძრები, სამლოცველოები. ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას ძალა შესწევს ნებისმიერი ადამიანის სულიერი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, ყოველი ადამიანის სულიერი წყურვილი დაარწყულოს, როგორც დიდი, წყალუხვი მდინარე დაარწყულებს ყველას, ვინც კი მის ნაპირთან მიდის.

რა მოაქვს ქართველი ხალხისთვის იეღოველთა სწავლებას? იეღოველთა მთელი სწავლება და საქმიანობა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ერთი დიდი საექიმო ოპერაცია, რომელსაც ხალხის გულს უტარებენ. ამ ოპერაციის მიზანია — ამპუტირება, ამოგლეჯა და მოსპობა ყოველივე იმისა, რაც საუკუნეთა მანძილზე ყველაზე ძვირფასი იყო ქართველი ხალხისათვის. ეს კი მოასწავებს უარის თქმას საკუთარ ისტორიაზე, თვით საკუთარ თავზეც.

იეღოველები დიდებულ ტაძრებსაც საკერპე ბომონებად მიიჩნევენ. ისინი ცინიკურად უწოდებენ წმინდა ხატებს — კერპებს, წმინდა ნინოს ჯვარს, რომლითაც ის საქართველოში შემოვიდა — ჯოხს; წმინდა დიდმოწამესა და ძლევაშემოსილს გიორგის სამხედრო დამნაშავედ ხმობენ, რაკი იგი მხედართმთავარი იყო და ბევრ ბრძოლაშიც მიუღია მონაწილეობა; იეღოველები, საერთოდ, ყველა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს სამშობლოს დამცველებად კი არ მიიჩნევენ, არამედ დანაშაულებრივ ორგანიზაციად აცხადებენ. მათი შეხედულებით ხომ იარაღის ხელში აღება უკვე თავისთავად არის შეცოდება, მაშინ როცა თვით მოსეც, რომელმაც საღმრთო მცნებები მოსცა ადამიანებს — „არა კაც ჰკლა“ და სხვანი, ომის ჟამს იარაღს იღებდა ხელში და თავისი ხალხის ლაშქრის მხედართმთავარი ხდებოდა. მაშასადამე, ამ საღმრთო მცნებაში ლაპარაკია იმაზე, რომ დაუშვებელია ადამიანის მოკვლა შურისძიების, ანგარებისა და ა.შ. მიზნით. საკუთარი ისტორიისადმი გულგრილობითა და ზიზღით აღვსილი ხალხი იმ უდედმამო ბავშვს ჰგავს, რომელიც უპატრონოთა სახლში მიუციათ აღსაზრდელად და რომელსაც არც თავისი სახელი ახსოვს და არც გვარი.

ქრისტიანობა აღმოსავლეთიდან მოვიდა მსოფლიოში, ახლა კი შავბნელი ღრუბელი იეღოველთა მწვალებლობისა დასავლეთიდან მოემართება ჩვენკენ. მართლმადიდებელი აღმოსავლეთი ბრძენია და შემმეცნებელი; ყოველთვის სულიერი სიმდიდრე ერჩია მას მატერიალურ კეთილდღეობას და ამიტომაც ყოველთვის მარადიულზე, საღმრთოზე ფიქრში იყო ჩაძირული.

დასავლეთმა კი სხვა მოდელი შემოგვთავაზა — ტექნიკური ცივილიზაცია, რომელშიც ადამიანის სულიერი პროგრესი შეცვლილა მანქანური პროგრესით. მაგრამ სულიერების და რელიგიურობის მხრივ ის ყოველთვის მართლმადიდებელ აღმოსავლეთზე დაბლა იდგა.

იეღოველები დიდ მატერიალურ დახმარებას ჰპირდებიან თავიანთი სექტის მომავალ წევრებს. საიდან მომდინარეობს ეს მხარდაჭერა? უანგაროა კი იგი? სახარებაში წერია, რომ უკანასკნელ ჟამს, ქვეყნის დასასრულის წინ, გამოჩნდებიან ახალი ცრუსწავლებანი და ცრუმოძღვრები, რომელნიც მრავალთ შეაცდენენ. ცოდვის გამრავლება ამქვეყნად, ურთიერთსიყვარულის გაიშვიათება ადამიანებში, მატერიალურ ინტერესებში ჩაფლობა, რელიგიური უგულისხმობა და უმეცრება — ყოველივე ეს ფართო ასპარეზს გადაუშლის ამ ცრუმოძღვრებას მოქმედებისათვის. ეშმაკს არ შეუძლია შექმნას რამე, ის მხოლოდ ანგრევს და ეს ადამიანებიც — იეღოველი ცრუმოძღვრებიც სულიერ მნგრეველებად გვევლინებიან. იეღოველები ანტიქრისტიანულ სექტას წარმოადგენენ, მაგრამ ქრისტეს სახელით ინიღბებიან, რადგან ხალხს უყვარს თავისი მხსნელი — იესო ქრისტე, თუმცა უმრავლესობამ არ უწყის მართლმადიდებელი ღვთისმეტყველება. იეღოველებს მხოლოდ ერთი რამ სურთ: დაარწმუნონ ადამიანები იმაში, რომ იესო ქრისტე არ არის ჭეშმარიტი ღმერთი და თუ ისინი ამას მოახერხებენ, მაშინ ამ შეცდომილ ადამიანებს აღარ ეყოლებათ უფალი ჩვენი იესო ქრისტე, როგორც კაცობრიობის მხსნელი.

მაშ, შენ რას ამოირჩევ, მართლმადიდებელო ქრისტიანო, ქართველო კაცო: ჭეშმარიტ ეკლესიას, რომელმაც გადაარჩინა საქართველო თუ ახალ, დამღუპველ მწვალებლობას, რომელიც გადაშენებას უქადის მას? წმინდა გიორგის მაცხოვნებელ ეკლესიას თუ იეღოველ მწვალებელთა სულისწამწყმედ კლუბს? იერუსალიმის ღვთაებრივ ნათელს თუ ბრჭყვიალა ბრუკლინურ რეკლამებს?

ვისთან ერთად გსურს შენ საუკუნო ცხოვრება: შენს სულმნათ წინაპრებთან ერთად, რომელნიც საკუთარი სისხლით იცავდნენ ქრისტიანობას და მართლმადიდებელი სარწმუნოებაც თავის მძლე საფარველს ჰფენდა მათ, თუ იმ უღირს ადამიანებთან ერთად, რომლებიც ბოროტ სულს ემსახურებიან და ფეხით სთელავენ შენს საუკუნოვან სიწმინდეებს?!

უფალი ღმერთი, შემოქმედი შენი, ასე მოგიწოდებს:

„მოწამეს-ვჰყოფ დღეს ცასა და ქვეყანასა, რამეთუ ცხოვრებასა და სიკვდილსა დავსდებ თქვენს წინაშე, — კურთხევისა და წყევისაგან გამოირჩიე შენ კურთხევაი იგი, რათა სცხონდე შენ და ნათესავი შენი!..“ (მეორე სჯული 30.19). სცხოვნდე უფალ იესო ქრისტეს მიერ, რომელსა შვენის დიდება, პატივი და თაყვანისცემა თანა მამით და სულიწმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**— რას ნიშნავს თვით სიტყვა „იეღოვა“?**

— ბიბლიაში გვხვდება მთელი რიგი საღმრთო სახელებისა, როგორიცაა, მაგალითად „ელოჰიმ“, „საბაოთ“, „ადონაი“ და სხვანი. ღმერთის ერთ-ერთი სახელია „იეღოვა“, რაც ებრაულად „მყოფს“, „არსებულს“ ნიშნავს.

ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო იეღოველები უარყოფდნენ ღმერთის დანარჩენ სახელწოდებებს. ეს გამორჩევა ბიბლიის ტექსტში ყველა სექტანტისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ განსაკუთრებით იეღოველებისთვის. მათ მხოლოდ ერთი სახელი აირჩიეს ღმერთისა, ხოლო ყველა სხვა, რომლებითაც ღმერთი თავს განუცხადებდა ადამიანებს, უკუაგდეს.

**— რას წარმოადგენს იეღოველების სწავლება?**

— იეღოველების სწავლება არის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო მწვალებლობა, რომელიც ამჟამად, ჩვენს დროში არსებობს. მწვალებლობა ანუ ერესი — ცრუსწავლებაა, დამახინჯებული სწავლება ქრისტიანული სარწმუნოების უმთავრესი ჭეშმარიტებების შესახებ, რომლებიც სახარებაშია გაცხადებული და საეკლესიო გადმოცემაშია დაცული. თავის დასაბამს ეკლესია წმინდა მოციქულთაგან — ქრისტეს მოწაფეთაგან იღებს. მწვალებელთა სექტებს კი არა აქვთ არც მემკვიდრეობითობა და არც ტრადიცია. ისინი სხვადასხვა დროს ჩნდებოდნენ და წარმოადგენდნენ დამახინჯებულ შეხედულებებს ქრისტიანობაზე.

იეღოველების სიძულვილი ქრისტეს ეკლესიისადმი იმდენად მძვინვარე და შეურაცხმყოფელი ხასიათისაა, რომ ყურადღებით თუ ჩავუკვირდებით, ადვილად დავინახავთ, რა სული მოქმედებს მათში. მათმიერი გმობა ქრისტეს ეკლესიისა აღსავსეა ისეთი გამოთქმებით, როგორიცაა „სატანა“, „ბაბილონის მეძავი“ და ა.შ., რის უფლებასაც თავს ურწმუნო ადამიანიც არ მისცემდა.

**— საიდან აღმოცენდა იეღოველების სექტა?**

— იეღოველების სექტა აღმოცენდა ამერიკაში, პროტესტანტული წრეებიდან. თავის დროზე (X ს.) მართლმადიდებლობას კათოლიციზმი გამოეყო, კათოლიციზმს — პროტესტანტობა (XV ს.), პროტესტანტობა კი სექტებად ქუცმაცდებოდა. აი, სწორედ ერთ-ერთი ასეთი სექტიდან გამოვიდა იეღოველობის ფუძემდებელი რასელი, რომელიც პროფესიით კომერსანტი იყო.

ეს მწვალებლობა წარმოიშვა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში. ასაკის მხრივ, იგი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სექტაა, უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ბაპტიზმი.

**— როდის შემოაღწია საქართველოში იეღოველების ცრუსწავლებამ?**

— არცთუ ისე დიდი ხნის წინ, გასული საუკუნის 50-იან წლებში. მეორე მსოფლიო ომის დროს იეღოველების სექტამ უკრაინაში გაიდგა ფესვები, ჩვენთანაც მისი პირველი მქადაგებლები სწორედ უკრაინიდან ჩამოვიდნენ. იეღოველები აკრძალულ სექტათა შორის ირიცხებოდნენ, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა მათ ხელს თავიანთი ცრუსწავლება ხალხში გაევრცელებინათ. მეტიც, მათ თავიც მოჰქონდათ, როგორც „წამებულთ და სიმართლისთვის დევნილთ“ და ამაში მთავრობას კი არ სდებდნენ ბრალს, არამედ — მართლმადიდებელ ეკლესიას.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ*** ***იხ. გვ. 36.***

# „აფხაზეთის დეპუტაციიდან ერთი კაცის გარდა, ყველა გასაყრელია...“

## ინტერვიუ გალის გამგებლის ახალ მოადგილესთან

„ტყის ძმების“ ყოფილი ლიდერის, დავით შენგელიას გალის გამგებლის მოადგილედ დანიშვნამ პარლამენტარები და ქვეყნის პრეზიდენტი ისე აღაშფოთა, თითქოს მის ადრინდელ თანამდებობაზე არაფერი სმენოდათ. შეგახსენებთ, რომ დავით შენგელია დღემდე გალის გამგებლის მრჩეველი გახლდათ საგანგებო სიტუაციების განხრით. ამ თანამდებობას იგი პარტიზანულ მოძრაობასაც უთავსებდა. ახალი პოსტით კი ის მხოლოდ დააწინაურეს. ტრადიციულ ბრიფინგზე ედუარდ შევარდნაძემ გაკვირვებით იკითხა, — ამ დანიშვნაზე ხელის მომწერებს კარგად უნდა ვკითხო, რას ნიშნავს ყოველივე ესო. ჩვენ იმავე კითხვით მივმართეთ დავით შენგელიას, თუმცა სანამ მასთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ, რამდენიმე საინტერესო დეტალზე შევჩერდებით.

ხელისუფლებაში შენგელიას ჩინოვნიკობა დაუშვებლად მისი კრიმინალური (ოფიციალურად დაუდასტურებელი) ახლო წარსულის გამო მიაჩნიათ. ათვლა აფხაზეთის დაკარგვის შემდგომი პერიოდიდან იწყება — ადრინდელი არც არავის აინტერესებს.

1995 წელი — დავით შენგელია გალის „მხედრიონის“ ლიდერია და მას ყაჩაღობისთვის ასამართლებენ...

1997 წელი — იგი ციხიდან გამოდის და „ტყის ძმებს“ ქმნის.

2000 წელი — მაჟორიტარი დეპუტატის, თენგიზ ჯგუშიას ბრალდებების ნიადაგზე შენგელია ეჭვმიტანილია ზუგდიდში ხალხმრავალ ადგილებში იარაღის გამოყენებაში, არჩევნებზე ძალისმიერი მეთოდით ზემოქმედებასა და ადამიანის გატაცების ორგანიზებაში. მას ბრალდებები არ უდასტურდება და წინასწარი პატიმრობის საკნიდან ათავისუფლებენ.

2001 წელი — ჩეჩნების აფხაზეთში გადაყვანის ბუნდოვანი ისტორიის შემდეგ, ფიზიკურად უსწორდებიან შენგელიას ოჯახის წევრებს. იღუპება მეუღლის დედ-მამა, დაიჭრა მეუღლის ძმა. მოტივად „ჩეჩნური ვალების“ გამო ანგარიშსწორება სახელდება. ამ მოტივს შენგელია კატეგორიულად გამორიცხავს. რამდენიმე თვეში ზუგდიდში შემოსული ორი აფხაზისა და ერთი ზუგდიდელის მკვლელობაში შენგელიაც ფიგურირებს. მოტივად კვლავ ფინანსური გაუგებრობები სახელდება. დავით შენგელიას ბრალდებები არ უდასტურდება.

2002 წელი — შენგელია თავის თავზე იღებს ავტორიტეტ კალაშოვისა და უშიშროების თანამშრომლისთვის ჩამორთმეული იარაღის დიდი პარტიის მეპატრონეობას. ეს არგუმენტი საქმეს იდეალურად ანეიტრალებს და სამართალდამცველები ცხრებიან. დავით შენგელია კი ოფიციალურად აცხადებს, რომ პარტიზანულ მოძრაობას თავს ანებებს.

— **ბატონო დავით, რაში დაგჭირდათ ეს თანამდებობა, რა უნდა გააკეთოს გალის გამგებლის მოადგილემ ზუგდიდში აფხაზეთისთვის, როდესაც გალის გამგებელი ვერაფერს აკეთებს?**

— მართალია, გალის გამგებელი ვინ არის, მისი მოადგილე რა უნდა იყოს, მაგრამ არის რაღაც გეგმა — საქმეს ასე სჭირდება... ისე, მე კი არა, იმათ დასჭირდათ, ვინც იქ გამიშვა...

— **ვის დასჭირდა ან ვინ სად გაგიშვათ?**

— აფხაზეთის ხელისუფლებამ გამიშვა ამ ადგილზე. გალის მოსახლეობა დაცული უნდა იყოს — ხალხმა ნორმალურად უნდა იცხოვროს. ბუტბას ჯგუფმა დაბალ ზონაში ერთხელ 30 კაცი წაიყვანა, მეორედ — 40 კაცი, თხილი წაიღეს. არა აქვს მნიშვნელობა, ხალხს აქვს თუ არა, ხარკი მაინც უნდა გადაიხადონ.

— **დიდი ხანია, რაც გალს მხოლოდ თხილის ბიზნესს, კონტრაბანდას და თანხებისთვის გაჩაღებულ კონფლიქტებს უკავშირებენ. აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად იქ რაიმე კეთდება?**

— გალში თხილია და, აბა, რას უნდა დაუკავშირონ? არ მინდა, თხილი წაიღონ აფხაზებმა და მათი ბიუჯეტი გაძლიერდეს. ჩემზე ამბობენ, თხილის ბიზნესშიაო. ასეც რომ იყოს, ვის შევეკითხები, მაგრამ არა ვარ და რა ვქნა?! ზოგჯერ ვინმე მთხოვს ხოლმე, კარგ ფასად ჩამაბარებინეო, ან რომ არ დაჩაგრონ, გადმოტანაში დავეხმარები ვინმეს, მეტი არაფერი მაკავშირებს ამ საქმესთან.

— **გალელები იმასაც ამბობენ, რომ თქვენ იქ ახლობლები გყავთ და ადმინისტრაციაშიც შინაური კაცი ხართ.**

— სიცრუეა. რას არ იტყვიან... მე რომ მკითხოთ, ქართველი იქ არ უნდა ცხოვრობდეს. ვინ ააფეთქა ზუგდიდში გამგეობის შენობა? — აფხაზი იქ არ შესულა. აფხაზი ქართველს შვილს რომ დაუჭერს და ეტყვის, აიღე ბომბი და ეს შენობა ააფეთქე, თორემ შვილს მოგიკლავო, არ ააფეთქებს? ჩვენიანების ხელით აფხაზები ყველაფერს გააკეთებენ.

— **მაშინ ვის ან რას იცავთ გალში? ახალ პოსტზე იმავე საქმეს გააგრძელებთ თუ სხვა გეგმებიც გაქვთ?**

— პარტიზანობას თავს არ ვანებებ. უბრალოდ, „ტყის ძმებს“ ახალი ხელმძღვანელი ეყოლება და მას ჯერ ვერ დავასახელებ. მე კი ამ გზით უფრო გავაკონტროლებ ყველაფერს. გალში ერთხელ უკვე დავკარგეთ სერიოზული შანსი. 1995 წელს სამშვიდობო ჯარების მთავარსარდალს მოველაპარაკეთ და მივაღწიეთ იმას, რომ იაკუშევი ყველასგან დაუკითხავად გალსა და ოჩამჩირეს გვაბარებდა. კაცმა გარანტიისათვის თავისი ცოლ-შვილი და შვილიშვილი ჩამოიყვანა. ეს ამბავი მე და მაშინდელმა აფხაზეთის შს მინისტრმა კვირაიას მოვახსენეთ. ერთ კვირაში მე დამიჭირეს, 10 დღეში კი იაკუშევი პოსტს მოაშორეს.

— **იაკუშევს ბევრი არაფერი დაუკარგავს, პირიქით, თქვენ მას შვილიც კი გაუმზითვეთ...**

— მარტო ეგ კი არა, ბინაც ვუყიდეთ, მანქანებიც — მასაც და შვილსაც, თანაც ბოლო მოდელის „მერსედესები“... აბა, ისე ვინ რას გაგიკეთებს?!

— **იაკუშევმა ყველაფერი ეს შეირგო, მაგრამ დღეს, ვინც პოსტზე დაგნიშნათ, მათი ნამდვილად გჯერათ?**

— ვისი, ნადარეიშვილის? ნადარეიშვილს ფული არ აქვს და მიწა, რომ რამე გააკეთოს... ხალხი კი ცხრა ფენად დაყვეს და ამას ცხრა ნადარეიშვილიც ვერ უშველის. სხვებთან შედარებით, მისი მჯერა.

— **საქმეში ჩახედული ჩანხართ, იქნებ ჩვენც დაგვაჯეროთ?**

— თქვენ ვერ დაგაჯერებთ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის ერთადერთია ხელისუფლებაში, ვინც დღემდე აფხაზეთის ძალისმიერი დაბრუნების მომხრეა.

— **და მხოლოდ ამის გამო გჯერათ მისი? ნადარეიშვილი არ იყო, რამდენიმე წლის წინ ფსოუზე დროშის აფრიალებას რომ გვპირდებოდა?**

— მე პრეზიდენტისაც მჯერა — ისე არ წავა პოსტიდან, აფხაზეთი რომ არ დაიბრუნოს. ირაკლი ბათიაშვილიც პატრიოტი კაცია, დავით თევზაძეც, ჯარიც უკვე უკეთესი გვყავს. მახსოვს, პრეზიდენტის სიტყვები სოხუმში, — აფხაზეთის გარეშე იგი არსად წავა.

— **თუ გახსოვთ, მაშინ... ალბათ პრეზიდენტსა და ხელისუფლებას იმიტომ ეფერებით, რომ საქმეს ასე სჭირდება... ამ შემთხვევაში არ შეგეკამათებით.**

— არის რაღაც ახალი ამბავი... ახალი წლისთვის გაირკვევა, გამოვა აქედან რამე თუ არა. თუ არ გამოვა, ნადარეიშვილმა ყველაზე დიდი კედელი იპოვოს და იმას ურტყას თავი. ყველას მე გამოვეკიდები ჯოხით, ან წავალ საქართველოდან.

— **აფხაზი „მალიშას“ გახმაურებული მკვლელობა ზუსტად დსთ-ის ქვეყნების სამიტის დღეს დაემთხვა. რუსებმა ეს ინფორმაცია ააფრიალეს და სამშვიდობოების მანდატის გაგრძელების საბაბადაც გამოიყენეს. თქვენი ოპერაციები ხშირად ემთხვევა მანდატის ამოწურვის პერიოდს. არ დაფიქრებულხართ, რომ თქვენს ემოციურობასა და ქმედებებს ვინმე სათავისოდ იყენებს?**

— შეიძლება, გვიყენებენ კიდეც... ამაზე არასოდეს მიფიქრია. როცა საქმეა, არ ვფიქრობ, ისე მივდივარ. „მალიშამ“ ჩვენი ხალხის თავებით გაგრაში ფეხბურთი ითამაშა, დავიჭირეთ და არ მოგვეკლა? ანდა რუსები მანდატის გასაგრძელებლად სხვა საბაბს ვერ მოძებნიდნენ? ვერ გამიგია ამ ხელისუფლების, ახლა ზვიადისტებს აიარაღებენ. ტყეში ხალხს, ვინც ტერორიზმისთვის იძებნებოდა, ახალშეწყალებულებიც შეუერთდნენ. ათი დღის წინ მათ 30 ავტომატი, 6 ყუთი ყუმბარა, 5 ყუთი ტყვია და ტანსაცმელი აუტანეს.

— **ვინ არის ეს ხალხი და რისთვის ემზადებიან? თქვენთან დაპირისპირებულ ვახო ზარანდიას ხომ არ გულისხმობთ?**

— არა, სხვები არიან და რას აპირებენ, ეს სამართალდამცველებმა დაადგინონ.

— **ნადარეიშვილსა და მის პარტიას მართლა აქვთ თქვენი დახმარების იმედი? პარლამენტარობას თქვენც ხომ არ შეგპირდნენ?**

— აფხაზეთის დეპუტაციიდან, ერთი კაცის გარდა, ყველა გასაყრელია. ტყუილად სხედან და აფხაზეთის ხელისუფლებას ხელს უშლიან. ისე, ჯერ არჩევნებზე ლაპარაკი ადრეა. ამაზე ჯერ არც მიფიქრია.

***რუსუდან ხუბულავა***




# ძველი ალბომიდან - მუშთაიდის ბაღი

ჩემსა და სკლეროზს შორის ჯერ კიდევ მილიონი სინათლის წელიწადია. ამიტომ დაუდევრობას უფრო უნდა დაბრალდეს ის, რომ თუკი რამ შევინახე, ველარ ვაგნებ, ველარ ვიხსენებ. იქნებ სიზარმაცის ბრალიცაა, ნამოქმედარს ტვინის სქოლიოში რომ აღარ ვიწერ. ამას წინათაც ასე იყო, მორიგი ძიებისას ძველ ალბომში სკოლის დროინდელ სურათებს გადავაწყდი. ყველა ფოტოზე ჩახუტებულები ვართ. ნეტავ ადამიანები ერთმანეთს სიყვარულით ეკვრიან თუ შიშით, — არიქა, კადრს მიღმა არ დავრჩეთო? როგორ ეადვილებათ მოკვდავთ უკვდავება, როგორ უნდა ყველას კადრში რომ მოხვდეს.

ეს სურათი მუშთაიდის ბაღში გადაგვიღეს მე და ბეთქილ კვიციანს. ზუსტად ის დღეა, ფიგურული კარუსელის ცხენიდან რომ გადმომაგდო. დღე კი არა, ტრაგედიის წინა წუთებია... კარუსელის გაჩერებას ველოდებით, რიგია, ერთი სული გვაქვს, ცხენებს მოვახტეთ, ვდგავართ და ვიღრიჭებით. არა, ისე, უფროსებიც ხშირად სცოდავენ, არ იცოდნენ, რა ეშმაკის ფეხიც იყო ბეთქილი? მე, თამუნა უჯმაჯურიძეს ხეირს დამაყრიდა? ცხენზე პირველი მე უნდა დავჯდეო, აიხირა იმ უხეირომ. ამ ძიძგილაობისას ისეთი მბეთქა ბეთქილმა, ცოდვა-ჭირით ცხენზე ამხედრებული ძირს გადმომაგდო. აბა, რა გეგონათ, ჩემი დიდი მოსახელის, თამარ მეფის ხატრს მოიდებდა? მაშინ გავიტეხე ცხვირი... მუშთაიდის ბაღის ფიგურული კარუსელის ხის პოდიუმზე 7 წლის ასაკში დასრულდა ჩემი საბრალო ცხვირის სილამაზის ჩვენება და დაიწყო სიმახინჯის ხანა. ასე გავხდი სხვაჯმაჯურიძე. ბეთქილს რა ენაღვლება, ისეთი ლამაზია, სამი ცოლი გამოიცვალა, ჩემი ცხვირის პატრონი კი დამტოვა გაუთხოვარი...

ესეც მუშთაიდის ბაღში გადაღებული ფოტოა. 13 წლის ვარ. ის დროა, ჩუმჩუმად რომ ვიპრანჭებით გოგოები, ათასი საიდუმლო რომ გვიჩნდება და ისეთი სახით რომ დავდივართ, ვითომ ქვეყნის დარდი ჩვენს მხრებზეა. არა, რა ჭალარა გულის ზმანებების ტყვეობა, რიგში ჩაწყობილი 13 ტყვია და 13-ჯერ თავის მოკვლა — „შატალოზე“ ვართ. ცხვირი რომ არ გვამახინჯებდეს ორივეს, მეც და ფოტოსაც, სხვა რა გვიჭირს. ვდგავართ თმებგაშლილი, ზოლიანი გეტრებით (მაშინ მოდაში იყო), ივანდა-მარიას თაიგულით ხელში, გალაღებული, უიმეეე, რა მიხარია? არ ვიცი, საიდან ჩაუვარდა ხელში ეს სურათები ჩვენი რუსულის მასწავლებელს, სოფია გრიგორევნას, სათვალის ქვემოდან ამომხედა და მითხრა: გამოხოხებული აქტრისა მარგარიტა ხარო. ისე ჩემსავით დაუმშვენდა მაგას ცხვირ-პირი. მთელი წელი გვიკითხავდა მუმუს და კბენის მეტი ვერაფერი გვასწავლა. ჩვენი ძირნაყარი რუსული მუშთაიდის ბაღშიც არ გვადგებოდა. დათო არ იყო, ბაღში მოსეირნე რუსის გოგოს რომ ეტრაბახებოდა: უ მენია, დვა გლაზა კომნატაო, ორი თვალი ოთახი მაქვსო, თავისი ჭკუით და სოფია გრიგორევნას ნასწავლი რუსულით არ გააცნო ქონებრივი დეკლარაცია? ჰოდა, მართლა ორივე თვალი კინაღამ გადმოაყრევინა იმ გოგოს. მუშთაიდის ბაღში ლამაზები უფასოდ არ გაგიშვესო? — მკითხა რუსულის მასწავლებელმა, ჩემი ცხვირის პატრონი სადაური ლამაზი ვიყავი, „სიცილის ოთახში“ იმ დაბრეცილ სარკეებშიც არ ჩამიხედავს, აღარ მჭირდება, ბეთქილ კვიციანის წყალობით ტირილის სახლიდან მოვაჭენებ რამდენი ხანია-მეთქი და, ამან კიდევ ლამაზებიო, მაშინ ხეირიანად ვერ გავიგე რა მითხრა, სოფია გრიგორევნამ. ისე, არც ის მყავდა დალაგებული. რამდენიმე ხნის წინ ქალაქის მუნიციპალურ არქივში შემთხვევით გადავაწყდი მუშთაიდის ბაღის ისტორიას და მაშინ მივხვდი, რაც მითხრა. ბაღი, რომელიც ჩვენც, ყველა თბილისელივით გვიყვარდა საინტერესო ისტორიის ყოფილა.

ეს უნიკალური ბაღი თბილისში მეცხრამეტე საუკუნეში ირანელ მოჯაჰედს (მუშთაიდს) აღა-მირ-ფთაჰის გაუშენებია. 1826-1828 წლებში რუსეთ-სპარსეთის ომის დამთავრების შემდეგ შაჰს თავისი ბიძაშვილი აჯანყებია. აჯანყების მეთაური ყოფილა ეს მუშთაიდი, ირანის ერთ-ერთი გამოჩენილი რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწე. შაჰს აჯანყება ჩაუხშვია და აჯანყებულები განუდევნია. მუშთაიდი თავის თანამემამულეებს არ გაჰყოლია, თბილისში ჩამოსულა. ამის მიზეზი ყოფილა ქართველი ქალი ნინო, რომელიც მას თურქეთის ტყვეთა ბაზარზე უყიდია, შეჰყვარებია და ცოლად შეურთავს. თბილისში დაბრუნებულ ნინოს მშობლები ცოცხალი არ დახვედრია, დარდისგან ავად გამხდარა და გადაჰყოლია კიდეც. დადარდიანებულა აღა-მირ-ფთაჰი, ძალიან ჰყვარებია ქართველი მეუღლე, თავის დროზე რუსეთისთვის გაწეული დიდი სამსახურისთვის რუსეთის მთავრობამ მუშთაიდს თბილისში, დიდუბეში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე 50 დესეტინა მიწა უბოძა და ყოველწლიური სუბსიდია, 4000 თუმანიც დაუნიშნა. იქ დაკრძალა მუშთაიდმა ნინო და მისი საფლავის გარშემო ბაღნარი გააშენა. თვითონაც იქ ცხოვრობდა 1845 წლამდე, ვიდრე შაჰმა არ შეიწყალა. შეწყალებული თავრიზში დაბრუნდა და ეს მიწა თბილისში რუსეთის ვაჭართა უფროსს ავან-ხან მელიქ-მელიქბოვს მიჰყიდა, მაგრამ ახალი პატრონი მალე გაკოტრდა და 1853 წელს ბაღი საჯარო აუქციონზე 29.500 რუბლად ქალაქის ხაზინამ შეიძინა. 1888 წელს ქალაქის სათათბიროს გადაწყვეტილებით მუშთაიდის ბაღი ქალაქის საკუთრებად გამოცხადდა. ბაღი თბილისელებისათვის ნამდვილი დასვენებისა და გართობის ადგილი ყოფილა. იქ იმართებოდა სახალხო სეირნობები, კარნავალები, კონცერტები... ქალაქის ცენტრიდან მთავარმმართებლის მიერ სპეციალურად მუშთაიდის ბაღისთვის დანიშნული დილიჟანსიც კი დადიოდა. ამიერკავკასიაში საჰაერო ბურთით პირველი აფრენა 1882 წელს ამ ბაღში მომხდარა. ამბობენ, მუშთაიდის ბაღის ღია რესტორანში ნახა ნიკო ფიროსმანმა აქტრისა მარგარიტაო. იმასაც ამბობენ, ლამაზი ქალბატონებისთვის ბაღში შესვლა უფასო იყოო... აი, ალბათ ეს იგულისხმა ჩემმა რუსულის მასწავლებელმა, როდესაც ჩემს სურათს დახედა. მე ახლა სხვა სურათი მიჭირავს ხელში. ის, მუშთაიდის ბაღში „კუკუშკაზე“ რომ მოვიტეხე ხელი და თაბაშირის არტახებში გაქვავებული მარჯვენა ბეთქილ კვიციანის მხარზე რომ მიდევს. მთელი წელი მხრებზე ვაწექი კვიციანს, საშინაო დავალებასა და საკონტროლო წერას ჩემს ნაცვლად ის ასრულებდა. თუმცა რა, იმისი ხელწერის გარკვევას მასწავლებელი კი არა, კარდიოლოგი უფრო სჭირდებოდა.

ახლახან ბეთქილის მორიგ ქორწილში ღვინო „ძველი თბილისი“ რომ შევიულლე, გავთამამდი და სიძეს გავეხუმრე: რაა, ბიჭო, ამდენი ცოლები, ერთი სხვაზე მაინც გადააფორმე, ხომ იცი საქართველოა, ქრისტიანები ვართ და რამე არ დაგაბრალონ-მეთქი. გაეცინა, შენაო რა გგონია, მეცხრამეტე საუკუნეში რომ დაბადებულიყავი, მუშთაიდის ბაღში განა უფასოდ არ შეგიშვებდნენო? ე, საიდან იცოდა ეს ამბავი იმ ოროსანმა? კი, როგორ არა, ჩემო ბეთქილ, უბრალოდ არ გამიმართლა. მეოცე საუკუნეში დავიბადე, შენ რომ შემხვედროდი და ჩემთვის ცხვირის გამრუდებით ცხოვრების გზაც გაგემრუდებინა, თორემ ახლა ჩემს ქორწილში იქნებოდი-მეთქი. ორივემ გულიანად ვიცინეთ. აბა, სატირალი რა გვქონდა?

R

# ცხვრისტყავიანი რაინდები

**19 ნოემბერს რუსეთის მედიაში გაჩნდა სენსაციური განცხადება — რუსეთისა და საქართველოს სასაზღვრო უწყებებმა ხელი მოაწერეს რუსეთ-საქართველოს ჩეჩნეთის სასაზღვრო მონაკვეთის ერთობლივი პატრულირების პროტოკოლს და თითქოს ამ პროტოკოლით გათვალისწინებული იყო რუსეთის მესაზღვრეების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ლოკალური ბრძოლების წარმოება უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გასანადგურებლად.**

**რუსეთის პრესა ამტკიცებდა, რუსეთის ავიაციამ საქართველოს სივრცის დაზვერვის და, საჭიროების შემთხვევაში, ბოევიკების სარაკეტო დაბომბვის უფლება მიიღოო.**

**„იზვესტიამ“ გაარკვია ამ დოკუმენტის ნამდვილი არსი, რომელსაც გასულ კვირას საქართველოში ხელი მოაწერეს ჩრდილო კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსმა ვალერი პუტოვმა და საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსმა კორნელი სალიამ: ფაქტობრივად, რუსეთმა და საქართველომ მოილაპარაკეს, არ იომონ, ხოლო გაისად გაზაფხულზე დაიწყება მოლაპარაკება საზღვრის ერთობლივი პატრულირების შესახებ.**

სენსაცია არ შედგა. ვალერი პუტოვის და კორნელი სალიას შეხვედრა ლოგიკური გაგრძელება იყო ერთი თვის წინ ერევანში ორი სახელმწიფოს სასაზღვრო უწყებების მეთაურთა — კონსტანტინ ტოცკისა და ვალერი ჩხეიძის მოლაპარაკებებისა, რასაც მოჰყვა ვლადიმირ პუტინისა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრები, შემდეგ — პროტოკოლის ხელის მოწერა.

**ვალერი პუტოვი:** — 16 ნოემბერს მე და კორნელი სალიამ ხელი მოვაწერეთ პროტოკოლს, სადაც დეტალურადაა განსაზღვრული ერთობლივი შეხვედრების ჩატარება, საზღვრის ერთობლივი რეკოგნოსცირება, კავშირის დამყარება ქვეგანაყოფებთან და ა.შ. არ დაგავიწყდეთ, რომ იქ მთებია. გარდა ამისა, დეტალურად იქნა განხილული სამმხრივი სწავლებების ჩატარების საკითხები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ რუსეთი, საქართველო და აზერბაიჯანი. შეხვედრაზე სიტყვა არ თქმულა ერთობლივი ბლოკპოსტების ან იმის შესახებ, რომ ჩვენ საქართველო უნდა დავბომბოთ. ჯერ ერთი, ასეთი ცნება — „ბლოკპოსტი“, საერთოდ არ არის ჩვენს ტერმინოლოგიაში, ჩვენ საგუშაგოები გვაქვს. მეორე — მეზობელი სახელმწიფოს დაბომბვის საკითხის განხილვა მისივე წარმომადგენლის თანდასწრებით, ჟურნალისტების გამოგონილი სიბრიყვეა.



იგივე განაცხადეს თბილისშიც. სასაზღვრო უწყებების პრესცენტრის თანამშრომელმა **ეკატერინე დონდუამ** თქვა, — საერთო საზღვარზე ავიაციის და არტილერიის გამოყენების საკითხი არ განხილულა, ასეთი რამ სახელმწიფოთა პარლამენტების გადაწყვეტილების გარეშე არ ხდებაო.

გარდა ამისა, გამოთქმა „ერთობლივი პატრულირება“ არაკორექტული და არარეალურია. საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთი 4-4,5 ათას მეტრ სიმაღლეზეა, მთებში უკვე თოვლი დევს, როგორ წარმოგიდგენიათ იქ ერთობლივი პატრულირება? — ამბობენ რუსეთის ფედერალურ სასაზღვრო სამსახურში.

— გაზაფხულზე ქართველ კოლეგებთან ერთად განვიხილავთ მესაზღვრეთა რაზმების განლაგების, სახსრების და სხვა საკითხებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ორი მესაზღვრე — ქართველი და რუსი — ხელიხელჩაკიდებულნი ივლიან ბილიკზე, — ამბობს ვალერი პუტოვი.

ამჟამად რუსეთ-საქართველოს საზღვარს, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 360 და რუსეთის 6000 მესაზღვრე იცავს.

რფ-ის სასაზღვრო ფედერალური სამსახურის ჩრდილო კავკასიის რეგიონალური სამმართველოს შტაბის უფროსის თქმით: „ბოლო დროს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე დარღვევები შემცირდა. რუსეთისა და საქართველოს მხრიდან შეტევამ ბანდიტებზე იმოქმედა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ხელს აიღებენ თავის გადაწყვეტილებებზე. მართალია, საქართველოს საზღვარი ჩავკეტეთ, მაგრამ ჩვენი ოპერატიული მონაცემებით, ტერორისტები აზერბაიჯანის გავლით აპირებენ ჩეჩნეთში მოხვედრას. უნდა ითქვას, რომ ჩვენ აზერბაიჯანელ კოლეგებთანაც კარგი ურთიერთობა გვაქვს...“

***იზვესტია №210***

# თქვენ წარსული ომების ენაზე ლაპარაკობთ...

**ნატოს სამიტის წინ, პრაღაში, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია ნტვ-ს.**



**— ბატონო პრეზიდენტო, 23 ოქტომბერს, მოსკოვში, მძევლების აყვანის შემდეგ, შეიცვალა თუ არა აშშ-მა პოზიცია ჩეჩნეთის მიმართ?**

— არა. ჩვენ პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების მომხრენი ვართ, მაგრამ ბოროტმოქმედნი მკაცრად უნდა დაისაჯონ. ამიტომ საჭიროა ყველა ერთად ვეცადოთ, რათა დამნაშავეები მართლმსაჯულების წინაშე წარდგნენ. სწორედ ეს არის საქართველოსთან ჩემი მჭიდრო თანამშრომლობის ერთ-ერთი მიზეზი და მოხარული ვარ, რომ ვლადიმირ პუტინმა დიალოგი დაიწყო ბატონ შევარდნაძესთან. ჩვენთვის აუცილებელია საერთო სტრატეგიის გამომუშავება, რათა მოიძებნონ „ალ-ქაიდას“ დამქაშები, რომლებიც შეიძლება პანკისის ხეობაშიც კი იმალებიან და ერთი მიზანი აქვთ — რუსეთში არასტაბილურობის გამოწვევა.

**— ბ-ნო პრეზიდენტო, საქართველო ახსენეთ. მძევლების განთავისუფლების შემდეგ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი ტერორისტებს გაანადგურებს ყველგან, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი. ეს ნიშნავს, რომ მის საზღვარს გარეთაც?**

— გააჩნია, როგორ ავხსნით ამ განცხადებას. რას ნიშნავს, „სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ?“ ვფიქრობ, რომ აქ იგულისხმება ჩვენი განზრახვა — გავაძლიეროთ ერთობლივი ძალისხმევა ტერორისტთა პასუხისმგებლობაში მისაცემად. ეს სწორედ ის არის, რასაც ჩვენ საქართველოში ვახორციელებთ. მე ვუთხარი ბატონ შევარდნაძეს, რომ ამ საკითხში მისი თანამშრომლობა აუცილებელია. თუ პანკისს თავს აფარებენ მკვლელები, რომელთა მიზანი რუსეთის ან სხვა ქვეყნის დესტაბილიზაციაა, აუცილებელია მათი პასუხისგებაში მიცემა. ნელ-ნელა, მაგრამ მეთოდურად ჩვენ მათ მთელ მსოფლიოში ვეძებთ. ეს ომის ახალი სახეობაა, რომელსაც ისტორიაში პრეცედენტი არ აქვს. ადრე ტანკებით, თვითმფრინავებით შეიარაღებულ ჯარს ვებრძოდით. ახლანდელი ჩვენი მტერი კი გამოქვაბულებშია შეხიზნული, სიკვდილის დასათესად ტერორისტ-კამიკაძეებს გზავნის. ამიტომაც ომის წარმოება სხვა ხერხებით გვიხდება. საჭიროა ერთმანეთს გავუზიაროთ დაზვერვის მონაცემები, გადავუკეტოთ ტერორისტებს ფულის შემოსვლის გზა, გავგზავნოთ სპეცრაზმები მსოფლიოს მიუვალ კლდეებში, გამოქვაბულებსა და ხეობებში, რათა ეს ხალხი დაუსჯელი არ დარჩეს.

თქვენ წარსული ომების ენაზე ლაპარაკობთ. ამ ომში კი ჩვენთვის მთავარია, ზუსტად ვიცოდეთ, სად იმალება ეს ხალხი და როგორ უკავშირდება ერთმანეთს. რუსეთი და აშშ სწორედ ამაზე ვფიქრობთ. არასოდეს ყოფილა ჩვენი კავშირი ასეთი ნაყოფიერი.

***ამონარიდი ინტერვიუდან ნტვ.რუ***

# ქურთები საქართველოს ემუქრებიან

საქართველოს ქურთების ლიდერები შეიხი თენგიზ ქამილი და ქერიმ ანყოსი საქართველოს ხელისუფლებას შეიარაღებული ამბოხებით ემუქრებიან. ისინი ითხოვენ ქურთული სკოლებისა და თეატრის გახსნას, რომლებიც სსრკ-ის დროს მოქმედებდნენ. მოთხოვნათა ნუსხაშია ქურთული კულტურის ძეგლების აღდგენა, ტელე და რადიოგადაცემები ქურთულ ენაზე.

შეიხი თენგიზ ქამილი აცხადებს, რომ საქართველოში მალე დაიწყება ქურთების ბრძოლა თავისუფლებისთვის, ხოლო ქერიმ ანყოსი უმატებს, — „ჩვენ ერთი გამოსავალიღა გვრჩება — იარაღით ბრძოლა“. ქურთ ლიდერებს სწამთ, რომ მალე მსოფლიო რუკაზე გაჩნდება ქურთების დამოუკიდებელი სახელმწიფო 40 მილიონი მცხოვრებით, ამიტომ „ქართველებს უჯობთ, დაფიქრდნენ, კარგად უნდა მოგვეპყრან, თორემ საქართველოში ახალი აბდულა ოჯალანი გაჩნდება!“

***გაზეტა.რუ***

# „კასტეტით“ და „ლიმონკით“ — ნატოში

## მკვლელობები და მძევალთა აყვანა საქართველოს შიდაპოლიტიკის ყოველდღიურობაა

თუმცა არასტაბილურობამ საქართველოში პიკს მიაღწია, ის მაინც აპირებს ნატოში შესვლას. გასული კვირა ქვეყანაში კრიმინალური მოვლენებით იყო სავსე. ჯერ კიდევ არ იყო განელებული სკანდალი პარლამენტში ატეხილი მუშტი-კრივის გამო, სადაც ერთ-ერთმა დეპუტატმა კოლეგა-ოპონენტს ცხვირ-პირში კასტეტი ჩასცხო; ამას დაემატა რუსთავში მძევლების აყვანა — ძებნილ ბოროტმოქმედს დავით პაპაშვილს მთელი დღე დატყვევებული ჰყავდა ადგილობრივი პოლიციის თავკაცები. იმავე დღეს, საღამოს კი, თბილისის ცენტრში დაქირავებულმა მკვლელმა ავტომატით დაცხრილა ჯიპი, რომელშიც პოპულარული ყოფილი ფეხბურთელი, ხოლო შემდეგ ავიაკომპანია „აირზენას“ პრეზიდენტი კახი ასათიანი იჯდა. მკვლელი მშვიდობიანად გასცილდა იქაურობას.

აღსანიშნავია, რომ ძალადობის აფეთქება პარლამენტში, რუსთავში მძევლების აყვანა და მკვლელობა თბილისში პრაღაში ნატოს სამიტის დაწყებამდე მოხდა, სადაც საქართველო ოფიციალური განაცხადის გაკეთებას აპირებდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის თაობაზე. ამ სანუკვარი იდეის განსახორციელებლად საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმე პირობა უნდა შეასრულოს, მათგან მთავარია ქვეყნის სტაბილურობა და დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება. რეალური სურათი კი სავალალოა — დროდადრო, ხან ერთი ქვეყანა განაცხადებს — საქართველოში მოგზაურობა საშიშიაო, ხან მეორე — სწორედ ქვეყნის არასტაბილურობის გამო. ამას წინათ, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა ინტერაქტიული გამოკითხვა აწარმოა — „ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ საქართველო განგსტერული ქვეყანა გახდა — ხელისუფლება, შსს თუ თავად საზოგადოება?“ 12 ათასი გამოკითხულიდან 80% დარწმუნებულია, რომ დღევანდელი განუკითხაობა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების და სამართალდამცავი ორგანოების ბრალია.

და კიდევ, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოს პარლამენტის დეპუტატები მშვიდად დასეირნობენ იარაღით, თანაც არა მარტო „კასტეტებით“, არამედ პისტოლეტებითაც. სპეცსამსახურის რომელი თანამშრომელი (პარლამენტის დაცვა) გაუბედავს მათ, შესასვლელში იარაღი დატოვეთო. იარაღის ტარების უფლება ხომ პარლამენტარებმა კანონით მიიღეს 90-იან წლებში. „საბოლოოდ მოვიმკეთ ის, რაც დავთესეთ; ბევრი პარლამენტარი კენჭის ყრის დროს ხელს რომ წევს, იღლიაში პისტოლეტი უჩანს“, — არ მალავს აღშფოთებას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. ის დარწმუნებულია, რომ პარლამენტში მუშტი-კრივი ქვეყნის საერთო სიტუაციის ანარეკლია — სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ურთიერთქიშპი სახიფათო ზღვრამდეა მისული.

***ნეზავისიმაია. რუ***

# იერუსალიმში ქართული მონასტრის ნაშთი აღმოჩნდა

იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბანში, უმ ლისანში, მიწის სამუშაოების დროს იპოვეს უძველესი სამარხის ნანგრევები. სამარხი იმ სამონასტრო კომპლექსის ნაწილია, რომელსაც 1996 წელს, არქეოლოგიური გათხრებისას მიაკვლიეს. იგი ოდესღაც მონასტრის ნეკროპოლი იყო. აქვს 12 ნიში. სავარაუდოდ, აქ დაკრძალულია 30 მონაზონი. ნეკროპოლის კუთხეში აღმოაჩინეს ხანდაზმული ბერის ნეშტი. საფლავის ქვაზე ამოკვეთილია ძველქართული წარწერა, რომელიც იუწყება, რომ ლოდქვეშ განისვენებს ქართველი ეპისკოპოსი იოანე. ეპიგრაფიკული ანალიზით წარწერა თარიღდება ჩვ.წ.აღ-ის V-VI ს.ს-ით. ეს წარწერა ქართული დამწერლობის ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია და ადასტურებს, რომ იერუსალიმში ადრექრისტიანულ ხანაში არსებობდა ქართველთა სასულიერო სათვისტომოები.

***გოისრეალი. რუ***


AMERICAN COUNCILS FOR INTERNATIONAL EDUCATION ACTR • ACCELS

## ამერიკული საბჭოები აცხადებს ახალ პროგრამებს 2003-2004 აკადემიური წლისათვის

საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები საქართველოს მოქალაქეებისათვის აცხადებს ახალ პროგრამებს, რომლებიც მთლიანად დაფინანსებულია აშშ-ს მთავრობის მიერ. ამ პროგრამებში მონაწილეობის მისაღები კონკურსი ყველასათვის თანასწორუფლებიანია, განურჩევლად ეროვნების, სქესის, ეთნიკური წარმოშობის, რელიგიისა თუ ფიზიკური ნაკლოვანებებისა. ანკეტების შევსებისას იძულებით გადაადგილებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

**ლექტორთა პროგრამა**

ეს პროგრამა გათვალისწინებულია უმაღლესს სასწავლებელთა ლექტორთათვის მათი კარიერის საწყის ეტაპზე. ერთწლიანი პროგრამა გათვლილია სასწავლო პროგრამის განვითარებისათვის, სამასწავლებლო თვისებების შეძენისათვის საზოგადოებრივ მეცნიერებებისა და ჰუმანიტარულ საგნებში. კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ საქართველოს უმაღლესს სასწავლებელში სწავლების ორწლიანი გამოცდილება და ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე. ანკეტები შეგიძლიათ მიიღოთ საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოს ოფისში.

*ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადაა 2002 წლის 6 დეკემბერი.*

**პარტნიორობა განათლების სფეროში:**

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოსა და ამერიკის საშუალო სკოლებსა და მასწავლებლებს შორის პირდაპირი კონტაქტების განვითარებას. მონაწილე უნდა მუშაობდეს მასწავლებლად ისტორიის, საზოგადოებრივ, ან სოციალურ მეცნიერებათა სფეროში; იყოს ფიზიკა-მათემატიკის ის პედაგოგი, რომელიც ხელს უწყობს სამოქალაქო განათლების განვითარებას საქართველოში. ანდა მუშაობდნენ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე საშუალო სკოლაში და ჰქონდეთ სულ მცირე 2 წლის სამუშაო გამოცდილება. ფინალისტები გაემგზავრებიან აშშ-ში 6 კვირით პროფესიული გამოცდილების ასამაღლებლად. ანკეტებისათვის მოგვმართეთ საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოს ოფისს.

*ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადაა 13 დეკემბერი, 2002.*

**ინგლისური ენისა და ამერიკული სწავლების მასწავლებელთა პროგრამა:**

ეს პროგრამა აჯილდოებს ინგლისური ენისა და ამერიკული კულტურის სწავლების საშუალო სკოლის საუკეთესო მასწავლებლებს. კონკურსის პერიოდში კანდიდატები რეგიონების მიხედვით ეტაპობრივად დაჯილდოვდებიან. პროგრამა აჯილდოებს როგორც მასწავლებლებს, ასევე სკოლებს. ბოლო ეტაპზე გამარჯვებული 7 მასწავლებელი გაემგზავრება აშშ-ში 7-კვირიანი პროგრამით ლიდერობის სემინარზე.

*ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადაა, 2002 წლის 16 დეკემბერი.*

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:**
**არაყიშვილის ქ. 2, ბინა 4**
**თბილისი, 380079 საქართველო**
**ტელ: 29 21 06 ან 93 28 99**
**ელ-ფოსტა: programs@amcouncils.ge**
**Website: www.americancouncils.net**



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიამბობენ

**2 წლის შოთიკო ჟორჟოლიანი** დედასთან ერთად მგზავრობს სამარშრუტო ტაქსით. უცებ გვერდით მჯდომი გოგონასკენ გაიშვირა თითი და დედას უთხრა:

— ეს ცუდი ბიჭია, გოგოა!

***

**3 წლის ჯუნა ბალახაშვილს** დედამ ყანიდან ყაბაყი მოუტანა. გახარებული ბიჭი ბებიასთან გაიქცა და მიახარა:

— ბებო, დეიკომ ბაყაყი მომიტანა!!!

***

**3 წლის გოგიტა ხიზანეიშვილმა** თავის დაბადების დღეზე 1 წლით უფროს მეზობელ გოგონას, ანჩოს აკოცა. მეორე დღეს ბიჭი ეუბნება დედას:

— დედა, მაყვალა რომ გქვია, ტკბილი ხარ?

— ჰო, შვილო!

— აბა, ანჩომ, რომ მითხრა, ტკბილი ვარო, მაყვალა რატომ არ ჰქვია?

***

**2 წლის მამუკას** დეიდა ეკითხება, სად გიყვარვარო?

— მაიკაში — პასუხობს ბიჭი.

***

**3 წლის ფრიდონს** ჩიტი მიუყვანეს, ის დას შეეცოდა და გაუშვა. ბიჭმა მოიკითხა:

— ჩემი ჩიტი სად არის, საბალახოდ წავიდა?

***

**2 წლის ანანო კობერიძე** ფეხსაცმელის ჩაცმას ცდილობდა, მარჯვენა ფეხისა მარცხენასთან მიიტანა. ცხადია ვერ ჩაიცვა.

— ესა მალჯვენა ფეხისაა, ისა უკულმა ფეხია, — დაასკვნა გოგონამ.



მოძებნე ქვემოთ მოცემული დეტალები ნახატზე



## I ანა, გამოიცანი

**1. ბერძნული მითების მიხედვით, რა ჰქვია ფრთოსან არსებას, რომელსაც ლომის ტანი და ქალის თავი აქვს?**

ა) კენტავრი; ბ) ციკლოპი; გ) სფინქსი; დ) ფასკუნჯი.

**2. სპორტის რომელ სახეობაში ენიჭებათ გროსმაისტერის წოდება?**

ა) ჭადრაკში; ბ) ფეხბურთში; გ) მკლავჭიდში; დ) კრივში.

**3. რისი აგების დროს აალაპარაკა უფალმა მშენებლები სხვადასხვა ენაზე?**

ა) ეიფელის კოშკის; ბ) პიზის კოშკის; გ) ბაბილონის გოდოლის; დ) ალექსანდრიის შუქურის.

## II რებუსი





შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის სახელწოდებას.





რას თამაშობენ ბავშვები?



მოძებნე ორი ერთნაირი ფიგურა, რომლებიც კურდღელმა გააფერადა


**ბავშვებო და მშობლებო!**

**უკვე გამოვიდა!**



„მელია და მწყერჩიტა“, „ქალთევზა“, „ნაცარქექია“, „მძინარე მზეთუნახავი“, „კომბლე“, „ირმისა“

ერთი წიგნი-ზღაპარი 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

„კვირის პალიტრა“ გთავაზობთ საუკეთესო ქართულ და უცხოურ ზღაპრებს, ფერადი ილუსტრაციებითა და გასაფერადებლებით

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ წიგნების მაღაზიებსა და პრესის გავრცელების ჯიხურებში

**მალე გამოვა:** „ჩიპოლინო“, „წითელქუდა“, „ხუთკუნჭულა“


| ქვეყანა ევროპაში | ერეკლე -ის მეტსახელი „პატარა ...“ | რგოლისებური ფუნთუშა | ყრანტალა ფრინველი | პუტინის ეროვნება |
|---|---|---|---|---|
| ... მაკარტნი | „ის“ (რუსულად) | მოძლვრება ზნეობის შესახებ | ეშხი, მიმზიდველობა | პერსონაჟი ქ/ფ „დათა თუთაშხიადან“ | გადამდები დაავადების გამომწვევი ბაქტერია |

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალლო-სალალო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# სულში გნომისხელა მაზოხისტი მიზის და ხანდახან მეტისმეტად აქტიურდება

**ზურა გაჩეჩილაძე** — ახოვანი, ზორბა, ცისფერთვალება, ბლანჟეთი, მხიარული (ალბათ მაინც ერთი შეხედვით), ენამჭევრი, ეკრანზე ან სცენაზე მისი გამოჩენა მაშინვე ღიმილს გგვრით. გაგახსენდათ? როგორ, „შონზო" ვერ გაიხსენეთ? დამავიწყდა, რომ თქვენ მას სწორედ მეტსახელით იცნობთ.

ამ ინტერვიუში თქვენთვის უცნობ შონზოს აღმოაჩენთ. გაიგებთ, ვინ ჰყავს ჩასახლებული სულის სიღრმეში, რას უკრძალავს; ვის აფეტიშებს და რატომ? არსებობენ თუ არა „შონზოიდები" და, საერთოდ, რას ფიქრობს შონზო ცხოვრებაზე.

**— ცხოვრებაზე შეხედულების მიხედვით ალბათ შეიძლება ადამიანები ორ ჯგუფად დავყოთ: ერთნი, რომელნიც ფიქრობენ, რომ მიუხედავად უამრავი სირთულისა, ცხოვრება მშვენიერია, მეორენი კი (რომლებმაც შესანიშნავად აუწყვეს ფეხი დღევანდელ ყოფას) გამუდმებით გაიძახიან, ცხოვრება ჯოჯოხეთიაო. რას ფიქრობს შონზო, ცხოვრება მშვენიერია?**

— იყო პერიოდი, როცა გავიძახოდი, ცხოვრება, ოჯახი ხრამია, უბედურება და დოზანაა-მეთქი, მაგრამ ყოველივე ეს წარსულს ჩაჰბარდა. ახლა ცხოვრება თანდათან უფრო მშვენიერდება. თუმცა, თუ ღრმად და ფილოსოფიურად დავაკვირდებით, ცხოვრება უფრო გზაა მშვენიერებისკენ, ვიდრე მშვენიერება.



**— ბევრს, ამ გზაზე მიმავალთაგან, ისეთი განცდა აქვს, როგორიც საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეს.**

— თუ ვაღიარებთ, რომ საქართველოში პიროვნული თავისუფლების ხარისხი დაბალია, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საკონცენტრაციო ბანაკში ვცხოვრობთ. ნორმალურ ქვეყანაში ის, ვინც ვალდებულება აიღო და ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში, აგვარებს კიდეც სახელმწიფოს ყველა პრობლემას, ხალხი კი თავის საქმეს აკეთებს და ბედნიერად ცხოვრობს. მაგრამ, როცა ზემდგომი არ ან ვერ აკეთებს თავის საქმეს და ამის გამო მე საკუთარი ნიჭის და იდეების რეალიზაციას ვერ ვახდენ, მაშინ ჩემი ქვეყანა მართლაც ემსგავსება საკონცენტრაციო ბანაკს.

**— და მაინც, სად არის კარგი ქვეყანა? უცხოელებთან შეხვედრისას, ხშირად გამიგონია — თქვენ შესანიშნავ ქვეყანაში ცხოვრობთ. აქ არის ის, რასაც ვერსად ნახავთო. ეს ხალხი კი სწორედ იმ ქვეყნებიდანაა ჩამოსული, საითკენაც ჩვენ მივისწრაფვით...**

— ჩვენ „ამერიკული ოცნების ტყვეები" ვართ — ვფიქრობთ, ჩავალ იქ, იმ დიდ ქვეყანაში და ფრთის გაშლის საშუალება მომეცემაო. არადა იქ, უცხოეთში, შეიძლება ფრთებიც სამუდამოდ შეგაკვეცონ და სულიც დაგიმახინჯონ. ისე, იმ დიდ ქვეყანაში ჩემი მეგობრები კარგა ხნის წინ წავიდნენ და ძალიან კარგად არიან. თავიანთი პიროვნული და გონებრივი შესაძლებლობების გამოვლენის მაქსიმალური შესაძლებლობები აქვთ. ამიტომ ვასკვნი, რომ იქ მეც კარგად ვიქნები.

**— მიუხედავად ამისა, შენ მაინც აქ ხარ...**

— ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ჩემში ნაწილობრივ მაზოხისტი ცხოვრობს. ჩემი აზრით, ეს ქართველების მახასიათებელი თვისებაა. უფრო კი იმიტომაც არ მივდივარ, რომ მივაგენი ოქროს შუალედს — ვაკეთებ საქმეს, რომელიც ძალიან მიყვარს, ჩემი ოჯახი მატერიალურად უზრუნველყოფილია. ალბათ, კარგია, რომ მიუხედავად ამდენი პრობლემისა, მაინც არ მივდივართ და რომ სულში გნომისხელა მაზოხისტი გვიზის. ხანდახან გნომი მეტისმეტად აქტიურდება: თითქოს მცდის და თუ მომდევნო თვე წინასავით ნაყოფიერი არ აღმოჩნდა, ჩამძახის, წადი, აქ რა გინდაო, მაგრამ საბედნიეროდ, თავს სწრაფად ვერევი და ამიტომაა, რომ საქართველოში ვარ დღესაც.

**— ე.ი., გნომს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ქვეყანა მთლიანად არ დაცარიელდა და წასულებსაც უკან დაბრუნებაზე უჭირავთ თვალი?**

— არ ვიცი, რისი ბრალია ეს, მაგრამ ერთი კი ფაქტია, — ჩვენთან საქმე მართლა ვერ არის კარგად. თუ ქვეყნის სასიკეთო საქმეს მოჰკიდებ ხელს, იწყება მითქმა-მოთქმა — ამ კაცს თავის გამოჩენა და სავარძლის ხელში ჩაგდება უნდაო. თუ კარგს აკეთებ, დამნახავი არ გყავს; თუ ცუდს — პასუხს არავინ გთხოვს. ჩვენს ქვეყანაში ოპოზიცია, კიცხვა, შეჩვენება (თუ რა ვიცი, რა ჰქვია), კონსტრუქციული არ არის და ადეკვატურ რეაქციას არ ან ვერ იწვევს. კლინტონმა მონიკა ლევინსკის გამო ქვეყანას მოუბოდიშა და პირობა დადო — ამას აღარ ვიზამო და ალბათ არც იზამს, ისე წაუხდინეს ნირი. ჩვენთან კი რა პასუხი, რის პასუხი?! საშინელი ნიჰილიზმი მეფობს.

**— შონზო, თუ გქონია ქალთან გამოუვალი სიტუაციები?**

— გამოუვალი სიტუაცია ხშირად კურიოზად იქცევა ხოლმე, მე კი ქალთან ურთიერთობას უზარმაზარი სერიოზულობით ვეპყრობი, ყველა მათგანთან ურთიერთობაში განსაკუთრებულ აზრს ვდებ — ქალს ვაფეტიშებ.

**— პატარა შონზო როგორ არის?**

— იზრდება, საკმაოდ ზორბა ბიჭია.

**— როგორ ფიქრობ, კონკურენციას გაგიწევს? რაღაც ისე ჩანს, რომ შემოქმედებითი მემკვიდრეც გეზრდება.**

— ასეთი ექსპერიმენტები, როცა მამის კვალს მიჰყვება შვილი, ხშირად წარუმატებელია ხოლმე. ამას უამრავი მაგალითი გვიდასტურებს. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, პატარა შონზო ჩემი გზით რომ წავიდეს, თუმცა მაინც არ ვზღუდავ, თავად გააკეთოს არჩევანი. როგორც კი ვცადე, ჭკუა დამერიგებინა, გამინაწყენდა და ურთიერთობაში კედელი ამიშენა. მას შემდეგ ვფრთხილობ.

**— თურმე პატარა „შონზო" და-ძმას ნატრობს.**

— მალე მოვუგვარებთ მაგ პრობლემას და შონზოები გამრავლდებიან.

**— გავიგე, საქართველოში შენი მიმდევრები, „შონზოიდები" გაჩენილან.**

— არ გამიგია, რომ მიმდევრები მყავს, მაგრამ სხვა შონზოების არსებობის შესახებ მსმენია. ერთი გოგოა, გვარად შონია და შონზოს ამიტომაც ეძახიან. თუ ვინმეს ჩემი საქმე მოსწონს, გაიხაროს, მაგრამ არც კერპის შექმნა ივარგებს ჩემგან. კერპთაყვანისმცემლობა კარგი რომ ყოფილიყო, არ უარვყოფდით ქართველები. კერპის შექმნით საკუთარ პიროვნულ თვისებებს კლავ. პოპულარული ჯგუფი „ემინემი" იმიტომ მომწონს, რომ სწორედ იდეის, შინაგანი თავისუფლების შესახებ მღერის.

**— შონზო, თუ გქონია შემთხვევა, რომ არ გეცინება და სცენაზე მაინც იცინი?**

— კი, ხშირად... სცენაზე ცუდ გუნებაზე ყოფნა მეკრძალება...

**— როგორც ვიცი, ძალიან მოუცლელი ხარ, რითი ხარ დაკავებული?**

— 25 ნოემბრიდან 29-მდე „კავეენის" ხალხი კონცერტებს გავმართავთ ფილარმონიაში, ამჯერად ტელევიზიის ერთ-ერთ სტუდიაში ჩვენზე გადაცემას ამზადებენ. კიდევ, ეთერში გავუშვით რადიო „101". საინტერესო პროექტები გვაქვს — ვმოძრაობთ, რა.

# „წინა კაცი უკანას ხიდიაო" – მბრმა, მბრმ"...



მის შესახებ უკვე უამრავი რამ გვსმენია. ამიტომაც ცოტა ორიგინალობისათვის მეც და ჩემმა რესპონდენტმაც გადავწყვიტეთ, ამ სტატიისთვის ინტერვიუს ფორმა არ მიგვეცა და თქვენთვის უბრალოდ ნეკას ფიქრების სახით შემოგვეთავაზებინა. **ნეკა სეზისკვერაძეს** ძალიან უყვარს ახლობლების ანდაზებით დამოძღვრა და თურმე ხშირად ფიქრობს კიდეც ამ ხალხური საუნჯის შესახებ. მაშ ასე, რას ფიქრობს ნეკა:

— როგორც ყველა ადამიანს, მეც ძალიან მიყვარს ძილი, თუმცა, სულ ვფიქრობ, რომ ძილისთვის დრო არ უნდა დავკარგო. თუ საქმეს სჭირდება, დღე და ღამე უნდა გაასწორო კიდეც. მე სულ გამოუძინებელი ვარ, რასაც საბედნიეროდ ვერავინ მამჩნევს. ბავშვობიდან მჯერა, რომ „ადრე ამდგარსა კურდღელსა დაეწევა მწევარი" ანუ ყველა საქმეს წარმატებით გაართმევთ თავს, თუ ტოროლაზე ოდნავ გვიან მაინც ადგებით. აი, მაშინ კი მედღეხვალიე კაცივით თოვლი ვეღარ მოგადგებათ კარსა, არა, ზამთარი კი იქნება, მაგრამ მომზადებული შეხვდებით.

ქართველები ზარმაცი ხალხი ვართ, სამწუხაროდ, დროის ფასი არ ვიცით, არადა, ვინ იცის, ჩვენმა წინაპრებმა როდის გაგვაფრთხილეს პირველად: „ვინც დაიზარა, ვერ გაიხარაო". ეჰ, რამდენჯერ, გამოცდების მომზადების დროს, რამდენჯერ სიმღერის ჩაწერის დროს მიზარმაცნია. კარგადაც მინანია „მედღეხვალიე კაცობა", თუმცა, ეს ჩვევაში ნამდვილად არ გადამზრდია.

საოცარი ნათქვამია: „ბედი მომეც და სანეხვეზე გადამაგდეო". ეგრეა, თანაც მე უბედობას ნამდვილად არ ვუჩივი, ხშირად ისეთი სიტუაცია შემქმნია, რომ ვერ ვინატრებდი. „ბედნიერების გასაღებს მოთმინება იძლევაო", ტყუილად ხომ არ უთქვამთ. კაცი არ უნდა აჩქარდე, საქმე მოთმინებით უნდა აკეთო.

ერთხელ ლექციებიდან შინ დაბრუნებულს სადარბაზოსთან იმხელა ძაღლი დამხვდა, გული გამისკდა კინაღამ. შუბლზე ეწერა — გაბედე და შედი, შეგახრამუნებო... 20 წუთი ვიდექი და ველოდებოდი, ან ძაღლი წავა და ან ვინმე გამოივლის-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე. გავბედე და სადარბაზოში შევვარდი, გამომეკიდა. ჩემი ვაიმე, ვაიმეს კივილი მთელ ბინას აქცევდა, მაგრამ რატომღაც ვერავინ გაიგონა. მეოთხე სართულამდე მსდია ძაღლმა. რომ არ შეჩერებულიყო, სახურავზე ავძვრებოდი. ჰო, რა გაგიკვირდათ, „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო," არ გაგიგონიათ?

დიდი ოპტიმისტი ვინმე ვარ და ახლობლები სულ მეძახიან: „მაღლა-მაღლა რომ დაფრინავ, ღრუბელი ხომ არა ხარო". სევდიან, წარუმატებელ ამბებს რომ მიყვებიან, ყველას ვანუგეშებ; თავს რად იკლავ დარდით, ზოგი ჭირი მარგებელია, დღეს თუ ღრუბელია, ხვალე მზიანი იქნება-მეთქი.

ქართველებისთანა სტუმარ-მასპინძლობა მართლა არ იცის არავინ, იმიტომაცა გვაქვს ეს ანდაზა: „თუ მასპინძელი არ ლხინობს, სტუმარსაც მოეწყინებაო". ეგრეა, ეგრე, სტუმრის პატივისცემა ყველგან კი იციან, მაგრამ ისეთი გამოხდომები აქვთ, რომ ყველაფრის ხალისი დაგეკარგება. იაპონიაში, ერთ-ერთ სკოლაში უნდა გაგვემართა კონცერტი. კარი გაგვიღეს თუ არა, ფლოსტები შემოგვაჩეჩეს, ჩაიცვითო. სცენაზე ფლოსტებით ხომ არ გავალ-თქო, გავიკვირვეთ. ვინ გისმინა, მე და ნინი ბადურაშვილი სიცილით ვკვდებოდით შარვალ-კოსტიუმში გამოჭიმული ფლოსტებიანი დირექტორის დანახვაზე.

ბაქია არა ვარ, მაგრამ უცხოეთში მყოფს მეც მემართება ისე, როგორც ანდაზაშია: „კამეჩი მყავდა ნიკორა, ვაქებდი, არა იყო რა", ჩემს ქვეყანას ყველგან ვაქებ და ვადიდებ. რაც არა გვაქვს, იმაზეც გავიძახი, გვაქვს-მეთქი. აი, ეკა კახიანს კი არ ესმის ასე. იაპონელები გადარია, ჩვენს ქვეყანაში შუქი არა გვაქვს, გაზს არ გვაძლევენ და ზოგჯერ წყალსაც გვითიშავენო — ჰყვებოდა და იაპონელები გაოცებული უყურებდნენ, ამნაირი მზესავით ქალი ნეტავ იმ ველურ ქვეყანაში როგორ ცხოვრობსო. მერე ისიც რომ გაიგეს, ეკას ერთ სპექტაკლში თუ სერიალში მონაწილეობისთვის მხოლოდ 20 ლარს უხდიანო, სულ ვიშვიში დაიწყეს. აი, მაშინ მივხვდი, რომ „ჯობია აქო ნიკორა, თუნდაც არა იყოს რა" ნამუსიც შეგენახება და მოყვარესაც არ გაუხეთქავ გულს.

ამქვეყნად ყველაზე მაღლა ადამიანურ ურთიერთობებს ვაყენებ და ძალიან არ მომწონს ჩვენთან პირში სიცილის და ზურგს უკან სამარის თხრის ტენდენცია რომ ვითარდება. მოყვარეს ღიმილით ვცდილობ ავუხსნა, რომ მისი პრობლემა ჩემი ტკივილივით მაწუხებს. ასე კონფლიქტიც აღარ ხდება და საქმეც კეთდება.

ხშირად მეკითხებიან, რა არის ეს, ჟურნალისტიკაზე რომ სწავლობ და კიდეც რომ მღერიო, ორ კურდღელს დასდევ, არ გეშინიაო? ამნაირი „კურდღლების" დევნა სულაც არ არის საშიში. მთავარია, ერთი საქმის კეთებისთვის ორი გზა არ აირჩიო და ხრიკებს არ მიმართო. ხრიკების დევნა წამგებიანია — უფროსებისგან გამიგია.

აი, ამას კი ვერ ვეთანხმები, რომ რომელ ქვეყანაშიც შევალ, იქაური ქუდი დავიხურო. რა ვქნა, ქართველი ვარ და მიჭირს ჩვენი ტრადიციების დათმობა, ჩვენს ღირსებებზე ხაზგასმისაგან თავის შეკავება. ეგ უფრო ებრაელების თვისებაა, გამოსდით და იხურავენ სხვის ქუდსაც, მაგრამ არც თავისას ტოვებენ გვერდზე. მოკლედ, ერთი კვირით შეიძლება მასპინძელი ქვეყნის ქუდი დავიფარო, მეტს ვერ გავძლებ.

„სიკეთე ძაღლსაც არ დაავიწყდებაო" — უთქვამთ, ეჰ, კაცს კი ავიწყდება. მიყვარს სიკეთის კეთება, მაგრამ მადლობის მიღებაც მიყვარს, არადა, ადამიანებს უჭირთ ამის თქმა.

„უძაღლო ქვეყანაში რომ კატებს აყეფებენ", არ გჯერათ?

მიიხედ-მოიხედეთ, ზოგჯერ ისე ალმაშფოთებს ხოლმე ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, რომ სიბრაზეს ვეღარ ვფარავ და ვკითხულობ, ამიხსენით, ეს ქვეყანა ჩალით არის დახურულიმეთქი? პასუხის გამცემი არ მყავს.

„ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო", არ დაიჯეროთ. ჩემს ცხოვრებაში ქრთამი არ გამომიყენებია. ყველას ვეუბნები, ვისაც ნიჭი აქვს და მატერიალურად ხელმოკლეა, მოინდომეთ, იშრომეთ, მოითმინეთ და დაგინახავენ, ხელს შეგიწყობენ და მოგეფერებიან; მე, ნეკა გეუბნებით ამას, რომელსაც არც პარლამენტარი ბიძა ჰყავს და არც სხვა ვინმე გავლენიანი. თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს"? ეგ კი ნამდვილად ქართველების დაავადებაა, მაგრამ თქვენც რაღა ავადმყოფურ მხარეს აქცევთ ყურადღებას. იმედი დაგავიწყდათ?

„წინა კაცი უკანას ხიდიაო" — ბარათაშვილიც ხომ ამას გვეუბნება. ესეც ქართველის თვისებაა, უფრო სწორად ღირსებაა. ამერიკაში რომ ვიყავით კონცერტზე ამ ბოლოს, თემურ თათარაშვილს ისეთი მონატრებულები დახვდნენ, წინა კონცერტების მსმენელები, რომ უზომოდ მიხაროდა. მერე სადაც კი იტყოდი, ქართველი ვარო, იმ წუთში სუხიშვილების ანსამბლზე და ნინო ანანიაშვილზე იწყებდნენ საუბარს. იცით რა მაღალი ვიყავი ამ დროს, მე, პატარა ნეკა?

„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო" — კაი ნათქვამი კია, მაგრამ იაპონიაში 31-ე სართულზე მყოფს მიწისძვრამ რომ მოგვისწრო, მე, ეკა კახიანი და ნინი ბადურაშვილი თავგზაარეული დავრბოდით საღამურების ამარა სასტუმროს ჰოლში; ამ დროს სხვა არავინ გამოსულა ნომრებიდან, მოსამსახურეები კი ღიმილით გვაწყნარებდნენ და გვიხსნიდნენ — ეს ჩვენთან ყოველდღიური, ჩვეულებრივი მოვლენააო. ე.ი. როგორც ბათუმში წვიმა, ისე იაპონიაში მიწისძვრა არავის უკვირს, მე კი გადარეული ვფიქრობდი, რაღა ამ უცხო ქვეყანაში მკლავ, ღმერთო-მეთქი.

ოჰ, რამდენი ვილაპარაკე, აკაკის თქმისა არ იყოს, „ენა კი გულის ცოცხია", მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანის ამ მოუღლელ ორგანოს ძვალი არა აქვს და კბილები მარტო საჭმელად კი არა, ზოგჯერ ენაზე დასაჭერადაც უნდა გამოვიყენოთ.

*გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ*



„ეს ოხერი ისტორია მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ხალხი არსადა ჩანს, მე კი ხალხი მაინტერესებს,“ — წერდა ილია. მას შემდეგ საუკუნეზე მეტი ხანი გავიდა. ბევრი რამ კიდეც შეიცვალა. ხალხისათვის კი აღარავის სცალია. ქალაქში ეს ნაკლებად იგრძნობა. სოფელი კი ფარღალალა და გამჭვირვალეა — დაცლილი, გაუბედურებული, ნახევრად მშიერ-ტიტველი, მივიწყებული. არადა სწორედ იგი უდგას მარადიულ ბურჯად ერის თავხეს, ისევ ის აპურებს ქალაქს, ქვეყანას. ერწოც ასეა: ფეთქავს, ცოდვილობს, ცოცხლობს და მრავალჭირგამოვლილი იცინის კიდეც. იცინის ხალასად და სუფთა ჰაერთან ერთად ამ სიცილით იჯანსაღებს სულსა და სხეულს. ადათიც ასეთი ჰქონდათ; მათი ხასიათი ძვალხორციანად გამჟღავნებულია კაფიაში, იუმორში, ღიმილში. არავინ წუწუნებს, არ იყვედრებიან. მათი წუთისოფელი, საუბარი შინ და გარეთ — ხუმრობაცაა, დატუქსვაც, ურთიერთობის წუხილიც, დამოძღვრაც, ეკალიცაა იდუმალი, მაგრამ წვერწატეხილი. როგორც თვითონ ამბობენ, სიტყვა მათი — „ხმალია, ჰაერში გაშხუილებული, შოლტია, რბილთა მომწველი და აროდეს ამჩხავნებელი. მხოლოდ გაუმაძღრობაა წუთისოფლით“. ჰოდა, ისინიც ხუმრობენ, ლოცავენ გაჩენის საათს, კაფიობენ ქორწილებში, ახალწლის ჩაბნელებულ ღამეს, ხინკლის ორთქლიან ქვაბთან, სტუმარმასპინძლობისას, ხუმრობენ გუნებაში, მარტოდ მავალნი, გზის დასამოკლებლად, სიცოცხლის წყურვილით.

ბევრი სოფელია ერწოში. ნასოფლარ-ნასახლარებიც ბევრია, ციხეთა ნაშალი ქონგურებიც, გაღმერთებული წმინდა ადგილებიც. იორგაღმიდან ბოჭორმის ციხე დასდგომია დარაჯად, თავზე წამომართვია იკვლივის გულზვიადი მთა, შორს მოჩანს ძეგლით დამშვენებული ქორშევარდენი.

უამრავი ლეგენდა არსებობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერწოზე. ყველა მათგანის სიუჟეტი ერთია: აქ ტბა ყოფილა გაუვალი, გველეშაპი ბუდობდა წყეული. მარტო ულამაზეს ქალწულებს ყლაპავდა. ისინიც ეწირებოდნენ, თანაც იმდენნი, რომ გაძღა გველეშაპი. ტბაც მუცელში მოიმხო. მოხვრიპა და აშრა იქაურობა. აქა-იქ ჭაობია დღესაც — ვითომ იმ ტბის ნარჩენი.

აქაურები ისევ საზრდოობენ მითებით.

ერწოს ბარაქიან მინდვრებზე ვახტანგ გორგასლის ლაშქრის დასაპურებლად ორი წლის მოსავალი მოჰყავდათ. ამ არემარეში აუგია სასახლე არჩილ მეფეს, აქვეა მისი განსასვენებელი — „ნაკორნ“, საიდანაც წამოდგა სოფლის სახელწოდება — ნადოკრა.

უკუღმართი ბედის ნაშთია დამწვართსოფელი — რამდენიმე კომლიანი. ოდესღაც ისიც ხალხმრავალი ყოფილა. მტერს დიდი და პატარა ერთად შეუკრებია, ამოუხოცავს და დაუწვავს. მას შემდეგ ვერ მრავლდებიან, მაგრამ არც ფუძე მოუშლიათ.

ერწოს ტაფობიდან მოსახლეთა უმეტესობა კახეთში გადასახლდა. სამაგიეროდ, XIX საუკუნის დამდეგს მთიულეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიუვალი ადგილებიდან ჩამოსულები დაფუძნდნენ და თან იმ კუთხის მამშვენებელი „ენა გრძელიც“ ჩამოიყოლეს. გამრავლდნენ, გაღონიერდნენ...

ამ არემარეში განფენილი სოფლების მისასვლელ გზებზე, როგორც თვითონ ამბობენ: „ტვინს შეგირყევს ჭანჭყარია“. მაინც „მივჭანჭყარებ“ და მიხარია, რადგან იქ ხალასი სული და წრფელი გული მელის. წვიმაში გალუმპულ მგზავრს გვერდი ვერ ავუარეთ და ტალახიანი წუმპე შევაშხეფეთ. მანქანა ბოდიშის მოსახდელად გავუჩერეთ.

— ღმერთმა გიშველოთ, მეც იქით მოვდივარო, — თქვა და ღიმილით მომიჯდა გვერდით. ცოტა გადაკრულში იყო. წვიმა და დასველება ფეხებზე ეკიდა, — აქა, — ხელი გაიშვირა ბურუსში ჩაძირული სოფლისაკენ, — ერთი კაცური კაცი ცხოვრობდა — სვიმანი. წისქვილი გამართა უადგილო ადგილას, ვერ ამუშავა. იჯდა ნირწამხდარი და თავის თავს დასცინოდა: *„რამ მოგაფიქრა, სვიმანო, წყალთგორის ძირში წისქვილი?“* — პასუხსაც თავად უძებნიდა: *„ხანდახან მომაგონდება, გამიკვირდება, ვიცინი“*. ერთმა სიმონიანხეველმა ხნიერმა კაცმა ლამი შეაგროვა, — არ ცხრება თანამგზავრი, — გიორგი ბიჩინაშვილმა ფული გადაუხადა, მაგრამ ვიდრე წაიღებდა, მოპარეს. ხმა გავარდა, ვისაც წაეღო. გიორგიმ შეულექსა: *„ძიგურაშვილო კიმეო, ჩემ ლამს რად ჩაურბინეო, მე ფიდას ფული მივეცი, შენი რად დაარქვინეო. მანქანაზე რომ უდებდი, ორჯერაც დაგისტვინეო, კულტურის დირექტორი ხარ, თავი რად შეირცხვინეო“*. ლექსად გაკრეფილი სიონელი სუმბატა გიგაური გაგიგონიათ? — გვკითხა და პასუხს არ დაელოდა, — მაგან გალექსა ორხეველი მეველე კაჭულა: *„კაჭულა მეველეი გვყავ, მთელი მინდვრების დამცველი, მინდორი ეგრე დაიცვა, როგორც წყალს იცავს საცერი“*. ერთხელ ბერდიას ბიჭიც გალექსა მოხუცი მეზობლის ენაპირით: *„უთხარით ბერდიას შვილსა, ტრაქტორს რო დააგორებსა, თვითონ რო შეშის მთებ უდგა, ჩვენ რად არ მოგვიგონებსა“*.

გავიარეთ ბეწენწურები.

საიდან მოდის ამ სოფლის სახელი-მეთქი, — ვკითხე.

— რა ვი, რას არ მოიგონებს კაციო — და მაგრანეთელ გიორგი ობგაიძეს გადასწვდა: — „ასლან გირეი“ დაირქვა, ას წელს ისე მიატანა, ჩიბუხი პირიდან არ გაუგდიაო. თან მისი ლექსიც შეგვაწია წუთისოფლის ბრუნვაზე: *„ვიარე, ვიხეტიალე, დავშვერ, დავნებდი კერასა, ბევრ საწყალთ გლოვას მოვესწარ, ბევრსაც მდიდრების მღერასა, ეს ასე დაუწესებავ, ბედსა და ბედისწერასა“*... ჰოდა ეგრე, ხელ მოგიმართოთ, მე მოვედი! — ჩავიდა, ღიღინით შეუყვა ორღობეს.

## ფიქრია

ჩემი მასპინძელი ფიქრია როკაშვილი ნაქალაქარის სკოლაში მოვიკითხე. ქალბატონი



ფიქრია როკაშვილი

# „არ მინდა ასი ათასი“...

ფიქრია წლების მანძილზე კრეფს ერწოში გაბნეულ მარგალიტებს: კაფიებს, ლეგენდებს, ისტორიულ ამბებს, მოსწრებულ გამონათქვამებს. ახლაც იუმორისტული ჩანაწერების დასტა შემომაგება, თან მირჩევდა: — ეს გამოაქვეყნე... უიმე, ეს არა, ამის მთქმელს ეწყინება საქვეყნოდ გამოჭენებაო.

მეც ვიწერ:

...ნიკოს ექიმმა კიბოს დიაგნოზი დაუსვა. პენსიას მაინც დამინიშნავენო, — გაიხარა საქმით გაზეზრებულმა ნიკომ.

...ნინას მაზლმა ამბავი მიუტანა — შენი ვირი მგლებს შეუჭამიათო.

უიმე, სული შეუჭამიათ? — თავში წაიშინა ხელები ნინამ.

ერთი სახინკლე დაუტოვებია, გაგზავნე ვინმე, აჭრასო, — მიუგო მაზლმა სიცილით.

...ჩიტოს მარტოხელა ქალმა ჰკითხა, — „პავრუშჩიკი“ რა არისო? წინიდან რო ანევენ და უკნიდან თხრისო, — აუხსნა ჩიტომ.

...შალიკოს შვილები შეუქეს — კარგები გამოგივიდნენო. ეგრეა, ძმაო, ნეხვზე კაი მოსავალი მოდისო.

...კაცები ქეიფობენ. ერთი ამბობს: ჩემი ბიძაშვილი ლადო კაცი არა ყოფილა, დასაღლევად მივედი და ცხვალეტში დამემალაო. სანდრომ ჰკითხა: რამდენ ოთახიანი ცხვალეტი აქვს ლადოსო.

...შალიკო მეზობლის დედაკაცს მანქანიდან ჩამოსვლაში მიეხმარა და უნებლიედ მკერდზე მოუხვდა ხელი. მე უნამუსოვ, შენა, ეგ რა ჰქენიო, — გაუწყრა ქალი. ქალო, რქები შენ არა გაქვს და კუდი, რაც გაგშვერდა, მეც იმაზე მოგკიდე ხელიო, — თავი იმართლა შალიკომ.

...გიგომ ექთანად ნამუშევარ ქალს შესჩივლა — ფეხები მისივდებაო. ექთანმა ურჩია: — შენს შარდში ჩაყავი და იქნება გეშველოსო. მკურნალობამ მართლაც შეღავათი მისცა გიგოს, მაგრამ სოფელში დაცინვა დაუწყეს. დაიცათ, ხალხო, ოლონდ მეშველოს და შიგ პირს კი არ ჩავიყოფო? — იხტიბარი არ გაიტეხა გიგომ.

...ჯუმბერას მგელმა დაუჭამა ხბოები. ზოგი დაუგლიჯა. ცოცხალ-მკვდრებს მიადგა, გადაჰკიდა ცხენს და შინ ჩამოიტანა. ცოლს ჰკითხა, — რა ვქნათ, დედაკაცო, ვჭამოთ თუ ძაღლებს დავუყაროო. თამარამ შეიცხადა: — მაგათ ხორცს პირს როგორ დავაკარებ, შვილებივით დავზარდეო. შვილებივით რომ დავეზარდა, ქალაქში დაიწყებოდნენ აქეთ-იქით სიარულს, განა მგლებს დაეჭამებოდნენ ტყეშიო, — გაუწყრა ჯუმბერა.

...თედომ მონტიორი მოიყვანა სახლში, ერთი გაუთლელი და ხეპრე. ცოლი ეკითხება, — როდის იქნება სინათლეო. როცა ვირი ხეზე გავაო, — მიუგო თედომ. ხო უკვე ავიდაო, — ანიშნა ცოლმა სინათლის ბოძზე ასულ მონტიორზე.

...ჯუმბერასთან უშვილო მეზობელი მივიდა. ერთი ბალღი მომაშვილე, მოვკვდები და ყველაფერი თქვენ დაგრჩებაო.

ჯუმბერა იმჟამად შვილებზე გულმოსული იყო და მეზობელს შესთავაზა, — მე შვილებს ვერ დავათავთავებ და სულყველა წაასხიო.

კითხულობ ჩანაწერს — უამრავს, სასაცილოს და სატირალს, ყოველდღე რომ მოისმენ და მნიშვნელობას არც მიანიჭებ, ისეთსაც, რომ ვერ დაივიწყებ და სხვასაც გადასცემ, გადასდებ მის ხიბლს.

*ნაზიკომ თურმე ოთახის იმდენი ყვავილი მოამრავლა, ფეხს ვერ აუქცევდი. ქმარი ბუზღუნებდა: გასწი-გამოსწი, ან გარეთ გაიტანეო.*

*რას ამბობ, ჰაერსა წმენდენო, — არწმუნებდა ნაზიკო.*

*ჰო, როგორ არა, დილას დავინახე ზოგს ცოცხი ეჭირა ხელში, ზოგი მტვერსასრუტს ატრიალებდაო, — ბუზღუნით გაიხურა კარი ქმარმა.*

ეს ამბავი სოფელს მოედო. სხვაც ბევრი რამ, რაიც უკვე ხალხში დარჩა, მის საგანძურში დაიდო ბინა.

*მეორეკლასელი გიორგი ტუშური ფიქრია მასწავლებელს გაუძახია: — შინაური ფრინველები ჩამომითვალეო. ბუზი! — მიუგია გიორგის...*



მარცხნიდან პავლე ობგაიძე (ავტორი-მთქმელი) და ვახტანგ რაზიკაშვილი

იზრდებიან ასე, იუმორით და ჯაფით სავსენიც არ იხსნიან სიცილის გუდას. სად არ სწვდება მათი ფანტაზია.

## „მზეო, ვერ იცი სიცილი...“

საღამოს ერთ ოჯახში შეგვიპატიჟეს, მეზობლებს გასძახ-გამოსძახეს და გაიშალა სუფრა. თამადად ჭარმაგი ხევსური აირჩიეს, მიხლილ-მოხლილი, ახალგაზრდობა მოსკოვის ციხეში გაუტარებია. ლექსი ეკერა ენის წვერზე. სოფელს კიდეც გადავიწყებია მისი არსებობა. ჩამოსულა და ტრაბახობდა თურმე: — *ზოგს დაკარგული ვეგონე, რუსეთს რომ ვიყავ წასულიო.* ვითომ ოქსფორდში იყოო სასწავლებლად, — იცინოდნენ. ახლაც ტრაბახით აიკლო იქაურობა. უმეტესად ციხის ამბებს ჰყვებოდა. ახალგაზრდა ეჯდა გვერდით. მალი-მალ სათქმელს უტრიზავებდა და ხალხს აცინებდა. გაბრაზდა თამადა, — შენ მე რას მასწავლი, *„შვიდს წელს ციხეჩი ვიჯექი, ბალღო შე ჩემონალაო“*. „ბალღი“ არ დაიბნა, — *„შვიდ წელს კიდევაც მოგცემენ, თუ ისევ მოიპარავო“*.

რახან ხალხურ სიტყვიერებაზე ჩამოვარდა საუბარი, სულ შაირ-კაფიებით ჩამოირიგეს სადღეგრძელოები. გაიხსენეს ბევრი მთქმელი და მოლექსე — ამ ქვეყნიდან დროით თუ უდროოდ წასული, პაექრობაში დაუთმობელი, ბედთან მორკინალი, ღიმილიანი. ისინი ერწოს სხვადასხვა სოფლიდან იყვნენ, თავს უშურველად ანაცვალებდნენ მოყვარეს, უჭირდათ და მაინც იტყოდნენ: *„ფრთები მაქვს ნიავქარისა, მუხლები ბებერ კლდისაო“* (ნიკო გრიქულოვი), *„ლომს მორევია სიბერე, ჩემი რა საკვირველია“* (იოსებ ტუქსიშვილი), *„დღეს თელას ვგევარ გაღვერილს, ხვალ მსხმოიარე ხილი ვარ“* (კოხტა მიხა), *„კაცს თურმე ღმერთიც გასწირავს, მაგრამ სამშობლო კი არა“* (ალექსანდრე ქუშხეველი). ასეა ახლაც: სვამენ და ერთმანეთს ექადნებიან — ლექსობაში დაგაჩოქებო. დააჩოქებენ კიდეც, მერე თვითონვე წამოაყენებენ და ცეკვავენ გადიდლხინებით. თითქოს გუშინ ნიაღვარს არ წაელეკოს მათი ნაშრომ-ნაჯაფი, სეტყვას არ გაენადგურებინოს წლის სარჩო-საბადებელი.

კარი შალმოხვეულმა დედაკაცმა შემოაღო. თვალებით ქმარი მოძებნა — შავბნელო, აქა ზიხარ და ღრეობ, წელი მოვიწყვიტე იმ ჩაქცეული ლობიოს კრეფით!

— მოდი, აქ დაჯექ, ქალო, — შეუმღერა ქმარმა, — ეშმაკი თავის წილს მაინც წაიღებს.

— მუდამ ეშმაკის წილი როგორ არის, ეგ პატრონდასალევი, — არ ცხრებოდა ქალი.

— რას ამბობ, დიაცო, დილას იქით გავიარე, ეგ შენი ლობიო ისე ლამაზად მობნეულა გადარეცხილ მიწაზე, მოზაიკა გეგონება. ემანდ, ფეხი არ დაადგა და იქაურობა არ დაამახინჯოო.

დედაკაცმა ქოქოლა მიაყარა და გვერდით მიუჯდა.

სიმონიანთხეველ მეველეზე გვითხარიო — შეეხვეწნენ კაცები.

— ეს მეველე ტყისპირას ვიღაცისგან დაჭრილ მგელს წაადგა, — აგვიხსნა ქალმა, — გაატყავა და მონკავშირს ჩააბარა. სოფელში ხმა დააგდო: ორი მგელი შემეფეთა, დამეცნენ, ერთი მოვკალი ცულითო. გალექსეს: *„თოთელა ტყეში წავიდა, წაიყოლა ტაპორაო, ორი მგელი შეეფეთა, ერთი გადმააგორაო. მკვდარი იყო თუ ცოცხალი, რა საქმეა სხვისაო, თავად ხო ფული აიღო, გაისქელა ქისაო“*.

წინაპრების სადღეგრძელო თამადამ უხსოვარი დროიდან დაიწყო და ჩვენამდე უკლებლივ ყველა მეფე და გმირი დაახასიათა. ცოტა თარიღები ეშლებოდა და აქეთ-იქიდან სიტყვას აშველებდნენ. გაჯავრდა: — თამადა ლაპარაკობს — იორი ჩერდება! თქვენ რა სირეგვნე მოგრევიათო. სუფრა აყაყანდა: რაღაცებს ურევო. რაო, ვინ ურევს? მე თავად ვარ ისტორია, წიგნი ვარ, წიგნი! — გამოაცხადა რიხით. ეგრე არ არი, ავთო? — დაიმოწმა მასპინძელი. წიგნი კი ხარ, ძმაო, მაგრამ ეტყობა ზოგან ფურცელი გაქვ ამოხეული, — დაამშვიდა ავთომ.

— ყველა ყველა და, ჩვენი ძმის, ჩვენი თანატოლის — იოსებ აფციაურის სადღეგრძელო უნდა შემოგთავაზოთ, — თქვა თამადამ. ყველა გაირინდა, კაცები ფეხზე წამოდგნენ, — აი, ძმაო, მთქმელიც ეგ იყო და პოეტიც. ორიოდე წიგნი გამოსცა და აურაცხელი სათქმელი თან წაიყოლა. უდროოდ შეწყდა იმისი სიცოცხლე. ეგ ყველამ იცით, მაგრამ არ ვიცი, ყველამ იცის თუ არა, რომ მისი ერთი სტროფიც კი კოსმოსური ძალისაა... მარტო ეს რად ღირს: *„მზეო, ვერ იცი სიცილი, რო იცის ჩემმა დედამა, ზღვაში ჩაძირა სიკვდილი, მის ერთმა შემოხედვამა“*.

მეც მინდა ეს წერილი ბატონი იოსების სტრიქონებით დავასრულო: *„ხალხური პოეზია ქართველი კაცის გონების, ფიქრის, ძალის, ოცნების, სწრაფვის, დარდის, სითამამის, გულითადობის, მიწიერების — სახნავია, სათესი, სამკალი. წყაროა, ხმელ ბალახზე ცვარცემაა, ჰოოპუნაა, ლაშქრულია... ლექსით ამოთრევაა ლაფში ჩაფლული ურმის, ლექსით გადავლაა — ცხრა მთის, ცხრა ზღვის დახიდიანებაა — ლექსით, ლექსით გაღებაა წუთისოფლის ცხრაკლიტულის, ქრისტესთან მიბრძანებაა ლექსით. იყვნენ გუშინდელნი, არიან დღევანდელნი, რომელთაც ისევ მოსდგამთ გუშინდელთა სიტყვის ჯიშიანობა, შაირთქმის ჟინი. ამიტომაც არ დრკება ქართველი კაცი და ერწოელებიც ბანს აძლევენ:*

*„ჩამოღამდება, ჩამოვა*
*შავი ცის შავი თოვლიო,*
*მე მაინც წუთისოფელი —*
*ხარის ჩლიქებით მოვლიო.*
*მტერს არსად შაესუნთქება*
*ჩემი კუნძების ბოლიო,*
*ნიავის მომლოდინესა,*
*ქარი მომივა, ბორიო,*
*გამხმარი მიწის ტყავზედა,*
*ალივლივდება ტბორიო.*
*არ მინდა ასი ათასი,*
*ვარსკვლავი მენთოს ორიო,*
*ერთი მე, ერთიც სხვისადა,*
*ხატში თავმოსაწონიო“.*

**ეთერ თარიმანი**



# „ბიეში სპარტსმენკას" საწოლის ქვეშ შეძრომა გამიჭირდებოდა?



ბავშვი ვიყავი, გიორგი შენგელაიას „სიყვარული ყველას უნდა" რომ ვნახე. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ქეთო ყარაულაშვილმა, თქვენც გახსოვთ, არა? საბრალო ხირხალასაგან ნაღალატევი ქეთო როგორ იკუჭება საწოლის ქვეშ და მერე სიმღერით რა „მსუყედ" იწყევლება სუფრის ალაგებისას — „ცეცხლი ჭამა თქვენმა პირმაო". სწორედ ეს ქეთო, მსახიობი **ციალა გურგენიძე**, რომელსაც მუსკომედიის თეატრში 200-მდე როლი აქვს ნათამაშები, ამჯერად ჩემი რესპონდენტია და ისეთ ამბებს ჰყვება...

— „ღარიბი და ქილა ერბო" ხომ გახსოვთ, ძველ, „ცუდ დროში" რომ ვსწავლობდით სკოლაში. აი, მაგ ღარიბივით დამემართა ერთიორი წლის წინ, მუსკომედიის თეატრიდან სახელმწიფო პრემიაზე ვიყავით წარდგენილები და გამარჯვების შემთხვევაში 1.000 ლარი უნდა ამეღო პრემია. გეგმებს ვაწყობდი, ამაში, იმაში დავაბანდებ ფულს-მეთქი, მაგრამ გოგი თოფაძემ თურმე ვიღაცის თანაავტორობით რაღაც პიესა დაწერა და ჩვენს ნომინაციაში ჩაჯდა, სახელმწიფო პრემიაც მან მიიღო. ასე დამტოვა ხახამშრალი. მეც ვბიზნესმენობდი, მაგრამ მაგას კი არ შევცილებივარ, რა პიესების წერა აუტყდა, ვერ გავიგე.

**— სად არის გოგი თოფაძის პიესა ან რას ბიზნესმენობდით?**

— თოფაძის პიესის რა მოგახსენოთ, არსად არ მინახავს, ძალიან კი ვეძებდი. რაც შეეხება ჩემს ბიზნესს, რამდენიმე წლის წინ ლოჯიები რომ მოგვიშენეს, იქ 50 სული კურდღელი მოვაშენე და სანამ ვირთხები არ დამესია, მანამ არ გადავაშენე. ახლა იმ ადგილას კაქტუსები გავაშენე. ზოდიაქოთი მორიელი ვარ, ჩემი ყვავილია კაქტუსი. ამას წინათ შინდის საყიდლად წავედი ბაზარში და კაქტუსი ვიყიდე. შინდი გაძვირებულა, კაქტუსი გაიაფებულა და შანსი არ გავუშვი ხელიდან.

**— ფილმმა „სიყვარული ყველას უნდა" ქეთო ყარაულაშვილს ბევრი თაყვანისმცემელი შესძინა, ალბათ გსიამოვნებთ.**

— ო, მე ქეთოს კი არა, კვერცხების გამყიდველი მაროს როლი უნდა მეთამაშა. სინჯზე რომ მივედი შენგელაიასთან, ჰაიმორიტი მქონდა და შეფუთული ვიყავი. ა, მაროა ეს ქალი, მაროო და დამამტკიცეს როლზე. ეს ზამთარში მოხდა. გადაღებაზე კი ზაფხულში გამომიძახეს და თმაგაშლილი, გამშვენიერებული რომ მნახა შენგელაიამ, შენ მაროს კი არა, ქეთოს ითამაშებო — მომაძახა. გადაღების დროს სულ უკვირდა, რა ოსტატურად ძვრები საწოლის ქვეშო. „ბიეში სპარტსმენკას" საწოლის ქვეშ შეძრომა გამიჭირდებოდა? ცნობილი იან პამერის შეგირდი ვიყავი ჩოგბურთში.

**— თქვენი ცუცაც შთამბეჭდავია „კუჩხი ბედინერში", როგორი ბრაზით იხსნით პარიკს სიძის მოლოდინში...**

— მაგ როლის შემსრულებელს რომ ეძებდნენ, ოპერატორ ირაკლი ონოფრიშვილს მიუწოდებია ინფორმაცია ჩემ შესახებ რეჟისორისთვის, უთქვამს, ჩემი შვილების სათაყვანებელი მსახიობია, მაგაზე წერენ თავისუფალ თემებსო. იქაც სინჯის გარეშე დამამტკიცეს. მეგრელები რომ მცნობენ, ბაზარში მეძახიან: „ცუცა, მორთი აშ, სქანი გოლუაფირო" და ყველაფერს იაფად მაძლევენ.

**— ერეკლე ბადურაშვილის ფილმში „თბილისი ჩემი სახლია" ნინო ლეჟავა კინაღამ მოგიკლავთ.**

— ფილმის გადაღება რომ დამთავრდა, ნინო ღმერთს ევედრებოდა, რახან ამ ქალს გადავურჩი, მეორედ გადასაღებ მოედანზე ნუ შემახვედრებო. მე არ გამიგია, ფილმში კოცნა და ცემა ითამაშო, ყველაფერი ნამდვილი უნდა იყოს. ამიტომ მეც მაგრად ვცემდი ნინოს.

**— ამიტომ იყო, რომ სპექტაკლში „საბედისწერო ოპერაცია", კინაღამ თვალი ამოსთხარეთ ბადრი ბეგლარიშვილს?**

— იცით, იქ ფეხსაცმელი უნდა მესროლა სოფლელი, გრძელცხვირა ქალისთვის, რომელსაც სიყვარულს უხსნიდა ჩემი შეყვარებული ბადრი, რა თქმა უნდა, როლში. წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი პირდაპირ ბადრის მოხვდა და კინაღამ მოვკალი კაცი სცენაზე, კინაღამ მართლა საბედისწერო გამოდგა ის სცენა.

**— ბოლო ხანს ფილმებს აღარ იღებენ, თეატრებშიც არასახარბიელო მდგომარეობაა. ალბათ მოიწყინეთ, არა?**

— რეჟისორ მაია კახაძეს ენაცვალოს ჩემი თავი, მაგას ვახსენდები და მომიკითხავს ხოლმე. რამაზ იოსელიანი კი ჩემი მფარველი ანგელოზია. ფული რომ სულ გამომელევა, შიმშილით რომ ვკვდები და ღმერთს რომ ვეხვეწები, მიშველე-მეთქი, მაშინ დამირეკავს რამაზი და ხან სად მიღებს და ხან სად. ბოლოს „მაცაცურაში" ერთი ფილმიც გადაიღო, მაგრამ კომპიუტერზე წაიშალა. „დოლი" სასაცილო ფილმი კია, — მაცივრიდან გოჭი გადმოხტება, წამაქცევს და, უკაცრავად და, სახეზე მაფსამს. რეჟისორი ვაჟა ძიგუა მიყვარს ძალიან, რუსთავის თეატრში ვითამაშე მის სპექტაკლში. ახლა აკეთებს კიდევ რაღაცას და მიმიწვევს, საქმე გამომიჩნდება.

**— გიგა ლორთქიფანიძესთან მუშაობთ, თურმე, კიდევ.**

— არა, სამწუხაროდ, ეს სიმართლე არ არის, გიგამ სპექტაკლში „მევიოლინე სახურავზე" მათამაშა მკვდრის, მოჩვენების როლი და მერე აღარ გამაცოცხლა. ეგ რომ ეკრანზე მღერის „ვარდები არ არიან"..., მე აქ ვკვდები ტირილით და მზად ვარ მივუმღერო: „ცოცხალი ვარ, ცოცხალი-მეთქი".

**— მაყვალა ქასრაშვილის სურათებს ვხედავ თქვენთან, მეგობრობთ?**

— მაგას ვენაცვალე, ეგეც ჩემი მფარველი ანგელოზია. ციალა გურგენიძემ რომ იარსებოს, ფულს მიგზავნის ხოლმე. მეგობრობა და ქუთაისელობა გვაკავშირებს. უჰ, ქუთაისი მახსენდება, როცა ჩავდივარ, მიხარია, რომ ამ მთლიანად გაყიდულ საქართველოში რაღაცნაირად ბალის კიდე რჩება ხელშეუხებლად და ყველას საკუთრებად. ჩემმა რეზო გაბრიაძემ მაჩუქა ამას წინათ თავისი წიგნი და წამიწერა, „ქუთაისი არ დაგავიწყდესო", რა დამავიწყებს...

**— ქალბატონო ციალა, სპექტაკლში „კახელები ბამზე" რომ გითამაშიათ ბებიის როლი, თურმე სპექტაკლების მერე ქრთამს იღებდით.**

— *(იცინის)* ჰო, ისე მოსწონდათ ჩემი „ბებია", შვილიშვილს რომ ვუკივლებდი — სადა ხარ, შე ამოსაწყვეტო, ვირივით საყვარელო-მეთქი, კახელები ავტობუსებით ჩამოდიოდნენ სპექტაკლებზე და ტკბილი კვერი და ჩურჩხელები მოჰქონდათ ჩემთან. ეგ რა ქრთამია, თანაც მე და ქრთამი? სასაცილოა, მე მორწმუნე ქალი ვარ, სანთელი რომ არ ავანთო, იმ დღეს ყველაფერი უკუღმა წამივა. ამიტომ ყოველ დილით ღმერთს მადლობას ვუხდი მშვიდობიანი დღის გათენებისთვის.

*ქალბატონ ციალას 21 ნოემბერს დაბადების დღე ჰქონდა. არ გაგვიმხილა, რამდენის გახდა. ამბობს, ღმერთი ერთ წელს მიმატებს და მე ხუთს ვიკლებ, სათვალავი ამერიაო.*

*მშვიდობიანი დღეები არ მოგაკლდეთ, ქალბატონო ციალა!*

***ეკა ლომიძე***

# თუ დარღვეული მაქვს მოძრაობის წესები, ვაკეთებ ამ „ილეთს"



***კოტე თოლორდავას*** *კარგად იცნობს თეატრის მაყურებელი. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 23 წლისაა, მას სპექტაკლებში ხშირად აკავებდნენ, მეტეხის თეატრი იყო ეს, ჯიბის თეატრი თუ თეატრალური სარდაფი... ხოლო მათ, ვისაც თეატრის ერთგულ მაყურებელს ვერ დავარქმევთ და არც კოტე თოლორდავა ახსოვთ, შევახსენებ: ეს ის ბიჭია, „დიონისეს" არყისა და ბორჯომის რეკლამაში რომ ხედავთ ტელეეკრანებზე.*

— თეატრალური ინსტიტუტი 2 წლის წინ დავამთავრე. ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, მეტეხის თეატრში რომ აღმოვჩნდი და სადიპლომო როლიც იქ შევასრულე. აქამდე მეტეხის თეატრის მსახიობი ვიყავი, ახლა ერთი თვეა, წამოვედი და, ასე ვთქვათ, უშტატო მსახიობი ვარ.

**— თქვენ საკმაო რაოდენობის როლები გაქვთ შესრულებული თეატრებში, თანაც საკმაოდ ნიჭიერად და კარგად, მაგრამ ძირითადად, მასობრივი მაყურებელი მაინც რეკლამებიდან გიცნობთ.**

— ძალიან ცუდია ეს. ვცდილობ, ამაზე არ ვიფიქრო. რეკლამა სულ სხვა სფეროა, როცა სერიოზულ როლს თამაშობ სპექტაკლში და ვიღაც დაგიძახებს ქუჩაში, აი, დიონისეო, არ არის სასიამოვნო, გული მოგიკვდება კაცს, მაგრამ რას იზამ... თუმცა, ერთი მხრივ არ არის ცუდი, თუ სახეზე გცნობენ. მაგალითად, პოლიციელებთან პრობლემა აღარ მაქვს. მცნობენ, მეხვეწებიან: ერთი ის ილეთი გაგვიკეთე „უხ, „დიონისეო".

**— მერე უჩვენებთ?**

— თუ დარღვეული მაქვს მოძრაობის წესები, რა თქმა უნდა, ვაკეთებ ამ „ილეთს".

**— რეკლამის სიუჟეტი მოფიქრებული იყო, როცა გადაღება დაიწყეთ?**

— არა, რაღაც ისე მოხდა, რომ იქვე გადავწყვიტეთ, გვეხუმრა, ვიხუმრეთ და ასე გამოგვივიდა... ისე რეკლამაც ჩვეულებრივი შემოქმედებითი სამუშაოა, რა თქმა უნდა, თეატრისაგან დიდად განსხვავებული, მაგრამ მაინც შემოქმედებითი.

**— ამბობენ, როცა მსახიობი რაღაც როლზე მუშაობს, მაგალითად მეწაღის, სწავლობს ამ ხელობას, რომ მართალი სახე შექმნასო, თქვენ თუ „გაეცანით" წინასწარ არაყ „დიონისეს"?**

— წინასწარ არა, გადაღების შემდეგ კი „გავეცანი" და ძალიან სასიამოვნოც იყო. რაც შეეხება ნამდვილ ბორჯომს, გადაღებისასაც გეახლებოდით ხოლმე, მაშინ ძალიან ცხელოდა და..

**— ვიცი, ძალიან დატვირთული ხართ, მუშაობთ ტელევიზიაშიც, თეატრში სულ ახლახან პრემიერა შედგა — „ბალზამინოვის ქორწინება". იქაც შესანიშნავად ითამაშეთ. როგორია თქვენი ჩვეულებრივი დღე?**

— ეს არის მარათონი. დილით მივდივარ ტელევიზიაში I არხზე, მერე მე-9 არხზე... მერე მაქვს რეპეტიცია თეატრში, მერე ისევ ტელევიზიაში, ბოლოს ისევ რეპეტიციაზე ან სპექტაკლზე. გვიან შევდივარ სახლში და მხოლოდ იმას ვასწრებ, რომ ცოლსა და ჩემს შვილს — ბუკას ჩავეხუტო.

**— ტელევიზიაში რას აკეთებთ?**

— ფილმებს და მულტფილმებს ვახმოვანებ. ურთულესი რამ არის. ერთხელ გახმოვანებისას ჩამეძინა კიდეც, ისე ვიყავი დაღლილი. ეს ცოტა ხნის წინ მოხდა. მაშინ სარდაფში წინასაპრემიეროდ რეპეტიციებს ღამითაც გავდიოდით. მერე ხელი მკრეს, გამაღვიძეს და გავაგრძელე საქმე.

**— რომელ სამუშაოს დათმობდით უფრო იოლად?**

— მე ვიცი, რომელს ვერ დავთმობდი: ეს თეატრია. თეატრის გარეშე ვერ წარმომიდგენია ცხოვრება.

**— ოჯახში გყავთ ვინმე თეატრალი?**

— დედა გერმანულის სპეციალისტია, მამა შორეული ნაოსნობის კაპიტანი... ასე რომ, აქამდე მარტო მე ვიყავი. ახლა ჩემმა მეუღლემ, მარიამ ჯოლოგუამ თეატრის სარეჟისორო ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა და ქალბატონი ლილი იოსელიანის სტუდენტია.

**— შეიძლება მალე თქვენს რეჟისორადაც მოგვევლინოს?**

— უკვე ვატყობ, ასე იქნება და გვექნება თეატრალური ოჯახი...

**— ბუკა?**

— ბუკა ჩვენი ოჯახის თეატრში ჯერ გამნათებლად გვეყოლება... მერე გაიზრდება და ვნახოთ.

***ლელა ჯიყაშვილი***

ჟურნალ-გაზეთების
გამოწერა
თბილისის მაცხოვრებლებისთვის
და ორგანიზაციებისთვის
ტელ: 33-26-73
სახლიდან გაუსვლელად



# როცა მამაკაცები გულახდილები არიან, ანუ სამი ამბავი სიყვარულზე

## ამბავი პირველი

*„კვირის პალიტრის“ მუდმივი მკითხველი ვარ, — გვწერს 43 წლის* ***ლევან ტიტვინიძე,*** *— სასიამოვნოა, რომ გაზეთში ლაპარაკია ცხოვრებისეულ საკითხებზე (ცოლქმრობა, ოჯახის შექმნა-შენარჩუნება, დედაშვილობა და ა.შ.)... ადრე, როცა საქმე სიყვარულს შეეხებოდა, სხვებს ვარიგებდი ჭკუას, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მე თავად გავხდი ჭკუის სასწავლებელი. ხშირად არ მომწონდა ჩემი საქციელი, მაგრამ რატომღაც შელოცვილივით ვიქცეოდი... მერე ყველაფერმა გაიარა და ახლა ისევ სრულ ჭკუაზე ვარ (სწორად გამიგეთ)“.*

*როგორც გვწერს, ლევანს დაუკითხავად, საკმაოდ გვიან ესტუმრა სიყვარული. მანამდე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ვაჟკაცი არ უნდა „ამჩატებულიყო“ სიყვარულის გამო და გონებას ყოველთვის უნდა „ემართა“ გული, მაგრამ ასე არ მოხდა:*

„რვა წლის წინ ერთი ქალბატონი შემიყვარდა. ამ გრძნობას სახელიც არ ერქვა. ეს ფანატიზმი უფრო იყო. ახლა მიკვირს კიდეც, როგორ უნდა უყვარდეს ასე თავდავიწყებით კაცს ქალი? ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა მეკოცნა მისთვის, როგორ უნდა გამეყო მასთან სარეცელი ან როგორ უნდა გამხდარიყო დედა. მე ის ციურ ქმნილებად მიმაჩნდა; საოცარი გარეგნობისა იყო, ზეციდან ჩამოფრენილს ჰგავდა. მის ოთახში შესვლისას (ერთად ვმუშაობდით) ისეთ დღეში ვვარდებოდი, როგორც გიორგი — კესოსთან შეხვედრისას. მის დანახვაზე თვალთ მიბნელდებოდა, ნაბიჯს ვერ ვდგამდი. ერთადერთხელ შევეხე, როცა ჭიქით წყალი მომაწოდა. მხოლოდ მაშინ, შემთხვევით შეეხო ჩვენი თითები ერთმანეთს. ის წამიერი შეხება არასოდეს დამავიწყდება. ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. მისი თმის ბეწვიც კი მთელ საქალეთს მერჩივნა, ყველა სხვა ქალი მახინჯად მეჩვენებოდა... ალბათ მკითხავთ, რა მოხდა ისეთი, ძლიერი გრძნობა რომ განელდაო. მოხდა ის, რასაც მისგან არაფრის დიდებით არ ველოდი — გამორჩენის სურვილით შეპყრობილი აღმოჩნდა. სანამ სამსახურში ვჭირდებოდი (სამწუხაროდ, ვერ გეტყვით, სად ვმუშაობდით), გადაჭრით უარს არ მეუბნებოდა, არც თანხმობით მათამამებდა. გამოხდა ხანი. სხვაგან გადავედი. აღარ ვჭირდებოდი და მერეღა „დამინახა“: თურმე დაბალი და მსუქანი ვყოფილვარ, ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობაც ყოფილა (10 წელი) და თურმე არც გასეირნება შეიძლებოდა ერთად, რადგან ჩემთან საუბარი უაზრობა იყო. ეს კიდევ არაფერი. ამას როგორღაც შევეგუებოდი, განა ცალმხრივი სიყვარული არ არსებობს? სხვა რამემ უფრო გამამწარა. ერთი წლის მერე, ჩემმა ამხანაგმა ირონიულად გადმომკრა, — ბიჭო, გვანცა გაგიბოზდაო. გავოგნდი. გვანცა და უწესობა? ქალღმერთი და უპატიოსნება? ვერ დავიჯერე მისი ნათქვამი. მაინც გავიკითხ-გამოვიკითხე და მართალი რომ გამოდგა, მიწა გამხეთქოდა და შიგ ჩავეტანე — ეს მერჩივნა. დაინგრა ჩემი ოცნების კოშკი. დავრწმუნდი, რომ სიყვარული უფულოდ არ არსებობს. გამიქრა სიწმინდისა და პატიოსნების შეგრძნება. ასე მეგონა, სიბინძურით და ანგარებით არის ეს ქვეყანა გაჯერებული. საერთოდ აღარ მჯერა უანგარო სიყვარულისა.

თქვენ როგორ ფიქრობთ, არ არის ასე?“

## ამბავი მეორე

„სიყვარულს რას გაუგებო“, — ამბობდა ილარიონი და ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, როგორც მე ეს სიტყვები ამიცხადდა“, — *იუმორით გვიყვება თავის სიყვარულის ამბავს* ***კახა,*** — მეორე კურსზე ვიყავი, ნატო რომ გავიცანი. „ნამეტნავად“ შემიყვარდა. სადაც ნატო იყო, მეც იქ გავჩნდებოდი ხოლმე. ხშირად ვსეირნობდით ერთად, კინოშიც დავდიოდით. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი გრძნობის სიწრფელეში. ნატოს გარეშე ველარ წარმომედგინა ცხოვრება. ვატყობდი, ნატოსაც ვუყვარდი, რადგან ხანდახან ეჭვიანობდა კიდეც. ხუმრობა მიყვარდა. ათასნაირ ამბავს ისე შევალამაზებდი, მსმენელი იგუდებოდა სიცილით. ასე რომ, გოგონების წრეში „მიღებული“ გახლდით. ზოგჯერ, როცა გოგონები შემომეხვეოდნენ, ნატო განაწყენდებოდა და გამებუტებოდა, მაგრამ საკმარისი იყო, მისკენ გამეხედა, თბილად მიმემართა, რომ ისიც უმალ მოვიდოდა გუნებაზე. ერთი სიტყვით, გადაჭრილი ამბავი იყო: ცოტა ხანში ნატო ჩემი ცოლი გახდებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს, ნატოს მეგობარმა გოგონამ დაბადების დღეზე მიმიპატიჟა ორ ძმაკაცთან ერთად. რა თქმა უნდა, სიამოვნებით წავედი — ნატო იქ მეგულებოდა და მეტი რაღა მინდოდა? მასპინძელმა ჩემი შეყვარებული წინ დამისვა, თან მითხრა: ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ კისერი არ მოგეღრიცოსო. მართლაც, მსიამოვნებდა ჩემი ლამაზი ნატოს ყურება. სანამ ფხიზელი ვიყავი, თვალს ვერ ვუსწორებდი, ბახუსი რომ მომეკიდა, მივაშტერდი. ხან ხუმრობდა, ხან ხმამაღლა იცინოდა, ჭამდა და სვამდა. უცებ დავინახე, როგორ დაავლო ხელი ქათმის ბარკალს და პირისკენ გააქანა. ისეთი ნეტარებით ჭამდა, ერთი-ორჯერ თვალებიც კი მილულა. შემაჟრჟოლა. ნუთუ, ეს იყო ჩემი საოცნებო და სათაყვანებელი გოგონა? მაპატიეთ, მაგრამ ძაღლიც კი არ გაასუფთავებდა ძვალს ისე, როგორც მან. ის კი არა, შემეშინდა, ძვალიც არ გადაესანსლა. მერე ქათმის ფრთას დასწვდა, კურტუმიც ზედ მიაყოლა. ნატოს სულაც არ ეუხერხულებოდა შეუსვენებლად ხორცის ჭამა. ხედავდა, რომ თვალს არ ვაშორებდი. ბოლოს, მოიწმინდა ცხიმიანი ტუჩები, გადაიკისკისა და მკითხა, — რას მიყურებო. როგორ გყვარებია ქათამი, ნამდვილი მელაკუდა ხარ-მეთქი. ცხვირი ამიბზუა და ვითომც არაფერიიო, მიბრძანა: შენთან რომ ტაბაკიანი თეფშია, მომაწოდეო. მივაწოდე, მაგრამ ისეთი ნირწამხდარი ვიყავი, აღარც ხუმრობის თავი მქონდა, აღარც მოლხენის. ძმაკაცები გაკვირვებულები მეკითხებოდნენ, რა მოგივიდაო. აბა, რა უნდა მეპასუხა? ლხინიდან ადრე წამოვედი, საქმე მოვიმიზეზე. რაღა თქმა უნდა, ნატო იმ საღამოს აღარ გამიცილებია. ის დღე იყო და ის დღე, აღარ გავკარებივარ. მეგობრები მეკითხებოდნენ, რა მოხდაო, მაგრამ ვერაფერს ვუხსნიდი. მერე ჩემს თავს გამოვუტყდი: ჩემთვის საოცნებო გოგო ისეთ პროზაულ ვითარებაში ვიხილე, რომ ცა თავზე ჩამომექცა.

აი, ასეთი უცნაური ამბებიც ხდება, როცა საქმე სიყვარულს ეხება“.



## ამბავი მესამე

*მესამე ამბავი გაცილებით სევდიანია. წერილის ავტორმა, პირობითად* ***გიომ,*** *თუ რატომ არ ისურვა ვინაობის გამხელა, ამას მონათხრობის მერე მიხვდებით.*

*გიო 21 წლისაა. საზაფხულო სესიების შემდეგ (როგორც შეთანხმებულები იყვნენ) სამი მეგობარი ზღვაზე დასასვენებლად წავიდა. ბათუმში გიოს ქვრივი დეიდის სახლში დაბინავდნენ. დეიდა მოსკოვში, თავის ერთადერთ შვილთანაა და გიოს უფლებას აძლევს, თვეობით იცხოვროს მის ბინაში.*

*ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, გიო და მისი ორი მეგობარი მშვენივრად ატარებდნენ დროს. ერთ საღამოს ზღვისპირა კაფე-ბარში სამი თბილისელი გოგონა გაიცნეს. აშკარა იყო, რომ გოგონები ფულიანი ბიჭების „გამოჭერას“ ცდილობდნენ. ორი დღის მერე საკმაოდ გაშინაურებულმა ვაჟებმა გოგონები შინ მიიპატიჟეს. მათ შორის გამოირჩეოდა ქერათმიანი ლელა („ვიცი, რომ ნამდვილად ასე ჰქვია, — გვწერს გიო). ლამაზი გოგო იყო და ლიკასა და თეოსავით თამამადაც არ იქცეოდა“.*

„მე მაშინვე ლელას დავადგი თვალი, — გვწერს გიო, — ნიკამ თეო აირჩია, დათომ — ლიკა. ნავახშმევს ცეკვა დავიწყეთ, მერე კი — ოთახებში გავნაწილდით. დათოსგან ვიცოდი, რომ ერთ ღამეში გოგოებისთვის 50-50 ლარი უნდა მიგვეცა. ფული ბლომად გვქონდა... აღმოჩნდა, რომ ლელა პირველად იყო მამაკაცთან. იგი მეზობელმა გოგონებმა აიყოლიეს და დაითანხმეს, რომ ზაფხულში ფული გაეკეთებინათ და დროც გაეტარებინათ. თავი ვერ შევიკავე და ცოტა უხეშად მივახალე: ასე როგორ დაეცი, რომ ანგელოზივით გოგო სხეულს ყიდი და ფულს ისე აკეთებ-მეთქი. ატირდა. თავისი ამბავი მოკლედ მიამბო: ოჯახს ძალიან უჭირს. დედა ტანსაცმლით ვაჭრობს დიდუბის ბაზრობაზე. მყავს ორი უმცროსი ძმა და და. ლიკა და თეო დედაჩემს დაჰპირდნენ, ბათუმში ერთი ბიზნესმენი კაცია, რომელმაც თბილისში მაღაზია უნდა გაგვიხსნას და ლელას ჩვენთან დავაწყებინებთ მუშაობასო. დედამაც დაიჯერა და გამომიშვა მათთან ერთად. სინამდვილეში „ბიზნესმენი“ არ არსებობს. რისთვისაც წამომიყვანეს, შენც კარგად ხედავო. გული დამწყდა. აშკარა იყო, რომ ლელა ამ გზაზე გაჭირვებამ დააყენა. როგორც მან მითხრა, სამედიცინო კოლეჯში სწავლობდა და რახან სწავლის ფული ველარ შეიტანა, გამორიცხეს... სამი დღე ერთად გავატარეთ. მერე გოგონები სარფსა და გონიოში უნდა წასულიყვნენ. ჩვენი „ჯგუფის“ დანარჩენი წევრები ამჩნევდნენ, რომ ჩემი და ლელას ურთიერთობა გასცდა წუთიერი, შემთხვევითი ნაცნობობის საზღვრებს. მაშინ ვერც ვგრძნობდი, რომ მიყვარდა... დაშორების წინა ღამეს, შეთანხმებისამებრ, 150 ლარი დავუდე მაგიდაზე. მან ნაღვლიანად შემომხედა, არაფერი მითხრა, დილით რომ გამეღვიძა, არც ლელა იყო ოთახში, აღარც ლიკა და თეო. ისინი ადრიანად წასულიყვნენ. მაგიდას გავხედე. ფული ხელუხლებლად იდო. თეომ და ლიკამ კი აიღეს ფული. ძალიან განვიცადე. გავვარდი იმ სახლისკენ, სადაც გოგონები მეგულებოდა, მაგრამ დიასახლისმა მითხრა, რომ გუშინ გადამიხადეს ქირა და დამემშვიდობნენო.

ფეხით შემოვიარეთ სარფი და გონიო, მაგრამ ვერსად მივაგენით მათ კვალს. ბიჭებს თავდაპირველად სიცილად არ ჰყოფნიდათ ჩემი განცდები, მერე კი მიხვდნენ, რომ ლელა მიყვარდა და გაჩერდნენ. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა ლელას მივაწვდინო ხმა. მე იგი ბევრი ვეძებე, მაგრამ თბილისშიც ვერ ვიპოვე. ეტყობა, მაშინ გოგონებმა არ მითხრეს სწორი მისამართი.

ლელა! მე შენ ახლაც გეძებ. მიყვარხარ და მინდა შენთან ყოფნა. გთხოვ, გამომეხმაურო. შენც ხომ იცი ჩემი მისამართი და ტელეფონის ნომერიც. გელი! „გიო“.

*P.S. უცნობო ლელა! წერილი ნამდვილად წრფელი გულით არის დაწერილი. ბოლოს და ბოლოს, ერთი შეხვედრა საკმარისი იქნება იმისთვის, რომ გაარკვიოთ, ღირს თუ არა გაგრძელდეს „ზაფხულის ღამის სიზმარი“.*

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ბატონებო, ყველგან სტრესია!

სტრესი ადამიანისათვის ისევე საშიშია, როგორც სიგარეტის წევა. ქრონიკულმა სტრესმა შეიძლება ისე შთანთქას ადამიანის შინაგანი რესურსები, რომ დაუქვეითოს იმუნიტეტი.



გავრცელებული აზრია, რომ ქალებს გაცილებით მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა, ვიდრე მამაკაცებს. თუმცა სტატისტიკოსები მიიჩნევენ, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლები მუდმივად დაძაბულნი არიან.

მამაკაცები სტრესულ მდგომარეობაში ვარდებიან, როდესაც საქმეში ხელი ეცარებათ, ცოლს ან საყვარელ ქალს გაცილებით უკეთესი სამსახური და მაღალი ხელფასი აქვს... ემორჩილებიან ხელმძღვანელ ქალს. მეუღლე და დედა ერთმანეთში ხშირად კამათობენ. ჯანმრთელობა ღალატობთ.

უიღბლო სიყვარული მამაკაცებს ისე არ სტკენს გულს, როგორც სამსახურებრივი წარუმატებლობა. მათ მხოლოდ კარიერაზე ფიქრი აწუხებთ.

ბრძოლა წარმატებისათვის — სერიოზული გამოცდაა, რომელსაც მუდამ სდევს შიში, რომ შესაძლებელია კონკურენტებთან დამარცხდე და ირღვევა ბალანსი ოჯახსა და სამსახურს შორის. მამაკაცი თუ მეტ დროს სამსახურში ატარებს და შინ გაღიზიანებული, აფორიაქებული ბრუნდება, კარგად უნდა დაფიქრდეს, რომ დროა შეჩერდეს.

მამაკაცები სტრესულ ვითარებაში მაშინაც ვარდებიან, როდესაც დასახულ მიზანს აღწევენ. ამ დროს ისინი უზარმაზარ ენერგიას ხარჯავენ და შედეგი, ხშირ შემთხვევაში, არასახარბიელოა, იმის მაგივრად, რომ მიღწეულით დატკბნენ, ეუფლებათ სიცარიელის შეგრძნება და საკუთარ თავს ეკითხებიან — ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მერე რა მოხდებაო. სწორედ ამ დროს სასურველია ერთი საქმიდან მეორეზე გადართვა.

ფინანსური პრობლემები — ძლიერი სტრესია მამაკაცებისთვის, რაც უფრო შეძლებულები არიან მამაკაცები, მით უფრო ხშირად ეუფლებათ შიში, ეს განცდა მუდმივ სტრესში ამყოფებთ. მართალია, ფული თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ანიჭებთ, მაგრამ ფიქრი იმაზე, ვაითუ, მანქანა მომპარონ, ან სახლი დამეწვას, ან გამქურდონ — ქრონიკულ სტრესში აგდებთ.

მდიდარი მამაკაცი ყოველთვის ფიქრობს, ქალს მხოლოდ იმიტომ ვუყვარვარ, რომ ფული მაქვსო. მუდმივი ეჭვი კი სპობს მის ჯანმრთელობას და უცარიელებს სულს.

ამიტომ მამაკაცებმა იქნებ გაითვალისწინონ:

— უარყოფითი, ავადმყოფური ემოციები ორჯერ ზრდის იმის საშიშროებას, რომ რომელიმე სენის მსხვერპლნი გახდებიან;

— ქრონიკულად გაავებული ადამიანები გაცილებით ადრე კვდებიან;

— სტრესი ნაკლებად იპყრობთ იმ მამაკაცებს, ვისაც შეუძლიათ პატიება და ცხოვრებას უყურებენ ისეთს, როგორც ის სინამდვილეშია.

სტრესს თავად უნდა გაუმკლავდეთ, სასურველია ვალერიანის, სალბის, გვირილის ნაყენის მიღება. ჩაის, შეგიძლიათ დაუმატოთ ლიმონი, რომელიც განწყობილებას ამაღლებს, შაქრის ნაცვლად, სჯობს თაფლი მიირთვათ. ძილის წინ კოქტეილი მოამზადეთ: 250გ ფორთოხლისა და ანანასის წვენს დაუმატეთ 125 გ ლიმონის წვენი (ყლუპებად დალიეთ). სრულფასოვანი ძილი კი სტრესის მოხსნის საუკეთესო საშუალებაა.

# ჩემი ცოლი ჩემი «ძმაკაციცაა»...

**სიყვარული გონებას აკარგვინებს ადამიანს და ამ დანაკარგს მხოლოდ ქორწინების შემდეგ ამჩნევენო, — ამბობენ კაცები სინანულით, თითქოს საყვარელ ქალს კი არ შეუუღლდნენ, არამედ ალქაჯს. ისე, ავსტრალიელ სოციოლოგებს დაუდგენიათ, რომ თურმე ადამიანები ცოლქმრობაში ყველაზე მეტად ურთიერთპატივისცემას და ერთგულებას აფასებენ, ცოლის ან ქმრის განათლება კი ნაკლებად აღელვებთ. ჰოლანდიელ სოციოლოგებსაც გამოუკითხავთ 1000 წყვილი — ხართ თუ არა კმაყოფილი ქორწინებითო და აღმოჩნდა, რომ უმეტეს შემთხვევაში ამ საქმეს დადებითად აფასებდნენ ის წყვილები, სადაც ქმარი ცოლზე 3-4 წლით უფროსია. ერთი სიტყვით, უცხოელები თავს თვითონ მიხედავენ, თქვენ კი, ჩემსავით გაინტერესებთ ალბათ, რას ფიქრობენ ქართველი კაცები ქორწინებაზე და რა შემთხვევაში შეიძლება იგრძნონ ძლიერი, მაგრამ ჭირვეული სქესის წარმომადგენლებმა თავი ბედნიერად.**

**ლევანი (34 წლის):** — ცოლქმრობაში მთავარია სიყვარული და მეგობრული დამოკიდებულება, სადაც თითოეული პიროვნებად გრძნობს თავს და ერთმანეთის მიმართ ყოველთვის პატივისცემას გამოხატავს. მე ასეთი ოჯახი მაქვს. ჩემი ცოლი ჩემი მეგობარი და ზოგჯერ „ძმაკაციც“ კია. მეც ასევე ვარ მის მიმართ. ამგვარი ურთიერთობა ცხოვრებას გვიიოლებს. ისე, რეცეპტი არ არსებობს ოჯახური ბედნიერებისთვის, როგორც თითოეული ადამიანია ინდივიდუალური, ასევე თავისებურია მისი ოჯახური ბედნიერების მიზეზებიც თუ საფუძველი.

**ჯონდო (57 წლის):** — შინ დაბრუნებულს ცოლი ღიმილით რომ შეგხვდება, ყელზე მოგეხვევა, დაგკოცნის, ტკბილ სიტყვას გეტყვის, ბედნიერი იქნები კაცი, აბა, რა! რამდენი კაცი ვიცი, ცოლის სურათი უდევს კაბინეტში, სამუშაო მაგიდაზე — ნახეთ, როგორ მიყვარს ცოლიო, მაგრამ სინამდვილეში სხვა ქალებში დაძვრება და შინ შუაღამისას თუ შევა. ასეთი კაცის ცოლს მხოლოდ ის აინტერესებს, ჯიბე თუ აქვს ქმარს ფულით სავსე და უყიდის თუ არა ხვალ „დასაწვავ“ „ნორკის შუბას“. ამნაირი ოჯახის ბედნიერებისა არა მწამს, მაგრამ ვინ იცის? იქნებ მაგათთვის ეგ არის ბედნიერება.

**გიო (19 წლის):** — ქორწინება ცუდი არ შეიძლება იყოს. თუ კაცი ცოლის შესართავად მზად არ არის, ან კარგად არ იცნობს მომავალ მეუღლეს, იმ ოჯახში საქმე მართლა ვერ იქნება კარგად და თუ ფილოსოფოსობა არ დაიწყო, გაგიჟება ალბათ არ აცდება. მე ჯერ არ ვაპირებ ცოლის მოყვანას, რა დროს ჩემი ეგეთებია! ბებია მეუბნებოდა ამას წინათ, ქართველ მეფეებს შენს ასაკში ერთი ხუთი შვილი მაინც ჰყავდათო. მეც მნახა რა, დავით აღმაშენებელი! ის აკვანში უკვე ხმალს იქნევდა, იმ ხნის ჩვენი თაობის ბიჭები კი, ქართველები რომ მეფეები ხდებოდნენ, „დედიკო, დედიკოს“ ვღნავით.

**გურამი (48 წლის):** — მესამე ცოლი მყავს. ვის ვაბრალებ წინა ოჯახების დანგრევას? ჩემს თავსაც და ცოლებსაც. კაი, მე ვიყავი გიჟი, გადარეული და მუსუსი! რატომ ვერ მომიარეს? მესამე ცოლმა თუ შეძლო ჩემი მოთოკვა თავისი სიყვარულით და სითბოთი, იმათ რა სჭირდათ, სულ „ფული, ფული“ და „აქ წამიყვანე, იქ წამიყვანე“ რომ ეკერათ პირზე? ვერ ვიტან, ქალი ჭირვეული ბავშვივით რომ იქცევა. ქალი კაცზე მაგრად უნდა იდგეს, იმიტომ, რომ კაცზე მაგარია და ბევრი რამ ესმის ჩვენზე უკეთ.

ვინც იტყვის, ჭკვიანი ქალი საშინელებააო, ის თავად არის საშინელება! ჭკვიანი ქალი აგაშენებს, სულელი კი დაგაქცევს და ჯოჯოხეთში გაგაქცევს.

გაუმარჯოს ჭკვიან ქალებს, ამრავლოს ღმერთმა და ოჯახებიც აღარ დაინგრევა.

***ეკა ლომიძე***

# „ეჭვიც არ მეპარება — ადრე თუ გვიან, მეც მოვხვდები მსოფლიო ავანტიურისტ ქალთა ისტორიაში!..“

**ის ყველაფერს ასწრებს და არ არსებობს საქმე, რომელიც არ გამოუვა: თავისი ბიზნესი აქვს, ჟურნალისტიცაა, წინასწარმეტყველიც, საქმის გამრჩევი მოსამართლეც და რაღა თქმა უნდა, უნიჭიერესი მსახიობიც. ჰო, მთავარი არ დამავიწყდეს: პირველ რიგში იგი უმშვენიერესი ქალია, რომელსაც ულამაზესი შვილები და მეუღლე ჰყავს. ოჯახში მოსამსახურეც ემსახურებათ და ამიტომ ყოველთვის ყველაფერი წესრიგშია. თუმცა ამ ახალგაზრდა ქალბატონს მეგობარი მამაკაციც ჰყავს და ეს სულაც არ მიაჩნია ღალატად...**



— ჩემი მსგავსები არც უნდა თხოვდებოდნენ ალბათ, მაგრამ ხომ იცი, ჩემს თაობას როგორ ტრადიციულად ზრდიდნენ და არავინ მაპატიებდა „ამოვარდნას“. 18 წლის გავთხოვდი და პრინციპში მაშინ არც ვიცოდი, რა იყო ცხოვრება. მეგონა, ქმარი სულ ისეთი იქნებოდა, როგორიც შეყვარებულობისას, არადა ისე მალე გამოელია „თაფლი“ ჩვენს ოჯახურ ურთიერთობებს, რომ ვერც წარმოვიდგენდი. არც ფული გვქონდა. ბავშვი რომ გაჩნდა, ელემენტარულ სიამოვნებაზეც კი მომიხდა უარის თქმა, საკვებიც კი გვაკლდა და ჩხუბიც შემოგვეპარა. ჩემი 22 წლის ქმარი სახლიდან ქუჩაში გარბოდა და ცდილობდა პრობლემებს დამალვოდა, მე კი ატირებულ ჩვილთან ერთად იძულებული ვიყავი ოთხ კედელში გამომწყვდეულს ნერვები მეცვითა.

პროტესტის ნიშნად ბავშვს ხელი დავავლე და მშობლებთან გავიქეცი, მაშინ პირველად გავშორდით მე და ჩემი ქმარი ერთმანეთს: „სწავლა მინდა, წლებს ვერ დავკარგავ-მეთქი!“ — განვაცხადე კატეგორიულად. დედაჩემს ისე უნდოდა უმაღლესი განათლება მიმეღო, ყველაფერს შეურიგდა, ბავშვსაც ის ზრდიდა, მე კი წიგნებს ჩავუჯექი და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტიც გავხდი. სწავლა დაუსწრებლად ვამჯობინე, ჩემი ფული მჭირდებოდა და მუშაობა უნდა დამეწყო. ამაშიც შემიწყო დედამ ხელი. ეს ის დრო იყო, როცა ისევ ბიუროკრატია მძვინვარებდა ჩვენს ქვეყანაში და უპატრონოდ ყველგან ძნელი იყო დამკვიდრება. მეც არავინ მომაქცია ყურადღება თავიდან. როგორ არ ვეცადე, დაპირებების მეტი არაფერი იყო. სწორედ ამ დროს ჩამივარდა ხელში ჩემი ზოდიაქოს მეტად საინტერესო ვარიანტი: „ავანტიურიზმის გარეშე ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევ, საკუთარი თავის გარდა პატრონი არ გყავთ, რისკი კი ყოველთვის გაგიმართლებთ!..“ ასტროლოგიის ძალიან მჯერა — ყოველთვის ამართლებს. ახლა უკვე პირადი ასტროლოგიც მყავს და მისი რჩევის გარეშე არასოდეს ვდგამ სერიოზულ ნაბიჯს. სხვასაც ვურჩევ, ვარსკვლავების რჩევებს ყურადღება მიაქციონ და არ წააგებენ!..

არც კი ვიცი, როგორ მოვახერხე 19 წლის გოგომ იმდენი, რომ ერთ-ერთ მოსამართლეზე კომპრომატი შევაგროვე, მოწმეებიც ავალაპარაკე და ერთ მშვენიერ დღეს კაბინეტში ვეწვიე — დავუდე წინ ქაღალდები და დავემუქრე, თუ სამსახურს არ მომცემდა, საქმეს მსვლელობას მივცემდი... იმდენად „სუფთა“ ნამუშევარი მქონდა, წამოეგო ანკესზე, პირდაპირ მითხრა: „ჩვენი საქმისთვის ხარ გაჩენილი თურმე, შენ აბა როგორ გაგიშვებს ჭკვიანი კაცი ხელიდანო!“ — მეგობრობაც შემომთავაზა იმ ქაღალდების და დუმილის სანაცვლოდ, ბუნებრივია, სამსახურიც მომცა და მოგვიანებით, ბევრი საქმე ჩავატარეთ ერთად, ფულიც ვიშოვეთ... 25 წლისას სერიოზული კაპიტალი დამიგროვდა, ბინის ყიდვაც შევძელი და იმდენზეც მეყო ტვინი, რომ 1991-93 წლებში, როცა „წყალი აიმღვრა“, უბრალო თევზები კი არა, საკმაოდ დიდი ლვავებიც დამეჭირა. ჯერ რამდენიმე სავაჭრო ობიექტის მეწილე გავხდი, მერე საბოლოოდ ხელშიც ჩავიგდე და ყოფილი პარტნიორები ახლა ჩემი მოსამსახურეები არიან. ხომ იცით, ჩვენს ქვეყანაში პატიოსანი ბიზნესის კეთება შეუძლებელია და როცა მათი მაქინაციების შესახებ იმდენი მასალა შევაგროვე, რომ თავისუფლად შემეძლო ნებისმიერი მათგანის ციხეში გაშვება, შეთანხმებაც შედგა — მე საქმის უფროსობა გადმომაბარეს და ნაბიჯსაც ვერ დგამენ ჩემთან კონსულტაციის გარეშე. თანაც ბევრი შემწუხებელი ჩამოვაშორე და ფაქტობრივად, მათ „კრიშად“ (მფარველად!) ვიქეცი...

— *რამდენადაც ვიცი, მოსამართლის პრაქტიკას აღარ ეწევით.*

— რამდენიმე წელია წამოვედი, ახალი ინტერესი გამიჩნდა. ახლა ამ საქმიანობას „იმიჯმეიკერობას“ ეძახიან. ბევრი პოლიტიკოსის იმიჯზე ვიმუშავე სხვადასხვა დონის არჩევნებზე და მოვაგებინე კიდეც. ადრე ინტრიგებით მიხდებოდა მათი ნდობის მოპოვება, რას აღარ ვკადრულობდი, ვის მეგობრობას და ახლობლობას აღარ ვიზრალებდი, პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილ პიროვნებადაც ვასაღებდი თავს. ხშირად გაუმართლებელ რისკზეც წავსულვარ, აზარტში შესულს უკან დასახევი გზაც აღარ დამიტოვებია, მაგრამ ეტყობა, ბედია მართლაც ჩემი ავანტიურიზმი, დღემდე არავის გასჩენია რაიმე პრეტენზია, პირიქით, ახლა თავად მეძებენ და რჩევას მეკითხებიან, მე კი იმისკენ მივდივარ, ვინც მეტს გადაიხდის, თანაც არ ვჩანვარ, საქმეს სხვები აკეთებენ, ჩემი იდეებია მხოლოდ...

— *ბევრს ჟურნალისტიც ჰგონიხართ?..*

— სხვათა შორის, საკმაოდ მაღალანაზღაურებადიც... ჩემს მოპოვებულ მასალას წყალი არ გაუვა და ჩივილსაც ვერავინ ბედავს, რასაც ვწერ — ერთია, მეტს საქაღალდეში ვიტოვებ — დამიპირისპირდება და მკითხოს მერე, რა უბედურებაშიც გავხვევ... იცით, ბედია ყველაფერი — უკვე აღარც ვეძებ მასალას, თავად „მეძებს შარი“ თითქოს და ამიტომაც მგონია, რომ ადრე თუ გვიან, მეც მოვხვდები მსოფლიოს ავანტიურისტი ქალების სიაში (ეცინება!) ჩემი კონკრეტული საქმიანობის შესახებ ჯერ ვერაფერს გეტყვით, არ გავსულვარ „პენსიაში“ და ადრეა ჩემთვის მემუარების წერა. მაგისთვისაც მოვიცლი, თუ ვინმემ წირვა არ გამომიყვანა უდროოდ...

— *თუ ასეთი საშიშროება გელით, რატომ დღიურებს არ გააკეთებთ, რა იცით, როგორ გამოადგებით „შთამომავლებს!?“*

— მეხუმრებით თუ მართლა ვერ მიხვდით, რა დონის აფერისტი ვარ?! მე რომ ჩემს ნაკეთებ საქმეებზე ვწერო და ეს დოკუმენტი ხელში ჩავუგდო მტრებს, სამუდამო პატიმრობა თუ დამაჯერეს, კარგი იქნება...

— *მე რომ „ჩაგიშვათ“?!*

— ვინ დაგიჯერებთ (მიბრუნებს ირონიით)?!

— *მშვენიერი ოჯახი გქონიათ, თანაც თქვენს პირველ ქმარს შეურიგდით...*

— ვიცი, ეწყინება, თუ ეს ჩემი ნათქვამი წაიკითხა, მაგრამ... სიყვარულის გამო არ შევრიგებივარ. აქ სხვა რამეა. ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, რომ თუ ოჯახი და ქმარი არ გყავს, ზემოდან გიყურებენ და ქალს თუ კაცს ადვილად ხელწამოსაკრავი ჰგონიხარ. ქმარი ხელით სათრევიც რომ გყავდეს, მაინც მაგრად და მყარად დგახარ საზოგადოებაში. თანაც, ბიჭების დედა ვარ და მამა სჭირდებათ. კარგი მამაა ჩემი ქმარი.

— *რომ ღალატობთ?*

— თავად მითხრა: შენ კონკრეტული კაცი კი არა, სიყვარული და განცდა გიყვარსო!.. ეს ჩემი პირველი მეგობარი მამაკაცი არ არის, ადრეც მყოლია — სხვადასხვა სიტუაციაში ვხვდებოდი მათ და ყოველთვის მეგონა, რომ გიჟური და დაუსრულებელი იყო ჩემი სიყვარული.

— *კაცის გულისთვის თუ წასულხარ ავანტიურაზე?!*

— რამდენჯერაც გნებავთ. ადვილად მოსაპოვებელი რაა, სიყვარული რომ იყოს. თანაც, არც ერთ კაცს თავად არ მივუტოვებივარ, ყველასგან მე მოვდიოდი პირველი. თავს ვერასოდეს ვაპატიებდი, მიტოვებული რომ მრქმეოდა...

— *კაცები კი გაპატიებდნენ?*

— როგორ ფიქრობთ, მათზე კი არ მექნებოდა კომპრომატი, თუ წინააღმდეგობას გაწევდნენ?

— *საშიში ქალი ხართ!*

— თუ წინააღმდეგობას არ გამიწევთ, სულაც არა!

— *სანამდე აპირებთ ასე ცხოვრებას?*

— რა ვიცი... წინასწარ არავინ არაფერი იცის! აზარტის გარეშე ვერასოდეს ვიცხოვრებ, ასე მგონია. ცხოვრებას აზრი და მიზანი უნდა ჰქონდეს! ჩემს შვილებსაც ყველაფერი აქვთ აუცილებელი, თავგანწირვას არც მათთვის ვაპირებ. მე მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ვფიქრობ — სხვისი ბედნიერება გახარებს, მაგრამ ბედნიერად ვერ გაქცევს. რა დიდხანს ჩვენ ვცხოვრობთ, რომ საკუთარ თავზე მეტად სხვაზე ვიფიქროთ?!

— *ბედნიერი ხართ?!*

— იცით, შეიძლება გაგაოცოთ, რასაც გეტყვით, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ბედნიერება არც არსებობს... არა, სიხარული როგორ არ არის, მაგრამ... ბედნიერება?! არ ვიცი...

*რა ჰქვია ჩემი მასალის რესპონდენტს?! რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ისაა, რომ ასეთი ქალები ჩვენ გვერდით ცხოვრობენ და ავანტიურიზმის ისტორია გრძელდება...*

**ინგა ჯაყელი**

## ჰოროსკოპი

# მშვილდოსნებო!

**23 ნოემბერი — 21 დეკემბერი**



დეკემბერი დიდ სიკეთეს მოგიტანთ: ზამთრის ეს პირველი თვე თქვენი თვეა და ყველანაირად ისარგებლეთ ამით. მით უმეტეს, რომ ენერგიით, სიცოცხლით, იუმორით და ახალი იდეებით ხართ სავსე. განსაკუთრებით გაგიმართლებთ საქმიან სფეროში, სამსახურში დაწინაურება და ბრწყინვალე კარიერა გელით. და არა მარტო საქმეში გიმართლებთ. თქვენი მომხიბვლელობა ზენიტს აღწევს, მამაკაცები გაღმერთებენ, მაგრამ ისეთი თავდაჯერებული ხართ, რომ თაყვანისმცემელთა ჯარიდან ასე ადვილად არავის ირჩევთ, არადა სჯობს ცოტა მოთოკოთ სიამაყე, თანაც დეკემბრის პირველ დეკადაში ბედსაც ეწევით...

## გირჩევთ



### როდისაა უმჯობესი თმის შეჭრა?

**25 ნოემბერი** — დღეს თუ შეიჭრით, ეს თქვენს ჯანმრთელობაზე იმოქმედებს.

**26-27 ნოემბერი** — ამ დღეებში გაკეთებული ვარცხნილობა ოჯახში ბარაქას შეგმატებთ.

**28 ნოემბერი** — გსურთ ჯანმრთელობა? მაშინ თმას შეეშვით!

**29 ნოემბერი** — ნუ გარისკავთ: საპარიკმახერო მანიპულაციები თქვენს ჯანმრთელობაზე ცუდად იმოქმედებს.

**30 ნოემბერი** — შეიჭერით თმა, დაიხვიეთ, შეიღებეთ და ბედნიერებაც მოვა.

**1 დეკემბერი** — თუ გსურთ იყოთ ბედნიერი და მდიდარი — აუცილებლად შეიარეთ საპარიკმახეროში.

## გამოხმაურება

# გიო!

***„კვირის პალიტრის“ (№46) წინა ნომრის პუბლიკაციის, „ამ ამბავს სხვანაირი დასასრული ექნებოდა, რომ არა...“, „მთავარი გმირი“ ერთი ბიჭი გახლდათ, „გიო“. მისი ამბავი მისმა მეგობარმა, დავით მატაბელმა გვიამბო და თან გვთხოვა: იქნებ ქალებმა აგვიხსნან იმ უარის მიზეზი, ჩვენ, კაცებს, რომ ვერ აგვიხსნიაო; ალბათ წინდაწინვე იცოდა, მკითხველი გულთან მიიტანდა „გიოს“ თავგადასავალს. მართლაც ასე მოხდა.***

აი, რას გვწერენ დები, **ნატო** და **თეა ხურციძეები**: *„გული დაგვწყვიტა „გიოს“ სევდიანმა ამბავმა. ბედნიერია ის გოგო, რომელსაც ასეთი გრძნობით შეიყვარებენ.*

*ჩვენც გვიჭირს იმის თქმა, რატომ ეუბნება ქალი უარს ერთს და რატომ თანხმდება მეორეს, რომელიც არ უყვარს. „ქალის ბუნება ოკეანეს ჰგავს, ღრმაა და ბევრ საიდუმლოს ინახავსო“, — ამბობს „ტიტანიკის“ გმირი. მართალიცაა. ქალის რთული ხასიათი ხომ თავად დიდ ფილოსოფოსებსაც ვერ ამოუხსნიათ ბოლომდე?! სულითა და გულით თანავუგრძნობთ „გიოს“. იგი ისეთი ახლობელი შეიქნა ჩვენთვის, თითქოს ბავშვობიდანვე ვიცნობდით. ნუთუ „ქეთი“ არ გამოგვეხმაურებათ? ნუთუ ისეთი უგრძნობი ქალია, რომ ამ წერილის მერე ერთ ან ორ სიტყვას მაინც არ იტყვის? თქვენ ხომ არ დააძალებთ ვინაობის გამხელას? გიოს კი ვუსურვებთ ბედნიერებას“.*

„გიოს“ ამბავმა გულგრილი არც ფსიქოლოგი დატოვა. გამოგვეხმაურა ფსიქოლოგი **მედეა გოგსაძე**:

*სამწუხაროდ, ბევრი რამ არ ვიცი იმ გოგოსა და თვით ბიჭის შესახებ, მაგრამ დაბეჭდილი წერილის მიხედვით ჩემი ვერსია ასეთია: რახან გოგონამ დაკარგა სიყვარული, როგორც ქალს, გაუჩნდა კომპლექსი, რომ ის აღარაფერს წარმოადგენს, სხვებზე ბევრად ნაკლებია. „ქეთი“ მართლაც ვერ გათხოვდებოდა, რომ არ შეჰყვარებოდა „გიოს“. ბიჭის დიდმა სიყვარულმა მას ეს კომპლექსი გაუქრო და თვითშეგნება (რომ კარგი, შეუდარებელი და განუმეორებელია) აუმაღლა, დაუბრუნა ე.წ. „ქალური ღირსება“ და გათხოვდა. ახლა რაც შეეხება „გიოს“: მონათხრობიდან ჩანს, იგი ალალი და პატიოსანია, მაგრამ სრულიად შესაძლებლად მიმაჩნია, რომ გაამწარა „ქეთის“ უარმა და ერთგარი სპორტული ჟინიც (ძნელად მისაღწევის მოპოვებისა) დაეუფლა. რაც არ უნდა ლამაზ მანტიაში გავხვიოთ მათი ურთიერთობა, ის მაინც სადო-მაზოხისტურია, რადგან გოგონა შურს იძიებდა იმ დაკარგულის გამო „გიოზე“ (გაიხსენეთ, რომ მან მოსთხოვა, სკამზე ადი და იყვირე, „მე შენ მიყვარხარო“), „გიო“ კი უარს ვერა და ვერ ეგუებოდა და კვლავ დაჟინებით ცდილობდა მისი გულის მოგებას. „გიოს“ რომ „ქეთი“ შეერთო ცოლად, შეიძლება ერთ კვირაში განელებოდა სიყვარული, რადგან მისი გრძნობა სპორტულ ჟინს დაემსგავსა. მათი ამბავი დასრულდა ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო. მიიხედ-მოიხედოს „გიომ“, ნუღარ მისტირის წარსულს, იქნებ მის გვერდით გაცილებით კარგი და ლამაზი ქალი დგას. ადამიანმა უნდა იბრძოლოს ბედნიერების მოსაპოვებლად, წარსულზე მუდმივი დარდი კი სიკეთეს არ მოუტანს“.*

# „მაგ ლამაზ თითზე ბეჭდის მაგივრად...“

***ვაჟას ერთ გენიალურ ნათქვამს მივაქციე ყურადღება: „ვინა თქვა, ტრფობა ბერდება, ან სატრფიალო საგანი?“ ასე ვაჟა ბრძანებს. სხვებისგან კი გაუთავებლად მესმის, სიყვარული ბერდება, მეგობრობაში, შეჩვევაში, პატივისცემაში გადადისო და ა.შ... ბევრი რომ არ ვიფილოსოფოსო, პირდაპირ საქმეზე გადავალ და იმ ქალების აზრს მოგახსენებთ, რომელთაც საკმაო ასაკი აქვთ იმის განსასჯელად „ბერდება თუ არა ტრფობა ან სატრფიალო საგანი“...***

**ქეთო (58 წლის):** — გახსოვს ალბათ ფილმში „ბებრები“ მოხუცი ბეგლარი და ეკატერინე როგორ ესიყვარულებიან ერთმანეთს, როგორ იხსენებენ სიყმაწვილის წლებს... კარგად დაუკვირდით ამ კადრებს და მიხვდებით, რომ სიყვარული არ ბერდება. „კვირის პალიტრაში“ წავიკითხე, ვიღაც ბიჭს გოგოსთვის ასფალტზე დაუწერია „მიყვარხარო“. მერე როგორ დაუწერა! იმ ბიჭის სიყვარულს რამე დააბერებს? სიყვარული ჯილდოა, რომელსაც ღმერთი იმეტებს ადამიანისთვის, ჯილდო კი არასოდეს ბერდება.

**ლანა (22 წლის):** — სიყვარული არ ბერდება. ნეტავი განახათ, როგორ ეარშიყება ბაბუაჩემი ბებოს. იცით, პენსიას სად ხარჯავს? ყვავილებს ყიდულობს. წავა, მოუტანს ბებოს თაიგულებს და ილოცება: — ღმერთო, შვილები მიმყოფე კარგად, მაგათი წყალობაა, ამ თხელი ქისით ჩემს ცოლს რომ ვეფერებიო. ამას წინათ მე და ბაბუ ერთად მივდიოდით შინ. ერთი თაიგული მე მიყიდა, მეორე — ბებოს. მერე პატარა ბარათი გამაკეთებინა და ზედ წააწერა: *„ყველაფრის გამო, რაც კი ვიგრძენ/ და შენში დღემდე რაც არის წმინდა,/ ბეჭდის მაგივრად მაგ ლამაზ თითზე/ ბაგეთა ჩემთა მორგება მინდა“.* ეს ბარათი თაიგულში ჩადო და ბებიას მიართვა. უნდა გენახათ მათი სახეები. ბაბუას ვეხუმრები ხოლმე, ერთი შენნაირი კაცი გამაცნო ჩემი ასაკისა და სხვა არაფერი მინდა-მეთქი. ბაბუ მაიმედებს, ბებიაშენისთანა იყავი და ჩემნაირი ცხრა მთას იქიდან მოგძებნისო.

**ნელი (56 წლის):** — სიყვარული... ეჰ, წავიდა, აღარ არის ჩემი ქმარი, გარდაიცვალა, მაგრამ მისი სიყვარული ყოველ დილა-საღამოს სასთუმალთან დაყურსული მეალერსება. ბოლო წუთამდე 18 წლისანებივით შეყვარებულები ვიყავით. გარდაცვალებამდე ორი საათით ადრე საალერსო სიტყვებს მეუბნებოდა. გამეცინა — საჰაერო ამბორი გამომიგზავნა საწოლიდან და სულ მალე იმ ამბორივით გაქრა მისი სულიც ჰაერში. მაგრამ სიყვარული, უბერებელი სიყვარული ჩემთან დარჩა.

**თაკო (27 წლის):** — ერთ ჩემს ახლობელს ახალგაზრდობაში დაეკარგა ქმარი ომში. ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა. უკიჟინებდნენ თურმე — გათხოვდი, პატრონს ჩაბარდიო. გაიცინებდა და იტყოდა — ეჰ, თქვენ რა იცით, სიყვარულის ცეცხლი როგორ მიკიდია, ის რომ მკვდარი იყოს, გული მიგრძნობდაო. ის კაცი 7 წლის წინ დაბრუნდა! არ იფიქროთ, რომ უცხოეთში ოჯახი დატოვა. მთელი სიცოცხლე ცოლი უყვარდა. უნდა გენახათ მათი ჯვრისწერა — სანთლებივით მოკიაფე თვალები! ძნელია, სიყვარულის ჯადოსნურ სამყაროს ჩაწვდე, მაგრამ ის კი ცხადია, რომ სიყვარული არ ბერდება, ვინც საწინააღმდეგოს იტყვის, მან, უბრალოდ, არ იცის, რა არის სიყვარული.

**ეკა ლომიძე**

C M Y K





საზაფხული ქუდი და სახელმწიფო
ვაჟა-ფშაველას პოემა
მოულოდნელი, უცნაური მსჯელობა
მთავარი არტერია
ხორცის წვნიანი ბრინჯით
მევალე
მდინარე დასავლეთ საქართველოში
დათვის თათი
იგივეა, რაც მონასტერი
მახარაძე
ქალის სასიმღერო ხმა
სასცენო ნაწარმოები
ესპანელი დიქტატორი / ეგვიპტური ღმერთი
მომღერალი ... მარტინი
ციური სხეულების ერთიანი სისტემა
ტროპიკული ბალახისმჭამელი ცხოველი
ქართული ანბანის ასო
ბამბის ქსოვილი – უხეში მიტკალი
სააკაძის ვაჟი
მითური არსება ბუდიზმში
კომში
ხარირმის ეპითეტი
ამერიკული სპორტული ფირმა
სამკითხაო ბანქო



ამერიკელი კინომსახიობი
„ტოტენჰემის" მწვრთნელი
პატარა ლირიკული არია
ამოსვლა ისრაელში
დიდი მოხრილი უკეცი დანა
ზოდიაქოს ნიშანი
უძრაობა, ჩამორჩენილობა, შაბლონი
ნაცარქექიამ გააბრიყვა
ადამიანის სადგომი / რეზინის სახეობა
„ცეცხლოვანი ქვა"
ალაზნის მარცხენა შენაკადი
დისერტაციის სახე
ჩამონათვ. / შეხვედრა უმაღლეს დონეზე
ხილი
სცენაზე პირველად გამომსვლელი
ტრიგონომეტრიული ფუნქცია
ვულკანური მინა
მეტისმეტად კაშკაშა მეტეორი
ძველებური ინგლისური ოქროს ფული
ჭიის ქსოვილი / რუსული „ლავაში"
ფალიაშვილის ოპერა
სულხან-... ორბელიანი
მალემსრბოლი / იგივეა, რაც სკივრი
საავადმყოფო ვაკეში
დე ნირო კ/ფ „გააანალიზე ..."
ანდერსონის პერსონაჟი „საიდუმლო მასალებში"
ოპტიკური ხელსაწყო
ცეცხლის ენა



მატარებლის შემადგენელი ნაწილი
იგივეა, რაც ბავშვი
იაპონური ცივი იარაღი
... და ნაღარა
შარაგზა
ფრანკის მეასედი
ტემპერატურის საზ. ერთეული / ცნობიერება
„სევილიელი დალაქი" (პერსონაჟი)
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი
ინსტრუმენტი რინგზე
ტოკარევის პისტოლეტის აბრევიატურა
მექანიზმი სახანძრო მანქანაზე



**შეადგინა რამაზ ალანიამ**

CMYK




**www.tavisupleba.org**

რადიო თავისუფლება
RADIO LIBERTY

# ვხედავთ, გვესმის, ვამბობთ

- პოლიტიკა
- ეკონომიკა
- კულტურა
- სამხედრო სფერო
- სპორტი
- ახალგაზრდობა

RADIO FREE EUROPE • RADIO LIBERTY

**გვისმინეთ ყოველდღე**

**20:00 - 21:00** ▸ FM 100.9, AM 1044 ● **00:00 - 01:00** ▸ FM 102.6, AM 1044 ● **09:00 - 10:00** ▸ FM 107.4

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ხშირად მაქვს კუჭის შეკრულობა. ბოლო დროს ვსვამ სენადეს, მაგრამ მისი მოქმედება უეფექტო გახდა. იქნებ მირჩიოთ სხვა საშუალება?**

*მკითხველი*

სენაზე დამზადებულ წამლებს ეჩვევა ორგანიზმი. ისინი ეფექტურია მხოლოდ პირველი მიღების დროს. საფაღარათოს ხანგრძლივად მიღებამ შეიძლება სრულიად დაარღვიოს ნაწლავის მოტორიკა. ათი დღის განმავლობაში შეგიძლიათ სვათ გვირილისა და თავშავას ნაყენი. საკმაოდ ეფექტურია პირობითი რეფლექსის გამომუშავება, რისთვისაც ერთსა და იმავე დროს უნდა იაროთ ტუალეტში. დილაობით უზმოზე სვით წყალი ან ხილისა და ბოსტნეულის წვენი (ყურძნისა და ვაშლის გარდა). საერთოდ, მეტი სითხე მიიღეთ. შეზღუდეთ ყავა. მასში შედის ისეთი ნივთიერებები, რომლებიც ყაბზობის პროვოცირებას იწვევს. ნაწლავის მუშაობას აწესრიგებს უჯრედისით მდიდარი საკვები: ჭვავის პური, უმი და მოხარშული ხილი, ჩირი, რძის პროდუქტი, მცენარეული ზეთი. რაციონიდან გამორიცხეთ თეთრი პური, კონსერვირებული და შებოლილი პროდუქტი. ყოველდღიურად ეცადეთ, შეასრულოთ 20-წუთიანი ვარჯიში მუცლის კუნთების გასამაგრებლად, მეტი იარეთ ფეხით.

**ორსულობის შემდეგ ფეხებზე გამიჩნდა ვენები. ამჟამად კი მაწუხებს არა მხოლოდ კოსმეტიკური დეფექტი, არამედ ისიც, რომ საღამოობით ფეხები მელღება. როგორ დავაღწიო თავი ამ დაავადებას?**

*ირმა მ.*

ფეხებზე ვენები სამი სახისაა: ღრმა, რომლებიც კუნთებშია დამალული, პერიფერიული, რომლებიც კანქვეშ მდებარეობს და მათი დამაკავშირებელი კომუნიკანტები. გულისკენ სისხლის წაღების მთავარ სამუშაოს ღრმა ვენები ასრულებს. მათ გააჩნიათ სარქველები, რომლებიც სისხლის უკან გამოდინებას ეწინააღმდეგებიან. თუ სარქველები მოდუნდება, მაშინ სისხლი ჭარბად მიდის ზედაპირულ ვენებში, ზედმეტი დატვირთვა კი მათ გაფართოებას იწვევს, რაც ფეხების გარეგნობას ამახინჯებს. დაავადების საწყის სტადიაზე შედეგიანია კომპრესული ფლებოსკლეროზირება: კაპილარულ სისხლძარღვებში ან გაფართოებულ კანქვეშა ვენაში წვრილი ნემსით შეჰყავთ სპეციალური პრეპარატი, რომელიც თითქოს აწებებს მას. მკურნალობის აუცილებელი პირობაა ფეხების ელასტიკური ბანდით შეხვევა. თუ დაავადებას უყურადღებოდ დატოვებთ, მისი გართულების შემთხვევაში მკურნალობის ერთადერთი მეთოდი ოპერაციაა.

**მართალია თუ არა, რომ საშვილოსნოს მიომა აუცილებლად გადაიზრდება კიბოში?**

*ერთგული მკითხველი*

თავად მიომა სიმსივნის განვითარების თვალსაზრისით საშიში არ არის, მაგრამ მიომის ნიღაბქვეშ შესაძლოა ავთვისებიანი წარმონაქმნი იმალებოდეს. თუ მიომა იზრდება და ეს კვანძი ან მაგალითად საშვილოსნო სწრაფად იწყებს გადიდებას, ავადმყოფს ოპერაცია უკეთდება იმ შემთხვევაშიც კი, როცა წარმონაქმნი კეთილთვისებიანია — სწრაფი ზრდა სარკომის წარმოქმნის საფრთხეს ქმნის.


**განწუხებთ კუჭი?**

**მაალოქსი საიმედოდ დაიცავს თქვენს კუჭს!**

Aventis

**მაალოქსი** - სწრაფად და ხანგრძლივად გაგიყუჩებთ კუჭის ტკივილს, მოგიხსნით გულძმარვას, სიმპტომატურად გიმკურნალებთ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის შემთხვევაში, თავიდან აგაცილებთ გამწვავებებს; გარდა ამისა ახასიათებს მჟავის ძლიერი გამანეიტრალებელი მოქმედება, იმავდროულად ახდენს შემოგარსვას., აქვს კარგი გემო, ორგანიზმისათვის ადვილად შესათვისებელია, არ იწვევს ყაბზობას და აქვს სუსტი საფაღარათო ეფექტი.

მაღალი მჟავიანობით მიმდინარე კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადებათა დროს მედიკამენტოზურ თერაპიასთან ერთად მნიშვნელოვანია დიეტის დაცვაც; აუცილებელია – რეგულარული კვება, საჭმლის კარგი დაღეჭვა და შემდეგი რჩევების გათვალისწინება:

**რეკომენდირებულია:**
- წინა დღის თეთრი პური ან მისი ორცხობილა;
- სუპეული - არა ნახარშები, უმჯობესია ბურღულის;
- მოხარშული ხორცი (ძროხის, ქათმის, ინდაურის, კურდღლის), ორთქლზე დამუშავებული კატლეტი;
- მოხარშული თევზი ან შემწვარი უკანოდ;
- ფაფეული რძის დამატებით (მანის, ბრინჯის, წიწიბურას);
- მოხარშული ვერმიშელი;
- კვერცხი-თოხლოდ მოხარშული ან ომლეტი ორთქლზე;
- რძე, შესქელებული რძე, ნაღები, ხაჭო, ჭყინტი ყველი;
- კარაქი (მზა კერძებში დასამატებლად);
- ტკბილი ხილისა და კენკრის კომპოტი, ჟელე ან კისელი;
- მოხარშული ბოსტნეული, უმი გახეხილი სტაფილო;
- ტკბილი მსხალი, შემწვარი ვაშლი და ბანანი;
- ჩაი ( არა მაგარი) შესაძლებელია რძით.

**აკრძალულია:**
- ჭვავის პური, ახალგამომცხვარი პურ-ფუნთუშეული, ბლინები;
- ხორცის, თევზის, სოკოს ნახარშები;
- შემწვარი ან ჩაშუშული ხორცი და თევზი, შებოლილი პროდუქტი, მჟავეული, მარინადები;
- ფაფა – ხორბლის, მუხუდოს;
- სუნელები, სანელებლები;
- კონცენტრირებული წვენები;
- უმი ხახვი, ნიორი, მჟაუნა, ბოლოკი, კიტრი და სოკო;
- ყავა, ალკოჰოლი, ნიკოტინი;
- გაზიანი სასმელები და ლუდი.

**უნდა მიიღოთ: (შეგიძლიათ აირჩიოთ: აბი №40; სითხე ფლაკონში 250მლ.; ან 30 პაკეტი–15მლ. თითოეულში)**

*მაალოქსი – სუსპენზია ფლაკონში*
1 სუფრის კოვზი ჭამიდან 1 საათის შემდეგ და, თუკი აუცილებელია, ძილის წინ

*მაალოქსი – ტაბლეტი*
1-2 ტაბლეტი ჭამიდან 1 საათის შემდეგ და, თუკი აუცილებელია, ძილის წინ



**მაალოქსი – № 1 ანტაციდი მსოფლიოში**

*მაალოქსი – სუსპენზია პაკეტში*
1 პაკეტი ჭამიდან 1 საათის შემდეგ და, თუკი აუცილებელია, ძილის წინ

იკითხეთ აფთიაქებში!

რეგისტრირებულია საქართველოში MP №001277; MP №001276


## „ქართუელთა მზემნათი, უღმო ილარიონ...“

ნიკოლოზ ტფილელი მასზე წერდა: „ქართუელთა მზემნათი, უღმო ილარიონ“ (არასოდეს იღიმებოდა თურმე).

წმინდა მამა ილარიონი IX საუკუნეში მოღვაწეობდა. იგი მდიდარი აზნაურის ოჯახში დაბადებულა და მშობლებს 6 წლის ასაკში მიუბარებიათ „სწავლად კაცსა ღირსსა“, რომელიც ასწავლიდა „წიგნსა სულიერსა“ დღე და ღამე.

ილარიონს სიყრმიდანვე გამოუმჟღავნებია რელიგიური ცხოვრების სურვილი, რისთვისაც მამას მისთვის ეკლესია აუგია სამოღვაწეოდ, მაგრამ მაინც საზღვარგარეთ გაუწია თურმე გულმა.

ილარიონ ქართველი მოღვაწეობდა იერუსალიმში, კონსტანტინეპოლში, ბითვინიაში, მაკედონიასა და რომანაში. წმინდა მამა სოფელ-სოფელ დადიოდა და „უვერცხლოდ“ სასწაულებრივად კურნავდა ხალხს. ბოლოს, თესალონიკში (დღევანდელი სალონიკი) დაეფუძნა. იქვე დაასრულა მოღვაწეობა და იქვე დაკრძალეს.

წმინდა მამის საფლავმა კურნების ძალა შეიძინა. ხალხი ყოველი მხრიდან მიდიოდა




მასთან შესახებად. ეს რომ ბიზანტიის იმპერატორმა ბასილიმ შეიტყო, ილარიონ ქართველი კონსტანტინოპოლში გადაასვენა, თავისი შვილებიც კი შეუყენა თურმე მის ულამაზეს სარკოფაგს. ბასილის ბრძანებითვე, ბერძნულ ენაზე აღიწერა წმინდა მამის ცხოვრება, რომელიც 100 წლის შემდეგ შემოკლებულად ითარგმნა ქართულად, ხოლო დავით აღმაშენებლის მეფობისას თეოფილე ხუცესმონაზონმა სრულად გადმოილო.

და აი, დღეს XXI საუკუნეში, უფლის ნებით, გაგვიჩნდა რეალური შანსი იმისა, რომ მივაკვლიოთ ილარიონ ქართველის საძვალეს, რაც უდავოდ უდიდესი მადლისა და ძალის მომცემი იქნება. უპირველეს ყოვლისა, ქართველთათვის.

ამის თაობაზე ამცნო „კვირის პალიტრას“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, თსუ მედიცინის ისტორიის კათედრის გამგემ, პროფესორმა **რამაზ შენგელიამ**.

**— ბატონო რამაზ, როგორ მიაკვლიეთ ილარიონ ქართველის საფლავს?**

— სექტემბერში სტამბოლში ვიყავი მიწვეული მედიცინის ისტორიკოსთა კონგრესზე. სტამბოლის უნივერსიტეტის მედიცინის ისტორიის კათედრის გამგემ ნილ სარმა კაბადოკიაში სამოგზაუროდ დაგვპატიჟა, მაგრამ რატომღაც უარი ვთქვი ყველა ქართველისთვის საოცნებო ადგილის მონახულებაზე და ილარიონ ქართველის საფლავის ძიებას მივყავი ხელი. მამა ილარიონის ცხოვრებიდან მხოლოდ ის ვიცოდი, რომ იგი „დაკრძალულ იქნა წმინდა რომანის ღელის ზემო კერძ სოსთენს“. შევეცადე, დამატებითი ინფორმაცია მიმეღო. დავდიოდი არქივებში, მაგრამ იქ სასურველ ცნობებს ვერ მივაკვლიე.

ყველა მეტ-ნაკლებად კომპეტენტურ პირს ვეკითხებოდი, ხომ არ იცით, სად არის რომანის ღელე-მეთქი. მაგრამ ეს სახელი არავის სმენოდა. ბოლოს, მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს საკათედრო ტაძარში შეგვახვედრეს ეპისკოპოს იოუს იმრუს. ამ სათნო მამას ილარიონ ქართველის ხსენებაზე სახე გაუნათდა და — „O, great Ilarion“-ო (დიდი ილარიონი), შესძახა. ძალიან უნდოდა დაგვხმარებოდა. ტელეფონით რამდენიმე ადგილას დარეკა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერი გაარკვია. წამოსვლისას ხელზე ვემთხვიე და უეცრად ვკითხე, — მეუფეო, სოსთენი ხომ არაფერს გეუბნებათ-მეთქი. აღმოჩნდა, რომ სოსთენი (დღევანდელი ისტინია) სტამბოლიდან 20 კმ-ში მდებარე დასახლებული პუნქტი ყოფილა. ეპისკოპოსმა გაგვაფრთხილა, რომ თან თურქული ენის მცოდნე წაგვეყვანა, რადგან იქ ინგლისური არავის ეცოდინებოდა.




*ტაძრის ნანგრევი ასე გამოიყურება*

**— იშოვეთ ასეთი თანამგზავრი?**

— არა, იქ ეს ჩვენთვის საკმაოდ რთული იყო, ამიტომ ღმერთს მივენდეთ და ისტინიისაკენ მიმავალ ავტობუსს გავყევით. ავტობუსში ვიღაც კეთილშობილი გამომეტყველების თურქს გამოველაპარაკეთ. მან ჩაგვიყვანა ისტინიაში. მერე გვითხრა, მოიცადეთო, სადღაც წავიდა და რამდენიმე წუთში მოგვიყვანა ორჰან იუგუნი, რომელიც 25 წელი ცხოვრობდა თურმე ამერიკაში და ინგლისურიც მშვენივრად იცოდა.

მართლაც საოცარი განცდა გვქონდა, რაღაც ძალა ხელს გვიმართავდა და ყველაფერში გვიმართლებდა.

**— ორჰანი როგორ დაგეხმარათ?**

— მას ვთხოვეთ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მოგვახვედრეო. თავდაპირველად XIX საუკუნის ტაძართან მიგვიყვანა, მაგრამ როცა გაიგო, ეს ის არ იყო, რასაც ვეძებდით, გვითხრა, — ვიცი, რასაც ეძებთო და წაგვიყვანა ღელესთან (სხვაგან იმ ტერიტორიაზე ღელე არსად შეგვხვედრია), რომლის ნაპირას ძველი ეკლესიის ნანგრევები შემორჩენილა. ეს უეჭველად ის ადგილი იყო, რომელსაც დავეძებდით. სოსთენი, ღელე, ტაძარი — ამდენი დამთხვევა ხომ შეუძლებელია? კიდევ ერთი საოცრება ის არის, რომ ის ადგილი, სადაც ნანგრევებია, დაახლოებით 200-300 კვადრატული მეტრის ფართობი, დაუსახლებელია, გარშემო კი, ყველგან სახლები და დაწესებულებები დგას. თითქოს რაღაც იცავს აქაურობას.

**— ნანგრევებს ატყვია კვალი იმისა, რომ ის ოდესღაც ტაძარი იყო?**

— დიახ, მისი სამხრეთი კედელი აჭრელებულია. როგორც ჩანს, ფრესკებით ყოფილა მოხატული. შიგნით კი, სატრაპეზო და წყაროა შემორჩენილი, ხოლო სამლოცველო გუმბათით იყო გადახურული და ჯვარიც ედგა.

**— ორჰანმა რა იცოდა ამ შენობის შესახებ?**

— ორჰანმა უფრო განამტკიცა ჩემი ვარაუდი საფლავის ამ ადგილას არსებობის შესახებ. მითხრა, თურქებმა იცოდნენ, აქ რომ წმინდანის საფლავი იყო და აქაურობა გადათხარეს — საფლავში ჩატანებულ ოქრო-ვერცხლს ეძებდნენ (ბერძნები საფლავში წმინდა მამებს განძეულობას ატანდნენ ხოლმე თან). არ იცოდნენ, თუ ქართველი წმინდანი განისვენებდა, თორემ ხელს არ ახლებდნენ, რადგან მათთვის ცნობილია, რომ ქართველები განძს არ ატანდნენ მიცვალებულებსო. ისიც გვითხრა, მართლმადიდებელი ქრისტიანი მორწმუნენი ხშირად ჩამოდიოდნენ აქ სალოცავად და რამდენიმე დღე რჩებოდნენო.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ თურქები საფლავსაც იავარქმნიდნენ?**

— ამ ადგილას შემდეგ თურქეთში საქართველოს კონსული რეზო შარაშენიძე ჩავიყვანე. მან მითხრა, რომ თურქები არ არიან ბარბაროსები. შესაძლოა თუ რამ განძეული იყო საფლავში, ამოეღოთ, მაგრამ დიდი შანსია, რომ ილარიონ ქართველის ძვლები ისევ იმ ადგილს დაგვხვდესო.

**— თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ თქვენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსაც შეხვდით. რა ბრძანა უწმინდესმა და უნეტარესმა?**

— მან ამ მოვლენას „აღმოჩენა“ უწოდა და ბრძანა, რომ უსათუოდ იზრუნებს საფლავის გამოსავლენად. აღნიშნულ ტერიტორიაზე სადაზვერვო-არქეოლოგიური გათხრები უნდა ჩატარდეს, მაგრამ მანამდე მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხი გადასაწყვეტი.

P.S. ღმერთმა ინებოს, სამშობლოს დაუბრუნდეს დიდი წმინდანის წმინდა ნაწილები, მისი მადლი და სასწაულებრივი ძალა.

*გვერდი მოამზადა თამარ მამაცაშვილმა*

# ფრთხილად, ალერგია!



უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ალერგიით დაავადებულთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა. სპეციალისტები გვიწინასწარმეტყველებენ, მალე ალერგია ნორმად იქცევაო.

ვინ წარმოიდგენს, რომ ჩვეულებრივი მიწის თხილი ასთმის შეტევას, უწყინარი კივი კი — ჭინჭრის ციებას იწვევს, ხოლო ფინჯანი რძე უფრო ვნებს კუჭს, ვიდრე ერთი ბოთლი რომი? ასეა თუ ისე, ეს სამწუხარო რეალობაა მათთვის, ვისაც ალერგია აწუხებს.

ალერგიის მექანიზმის სირთულე ხშირად აბნევს მეცნიერებს. მაგალითად, „ჰიგიენისტური“ თეორიის მომხრეთა აზრით, მზარდი ასეპტიზაცია (მოწამვლა), რომ არაფერი ვთქვათ, გარემოს სტერილიზაციაზე, თვით ადამიანის ორგანიზმის არსს ცვლის: საყოფაცხოვრებო ქიმია ყოველდღე ახალ-ახალ პროდუქტს გვთავაზობს. ისინი მავნებელ მიკრობებს ხელის ერთი დაკვრით ანადგურებენ. ზედაცული ორგანიზმი კარგავს უვნებლი პროდუქტისგან მძლავრი ალერგენის გარჩევის უნარს. არანაკლებ სახიფათო ყოფილა კვების „ინტერნაციონალიზაცია“. ჩვენს სუფრაზე უკვე იშვიათი აღარ არის სხვადასხვა ქვეყნის კერძები, რაც კიდევ უფრო ზრდის ალერგენების სპექტრს. ამის საუკეთესო დასტურია თუნდაც კივი ან ქუნჯუთი. მაშ, რა უნდა ქნას ამ საშიში დაავადებით — ალერგიით დაავადებულმა ადამიანმა? სანამ მეცნიერები თავს იმტვრევენ ამის ამოსახსნელად, ალერგიკებმა უნდა დაიცვან უსაფრთხოების ელემენტარული ნორმები, მიაჩნიათ ექსპერტებს. გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

ჩვილის რაციონში მოზრდილთა პროდუქტების ადრეულ შეტანას, რაც ასე მოდური გახდა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, უნდა ერიდოთ. უმჯობესია, ჩვილს ძუძუ აწოვოთ. მხოლოდ მოგვიანებით გადაიყვანეთ მსუბუქ რძის პროდუქტებზე და მხოლოდ 4-6 თვის ასაკში მიეცით ხილბოსტნეული, მაგრამ არა ეგზოტიკური. რაც შეეხება ხორცს, თევზს, კვერცხს, უმჯობესია 6-8 თვემდე დაიცადოთ. მეცნიერები არც იმას უარყოფენ, რომ ბავშვი ალერგიით შეიძლება ჯერ კიდევ დედის მუცელში დაავადეს. ამიტომაც ფეხმძიმე ქალმა უნდა შეზღუდოს არაქისის, ხმელი ხილის და ეგზოტიკური ხილის, ასევე ქუნჯუთის ჭამა.

ახლა დიასახლისები, საქმე რომ გაიიოლონ, ნახევარფაბრიკატებს ყიდულობენ. ამით ძალზე ზრდიან ალერგიის საშიშროებას. ასეთ პროდუქტთა რიცხვში შედის კვერცხის ცილა, რძის ფხვნილი და ა.შ.

პროდუქტების მწარმოებლები გაგებით ეკიდებიან ამ სახიფათო პრობლემას და გვთავაზობენ: პროდუქტის ეტიკეტზე დაწვრილებით იყოს დაფიქსირებული ალერგენების სიაში შემავალი კომპონენტები, წარწერები კი უფრო კონკრეტული იყოს. მაგალითად, პროდუქტს წავაწეროთ „არაქისის ზეთი“, ნაცვლად „მცენარეულისა“.

ალერგოლოგები კი შეგვახსენებენ, ბავშვებისთვის განსაკუთრებით სახიფათოა არაქისი, კვერცხი, ძროხის რძე და თევზი.

***ეხო პლანეტი №44***

# რამდენს უნდა იწონიდეს სასკოლო ზურგჩანთა?



შედეგები სავალალო აღმოჩნდა. ათი წლის ბავშვების 40%-ს ექიმებმა ხერხემლის გამრუდება დაუდგინეს, რაშიც დამნაშავენი მშობლები არიან. ყველა მშობელს სურს, მისმა შვილმა სხვადასხვა წრეში ან სექციაში იაროს, ამიტომ გადატვირთული ბავშვი ზოგჯერ დასასვენებლად შინ მისვლასაც ვერ ახერხებს და საღამომდე უმძიმეს ჩანთას დაათრევს, რომელშიც წიგნებისა და რვეულების გარდა, სავარჯიშო ტანსაცმელი ან მუსიკალური საკრავი დევს.

ამერიკელები უკვე გონს მოვიდნენ და ყველა სასწავლო დაწესებულებაში მოსწავლეებს წიგნების ორ-ორი კომპლექტი დაურიგეს. ერთით სკოლაში ისარგებლებენ, მეორეთი კი, შინ.

თურმე, სასკოლო ზურგჩანთების წონა არ უნდა აღემატებოდეს ჩანთის პატრონის წონის 10-15%-ს.

ამერიკელი ორთოპედები დარწმუნებულნი არიან, რომ ზრდასრული ადამიანების 70%-ს, ვისაც ზურგისა და კისრის არეში ტკივილი აწუხებს, ბავშვობაში ზურგით მძიმე ჩანთები ან პორტფელები უტარებია.

მომავალი თაობის გადასარჩენად ამერიკელმა ორთოპედებმა ქვეყნის ზოგიერთ შტატში ჩაატარეს ფართომასშტაბიანი დისპანსერიზაცია.

***ვერსია №40***

# ალკოჰოლი სასარგებლოა მოხუცებისთვის...

სმა სასარგებლოა — ასეთი მოულოდნელი დასკვნა გამოიტანეს ინგლისელმა მეცნიერებმა, მაგრამ 80 წლის ასაკის (და ზემოთ) მამაკაცებისთვისო. სწავლულთა აზრით, ერთი ბოთლი ლუდი (ზოგჯერ ცოტა მეტიც) დღეში, არავითარ ზიანს არ მიაყენებს მათ ჯანმრთელობას.

სხვა საქმეა ქალები, მათ კატეგორიულად ეკრძალებათ ალკოჰოლიანი სასმელი უკვე 55 წლის ასაკის ზევით.

***კომსომოლსკაია პრავდა №203***

# ყველაფერი მამაკაცების შესახებ



აუცილებლად ჩაიტარეთ რეგულარული კვლევა — გულმკერდის ორგანოების ფლუოროგრაფია. იგი საშუალებას მოგცემთ, გამოავლინოთ სხვა (მათ შორის ტუბერკულოზური) გადახრები.

საფრთხილოა ვირუსული ინფექციებიც. ვირუსის ყოველი შეტევა თავისებურ დაღს ტოვებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. ამიტომ ყველაზე „იოლი“ გრიპის შემდეგაც უნდა გადაიღოთ ელექტროკარდიოგრამა, გაიკეთოთ შარდის ანალიზი (ვირუსი არც თირკმელს ინდობს!).

ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით ჩაიტარეთ:

— შარდის საერთო ანალიზი — იგი ავლენს ინფექციებს, ცილის მომატება კი თირკმლების დაავადებაზე მეტყველებს.

— გულმკერდის ორგანოების რენტგენოგრაფია — საშუალებას იძლევა გამორიცხოთ საეჭვო წარმონაქმნების არსებობა.

— სისხლის საერთო ანალიზი — ითვალისწინებს ჰემოგლობინის დონესა და სისხლის ფორმულის დადგენას.

— სისხლის ბიოქიმიური ანალიზი განსაზღვრავს ღვიძლის, თირკმლის ძირითად ფუნქციურ მდგომარეობას, შაქრისა და მიკროელემენტების დონეს.

— განავლის ანალიზი სისხლის არსებობაზე — ნაწლავების მდგომარეობის შეფასებისთვის.

— ელექტროკარდიოგრამა — გულის მუშაობის შემფასებელია.

ამგვარი კვლევის ჩატარება მიზანშეწონილია ორ წელიწადში ერთხელ. გარდა ამისა, სასარგებლოა მხედველობისა და სმენის გამოკვლევა იმავე სიხშირით.

**25-დან 40 წლამდე** გამოკვლევა მოიცავს: სისხლის წნევის განსაზღვრას, ელექტროკარდიოგრამას. აუცილებელია მამაკაცი გაისინჯოს წყლულოვან დაავადებაზე — ამ ასაკში მისი ალბათობა განსაკუთრებით დიდია. წყლულის გამოვლენაში დაგეხმარებათ გასტროსკოპია. თუ წყლული მაინც აღმოჩნდა, ეწვიეთ გასტროენტეროლოგს წელიწადში 2-ჯერ — შემოდგომასა და გაზაფხულზე, ანუ მაშინ, როცა წყლული მწვავდება.

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების (სიფილისი, ჰონორეა, ტრიქომონიაზი, სოკო და სხვ.) საშიშროება მამაკაცებს ნებისმიერ ასაკში ემუქრება. უმჯობესია, თუ ნებისმიერი საეჭვო ნიშნის გაჩენისთანავე მიმართავთ სპეციალისტს — უროლოგს ან ვენეროლოგს. ასეთი დაავადების უმეტესობა მამაკაცებში ძალზე ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს და მათზე ეჭვის აღება მხოლოდ შორს წასულ შემთხვევაში (მამაკაცთა უნაყოფობის) ხდება. ამიტომ დროულად ჩატარებული. კვლევა — ურეთრალურ ნაცხში მიკრობების ალმოჩენა — სწრაფად მოგიხსნით პრობლემებს.

თუ აქტიური მწეველი ხართ, თუ ფიქრობთ, რომ ბუასილი გაქვთ ან რისკ-ჯგუფს მძღოლს მიეკუთვნებით: მძღოლი ხართ, ფიზიკურად შრომობთ ან გაწუხებთ ყაბზობა, არ გაწყენდათ ქირურგთან ან პროქტოლოგთან ვიზიტი.

**40-60 წლამდე** — ხშირია ჰიპერტონიული და გულის იშემიური დაავადებანი. ამიტომაც, საჭიროა ელექტროკარდიოგრამასა და სისხლის ბიოქიმიურ კვლევასთან ერთად ქოლესტერინის დონის განსაზღვრაც.

**60 წლამდე მეტი** — ამ ასაკში მამაკაცთა უმრავლესობას უვითარდება წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია (პროსტატის ადენომა), ამის გამო წელიწადში ერთხელ მაინც გაესინჯეთ ექიმ-უროლოგს.

გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიები მამაკაცებში ქალებთან შედარებით ორჯერ უფრო ხშირად გვხვდება. მათი ძირითადი ნიშანი სისხლძარღვების ათეროსკლეროზული დაზიანება, ანუ სისხლძარღვების კედლებზე ქოლესტერინის და ცხიმოვანი ცილის სხვა კომპონენტების ჩალაგებაა. ამის გამო სისხლძარღვები კარგავენ ელასტიკურობას, უარესდება სისხლის მიმოქცევა, ქსოვილები სათანადოდ აღარ მარაგდება ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებით. საყურადღებოა სხვა ფაქტებიც: პლაზმის სიბლანტე, სისხლის უჯრედების მდგომარეობა.

ცხიმოვანი ცილის დარღვევა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ცხოვრების წესთან, პირველ რიგში კი, ცხიმიან საკვებთან. რაც მეტია ადამიანის წონა, მით უფრო ინტენსიურად იტვირთება გული.

უკვე დამტკიცებულია, რომ ალკოჰოლის ზომიერად მიღება სასარგებლოც კი არის გულისა და სისხლძარღვებისთვის. იგი აფართოებს სისხლძარღვებს, ამცირებს სპაზმს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას.

აი, ის სიმპტომები, რომლის დროსაც უნდა ეწვიოთ კარდიოლოგს:

— მოჭერითი ხასიათის ტკივილი მკერდის ძვლის უკან, მარცხენა მხარეს, როცა აღმოცენდება ფიზიკური დატვირთვისას. ზოგჯერ ასეთი სიტუაციის დროს, ჩნდება ზეწოლის, მოჭერის, ჰაერის უკმარისობის შეგრძნება;

— არტერიული წნევის მომატება;

— შეტევითი და ხშირი თავის ტკივილი ზოგჯერ შეიძლება იქცეს მომატებული არტერიული წნევის ერთადერთ მიზეზად;

— გულის ცემის შეგრძნება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის უცებ წარმოიქმნება და მერე ქრება;

— თავბრუსხვევა, გულის წასვლა, ხელების და ფეხების გაცივების შეგრძნება.

**რა უნდა გაკეთდეს დაავადების რისკის შესამცირებლად:** გააკონტროლეთ დატვირთვა, ძილი. თუ დილიდან საჭეს უზიხართ, მთელ დღეს კომპიუტერის წინ ატარებთ და საღამოს ტელევიზორს უყურებთ, ასეთი რეჟიმი ვერაფერს გარგებთ. გამოძებნეთ დრო დასვენებისთვის, ფიზიკური ვარჯიშისა და გასეირნებისთვის. შეცვალეთ კვების საათიც. რაც შეიძლება ნაკლებცხიმიანი, ნაკლებმარილიანი და ნაკლებკალორიული საკვები მიიღეთ. თავი აარიდეთ მავნე ჩვევებს. დიდი მნიშვნელობა აქვს სტრესული სიტუაციებისა და ფიზიკური დატვირთვის მართვასაც.

**45-60 წლის ასაკში** მამაკაცთა ნაწილს აქვს უსიამოვნო სიმპტომები: გაღიზიანებადობა, ემოციური თავშეუკავებლობა, დეპრესია, სახეზე სისხლის „მოწოლა“, სქესობრივი დისფუნქცია — კლიმაქტერიული პერიოდი მამაკაცებშიც ვითარდება.

ასაკთან ერთად მამაკაცის მთავარი ჰორმონის — ტესტოსტერონის წარმოქმნა მცირდება, რაც ძალიან ნელა მიმდინარეობს. ორგანიზმი ამგვარ ცვლილებებს კარგად ეგუება. ამიტომაც, მამაკაცთა უმრავლესობას არავითარი უსიამოვნება არ აღენიშნება. ზოგჯერ კი ეს ჰორმონი ძალიან მკვეთრად მცირდება და დგება კლიმაქტერიული პერიოდი.

ბოლო წლებში მოდური გახდა ჰორმონალური (ტესტოსტერონით) თერაპია. ეს მტკივნეული პროცედურაა. თანაც ჩხვლეტის პირველ დღეებში ჰორმონით „გაჯერებულ“ ორგანიზმში განწყობილება მკვეთრად იცვლება. ტესტოსტერონის აბები არაეფექტურია, რადგან ჰორმონის 80% „უგზო-უკვლოდ“ იკარგება.

უნდა ითქვას ისიც, რომ ბევრი ექიმი სკეპტიკურად არის განწყობილი მამაკაცთა ჰორმონალური თერაპიის მიმართ. მათი აზრით, ასეთი თერაპიის ჩატარების ჩვენება მხოლოდ 5%-ში აღინიშნება. ექიმთა ნაწილი საერთოდ წინააღმდეგია ასეთი მკურნალობის, რადგანაც არსებობს მონაცემები, რომელთა მიხედვით ტესტოსტერონის ხანგრძლივმა მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატა) სიმსივნის პროვოცირება, ღვიძლის დაავადებები და მიოკარდიუმის ინფარქტი.

**გთავაზობთ რჩევებს,** რომელთა გათვალისწინება მამაკაცს უმცირებს კლიმაქსურ უსიამოვნებებს:

— ეცადეთ საკვები რაციონი A, C, E და B ვიტამინებით გაამდიდროთ.

— სასარგებლოა დროდადრო ბიოსტიმულატორების (ჟენშენი, ლიმონი) მიღება.

— ძალიან მნიშვნელოვანია სრულფასოვანი ძილი, ღამის ძილი მინიმუმ — 8 საათი.

— გაიკაჟეთ სხეული ფიზიკური ვარჯიშებით (15 წთ დილის ვარჯიში, ფეხით სიარული).

— მოერიდეთ გადაჭარბებულ სექსუალურ აქტივობას და ასევე, ხანგრძლივ თავშეკავებას.

***მაია მუხიგული***

# არ დაისვენოთ, დაიღლებით!

ძველი ხუმრობა — დასვენების შემდეგ ცუდი არ იქნებოდა დასვენებაო, — სიმართლისგან შორს არ ყოფილა. ჰელაპის ინსტიტუტმა ახლახან ჩაატარა გამოკითხვა ზაფხულის შვებულებიდან დაბრუნებულ ამერიკელებთან. გამოკითხულთაგან 20%-ზე მეტი, თავს ისე დაშლილად და დაღლილად გრძნობს რომ მათ მართლაც მხოლოდ ერთი რამ უნდათ — როგორც საჭიროა, ისე დაისვენონ. ხოლო 54% შვებულებიდან „ამოსუნთქული“ დაბრუნდა.

აი როგორ ხსნიან ამ ფაქტს პენსილვანიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგები: ამერიკელთა უმეტესობის შვებულება არ აღემატება ორ კვირას, ამიტომ მათ უნდათ მაქსიმალურად გამოიყენონ ყოველი თავისუფალი წუთი, რომლის შედეგად შვებულების დღეები უფრო დატვირთული აღმოჩნდა, ვიდრე სამუშაო პერიოდი. როგორც პროფესორი როჯერი აცხადებს, ხშირად შვებულება ჯანმრთელობისთვის უფრო საზიანოა, ვიდრე სასარგებლო.

***მეგაპოლის-ექსპრესი №47***

SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS – აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლენკომინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

დნმ დიაგნოსტიკის ლაბორატორია გთავაზობთ:
სადავო მამობის დადგენას, მემკვიდრული დაავადებების, ფილტვების დაავადებების, ჰეპატიტების B და C, ინფექციური მონონუკლეოზის, პაპილომა ვირუსის, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (ქლამიდია, ჰერპესი, ციტომეგალოვირუსი, ტოქსოპლაზმა, გონორეა და ა.შ.) დიაგნოსტიკას გენური ინჟინერიის საფუძველზე შექმნილი დნმ (ДНК) დიაგნოსტიკის ულტრათანამედროვე – პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR) მეთოდით.
ზუსტი დიაგნოზის 100%-იანი გარანტია
მის: ჩიქოვანის ქ. 14 (ყოფ. ხილიანის) ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორიაზე. ტ: 36-37-95; 899-55-61-97

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

**გერმანია**

## კანცლერმა არც კი უნდა იცოდეს...

კანცლერმა გერჰარდ შრედერმა სასამართლოში უჩივლა გერმანიის წამყვან საქმიან ჟურნალ Wirtshaftswohe-ს, რომელმაც მისი მამხილებელი ინფორმაცია დაბეჭდა. ყოველკვირეულის ცნობით, კანცლერი ცდილობდა, იძულებული გაეხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო, დაემტკიცებინა მთავრობის მიერ შემუშავებული საკითხების კანონპროექტები. სასამართლოზე კანცლერს მოუწევს იმის დამტკიცება, რომ არ უცდია გავლენა მოეხდინა მოსამართლეებზე და ტელეფონითაც არ უსაუბრია არც ერთ მათგანთან. გერმანელებისათვის საკონსტიტუციო



სასამართლოს დამოუკიდებლობაზე მნიშვნელოვანი არაფერია. როცა ამ ორგანოს ქმნიდნენ, დაადგინეს, რომ იგი ბონში კი არ უნდა იყოს, არამედ კარლსრუეში (დედაქალაქის ბერლინში გადატანის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო გეოგრაფიულად კიდევ უფრო დაშორდა მთავრობას), ამიტომაც შრედერს საკონსტიტუციო სასამართლოს რომელიმე მოსამართლის ტელეფონის ნომრის ცოდნაც კი, შეიძლება კანცლერის სავარძლად დაუჯდეს.

***დი ველტი***

**კოლუმბია**

## სარისკო ბიზნესი

კოლუმბიის ჯუნგლებში ასობით ამბოხებული — ნაციონალური გათავისუფლების არმიის წევრები ქვეყანაში მომუშავე ამერიკული ნავთობკომპანიების წინააღმდეგ სისტემატურად ახორციელებენ ტერაქტებს. ბოგოტა და ვაშინგტონი ერთობლივად ცდილობენ ტერაქტების შეჩერებას. შეერთებულმა შტატებმა ამისათვის 94 მლნ დოლარი და 20 ამერიკელი სპეცრაზმელი გამოყო, რომლებმაც კოლუმბიის სპეცდანაყოფები უნდა გაწვრთნან ნავთობკომპანიების დასაცავად. 772-კმ-იან ნავთობსადენზე სპეციალური პატრულირება განხორციელდება. ამერიკელი ოპოზიციონერები კითხულობენ, რატომ უნდა დაიცვას ამერიკელ გადამხდელთა თანხებით დაფინანსებულმა ამერიკულმა არმიამ კერძო (თუნდაც ამერიკული) კომპანია? ბუშის ადმინისტრაცია კი ამას მარტივად ხსნის. არასტაბილური სიტუაცია კოლუმბიაში დიდ ეკონომიკურ ზიანს გვაყენებსო. მარტო 2001 წელს ამბოხებულთა თავდასხმების გამო აშშ-მა 75 მლნ დოლარი იზარალა. დიდი ზარალი ნახა კოლუმბიამაც. ნავთობსადენის აფეთქებების შედეგად ჯუნგლებში 3 მლნ ბარელი დაიღვარა. ამერიკელთა მიერ გაწვრთნილმა კოლუმბიელმა ჯარისკაცებმა უკვე შეძლეს თავიდან აეცილებინათ რამდენიმე ტერაქტი.

***ნიუ ზუიქი***

## მოკლედ

**თბილისში** მცხოვრებმა სტალინის შვილიშვილმა ევგენი ჯუღაშვილმა, რომელიც პროფესიით სამხედრო ისტორიკოსია, განაცხადა, — სტალინი არასოდეს დაუშვებდა ნატოში საქართველოს შესვლას, რადგან ეს ეწინააღმდეგება რუსეთისა და საქართველოს ინტერესებსო.

**რუსეთისა** და **აშშ**-ის პრეზიდენტებმა სანქტ-პეტერბურგში შეხვედრის დროს მიიღეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც ერაყს მოუწოდეს სრულად დაიცვას გაეროს უსაფრთხოების საბჭოს 1441-ე რეზოლუცია.

პრემიერმა არიელ შარონმა განაცხადა, რომ **ისრაელი** გამოდის ქებრონის 1997 წლის ხელშეკრულებიდან, რომლის თანახმად, ქალაქის ტერიტორიის 80% პალესტინის ნაციონალურ ადმინისტრაციას უნდა გაეკონტროლებინა.

**პერუში** მუნიციპალური არჩევნები ტრაგედიით დამთავრდა. გემი, რომელსაც ასობით ამომრჩეველი მიჰყავდა საარჩევნო უბნისკენ, ჩაიძირა. დაიღუპა 50-ზე მეტი ადამიანი, ბევრი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

**ავღანეთში** ვიზიტის დროს ლეგენდარული მოკრივე მუჰამედ ალი შეხვდა ქვეყნის პრეზიდენტს ჰამიდ ყარზაის, რომელმაც სთხოვა — სამუდამოდ ჩვენთან დარჩი, ავღანეთისთვის ეს დიდი პატივი იქნებაო. საუკუნის ჩემპიონს, რომელსაც პარკინსონის დაავადება სჭირს, სურს მოინახულოს ქაბულის საბავშვო სპორტკლუბები.

**პარიზის** ცნობილი კაბარე „მულენ რუჟი“ სასამართლომ რასიზმში დაადანაშაულა და 10 ათასი ევროს გადახდა დააკისრა. მიზეზი კი ის იყო, რომ კაბარეში სამუშაოდ არ მიიღეს შავკანიანი სენეგალელი ახალგაზრდა ქალი, რომელმაც სასამართლოში შეიტანა სარჩელი.

# პოლიტიკოსის წესები

***აშშ-ში არის რამდენიმე გავლენიანი ადამიანი, ვისი ბედიც საერთო თაყვანისცემის, მიბაძვის და ველური შურის საგანიც კი არის თანამემამულეთათვის. ამგვარ ადამიანებს განეკუთვნება დონალდ რამსფელდი. ამერიკელთა შორის პოპულარობა მას მოუტანა არა თანამდებობებმა და წარმატებებმა, არამედ წიგნებმა. უფრო ზუსტად, მხოლოდ ერთმა წიგნმა, სათაურით — „რამსფელდის წესები“, რომელიც 1974 წლიდან რამდენჯერმე გამოიცა. ამას წინათ „წესები“ ისევ გამოიცა ახალი დამატებებით და მაშინვე კვირის მთავარ ბესტსელერად იქცა. წიგნში მარტივად და ნათლადაა ჩამოყალიბებული, როგორ უნდა იცხოვრო, რომ ბედნიერი იყო. ჩამოთვლილია პუნქტებად:***



● არ დაიკავო პოსტი თეთრ სახლში მანამ, სანამ არ მიხვდები, რომ შეგიძლია პრეზიდენტს უთხრა ყველაფერი, რასაც სინამდვილეში ფიქრობ.

● ისწავლე, თქვა: „არ ვიცი“.

● იყავი ზუსტი. შეცდომა სიზუსტეში შესაძლოა ძალზე ძვირად დაგიჯდეს, თუნდაც დანაშაული უმნიშვნელო იყოს.

● პრეზიდენტის გვერდით ყოფნის საზღაურია — აუცილებლობა, აცნობო მას უსიამოვნო ახალი ამბები.

● ნუ იტყვი ცუდს იმათზე, ვისაც შენამდე ეჭირა პოსტი ან იმათზე, ვინც შენი ადგილი დაიჭირა. არასოდეს გივლია მათ ტყავში.

● ნუ აკრიტიკებ შენს უფროსს. მას ამის გარეშეც არ აკლია პრობლემები.

● დატკბი შენი მუშაობით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. ეს შეიძლება იქცეს შენი ცხოვრების ყველაზე საინტერესო პერიოდად.

● ნუ იფიქრებ საკუთარ თავზე, როგორც შეუცვლელ ადამიანზე, რომელიც არასოდეს უშვებს შეცდომას.

● შეინარჩუნე იუმორის გრძნობა. გენერალმა ჯო სტილველმა ერთხელ შენიშნა: „რაც უფრო მაღლა მიძვრება მაიმუნი, მით უკეთ მოჩანს მისი უკანალი“.

● იყავი ის, ვინც ხარ. ენდე საკუთარ ინსტინქტებს.

● თუკი არ გაკრიტიკებენ — ე.ი. საკმარისს არ აკეთებ.

● შენი წარმატება დამოკიდებულია შენს ხელქვეითებზე. შეარჩიე საუკეთესოები, ასწავლე და მხარში ამოუდექი მათ. თუკი ისინი შეცდომებს უშვებენ, შეეცადე უკეთ უხელმძღვანელო. თუ შეცდომას მუდმივად იმეორებენ, დაეხმარე, იშოვონ სხვა სამსახური. ქვეყანას არ შეუძლია აანაზღაუროს ჩინოვნიკის ცუდი მუშაობა.

● იფიქრე მომავალზე. უფლებას ნუ მისცემ თავს, ჩაეფლო მიმდინარე საქმეებში.

● ნურასოდეს გააკეთებ და იტყვი იმას, რის შესახებაც არ ისურვებდი წაგეკითხა წამყვანი გაზეთის პირველ გვერდზე.

● ბევრი პრობლემის გადაწყვეტა ყოველთვის არ მოითხოვს ფულს. აირჩიე უფასო ან იაფი ვარიანტები — თავად გაოცდები, რამდენად ეფექტური აღმოჩნდება ეს.

● თუ ეჭვი გეპარება, — არ გააკეთო. თუ ისევ გეპარება ეჭვი, გააკეთე ის, რაც სწორია.

● თუ შეეცდები ასიამოვნო ყველას, აუცილებლად მოიძებნება ვინმე, ვისაც ეს არ მოეწონება.

● ჟურნალისტებთან გამორიცხულია საუბარი „არა დასაბეჭდად“. ჟურნალისტების შეკითხვაზე არსებობს პასუხების მხოლოდ 3 ვარიანტი: 1. მე ვიცი და გიამბობთ ამის შესახებ; 2. მე ვიცი, მაგრამ არ გიამბობთ ამის შესახებ; 3. მე არ ვიცი.

***ოგონიოკი №46***

# ჯორჯ ბუში: თქვენი მტერი ჩვენი მტერია!

პრაღა ისტორიული მოვლენის მოწმე გახდა. 1949 წელს შექმნილი უმსხვილესი სამხედრო ბლოკის 19 წევრი ოფიციალურად დათანხმდა ალიანსში ბულგარეთის, რუმინეთის, სლოვაკეთის, სლოვენიის, ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის შესვლას. შვიდივე ქვეყნის სამხედრო პოტენციალი ძალიან მცირეა, სამაგიეროდ, ნატოს მიეცა საშუალება, უშუალოდ რუსეთის საზღვართან განალაგოს თავისი ჯარი. რუსეთი დიდი ხანია ამაოდ ცდილობს წინ აღუდგეს აღმოსავლეთში ნატოს გაფართოებას, ასე რომ, ალიანსისათვის ახალი წევრების შემატებას ცხადია, სიხარულით ვერ შეხვდა; ამერიკის პრეზიდენტმა კი განაცხადა, — ნატოს როგორც ძველი, ასევე ახალი წევრები სამხედრო თვალსაზრისით უნდა გაძლიერდნენ, თუნდაც ამას სამხედრო ხარჯების გაზრდა მოჰყვესო, და დასძინა — ამიერიდან თქვენი მტერი — ჩვენი მტერიცააო.

ახლა თავის რიგს ელიან ალბანეთი და მაკედონია. თუმცა მათ შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებათ, თუ ევროპა არ დაეთანხმება ჩეხეთის პრეზიდენტს ვაცლავ ჰაველს, რომელმაც პრაღაში შეკრებილთ შეახსენა გაფართოების „ლოგიკური საზღვრები“.

პრაღის სამიტში მსოფლიოს 46 ქვეყნიდან 23 პრეზიდენტი და 20 პრემიერ-მინისტრი მონაწილეობდა. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაახლოებით 460 მლნ კრონი (1 დოლარი 30 კრონის ტოლია) დაიხარჯა.

სამიტის სტუმრები პრაღის 10 ფეშენებელურ სასტუმროში დააბინავეს, სამიტს მსოფლიოს 55 ქვეყნის 2.700 ჟურნალისტი აშუქებდა.

ჩეხეთის საჰაერო სივრცეს აშშ-ის 15 ავიაგამანადგურებელი და ჩეხეთის 50 თვითმფრინავი იცავდა, 12 ათასი პოლიციელი დღედაღამ მორიგეობდა.

სამიტის დასასრულს ნატოს გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა განაცხადა, — შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს აქტიური თანამშრომლობის სურვილი XX საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების ეფექტური სისტემის შესაქმნელადო.

***ინტერფაქსი***

# ანდრეოტის 24 წელი მიუსაჯეს



ომის შემდგომი იტალიის ყველაზე ცნობილ პოლიტიკოსს ჯულიო ანდრეოტის, რომელიც 7-ჯერ იყო მთავრობის მეთაური, ქალაქ პერუჯის სასამართლომ 24-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ესოდენ მკაცრი სასჯელი 83 წლის ანდრეოტის ჟურნალისტ კარმინო პეკორელის მკვლელობისათვის მიესაჯა, ამდენივე მიესაჯა მის სავარაუდო თანამზრახველს, განგსტერ გაეტანო ბადალამენტის. იგი ამჟამად აშშ-ში 30-წლიან პატიმრობას იხდის ნარკოტიკებით ვაჭრობისათვის. 1999 წელს ანდრეოტი-ბადალამენტის ტანდემი უდანაშაულოდ ცნეს, მაგრამ იტალიის პროკურატურამ საქმის ხელახლა გამოძიება მოითხოვა. პეკორელის პრემიერ-მინისტრ ანდრეოტის ბრძანებით გაუსწორდნენ, რადგან მას ეშინოდა ჟურნალისტის ხელთ არსებული კომპრომატებისა. თუმცა გამოძიებამ ვერ დაადგინა, რა კომპრომატზე იყო ლაპარაკი. ანდრეოტის კვალს პოლიცია 1993 წელს დაადგა, მაფიოზურ სტრუქტურებში „ჩასმული“ პოლიციის აგენტების მიერ ჩვენების მიცემის შემდეგ. თუმცა მაშინ ანდრეოტი მართლმსაჯულებას დაუძვრა. ამჯერად ჟურნალისტის მკვლელობის ორგანიზება დაუმტკიცეს. ხანდაზმულ ყოფილ პრემიერს 24 წელი მოუწევს ციხეში ჯდომა, თუ სააპელაციო სასამართლომ განაჩენი არ შეცვალა.

***ბი-ბი-სი***

**ქალბატონები ხელისუფლების სათავეში**

## ნენსი პელოსი

მოულოდნელი სენსაციით დამთავრდა ამერიკის კონგრესში წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატთა ლიდერის არჩევა. შეერთებული შტატების ისტორიაში ეს პოსტი პირველად ერგო 62 წლის ნენსი პელოსის. პელოსის კანდიდატურას 177-მა დემოკრატმა კონგრესმენმა დაუჭირა მხარი მაშინ, როცა მის კონკურენტს — ჰაროლდ ფორდს მხოლოდ 29 ადამიანმა მისცა ხმა. აშშ-ის კონგრესის ისტორიაში ახლა უკვე ყველაზე დიდჩინოსანი ქალბატონის ნენსი პელოსის შესახებ საზოგადოება კარგადაა ინფორმირებული. ის იმ პოლიტიკოსთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც თავიანთ წარსულს არ მალავენ. ნენსი პელოსი დაიბადა ბალტიმორში, ამერიკულ-იტალიურ ოჯახში. მამამისი ერთი ხანობა ბალტიმორის მერი იყო, ქალბატონი ნენსი მამასავით აქტიური ადამიანია, ყოველთვის ლიდერობისკენ ისწრაფვის. 15 წლის განმავლობაში იყო კალიფორნიის შტატის წარმომადგენელთა პალატის წევრი. ბოლო დროს აქტიურად გამოდიოდა ბუშის წინააღმდეგ ისეთ საკითხებში, როგორიცაა ერაყთან შესაძლო ომი, ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარება და ევროპული უსაფრთხოება.



თავის შემდგომ პოლიტიკურ გეგმებზე საუბრისას პელოსიმ განაცხადა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს შეერთებული შტატების ეკონომიკას, ჯანმრთელობის დაცვასა და განათლებას. დემოკრატთა ლიდერმა დასძინა, რომ პოლიტიკის გარდა, ის დიდ დროს უთმობს მეუღლეს, შვილებსა და შვილიშვილებს.

## ლენე ესპერსენი



იუსტიციის მინისტრი ლენე ესპერსენი დანიის მთავრობის ყველაზე კოლორიტული ფიგურაა: წინასაარჩევნო კამპანიის დროს 8 თვის ფეხმძიმე იყო და პატარა ბიჭუნას დაბადება მის იუსტიციის მინისტრად დანიშვნას დაემთხვა.

ლენე ესპერსენი 1965 წელს დაიბადა გემების მეპატრონის ოლე ესპერსენის ოჯახში. უმაღლესი განათლება ორჰუსში მიიღო. პოლიტიკური მოღვაწეობა 1993 წლიდან დაიწყო, როცა იგი კონსერვატორულ-სახალხო პარტიის კანდიდატად წამოაყენეს. ლენე ესპერსენის პოპულარობა განსაკუთრებით გაიზარდა მას მერე, რაც ჩეჩნეთში დააპატიმრეს ჩეჩნეთის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი აჰმედ ზაკაევი. იუსტიციის მინისტრს მაშინ მთელი თავისი მჭევრმეტყველების მოხმობა დასჭირდა, რათა დანიელებისთვის აეხსნა კოპენჰაგენის „ჩეჩნური პოლიტიკა“.

## ლენი ბიერკლუნდი



დღემდე ვერავის გაუგია, რატომ დანიშნა შვედეთის პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის თავდაცვის მინისტრად საეკლესიო წრის წარმომადგენელი. ლენი პირველი ქალბატონია, რომელიც სათავეში ჩაუდგა შვედეთის თავდაცვის უწყებას. ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორმა, თეოლოგმა ბიერკლუნდმა შრომითი საქმიანობა პედაგოგიურ ინსტიტუტში დაიწყო, მერე სტოკჰოლმის გუბერნიის მრჩეველი გახდა. შვედეთის ეკლესიაში ადმინისტრაციულ სამუშაოზე გადასვლამდე ჯანმრთელობის დაცვის დაგეგმვის სამეცნიერო ინსტიტუტში მუშაობდა.

როცა მისი თავდაცვის მინისტრად დანიშვნა გამოაცხადეს, ლენი ბიერკლუნდმა თქვა: „მე, რა თქმა უნდა, მშვიდობას ვანიჭებ უპირატესობას, მაგრამ პაციფისტი არ ვარ და მიმაჩნია, რომ ქვეყანას უნდა შეეძლოს საკუთარი თავის დაცვა.“

სტოკჰოლმელები ხუმრობენ, — როცა ეკლესიის თანამშრომელი ხელში იღებს მახვილს, ჯვაროსნული ლაშქრობა გარდაუვალიაო.

***უცხოური პრესის მიხედვით***

# პოლიცია და შავი სამყარო ხელჩაკიდებულები „ჭამენ" ბიზნესს საქართველოში

## საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობას და ქართულ საზოგადოებას!

*„ჩვენ გამოვხატავთ შეშფოთებას ბოლო დროს ქვეყანაში გაჩენილი ტენდენციების გამო... თავისუფალი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი კონკურენცია გადაიზარდა მაფიის კრიმინალური დაჯგუფებების უმოწყალო დაპირისპირებაში, სადაც შანტაჟი და ძალადობა, იარაღის გამოყენებით მოწინააღმდეგის განადგურება ჩვეულებრივი ამბავი ხდება. სახელმწიფომ დაკარგა ეკონომიკური პროცესებისა და ბიზნესის რეგულირების ფუნქცია... ბიზნესი და მეწარმეობა არ უნდა გახდეს მოახლოებული ორი დიდი არჩევანის ტყვე და მსხვერპლი. ქვეყანაში უნდა შეიქმნას ღია კონკურენტული გარემო, თავისუფალი სახელმწიფო რეკეტისგან და ყოველგვარი ხელისშემშლელი გადასახადებისგან, თავისუფალი „შავი სამყაროს" ზეგავლენისა და ზეწოლისაგან. ჩვენ მოვუწოდებთ მთავრობას, ჩვენთან ერთად, ერთობლივი ძალისხმევით, არ დავუშვათ ბიზნესის კრიმინალიზაცია, ბიზნესმენების ტერორიზების ცალკეული რეციდივები და თავიდან იქნას აცილებული განუკითხაობის ატმოსფერო, რომლის პირველი ნიშნები ამ ბოლო დროს ქვეყანაში სულ უფრო და უფრო მკაფიოდ იკვეთება"* — ეს გახლავთ ფრაგმენტი გადამხდელთა კავშირის საბჭოს საგანგებო დეკლარაციიდან, რომელიც ქართველმა მეწარმეებმა გასულ კვირას ერთხმად მიიღეს და ამით გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ცნობილი ქართველი მოღვაწისა და ბიზნესმენის კახი ასათიანის მკვლელობის მიმართ. საგანგებო შეხვედრაზე მეწარმეები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ ბიზნესის კრიმინალიზაციაზე. იმაზე, რომ დღეს მაკონტროლებლები და შავი სამყარო ხელჩაკიდებულნი ჭამენ ქართულ წარმოებას და საერთოდ, ბიზნესს საქართველოში.

## სახელმწიფო რეკეტი განგსტერების ქალაქში

რას წარმოადგენს დღეს სახელმწიფო რეკეტი? გაგიკვირდებათ, მაგრამ მას შეიძლება ძალიან მარტივი განმარტება მოვუძებნოთ. იგი არც მეტი და არც ნაკლები, „ხელის არშეშლის" ერთგვარ არაოფიციალურ გადასახადს წარმოადგენს, რაც იწყება კომპანიის რეგისტრაციიდან და მთავრდება ფირმის მოგების გადანაწილებით. თუ რა მასშტაბები შეიძინა დღეს სახელმწიფო რეკეტმა და ვინ გრძნობს ყველაზე მეტად მის სიმძიმეს, ამის შესახებ გვიამბობს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტი **ტარიელ გიორგაძე**.

— დღეს საქმე უკვე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთ სფეროში ბიზნესის კეთება საერთოდ კარგავს აზრს. დახლის პატრონს ბაზრობაზე, პრივატიზებული მაღაზიის მეპატრონეს თუ მსხვილ იმპორტიორს იმდენი წურბელა აზის კისერზე, რომ იძულებული ხდება ან შეეკრას თითქმის წესად ქცეულ რეკეტსა და გამოძალვას, ან შეწყვიტოს საქმიანობა.

**— ადმინისტრაციულ უწყებებს შორის როგორ ნაწილდება საერთოდ სახელმწიფო რეკეტის ხარისხი?**

— სხვათა შორის, ამის დასადგენად „კორუფციის კვლევითმა ცენტრმა" გამოკითხვა ჩაატარა. ბიზნესმენების აზრით, ყველაზე კორუმპირებული სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც სისტემატურად იღებს ბიზნესმენისაგან არაოფიციალურ გადასახადს, პოლიცია აღმოჩნდა. მას ოდნავ ჩამოუვარდება საგზაო პოლიცია. თითქმის ერთნაირი მაჩვენებლები დაფიქსირდა საგადასახადო ინსპექციისა და საბაჟოს მიმართ. ეს ორივე უწყება მესამე ადგილზე მოხვდა. მომდევნო ადგილზე გავიდა პროკურატურა და რამდენად პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, უშიშროება ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულ უწყებად დასახელდა.

**— ბიზნესის რომელი სექტორი გრძნობს თითოეული ამ უწყების ზეწოლის სიმძიმეს დღეს?**

— მე ასე ვიტყოდი, სახელმწიფო რეკეტის ძირითადი მსხვერპლი არის უშუალოდ მცირე და საშუალო ბიზნესი. ვფიქრობ, ეს ყველაზე უკეთ ჩანს იმპორტის მაგალითზე. მსხვილი იმპორტიორებისთვის ეს თემა ნაკლებად მტკივნეულია, რადგან საქონლის დიდი პარტია საგადასახადო მანიპულაციის შედეგად მას საშუალებას აძლევს, დააბალანსოს გაღებული შავი ფულის მასა და განვითარებისთვისაც დარჩეს გარკვეული თანხა. მცირე იმპორტიორისთვის კი, რომელსაც 1000 დოლარის პროდუქცია შემოაქვს, სახელმწიფო სტრუქტურებისთვის არაოფიციალურად გადახდილი 100-150 დოლარი უკვე დიდი დანაკარგია. ამიტომაა, რომ ჩვენთან იმპორტის სფერო მონოპოლისტ მსხვილ ბიზნესმენებს შორისაა



გადანაწილებული.

**— როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად, რა აძლევს „უფლებას" სახელმწიფო ჩინოვნიკს, აკრიფოს არაოფიციალური გადასახადი?**

— კანონი. ეს ყველაფერი მათ „დაკანონებული" აქვთ. მითხარით, როგორ ატყავებენ იმპორტიორებს ფოთიდან თბილისამდე?

**— საინტერესო იქნება...**

— ყველაფერი პორტში იწყება. იმისთვის, რომ მეწარმემ გემიდან ტვირთის გადმოცლის უფლება მიიღოს, მან ათასგვარი უგზოუკვლო დანიშნულების დოკუმენტაცია უნდა წარუდგინოს უშიშროების სამსახურს, ადგილობრივ ადმინისტრაციას და საბაჟო ინსპექციას. თანაც ეს დოკუმენტები ყველა სახის საქონლისთვის საერთოა — სულერთია, ეს იქნება კომპიუტერი თუ საღეჭი რეზინის მოზრდილი შეკვრა. წარდგენილი დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, უშიშროების სამსახური უფლებას იტოვებს, ტვირთი განუსაზღვრელი ვადით დააკავოს შემოწმებამდე. არავინ ფიქრობს, ამ „ვადის" განმავლობაში პროდუქტი დაზარალდება, გაცვდება, თუ მეწარმე-იმპორტიორი მატერიალურად დაზარალდება. ბიზნესმენს სხვა გამოსავალი არ რჩება, მან ქრთამი უნდა გაიღოს იმისთვის, რომ ხელი არ შეუშალონ. ამღები ქრთამს იღებს და პრობლემა გადაჭრილია. ტვირთვის ტრანსპორტირება უკვე ახალი პრობლემების წინაშე გაყენებს. შეიძლება ითქვას, რომ ოკეანეში გემს უფრო ნაკლები პრობლემა ხვდება, ვიდრე ტვირთს ფოთი-თბილისის სატრანსპორტო მარშრუტზე. თუ მეწარმე სატვირთო ავტომობილების დაქირავებას გადაწყვეტს, მით უარესი მისთვის, — გზაზე პოლიციაა ჩასაფრებული, ყველა გაჩერება მინიმუმ 10 ლარი უჯდებათ.

„კბილის გაკვრა" ამ დროს ლეგიონსაც შეუძლია. თუ მეწარმეს იგი გზაზე შეთხვევით გადაეყარა (თუმცა, ხომ იცით, შემთხვევით არაფერი ხდება), მაშინ ლეგიონერები ტვირთს გაურკვეველი ვადით აკავებენ. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ისინი დარწმუნდებიან ტვირთის გადაზიდვის კანონიერებაში, ათავისუფლებენ. თუმცა, ეს პრობლემა შესაძლებელია ადვილად მოგვარდეს, თუკი მეწარმე ლეგიონს თავიდანვე შესთავაზებს ქრთამს.

**— როგორ ფიქრობთ, არსებობს გამოსავალი ყველა იმ პრობლემიდან, რაზეც ახლა ჩვენ ვისაუბრეთ?**

— სახელმწიფო რეკეტი — ესაა მთელი სისტემა, რომელიც რვაფეხას ჰგავს — იგი ყველგან არის. თავის მხრივ, სახელმწიფოც შეგუებულია მოვლენათა ამგვარ განვითარებას, რადგან გარიგებაში შესვლით ხდება მოსახლეობისათვის სიმდიდრის არაოფიციალური გადანაწილება და მეორე მხრივ, მუდმივი შანტაჟის ქვეშ ჰყავს ბიზნესმენები, რომლებიც იძულებულნი არიან, წარმოების გადასარჩენად დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდნენ სახელმწიფო სტრუქტურებთან. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, უდიდესი შეცდომა იქნებოდა განტევების ვაცის ძიება მაკონტროლებელსა და ძალოვნებში. დაბალანაზღაურებადი ჩინოსნების სისტემების შენარჩუნება ობიექტურად ქმნის რეკეტის საფუძველს.

***ლელა წითლანაძე***

# „დამეკარგა 160 მეგავატი ელექტროენერგია, გთხოვთ მაპოვნინოთ..."

როგორც უკვე ცნობილია, უშედეგოდ დასრულდა სომხეთთან მიმდინარე ერთ-ერთი ბოლო მოლაპარაკება, რომელიც 100 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის შემოტანას შეეხებოდა. „არმენენერგო" თანხის წინასწარ გადახდას მოითხოვდა, ხოლო გადამხდელად ამერიკული კომპანია AES-თელასი მოიაზრებოდა. ჩვენთვის ცნობილი გახდა მოლაპარაკების ერთი, მეტად საინტერესო დეტალი ანუ მიზეზი, თუ რატომ არ დათანხმდა AES-თელასის შეფი იგნასიო ირიბარენი ხელშეკრულების პირობებს. დასკვნით შეხვედრაზე, სადაც ხელშეკრულების დეტალური განხილვა მიმდინარეობდა, ერთ-ერთ სახელმწიფო მოხელეს ირიბარენისთვის ასეთი რჩევა მიუცია: „რას დაეძებ, ხელშეკრულებას ხელი მოაწერე. მერე სომხების გაცურება ჩვენზე იყოსო". ამის შემდეგ იგნასიო ირიბარენს სხდომა სასწრაფოდ დაუტოვებია.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სინამდვილეს, AES-თელასის ლობს, ირაკლი მელაშვილს მივმართეთ. ბატონმა ირაკლიმ მოლაპარაკების ჩაშლის ჩვენი ვერსია აბსოლუტურად მისაღებად ჩათვალა. მას შემდეგ, რაც დავრწმუნდით, რომ ჩვენი წყარო ნამდვილად არ ცრუობდა, ახლა იმის გარკვევასაც შევეცადეთ, თუ როგორ აპირებდა ის ჩინოსანი სომხების გაცურებას. გავარკვიეთ, თურმე „გაცურება" ქართულ ენერგეტიკაში უცხო და ახალი ნამდვილად არ არის, ხოლო მისი განხორციელება არც ისე რთული ყოფილა. ასეთ დროს, იმპორტირებული ელექტროენერგია უბრალოდ უგზო უკვლოდ იკარგება. სხვათა შორის, AES-თელასის ოფისში ასეთი ფაქტების დამადასტურებელი არაერთი დოკუმენტი ინახება. ყველაზე დიდი ქურდობა კი ამერიკელებმა ჯერ კიდევ 2000 წელს დააფიქსირეს. ამავე წლით დათარიღებულ ერთ-ერთ ოფიციალურ წერილში მაიკლ სქოული სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს, ცოტა არ იყოს დაბნეული სწერს: „ვიყიდე 160 მეგავატი ელექტროენერგია, მაგრამ დამეკარგა. გთხოვთ მაპოვნინოთ".

აქვე შემოგთავაზებთ ერთ ინფორმაციასაც, რომლის დადასტურებას ყველა თავს არიდებს, რა თქმა უნდა, ოფიციალურად. არაოფიციალურად კი გვიდასტურებენ, რომ ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი „კავკასიონი" თურმე სულაც არ ფუჭდება და იგი, უბრალოდ ძალიან კარგი საშუალება ყოფილა ელექტროენერგიის უგზო-უკვლოდ დასაკარგად. ამ შემთხვევაში ყველაფერი „კავკასიონს" ბრალდება. სხვათა შორის, ენერგეტიკოსებს ცუდად ენიშნათ „საქენერგოს" შეფის შოთა მაისურაძის ამასწინანდელი განცხადება, რომ „კავკასიონი" უკონტროლოდ დარჩება. მაისურაძემ განაცხადა, რომ მათი უწყება „კავკასიონს" იცავს ერთ-ერთი კერძო კომპანია „მონადირის" მეშვეობით, მაგრამ იმის გამო, რომ „საქენერგო" „მონადირის" თანამშრომლებს ხელფასს ვერ უხდის (დავალიანებამ თურმე 60 ათასი ლარი შეადგინა), „მონადირეები" „კავკასიონს", ალბათ, ზამთარში მიატოვებენ კიდეც.

ასე რომ, წლევანდელი ზამთარის ყველაზე ცხელი თემები კვლავ რუსული ელექტროენერგია და „კავკასიონი" იქნება, რა თქმა უნდა, AES-თელასთან ერთად.

***ლელა წითლანაძე***

# „მემუქრებოდნენ და ბოლოს თვითონ დარჩნენ შეშინებულები..."

## „გამაჩნია ვიდეომასალა, რომელიც ნადარეიშვილს ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებაში ამხელს"

***(დასაწყისი იხ. გვ. 11)***

გაგიმხელთ ჩემი ტაქტიკის ნაწილს, როგორც ექსკლუზივს. შესაძლოა მოვლენები ისე განვითარდეს, რომ მოვითხოვოთ სასამართლოზე პრეზიდენტის მოწმის სახით დაკითხვა, რადგან ერთ-ერთ ფრაგმენტში შეიძლება ამოტივტივდეს პრეზიდენტის აშკარა ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება — ლაპარაკია გარკვეულ რეზოლუციაზე. ამის დაკონკრეტება ჯერ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება... ჩემთვის გასაგებია, რომ ნადარეიშვილმა სარჩელი შეიტანა, მაგრამ დააკვირდით, ეს ემთხვევა ჩემ მიერ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დასაწყებად მოსახლეობაში ხელმოწერების შეგროვებას. ამიტომ ვფიქრობ, რომ ხელისუფლებას დიდი ჩანაფიქრი აქვს, რომელიც ხელს შეუწყობს შავ პიარს ჩემს წინააღმდეგ. მათი მიზანია, ამ სასამართლო პროცესით შემიქციონ, რათა ვერ მოვიცალო თუნდაც ხელმოწერების შესაგროვებლად.

არ არის საკმარისი, რაც გითხარით? მოდით, რეზიუმეს გავაკეთებ: საქმე ეხება აფხაზეთის საბიუჯეტო თანხების მითვისებას, ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას. დოკუმენტური ვიდეომასალები რა მეთოდებით არის მოპოვებული, ეს გამოჩნდება სასამართლო პროცესზე. მე მიმაჩნია, რომ ეს კანონიერად არის მოპოვებული. საქმე ეხება სამოქალაქო მოწოდებებს და აფხაზეთში იურისდიქციის აღდგენის ხელის შეშლას...

**— ბატონო ჯონდი, მე ვიცი, რომ გარკვეული მასალები ნადარეიშვილის წინააღმდეგ კონტროლის პალატამ მოგაწოდათ...**

— თუმც ზოგიერთ ფრაგმენტში კონტროლის პალატის მასალებიც ფიგურირებს, არ ნიშნავს, რომ მათ მომცეს.

**— კიდევ ერთი კითხვა: ჯონდი ბაღათურია ებრძვის ნადარეიშვილს თუ ასლან აბაშიძეს, რომელიც დღეს არის პრეზიდენტის წარმომადგენელი აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების საქმეში?**

— ბატონ ასლანს გაცილებით უფრო სერიოზული საქმეები აქვს, ვიდრე ნადარეიშვილის მსგავს ლოკალურ პერსონებთან ბრძოლაა. თუ ბრძოლაზეა საქმე, შევარდნაძე ებრძვის აბაშიძეს და მისი ერთ-ერთი ჯარისკაცი არის ნადარეიშვილი. მეორეც, მე ოჯახში ვარ გაზრდილი და იმ ტერმინებს ვერ ვიხმარ, რასაც მასზე ვფიქრობ. თუმცა პირდაპირ გეტყვით, რომ მემუქრებოდნენ.

**— სატელეფონო მუქარა იყო?**

— არა მარტო. სამსახურში დამნაშავეებიც მომივარდნენ. პირველად ტელეფონით ვიღაცამ ჩემთან შეხვედრა მოითხოვა ამ თემაზე სალაპარაკოდ. ვინაობა რომ ვკითხე, ასე მიპასუხა: ვაჟკაცი ბიჭი ვარ, ძმაოო. თუ გინდა, სამსახურში მობრძანდი-მეთქი. რა არის, ჩვენი გეშინიაო?! სხვათა შორის, არ იყო დაფარული ზარი, ნომერი დაფიქსირდა... მერე დამემუქრნენ — ცეცხლს ეთამაშები, დაგხვდებითო! ვაღიარებ, მეც ხურდა დავუბრუნე — ასეთი ბრიყვული მუქარა ბევრი ყოფილა და ბოლოს თვითონ დარჩენილან შეშინებულები-მეთქი. გავიგე, ვინც იყო. აქეთ დამიწყო ხვეწნა — არ თქვაო. მერე სამსახურში მომიცვივდნენ. ბუკიას ბაღთან დამხვდნენ. ყოველთვის სხვადასხვა ჯგუფი იყო. ეს სასამართლო პროცესი იქნება მათი ლუსტრაცია.

ვიდეოჩანაწერებს სასამართლოზე გამოქვეყნების შემდეგ ჟურნალისტებსაც დავურიგებ.

***მარინა მამისაშვილი***

### საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 23 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1850 |
| ევრო | 2,1900 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4545 |
| რუსული რუბლი | 0,0687 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3917 |

„ტრანსფორმისი" ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

ევროპული მ/მ
ტანსაცმლის
ფართო არჩევანი
საბითუმო ფასები
ფუთები სხვადასხვა წონით
☎ 38-84-24
899-10-02-81
899-97-08-81

საქართველოში პირველი სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
900 GEL-დან

სათამაშოების მაღაზია
ათონელის ქ. 18
☎ 899-97-08-81
რატომ იყო ჰევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი?
იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა...
შეიძინეთ ბავშვებს სათამაშო!

# ცხოვრებისეული კურიოზები

## მოსწრებული პასუხი



ამას წინათ ავტობუსით მივემგზავრებოდი წყალტუბოდან ბათუმში. ბათუმის შესასვლელთან ერთი საგანგებოდ მორთული პატარა სასაფლაოა. ჩემ გვერდით მჯდომ შუახნის გურულ კაცს შევეკითხე, ხომ არ იცით, ვინ განისვენებს ამ სასაფლაოზე-მეთქი.

— კვტარია, ვინცხა!.. — მიპასუხა „გასაგებად“.

***კუკური დგებუაძე, წყალტუბო***

## არმატურა! — თეფში!..



გასული საუკუნის 70-იანი წლების პრესა, ე.წ. მფრინავ თეფშებზე ალაპარაკდა. გამოუცნობი მფრინავი ობიექტი ყველას პირზე ეკერა.

რატომღაც სენსაციურმა მფრინავმა თეფშებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ზესტაფონში. იმ დროისათვის (და ახლაც) საკმაოდ ცნობილი წარმოების ხელმძღვანელი ბატონი თამაზ შარაშენიძე ცნობისმოყვარეთა სათავეში მოექცა და ვისაც შეხვდებოდა, ყველას მფრინავი თეფშის შესახებ ელაპარაკებოდა. უფრო მეტიც, ამტკიცებდა, რომ თავადვე იყო ასეთი ობიექტის თვითმხილველი.

მოკლედ, თამაზმა იმდენი ილაპარაკა ამ თეფშებზე, რომ მეგობართა წრეში მეტსახელად „თეფში“ შეარქვეს და დღესაც ამ სახელით მოიხსენიებენ.

იმ წლებში ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი პიროვნება, ბატონი მამუკა ასლანიკაშვილი. ერთხელაც პირველ მდივანს კოლეგები ეწვივნენ ბალტიისპირეთიდან. იმერული სტუმარმასპინძლობის ამბავი ხომ მოგეხსენებათ და დიდებული სუფრა გაიშალა რესტორან „ეკლებში“. ამ რესტორნის ხელმარჯვე ოფიციანტი, ყველა რომ „არმატურას“ ეძახდა (ბავშვობაში არმატურა დასცემია ფეხზე), მონდომებით ემსახურებოდა სუფრას.

ბატონი მამუკა, ჩვეულებისამებრ, ევროპულ ეტიკეტს იცავდა. მან ოფიციანტი იხმო და ეუბნება: — არმატურა, თეფში! — თან სტუმარზე ანიშნებს.

ოფიციანტი სასწრაფოდ გადის და უმალვე ბრუნდება.

— ბატონო მამუკა, თეფში ჯერ არ მოსულა!

პირველმა მდივანმა გაოცებით გადახედა სუფრის ზესტაფონელ წევრებს და მიმტანს გაუმეორა:

— არმატურა, ჩქარა თეფში!

მიმტანი კვლავ გადის, ამჯერად იგვიანებს და უკან მობრუნებული პირველ მდივანს პატაკივით „აბარებს“:

— ვერაფრით ვერ დავუკავშირდით, ბატონო, შეიძლება თეფში არც არის ზესტაფონში, როგორც მითხრეს, თბილისში აპირებდა თურმე წასვლას!..

ამჯერად „საქმეში“ ზესტაფონელები ჩაერივნენ და მათ მხიარულ განწყობას ბალტიისპირელთა გულიანი სიცილიც შეუერთდა.

***დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი***

## როგორი მძღოლი ხართ? ტესტი

პაროდიის კუთხე



**1. უეცრად გზაზე ვიღაც გადმოგიხტათ. თქვენ:**

ა) ამუხრუჭებთ (5 ლიტრი).

ბ) უხვევთ მარჯვნივ და ადიხართ ტროტუარზე (10 ლიტრი).

გ) უხვევთ მარცხნივ და... (20 ლიტრი).

**2. მანქანაში გაგითავდათ ბენზინი. თქვენ:**

ა) აბრალებთ საკუთარ თავს (5 ლ).

ბ) აბრალებთ მეუღლეს (10 ლ).

გ) აბრალებთ მთავრობას (20 ლ).

**3. გზაჯვარედინზე გადადის შეღებილი, მოკლეკაბიანი ლამაზმანი, არადა თქვენი გზაა. თქვენ:**

ა) გააჩერებთ და დაელოდებით ლამაზმანის გადასვლას (5 ლ).

ბ) გაბრაზებით მიუსიგნალებთ (10 ლ).

გ) სხვა, პრინციპში, რა უნდა გააკეთოთ (20 ლ).

**4. სამარშრუტო ტაქსიში მგზავრი ფულს არ გიხდით და ისე ჩადის. თქვენ:**

ა) მიაძახებთ: „მადლობა მაინც მითხარი!“ (5 ლ).

ბ) მიაძახებთ: „თავიდან გეთქვა, ფული თუ არ გქონდა!“ (10 ლ).

გ) მიაძახებთ: „. . .“ (20 ლ).

**5. ინსპექტორმა ჩაგისტვინათ მაშინ, როცა მოძრაობის წესები არ დაგირღვევიათ. თქვენ:**

ა) არ გააჩერებთ მანქანას (5 ლ).

ბ) გააჩერებთ მანქანას, მაგრამ არ გადმოხვალთ (10 ლ).

გ) გააჩერებთ მანქანას, გადმოხვალთ, მაგრამ საბუთებს არ აჩვენებთ (20 ლ).

**6. მეგობარმა გთხოვათ მანქანა. თქვენ:**

ა) არავითარ შემთხვევაში არ დაუთმობთ მანქანას (5 ლ).

ბ) ათხოვებთ მანქანას ძალიან ცოტა ხნით (10 ლ).

გ) რატომაც არ ათხოვებთ, თუკი ბენზინს ჩაგისხამთ (20 ლ).

### დაითვალეთ ლიტრები:

**თუ დააგროვეთ 45 ლიტრამდე ბენზინი, მაშინ თქვენ საკმაოდ მოწესრიგებული და კარგი მძღოლი ხართ, თანაც 45 ლიტრი ბენზინიც გაქვთ. ამიტომ შეგიძლიათ ქალაქგარეთ გახვიდეთ და ცოტა გაისეირნოთ (ისე, მაინც გადახედეთ, საბუთები ხომ გაქვთ წესრიგში).**

**თუ დააგროვეთ 45-დან 90 ლიტრამდე ბენზინი, მაშინ თქვენ, ცოტა არ იყოს, ნერვიული და ემოციური მძღოლი ხართ, თქვენი საჭესთან მარტო დატოვება სახიფათოა, თანაც თუკი დიდ გზაზე მიდიხართ. ისე, მაინც სად გეჩქარებათ, იარეთ ნელა, მშვიდად, ვინ მოგდევთ...**

**თუ დააგროვეთ 90 ლიტრზე მეტი ბენზინი, მაშინ სასწრაფოდ გადააყენეთ მანქანა. მაჩვენეთ თქვენი საბუთები. რატომ არღვევთ მოძრაობის წესებს? „ტეხასმოტრი“ რატომ არ გაქვთ წესრიგში? ახლავე ჯარიმას გამოგიწერთ და მართვის მოწმობასაც ჩამოგართმევთ!..**

***ტესტი პირდაპირ საგზაო პოლიციის სათვალთვალო (ანუ ფულის სათვლელი) პუნქტიდან მოგაწოდათ ზაქრო ინწკირველმა***

## მალე დედლებსაც გავათხოვებ



წყალტუბოელ ბუჭუტა აბზიანიძეს „სული სძვრებოდა ღვინოში“ — გულის ჯავრზე ვსვამ, ქალო, რას ჰგავს საქართველო და ჩვენი კურორტი. ერთი მამლისა და 3 დედლის მეტი არ უნდა გყავდეს არაფერი? — ეტყოდა ხოლმე ცოლს და დასალევად მიდიოდა.

ერთ დილით გაეღვიძა, „პახმელიაზეა“... ჩაიყო შარვლის ჯიბეში ხელი, კაპიკი აღარაა, არადა 2 თუ 3 ლარი რომ ჰქონდა, კარგად ახსოვდა, არც ცოლი იყო შინ. მიხვდა ყველაფერს. ცოლმა „გაქურდა“, არადა, რომ არ დალიოს — მოკვდება კაცი.

ბევრი არ უფიქრია, დაავლო ხელი მამალს, გაიყვანა ბაზარზე, გაყიდა, იყიდა არაყი და... მოითქვა სული!

საღამოს გვარიანად გამობრუჟული მიადგა სახლს.

— სადაა, კაცო, ჩვენი მამალი? — ეჭვიანად შეეკითხა თანამეცხედრე. ბუჭუტია მთვრალი იყო და სულ არ შეშინებია.

— სადაა და აგერ მეზობელ სოფელში ჩავასიძე!..

— რა?

— რა და, მეზობელ სოფელში ჩავასიძე და თუ ჩემს ჯიბეებში ხელის ფათურს არ შეეშვები, იმ სამ დედალსაც იმ სოფელში დავათხოვებ სათითაოდ...

***მურმან მერკვილიშვილი, თბილისი***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



დიდი ხნის დევნის შემდეგ ჭიჭიკია მევალეებმა დაიჭირეს და გვარიანად დაურბილეს გვერდები...

ნაბეგვი ჭიჭიკია რის ვაი-ვაგლახით წამოდგა, მხრებში გაიმართა, ხელი ხელს შემოჰკრა და მხიარულად წამოიძახა:

— აუ, ბიჯო! რა ადვილად გევისტუმრე ვალები!

***მ. ე., ოზურგეთი***

ფანჯრის რაფაზე ქალია ჩამოკიდებული, მიხო თითებზე ჩაქუჩს ურტყამს, რომ ქვემოთ ჩაავდოს. ორღობეში მიმავალმა შაქრომ ამას თვალი მოჰკრა და მიხოს ასძახა:

— რას სჩადიხარ, მიხო, ქალს როგორ ექცევი?!

— ქალი კი არა, ჩემი სიდედრია!

— უხ, ერთი უყურე, როგო კატასავით ებღაუჭება რაფასა?!

***ზვიად ოკუჯავა, რუსთავი***



***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## სიცილი ჯანმრთელობაა!



### [illegible]

(მცირედი შემოკლებით)

**17 ნოემბერი** — „ავტუზეთ კარტი“ და კოსმოსში გაფრენა მე მომიწია, მე და ერთ ჩემს მეგობარს.

**22 ნოემბერი** — აცივდა, მაინცდამაინც ჩვენი გაფრენის წინა ღამით.

**23 ნოემბერი** — გავაფრინეთ.

**28 ნოემბერი** — მეგობარმა მითხრა, გაიხადე ეგ სკაფანდრი, თორემ გარეთ რომ გავალთ, შეგცივდებაო.

**30 ნოემბერი** — იმ ღამეს ნათესავთან დავრჩით, მეორე დილით კი უკან დასაბრუნებლად რაკეტა დავქოქეთ.

**1 ნოემბერი** — ნათესავმა: ისე რავა გაგიშვებთ, უცხოპლანეტელების „მოკითხული“ ლობიოს ჟელე რომ არ გაგასინჯოთო.

**3 ნოემბერი** — როგორც იქნა, შინ დავბრუნდით და გზაში ვფიქრობდით: „მთვარეზე ყოფილა, ძმაო, სიცოცხლე, თუ ყოფილა“...

# ისევ გამოცდები?!

— ვარ ქალაქ რუსთავის მკვიდრი. დავკარგე მართვის მოწმობა. მივმართე საგზაო პოლიციას. იქ მეუბნებიან, რომ ხელმეორედ უნდა ჩავაბარო გამოცდა. გთხოვთ დამეხმაროთ და გამარკვიოთ, დაკარგული მართვის მოწმობის აღსადგენად ხელმეორედ უნდა ჩააბაროს თუ არა გამოცდა მოქალაქემ, რომელიც უკვე ათი წელია ავტომობილის საჭეს უზის?

*მოქალაქე*

კითხვაზე უპასუხებს **თემურ აბულაშვილი**, საქართველოს საგზაო პოლიციის მძღოლთა მომზადებაზე კონტროლისა და კვალიფიკაციის მინიჭების განყოფილების უფროსი




— დიახ, გამოცდა მართლაც უნდა ჩააბაროთ. საგზაო პოლიციის ეს მოთხოვნა მართლაც კანონიერია. მოქალაქემ თუ შემთხვევით დაკარგა მართვის მოწმობა, მას ხომ ამით მოძრაობის წესების ცოდნაც არ დაუკარგავს(!). გამოცდის ჩაბარება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, გარდა ამისა, უფასოა. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მოქალაქე გადაიხდის მხოლოდ მართვის მოწმობის ღირებულებას — 28 ლარს.

მართვის მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში მოქალაქე მიმართავს რაიონის საგზაო პოლიციის განყოფილებას. შეავსებს შესაბამის ბლანკს და წარადგენს მას ქალაქის საგზაო პოლიციაში. მოქალაქის განაცხადის წარდგენის დღიდან ერთი თვის ვადაში ქალაქის საგზაო პოლიცია ვალდებულია გადაამოწმოს ეს ინფორმაცია, ანუ აღნიშნულმა პიროვნებამ მართლაც დაკარგა მართვის მოწმობა, თუ მას უბრალოდ ჩამორთმეული აქვს იგი (ხომ არა აქვს დაკისრებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის კონკრეტული სახდელი და სხვ.). თუ დადასტურდება, რომ პიროვნებამ მართლაც დაკარგა მართვის მოწმობა, ქალაქის საგზაო პოლიცია ზემოთ აღნიშნულ დაწესებულ ვადაში გამოიტანს დასკვნას და მოქალაქის მონაცემებს გადაუგზავნის საგზაო პოლიციის საგამოცდო სამსახურს, სადაც პიროვნება დადგენილი წესით აბარებს გამოცდას და იღებს მართვის მოწმობას.

სამწუხაროდ, დღეისათვის არც ქალაქის სამსახურს და არც რეგიონალური საგზაო პოლიციის სამსახურს მართვის მოწმობის ბლანკები აღარ გვაქვს. შეკვეთა მივეცით და ბლანკების დამზადება და შემოტანა დიდი პარტიით მოხდება.

# შუმახერი თუ ფანხიო, ანუ დავა ბაბუა-შვილიშვილს შორის

— ჩემს შვილიშვილს ვუმტკიცებ, რომ შუმახერის გარდა ავტორბოლის ისტორიაში იყვნენ მასზე ცნობილი პიროვნებები, თუნდაც ხუან მანუელ ფანხიო. თქვენს სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ნუ დამზარდებით და მიპასუხეთ, თავის დროზე რა წარმატებებს მიაღწია ავტორბოლაში ფანხიომ?

*ჯემალ ტყემალაძე*



— არგენტინელი ხუან მანუელ ფანხიო ავტორბოლით მხოლოდ 25 წლის ასაკში დაინტერესდა. თავდაპირველად კუსტარული წესით აწყობილი ავტომანქანით ასპარეზობდა. პირველი სერიოზული შეჯიბრი 29 წლის ფანხიოსთვის 1940 წელს შედგა — „შევროლეს“ კუპეთი ბუენოს-აირესიდან ლიმამდე 9.600-კილომეტრიან დისტანციაზე პირველობა მოიპოვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1947 წელს, ფანხიო ევროპაში გაემგზავრა, სადაც კონტრაქტი გააფორმა იმ დროისათვის უძლიერეს „ალფა-რომეოსთან“. რვა წლის განმავლობაში ხუან ფანხიომ მონაწილეობა მიიღო 51 რბოლაში, რომელთაგან 24-ში გაიმარჯვა. მის ანგარიშზეა 28 პოულ-პოზიცია, 23 საუკეთესო წრე და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.




თავისი მოღვაწეობის მანძილზე ფანხიომ არაერთი გუნდი გამოიცვალა, — იჯდა „ალფა-რომეოს“, „მაზერატის“, „მერსედეს-ბენცის“, „ფერარის“ საჭესთან. 1957 წელს, 46 წლის ასაკში, „მაზერატით“ ფანხიო მეხუთედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ამ გამარჯვების შემდეგ, მალევე დაანება სპორტს თავი და გახდა „მერსედეს-ბენცის“ დილერი, კინოთეატრებისა და მრავალი მაღაზიის მფლობელი. არგენტინის ეროვნული გმირი გარდაიცვალა 1995 წელს.

ასე რომ, ფანხიო მართლაც უდიდესი ავტომრბოლელი გახლდათ და თავის დროზე შუმახერზე არანაკლებ პოპულარულიც.

# ფორტ-ბოიარდი «თავგადასავალთა მაძიებლების» კუნძულზე

— ვარ საკაბელო ტელევიზიის აბონენტი. ხშირად ვუყურებ რუსეთის გასართობ პროგრამებს. მომწონს ფრანგული ტელეკომპანიის თამაში ფორტ-ბოიარდი. მაინტერესებს, სად მდებარეობს ეს ციხესიმაგრე და როდის აშენდა?

*ნათია შონია*



— ფორტ-ბოიარდი განლაგებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ ატლანტიკაში, ბისკაის ყურეში, ქალაქ ლა-როშელის მახლობლად. ციხესიმაგრე აშენდა ნაპოლეონის ბრძანებით საფრანგეთის ერთ-ერთ პატარა კუნძულზე XV საუკუნეში, მისი აშენების მიზანი გახლდათ ქალაქ ლა-როშელისა და როშფორდის მისადგომების დაცვა. სტრატეგიული მიზნით ციხესიმაგრე არ გამოუყენებიათ, თუმცა მოგვიანებით იგი საფრანგეთის მთავრობამ პოლიტპატიმართა ციხედ გამოიყენა. გასულ საუკუნეში ფორტ-ბოიარდს საფრანგეთის ისტორიული ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ფილმმა „თავგადასავლების მაძიებლები“ (ალენ დელონისა და ლინო ვენტურას მონაწილეობით), რომლის ძირითადი ეპიზოდები ფორტ-ბოიარდზეა გადაღებული, შთააგონა ერთ-ერთი მსხვილი ფრანგული კომპანია, იჯარით აეღო ციხესიმაგრე. ჩაატარეს სარესტავრაციო სამუშაოები და დაიწყეს აქ „შოუს“ გადაღება. პროექტმა დიდი წარმატება მოიპოვა — დღეისათვის თამაშს უჩვენებენ უკვე 15 ქვეყანაში. ფრანგული ვერსიის გარდა, ფორტზე რეგულარულად მიმდინარეობს ნაციონალური გუნდების თამაშის გადაღება. ტელეგადაცემას უჩვენებენ ევროპაში, ლათინურ ამერიკასა და რუსეთში.

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

# რას ფიქრობს... ეკა ბერიძე?

— მაინტერესებს, როგორ აფასებს ეკა ბერიძე თავის საავტორო გადაცემას: „რას ფიქრობს ხალხი“. მე გაცილებით მომწონდა ეკა, როდესაც მას „კურიერი“ და შემდეგ „ღამის კურიერი“ მიჰყავდა გიორგი სანაიასთან ერთად. რატომ არის დღეს მისი გადაცემების უმრავლესობა ნაკლებად საინტერესო, ნუთუ ცენზურას განიცდის?

*ნატო თელია*

კითხვაზე უპასუხებს **ეკა ბერიძე**.



— საინტერესოა თუ უინტერესო ჩემი გადაცემები, ეს, რა თქმა უნდა, მაყურებელთა შესაფასებელია. ვიღაცას ნაკლებად რომ მოსწონს ჩემი გადაცემა, ამაში დიდ როლს თამაშობს ისიც, რომ იგი სახელმწიფო ტელეარხზე გადის. სწორედ ამაშია საქმე. პირველ არხზე მუშაობა ნებისმიერი ჟურნალისტისთვის წამგებიანია იმიჯის თვალსაზრისით. რაც შეეხება ცენზურას, მას ნებისმიერი ჟურნალისტი განიცდის. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩემი საავტორო გადაცემა ნებისმიერ არასახელმწიფო ტელეარხზე რომ გადიოდეს, მას სულ სხვა რეზონანსი და გამოხმაურება მოჰყვებოდა და ხალხის მხრიდან მეტად ობიექტურად შეფასდებოდა. დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებდი კვლავ დამოუკიდებელ ტელეარხთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაიმეს ვნანობ. იმასაც გეტყვით, რომ პირველ არხზე მუშაობამ მეტად პოპულარული გამხადა. ადრე თუ მხოლოდ თბილისში მიცნობდნენ, დღეს უკვე მთელ საქართველოში უყურებენ ჩემს გადაცემას. როგორც ხედავთ, პირველ არხსაც ჰქონია თავისი დადებითი მხარე.

# ხაშურში და სურამში ჩინური ატს-ის ჩინური იეროგლიფი

— კავშირგაბმულობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხაშურის რაიონში უნდა დამონტაჟდეს ჩინური წარმოების ციფრული — ატს, რის გამოც გაიზრდება სააბონენტო გადასახადი (თვეში 4 ლარამდე), რაც ასე თუ ისე მისაღებია. მაგრამ გაუგებარია, რატომ უნდა გადავიხადოთ 50 ლარი წინასწარ ან თუნდაც ეტაპობრივად?

*ხაშურის მოსახლეობა*

*— რედაქციამ ამ კითხვით მიმართა საქართველოს ელექტროკავშირს, საიდანაც მიიღო საკმაოდ ბუნდოვანი პასუხი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:*

„თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. ხაშურსა და დაბა სურამში გაშვებულ იქნა შესაბამისად 6 000 და 1 500-ნომრიანი ჩინური წარმოების ციფრული სატელეფონო სადგური. კოორდინატული და დეკადურ-ბიჯური ასს-დან ელექტრონულ ასს-ში გადართვის ტარიფია 50 ლარი, ხოლო სააბონენტო გადასახადი 4 ლარი. არსებული ტარიფი დადგენილია მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით“ (სტილი დაცულია).

პირად საუბარში ელექტროკავშირის მარკეტინგის სამსახურის უფროსმა ანი ბოგვერაძემ განაცხადა, რომ მან თავადაც ვერ შეძლო გამოერკვია, თუ რა ხარჯთაღრიცხვას მოიცავს ეს თანხა, ანუ რა ხარჯებზეა გათვლილი (არხის გათხრა, კაბელის ჩაყრა თუ სხვა). ვერც ჩვენ გიპასუხებთ, ძვირფასო მკითხველო, სამაგიეროდ, ვიმედოვნებთ, რომ ელექტროკავშირის შესაბამისი სამსახურები უფრო კონკრეტულად და დასაბუთებულად გიპასუხებენ თქვენ და რედაქციას.

# «ლაიკა» კოსმოსში დაიღუპა

— მაინტერესებს, რა ბედი ეწია საბჭოთა პერიოდში კოსმოსში გაშვებულ ხომალდს, რომლის პირველი მგზავრი ძაღლი იყო?

*ანა ბობოხიძე*



— 1957 წლის 3 ნოემბერს საბჭოთა კავშირის მორიგმა საცდელმა რაკეტამ, ცოცხალი მგზავრით ბორტზე, დატოვა დედამიწა. ხომალდის მგზავრი ქუჩის ძაღლი, სახელად ლაიკა, იყო. ხომალდმა დედამიწის გარშემო 162 დღე იფრინა და შემდეგ დაიწვა. ლაიკა კი დაიღუპა. ზუსტი მონაცემები მისი სიკვდილის მიზეზისა თუ დროის შესახებ, არ მოგვეპოვება. სტარტის შემდეგ დედამიწასა და თანამგზავრს შორის კავშირი მალე შეწყდა. ხელსაწყომ მხოლოდ ის დაადგინა, რომ ძაღლის გული თანდათანობით სუსტად და იშვიათად სცემდა, სავარაუდოდ, ძაღლი კვდებოდა. ხელსაწყომ მხოლოდ იმის დაფიქსირება მოასწრო, რომ ლაიკამ რაღაც შეჭამა, ცოტა ხანს ყეფდა და ამის შემდეგ თანამგზავრში სრულმა სიჩუმემ დაისადგურა.

მაშინდელი ოფიციალური ინფორმაციის თანახმად ძაღლი მშვიდად მიიცვალა ფრენის დაწყებიდან ერთი კვირის თავზე, რადგან კაბინაში გათავდა ჟანგბადის მარაგი. ასეთი გახლდათ საბოლოო დასკვნა. დღეს კი მეცნიერები სულ სხვას ფიქრობენ. ექსპერიმენტი ჩატარდა ლაბორატორიაში, სადაც თანამგზავრის მსგავსი პირობები იყო შექმნილი, რის შედეგადაც მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ძაღლი ფრენიდან სულ მცირე, 7 საათის შემდეგ იყო მკვდარი. ტექნიკური პრობლემის გამო, ტემპერატურამ კაბინაში ისე მოიმატა, რომ ძაღლის გადარჩენის არავითარი შანსი აღარ რჩებოდა. ძაღლის სიკვდილის შესახებ ბუნდოვანი მონაცემების მიუხედავად, ექსპერიმენტმა გაამართლა და დამტკიცდა მთავარი, რომ მომავალში ადამიანიც შეძლებდა უწონობასთან შეგუებას.

# ვისი სახელით ლაპარაკობს ვიტალი ხაზარაძე?

— ხშირად შემინიშნავს, რომ პოლიტიკოსი ვიტალი ხაზარაძე ხალხის სახელით ლაპარაკობს. ვფიქრობ მას, ისევე როგორც „მოქალაქეთა კავშირის“ ნებისმიერ წარმომადგენელს, ამისი მორალური უფლება არ გააჩნია. საინტერესოა, როდის შეხვდა უკანასკნელად ხალხს ბატონი ვიტალი და თუ მოჰყვა ამ შეხვედრას თუნდაც ერთი ადამიანისთვის დადებითი შედეგი?

*თათია ხიდირბეგიშვილი*

კითხვაზე უპასუხებს პარლამენტარი **ვიტალი ხაზარაძე**.

— თათიამ, ეტყობა არ იცის, რომ პარლამენტის წევრები, ანუ ჩვენ, დეპუტატები, ხალხის არჩეული ვართ, რაც გვაძლევს იმის უფლებას, ვილაპარაკოთ ხალხისვე სახელით. რაც შეეხება მორალურ უფლებას, გიპასუხებთ, რომ თუკი რომელიმე პოლიტიკურ ძალას ან დეპუტატს აქვს უფლება ილაპარაკოს ხალხის სახელით, მაშინ მეც ვაძლევ თავს ამის უფლებას. ისიც უნდა გითხრათ, რომ არც ხალხთან ურთიერთობაა ჩემთვის უცხო. სწორედ ამ რამდენიმე დღის წინ გახლდით ყაზბეგის რაიონში. მოვისმინე და გავიზიარე იქაურების პრობლემები, რომლებიც მართლაც ძალზე ბევრია. ამ პრობლემათა გადასაწყვეტად კი ალბათ, ერთობლივი მუშაობა მოგვიწევს...

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

CMYK

## მილოცვა

ფეხბურთში თასის ალებას ულოცავთ სამტრედიის ახალგაზრდული გუნდის „ლოკომოტივის" მწვრთნელს – **ტარიელ დვალიშვილს**, მთელი გუნდის შემადგენლობას და ვუსურვებთ მომავალ წარმატებებს.

*გულშემატკივრები*



**ნათია დარჯანია-კვეკვეცია** დაბადების დღეს ულოცავენ *ტასო, სვეტა, ბორიკო და გელა ჯავაკიძეები*, უსურვებენ ჯანმრთელობას და დიდი ხნის სიცოცხლეს, მეუღლე ზურაბთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. გილოცავთ წრფელი გულით!

## მოიპოვეთ სამუშაო

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

ყურადღება! კომპიუტერის ბიზნესის სფეროში, ოფისში ესაჭიროება მენეჯერები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება-დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. ტელ: 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

კომპანიის მენეჯერის თანამდებობაზე ესაჭიროება რუსული ენის მცოდნეები. სამი ვაკანსია. განათლება – უმაღლ. წლოვანება – 18-დან ზემოთ. ორშაბათ-კვირის გარდა, 11-18 სთ. ტელ: 34-20-19; 877 74-18-68

ოფისში სამუშაოდ გვჭირდება სამი საქმიანი და ენერგიული პიროვნება. შემოსავალი – $100, $160 და $280. ექვსი თვის შემდეგ. შესაძლებელია მიმაგრება. ტელ: 93-18-71; 877 71-69-35. მერაბი

ინგლისური და ფრანგული ენის მცოდნე ახალგაზრდა ფერმერებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს ვთავაზობთ მაღალანაზღაურებად სამუშაოს. აშშ-სა და საფრანგეთში. დასაქმება აგრობიზნესის სფეროში. ტელ: 93-30-34; 77-77-57; 899 25-84-47; 899 15-57-25

## მომსახურება

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ვარცხნილობა ნამდვილად მორთავს ნაზარს და გაუმჯობესებულ თმას. მის უცვლელ მორთვას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნუსხა. ვარცხნის შესწავლა – $200. მის: ოთხბაძის 53, I სად., I სართ., ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო შულიძე

ვაკეთებ ვარცხნის ულამაზეს ნიმუშს და ქიმიურს, მორთვის გარანტიით. მაღალ ყურადღებით, ხარისხით. სამსახურის რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით ქმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დღის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ., VI სად., III სართ., ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გოგოლიშვილი

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უმტკივნეულოდ. არ არსებობს მოუშორებელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ეძლევა შედეგი. მკურნალობის მოთხოვით გარანტია (თანხის დაბრუნებით). გაკეთებით სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

სილამაზის სალონი „სტილი": ვარცხნილობა ქიმიურით; თმის მოვლილობა ტანზე დაჭრაკული დეპილატორით; სახის გაწმენდა; თმის მოვლილობა შეჭრა – 5 ლარი; დაკარცხნა-გაწნორება – 4-5 ლარი; კოსმეტიკისა და საპარიკმახერო კურსები. მის: აღმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). საერთაშორისო სერტიფიკატის-მქონე კოსმეტოლოგი – ირინა ჯანაშია, მეთოდისტ-სტილისტი – ზინა. ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.); 96-22-89 (ბინა)

ვაწარმოებთ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-გადაწყობას); კარადებზე, მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებისა და სამზარეულოს შეღებვის გადაკრავს-აღდგენას. აგრეთვე ვამზადებთ ლამინირებულ ავეჯს. ტელ: 69-45-18. გიორგი

რბილი ან მყარი ავეჯის რესტავრაცია, ახლის მიყიდვით დამზადება. 76-01-33. გია

ჯიპებლებით მეტეოროს ნებისმიერი ზომის მონოლითისთვის დამზადებაზე, დაშვებების მოთვლით, ოქროთის ხელსაწყოთ ფასებში. დამზადებისგან მასალის წილება და მზა პროდუქციის მიტანა (უფასო) ტრანსპორტით. 899 14-28-16; 82503-21-76

## მკურნალობა

ჰოსპიტალიზაციის გარეშე! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეშლო მასაჟისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უმტკივნეულო ნაღებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვლიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, ფსიქოლოგი – თბილის ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი – მათიველი ყველა ასაკში, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, ჩამერი ნემსებით, წერტილოვანი მასაჟით, აღჭურვილი აპარატებით და სხვა აღჭურვილი მეთოდებით აღვივებთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს – ენაბორძიკობას, ნევროზებს, ლოგონევროზებს, ენაჩლუნგობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას. მაღალი წინასწარი საჭიროებებით ჩაწერით: 899 55-05-75

სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტ „ლოლა მედიკი" გთავაზობთ: ჩიყვის, საშვილოსნოს კისტის, ფიბრომის, მიომის, მასტოპათიის, ბუასილის და წყლულის მკურნალობას უოპერაციოდ, მცენარეებით! მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №76 (მოსახვევი უნდაძის – ყოფ. კაპის №49). სადიაგნოსტიკო პოლიკლინიკა, 1 სართ. კაბ. №19. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. მაღალ ყურადღება, გარდა კვირისა, წინასწარი ჩაწერით. ტ: 95-50-12 (სამს); 61-75-27 (ბინა); 897 58-29-18

ლოთიანობის მკურნალობა: ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზის, წითელი ქარის, თმის ცვენის, სებორეას, ბუასილის, ფრჩხილების ჩაზრდის, ტროფიკული წყლულის, თირკმლების, პროსტატიტის, ლეიოლისა და ნაღვლის ბუშტის, მუცლის ღრუში დაგროვილ სითხეს, მეჭეჭების, პაპილომების მოშორება. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: აღმაშენებლის 113, კაბ. №17. ლორთქიფანიძე ტ: 95-74-29

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა – ლოგონევროზი), წნევის, (ჰიპერტონიის) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით. მის: ვაჟა-ფშაველას 16 (მშენებლობის სამინისტროს შენობა), მე-13 სართ. ბიორეზონანსული თერაპიის ცენტრი. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-16 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

ვმკურნალობთ უახლესი მეთოდებით მეტყველების დარღვევებს: ენაბლუობას (ლოგონევროზს), ენაჩლუნგობას, ალალიას, აფაზიას. რესპუბლიკური რეაბილიტაციის ცენტრი, ლოგოპედიური განყოფილება. მის: ვაჟა-ფშაველას №18ა. ტელ: 39-01-42 (სამს); 23-12-89 (ბინა). ლორთქიფანიძე ლალი

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის, მკურნალობა, უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 877 468-253; 38-27-52

ალერგია! გთავაზობთ ევროპაში მიღებული გერმანული და ფრანგული ალერგენებით მკურნალობას: ბრონქული ასთმა, პოლინოზი, რინიტი, ჭინჭრის ციება, კანის შეშუპება – სრული განკურნებით. საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილებით, ექიმი ჯულიეტა პეტაშვილი. მის: რუსთაველის საავადმყოფო (ვაკეში), V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება (11-14 სთ)

თუ თქვენს შვილს აწუხებს ხშირად ჯირკვლების (გლანდების) ჩირქოვანი ანთება, ნუ იჩქარებთ ოპერაციულ ჩარევას! თავიდან აირიდეთ გართულებები. სტანდარტული შედეგის იღებთ თავისუფლად კაბინეტში ექიმი თამარ მამაცაშვილი ასევე მკურნალობს ქრონიკულ ბრონქიტს, ბრონქოექტაზიურ დაავადებებს. პეკინის ქუჩის 16, „ლოკომოტივი", VI სართ. ოთ. 612. 11-14 სთ.

საწოლზე! ნევრიტების, ოსტეოქონდროზების, ხერხემლის სახსრების სხვა დაავადებების მკურნალობა ლაზერით. მაღალი შედეგი, მისაღები ფასები. სამედიცინო ცენტრი „ლაზერი". მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 38-27-52

## განათლება

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელობანი); 3. კოსმეტიკა (ვარცხნილობა, მასაჟი, მაკიაჟი, მღებავი); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის გამზ. №115ა კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა); 899 90-67-52. ირინა ჯანაშია

კომპიუტერული სწავლა – „დავი" კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფ შემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

თამარ კოპაძის სახელობის კომპიუტერული ცენტრის – Day and Night – მაღალკვალიფიციური პედაგოგები პროფესიულ დონეზე შეგასწავლიან კომპიუტერზე მუშაობას. გაიცემა საერთაშორისო სერტიფიკატი. პროგრამები: Windows, Word, Excel, Inernet, E-mail, Page Maker, Photoshop, Adobe Table, Corel draw, Access, Outlook-x-press, Quark; სწრაფი ბეჭდვა. მის: გამსახურდიას ქ. №7 (მ. „რუსთაველთან"), კინო „ქალაქის" უკან. ტელ: 98-80-23

## იყიდება

საწარმოდ! 120კვმ კომერციული ფართი (ყოფ. ხელ-მოსწავლეების მაღაზია), მაღალი (4მ) ჭერით და 30კვმ სარდაფით. მის: ყაზბეგის ქ. №111 (ორთაჭალა). ფასი $11.000. ტელ: 93-56-62; 899 91-64-69

იტალიური, ოვალური ხის მაგიდა, ორიგინალური სკამით, მუქი მახაგონის ფერის, თავისი გადასაფარებლითა და შალითებით. ფასი $600. ტელ: 38-07-49 (17 საათის შემდეგ)

სპრის აპარატები, შლიფვით ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 საათის შემდეგ)

## შეიძენ

შეიძინეთ ძველ ლეიბებს, საბნებს, ბალიშებს, მაკულატურის სახით, ნაღდი ანგარიშსწორებით. 30 კგ-ზე მეტი წონის შემთხვევაში, მოგემსახურებით ჩვენი ტრანსპორტით. ტელ: 33-40-48; 34-66-64

## სხვადასხვა

საახლე! თუ გსურთ, შექმნათ ბედნიერი ოჯახი, გაიცნოთ ცხოვრების მეგობარი, თავი დააღწიოთ მარტოობას, მიმართეთ გაცნობისა და დოჯახების ცენტრს. ჩვენ დაგეხმარებით დოჯახებაში. მის: კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი 210 (მესაბვლეთ ქოველების ქუჩიდან); გაზეთი „საქართველოს სამერო"-ს რედაქცია. ტელ: 93-49-72; 899 56-32-59

მხატვართა საყურადღებოდ! 2002 წლის 29 ნოემბერს, 10 საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (№4) ტარდება საქართველოს მხატვართა XIV ყრილობა. გთხოვთ, აწ. 27-28 ნოემბერს, მანდატების მისაღებად, მიბრძანდეთ მხატვართა კავშირში (ქ. ქუთათელაძის №6).

*სამდივნო*

## ნეკროლოგი



მერაბ კოჩელიძე, მამუკა ჯინჯიხაძე, ირაკლი კალანდარიშვილი, ალეკო ბარნაბიშვილი, ლევან ყაველაშვილი, მამუკა ტყავაძე, ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**მალხაზ ვლადიმერის ძე ქოლოშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

საბურთალოს ქ. №37 სახლის მცხოვრებლები სამძიმარს უცხადებენ *ქალბატონ თამილას* და მის ოჯახს.

## ხსოვნა



### გიოს!

უმშვენიერესი და უთბილესი იყო ეს შემოდგომა, ოქროსფერი მზით და შენი სუნთქვით სავსე... ისეთი ლაღი და ნათელი, როგორიც შენი უკამპრომისოდ შეწყვეტილი სიცოცხლე – და გაიყო დრო: შენამდე და შენ შემდეგ, ყველა შენი მეგობრისთვის, უკლებლივ ყველასთვის, ვინც კი გიცნობდა, რადგან ასეთი თბილი და კეთილი იყავი.

უდიდეს ტკივილად დარჩება ხსოვნაში შენი ლამაზი ღიმილი და თვალებში ჩამდგარი უსაზღვრო სევდა, შენი იდუმალებით სავსე ბუნება, რომელსაც 19 გაზაფხული ეყო ძვირფასი სახლის დასამშვიდობებლად.

...და დარჩა გლოვა, დაობლებულ სიყვარულზე მლოცველი გოგო, რომელსაც მთელი ცხოვრება გაჰყვება შენი ჩუმი ტრფიალის ხსოვნა.

ისეთი უამინდო ამინდია, ისეთი უშინაარსო დალამება ირგვლივ, ისეთი ტკივილი აქვს თვალებში დედაშენს, ისე ძნელია უშენობა, ისე ენატრები...

გუშინწინ გიორგობა იყო, შენი მფარველი წმინდანის დღე. მუხლმოდრეკილი ვავედრებთ შენს უმანკო სულს წმინდა გიორგის, შენ კი, ჩვენზე ილოცე, გიო!

გლოცავთ,

გილოცავთ,

განისვენე... ამინ!

*მეგობრები*

### ზურა გასიშვილის გახსენება



25 ნოემბერს 25 წლის ხდები, შვილო ზურა. როგორი მოლოდინით და სიხარულით ველოდით ყველანი ამ დღეს. დაბადების დღესთან ერთად, ქორწილი უნდა გადაგეხადა, შვილო.

მაგრამ 28 ივნისს, არაკაცების დაუნდობელმა ხელმა სიცოცხლე მოგისწრაფა. მეხის გავარდნას ჰგავდა, შვილო, შენი დაღუპვა. ყველას მძიმე ტკივილი დაუტოვე გულში, ვინც გიცნობდა, თუ რა ვაჟკაცი იყავი. მაგრამ ჩვენ ისღა შეგვიძლია, ვილოცოთ შენი ნათელი სულისათვის. ღმერთმა ნათელში გამყოფოს, შვილო, გვენატრები, ყველას გვაკლიხარ, ზურა.

*„მე არ დამიწყო ბედმა, იღბალმა, არც ულმობელმა ბედისწერამ,*
*25 წლის კოხტა ვაჟკაცი, ცივ სამარეს ამომფარა."*

*შენი მშობლები, დედმამიშვილები, სიძე, პატარა დისშვილი ნინო*

### ციალა ნანეიშვილის მოსაგონარი



მშვენიერი, სათნო და გასპეტაკებული სულის ქალბატონი წავიდა ამ ქვეყნიდან.

იგი იყო ერთგული მეგობარი, უანგარო კოლეგა, საყვარელი მეუღლე, დედა და ბებია. მისი ცხოვრების შინაარსი მუდამ სიკეთის ქმნა იყო.

არასოდეს დაავიწყდებათ მის ახლობლებს, კოლეგებს, მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ციალა ნანეიშვილის პიროვნება.

ნათელში იყოს მისი მარად ღმერთის მლოცველი სული.

*მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თანამშრომლები*

### მაია ჩოჩიას მონატრება



26 ნოემბერს 33 წელი შეგისრულდებოდა. უკვე მეშვიდე ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს.

*... შვიდი საშინელი წელი გავიდა, გულს არც უჯერდება ეს,*
*თვალებში სისხლად ჩაქრა ცრემლებმა, ყველგან დაგეძებ შენ.*
*ცხოვრებამ დაკარგა აზრი და მიზანი, წყვდიადში დავიკარგეთ მე,*
*სულერთი გახდა ჩემთვის ყველაფერი, უფალი თუ გიშველის ჩემს დაგლოცოს უფალმა!*

*დედა*

### მერაბ შაყულაშვილის მონატრება



მერაბ, შვილო, 22 ნოემბერია – მეორე 22 ნოემბერი უშენოდ, შენი დაბადების დღე, ტკივილიანი, ცრემლიანი! გაუსაძლისია, შვილო უშენობა. ო, რა დიდი ტკივილი ხარ, სამუდამო, მოურჩენელი.

რა დარჩა? – უშენო შენი ნივთები, უშენო შენი წიგნები, შენი ხელშენავლები საგნები და წყარო, რომელიც შენმა ძმაკაცებმა ითავეს და „მერაბის წყარო" უწოდეს. ეს იქნება შენი შვილი, რომელსაც უბედური დედაშენი ყოველდღე მოუვლის.

მენატრები, ჩემო მარად 25 წლის ვაჟკაცო, ჩემო მარად მეხუთეკურსელო, დაუმთავრებელო ექიმ-სტომატოლოგო. როგორ უნდა დაითარეშობდეს შენი მკვლელი?! ჩემო უდანაშაულო ვაჟკაცო, სიკეთის მთესველო, ნუთუ მხოლოდ 25 გაზაფხული იკმარე?! მე კი ისევ გელი, გელი დაუსრულებლივ.

... და ისევ წყარო, „მერაბის წყარო" – უკანასკნელი სახსოვარი ძმაკაცებისგან, მშობლებისგან!

სასწაულს აღარ ველი. არადა, უნდა მომხდარიყო – შენსავით თბილ, მოსიყვარულე, უანგარო, სიკეთით სავსე, სხვისი ჭირისა თუ ლხინის გამზიარებელ ახალგაზრდას უნდა გამართლებოდა. მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად განსაჯა! ღმერთსაც საუკეთესოები თავისთვის სდომებია.

ო, რა შემზარავია უშენობა, მერაბ. ყველგან გეძებ, გელოდები, როდის შემოაღებ კარს, ჩამეხვევი, ცრემლიან თვალებს კოცნით ამიმშრობ და მეტყვი: „დამიგვიანდა. მაპატიე, დედა, რომ გალოდინე."

ნეტავ, დაბრუნებოდეს, წარსულო, მერაბ!

*შენი უბედური მშობლები*

### მაია მაისურაძის მონატრება



ჩემო სიცოცხლევ, 40 დღეა, აღარ მინახიხარ. უშენობამ, შვილო, სამუდამოდ გაგვიქვავა გული – მეც და შენს ქმარ-შვილსაც. შენი სამი შვილი – ანუკი, ნინო და გიორგი – უსასრულოდ გელის.

შემზარავი და გამაოგნებელი იყო შენი უეცარი გაფრენა, საყვარელი ძმის ქორწილის მესამე დღეს. დაგვიტოვე დარდი, გაუსაძლისი ტკივილი და ავადმოსაგონარი ავბედითი დღე – 16 ოქტომბერი.

საოცარია, უშენოდ როგორ ვცოცხლობთ. ყველაზე ძვირფასი, რაც დაგვრჩა – შენი შვილები და შენი საფლავია. მოვალ შენს შვილებთან ერთად, უამრავ სანთელს დაგინთებ. შემოგფიცავენ შენი ანუკი და ნინიკო, რომ ისეთი კარგები დაიზრდებიან, შენ რომ გინდოდა.

მიყვარხარ და მენატრები, ვიცი, ღმერთთან ახლოს იქნები – შენ ხომ ძალზე კეთილი იყავი.

*შენი გულდამწვარი ოჯახი*

### ჯონი ხვედელიძეს!



ერთი წელი გავიდა შენი უკანასკნელი ამოსუნთქვიდან. 27 ნოემბერს შეწყდა შენი მაჯისცემა. რა მწარე და გაუსაძლისია უშენობა. დრო სწრაფად გადის. ძნელია იმაზე ფიქრი, რომ აღარასოდეს შემოაღებ კარს და შენს თბილ, ღიმილიან სახეს ვეღარ ვნახავთ. გვენატრები ყველას. ნინო ისევ ელოდება მამიკოს, ლია კი, ცრემლიანი გასცქერის გზას, რომელზეც თბილისიდან დაბრუნებული მოაბიჯებდი.

რა უიმედო და მწარეა ეს მონატრებაც. გადიან წლები, შენ კი მუდამ 25 წლის, მხიარული და სიცოცხლით სავსე დარჩები ჩვენთვის. ჩვენ მხოლოდ შენი სულისთვის ლოცვაღა დაგვრჩა... და ბევრი ნაღვლიანი მოგონება. ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჯონი!

*ახსიაშვილების ოჯახი*

### სოფიკო გოგავას მონატრება



ჩვენო საყვარელო სოფო! წლის მეორედ ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს, 1 დეკემბერს. მხოლოდ 17 წელი გაიმეტა შენთვის განგებამ. უეცრად გაგვიფრინდი და დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა, დარდი და მოუშუშებელი ტკივილი.

როგორ საოცრად გიყვარდა სიცოცხლე. რამდენი აუხდენელი ოცნება დაგრჩა გულში. შენ ისეთი თბილი, კეთილი და ლამაზი იყავი, რომ ყველას უჭირს დაჯერება იმისა, რომ შენ აღარა ხარ.

შენი გახსენება ჩვენი დიდი მონატრების გამოხატულებაა. ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი კეთილი, ლამაზი სული.

*თამუნა და გოგა გოგავები*

### ვალერი და ლერი ბარათაშვილების ხსოვნას!



ო, რა გაუსაძლისი ტკივილი და მწუხარება გამატონდა მოულოდნელად. სიკვდილი – ის გზაარეული და მუსაფარი, თქვენ როგორ გადაგეყარათ, თქვენ ხომ სიცოცხლის შარაგზას სილაღით, ბავშვური სიცელქით მიუყვებოდით...

ჩვენო ღიმილის ბიჭებო! სად ხართ? ცრემლიანი თვალებით დაგეძებთ სკოლაში, კლასში, ქუჩაში. ძნელია უთქვენოდ ყოფნა, ვერ ვივიწყებთ თქვენი თვალებიდან გამოსულ სითბოს. კეთილნი, თავმდაბალნი და ალალმართალნი, საოცრად უყვარდით ყველას. თანაკლასელები უკვე დადინჯდნენ, გაიზარდნენ. ხშირად მოდიან თქვენს სამარესთან, სანთელს გინთებენ, მოგონებებში გაცოცხლებენ.

ვალერი, ჩვენო მშვენიერო, შენი დაბადების დღე უშენოდ მოვიდა. ძნელი ასატანია ჩვენთვის. შენ კი „ფრთები დაკეცე და ღრუბლებს გაჰყევი ცადა". შენი ნაადრევი სიკვდილი დიდხანს გვადენს ულევსობის ცრემლს, მაგრამ ვაი, რომ ვეღარაფერს გიშველით.

*თანაკლასელები, მასწავლებლები*

### დათო კვიჟინაძის უსასრულო მონატრება



ჩვენო დათუნა, 23 ნოემბერი შენი დაბადების დღეა, 20 წლის გახდებოდი, ჩვენო ლამაზო ბიჭო... 3 წელია, უშენოდ აღვნიშნავთ გიორგობას და შენს დაბადების დღეს. ძალიან გვენატრები ყველას, ჩვენო დედისერთა. შენი წასვლიდან ერთი წლისთავზე შენი ძმა, პატარა იაკობი მოევლინა ქვეყანას და ალბათ ის თუ გვიმსუბუქებს ცოტათი იმ საშინელ სევდას, რაც შენ დატოვე ჩვენს გულებში. გულს იმით ვიმშვიდებთ, რომ იმ ქვეყნად სამუდამო ცხოვრება გექნება. შენ ხომ ზღაპრული უცოდველობით ლამაზი იყავი... პრინციპით მიდიოდი იმ ქვეყნად, – სიზმარშიც ხომ ასე გამოგვეცხადე. გილოცავთ დაბადების დღეს! 20 სანთელს აგინთებთ...

გვენატრები, სულ თვალწინ გვიდგახარ ყველას. დრო უძლური ყოფილა, შენს მონატრებას ვერაფერი აქრობს. ვლოცულობთ შენზე, ჩვენო ანგელოზო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*ოჯახი*

### ცაცო ლობჟანიძის ხსოვნას!



ათი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან... ათი წელია, შენს ლამაზ სულს თვალცრემლიანნი ვუნთებთ წმინდა სანთლებს.

ჩვენი მოუშუშებელი ტკივილი და უსაზღვრო მონატრება ხარ, უძვირფასესო მამიკო, ერთგულო მეუღლევ და უსაყვარლესო ბაბუავ...

ბედისწერამ შეგიწირა, შენეული სიმშვიდით შეუერთდი მარადისობას და დაგვიტოვე მარადი სევდა. შენ ხომ საოცრად კეთილი და სათნო იყავი. ყველა გიყვარდა და ყველას უსაზღვროდ უყვარდი. შენ გარშემო სხვანაირი სითბო და ალერსი იფრქვეოდა. შენ ამქვეყნად კაცური კაცის სახელით იცხოვრე.

ვერავინ შეავსებს შენგან დატოვებულ სიცარიელეს. ვერ ვეგუებით უშენობას, მაგრამ ვითმენთ, რადგან გვწამს, რომ შენნაირ და შენი ცოლისძმების – თამაზის, თემურის და შოთასნაირ ადამიანებს იმ ქვეყნად ნათელი არ აკლდებოდათ.

შენი მონატრებით ვცხოვრობთ, შენს ხსოვნას სანთლად ანთებულს ვატარებთ და ღმერთს ვთხოვთ, მარადიულ სასუფეველში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*მეუღლე, შვილები და შვილიშვილები*

### ზაალ გუდაძის ხსოვნას!



ბავშვობიდანვე ერთგულებისა და პატიოსნების განსახიერება იყავ. მეგობრობის გრძნობა ძალზე დიდი იყო შენში. სიცრუეს და ღალატს ვერ იტანდი. თავმდაბალი და უპრეტენზიო ყველას საოცრად უყვარდი.

უბედურმა შემთხვევამ გიმსხვერპლა. ბედმა მხოლოდ 32 წლის სიცოცხლე გარგუნა. ახალი ბედნიერი ცხოვრების დასაწყისში, ოცნებააუხდენელი წახვედი ჩვენგან.

ძმაო ზალიკო! უდროოდ წახვედი ჩვენგან, მაგრამ შენი თანაკლასელები ქედს ვიხრით შენი ცხედრის წინაშე და პირობას ვდებთ, რომ სანამ ვარსებობთ, შენი ხსოვნა არ წაიშლება და შენი სახელი – ზაალ გუდაძე – ძალზე ბევრს სევდად შემოაწვება გახსენებისას. მსუბუქი იყოს შენ გულზე დაყრილი მიწა. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს შენს უბოროტო სულს.

*შენი თანაკლასელები*

### დავით ცომაიას მოგონება



დათო, ჩვენო დიდო ტკივილო და მწუხარებავ, ძალიან ადრეული და გაუსაძლისია უშენოდ ცხოვრება, ისეთივე ადრეული, როგორიც 1992 წლის 26 ნოემბერი, როდესაც შენი სპეტაკი და ლამაზი სული ამქვეყნიდან მარადისობაში გადავიდა.

ათი წელი გავიდა მას შემდეგ – ათი, ცრემლიანი, მწუხარებით და ტკივილით სავსე წელი. უზომოდ გვენატრები და შენი მონატრება უსაშველო ტანჯვაა შენი მშობლების, ძმებისა და ახლობლებისათვის.

23 წლის მანძილზე შენ არსებობით გვილამაზებდი ყოფას. ჩქარობდი, ასწრებდი, სწყალობდი ყველას და ყველაფერს. დაუძლეველის დაძლევა გიყვარდა ბავშვობიდანვე, მხოლოდ ოჯახის შექმნა ვერ მოასწარი. გვჯერა, რომ შენი უმანკო სული, ერთი წუთითაც არ გვტოვებს და ღმერთს ვთხოვთ, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი მშობლები და ძმები*

### ავთო ალავერდაშვილს!



28 ნოემბერს 38 წლის გახდებოდი. დაბადების დღეს პირველად ვხვდებით უშენოდ. სულ ოთხიოდე თვეა, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ და ასე გვგონია, საუკუნე გავიდა. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ ყველას! ვერ ვავსებთ უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს.

წახვედი და თან გაიყოლე აუხდენელი ოცნებები, ფიქრები, ყველას და ყველაფერს რომ იტევდა.

შენ ხომ უსაზღვროდ გიყვარდა შენი და-ძმა, დედა, ნათესავ-მეგობრები და ყველას უნაწილებდი სიყვარულსა და სითბოს. შენ ხომ ჩვენი ოჯახის სილამაზე და მშვენება იყავი.

როგორც ჩაგვაფიქრე, ავთო, წუთისოფლის ამაოებაზე. სხვა რა დაგვრჩენია – უშენოდ გავივლით ცხოვრების გზას, რომელიც ბოლოს შენამდე მოგვიყვანს.

უამრავ სანთელს დავანთებთ შენს საფლავზე და ღმერთს შევავედრებთ შენს ლამაზ სულს. ჩვენი სანთლები, ჩვენი ლოცვები გაგინათებს სულეთის გზას.

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო საყვარელო ავთო!

*შენი და-ძმები, დედა*

ოთხი თვეა, რაც ამქვეყნად აღარ ხარ, ჩემო საყვარელო ძმაო ავთო. როგორ უეცრად გაგვიფრინდი და დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა და ტკივილი. შენ ხომ ძლიერ გიყვარდა სიცოცხლე.

28 ნოემბერს 38 წელი შეგისრულდებოდა. წინასწარ გილოცავ დაბადების დღეს, ძმაო. ყველანი აუცილებლად ამოვალთ შენს საფლავზე, ამოგიტანთ ყვავილებს და ცრემლების ზღვას. საშინლად გვაკლიხარ, გვიყვარხარ და გვენატრები.

ტკბილად იძინე, ჩემო კარგო. ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს შენს ლამაზ სულს.

*შენი გულმოკლული და გულიკო და მისი ოჯახი*

### ვალერიან ფაჩიშვილის გახსენება



ერთი წელი გავიდა, რაც შენი სიცოცხლე შეწყდა. უკურნებელი სენით შეპყრობილი ისე წახვედი, არ დაელოდე, არ შეებრძოლე ულმობელ სიკვდილს. ბედმა არ გვაკმარა შენი წასვლით გამოწვეული ტკივილი. მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან შენი გაზრდილი დისშვილი და შენი საყვარელი შვილიშვილი – მარიკა, მომავალი იურისტი, რომელსაც შენი პროფესია უნდა გაეგრძელებინა.

გადის გაუსაძლისი ტკივილით სავსე დღეები. უთქვენობამ საშინელი დარდი და წარსულის მონატრება დაგვიტოვა. თურმე დრო ყველაფრის მკურნალი არ ყოფილა. ვერავინ შეავსებს თქვენგან დატოვებულ სიცარიელეს.

უფალს ვთხოვთ, ნათელში გამყოფოთ და დაგიმკვიდროთ ცათა სასუფეველი.

*ოჯახი*

### თემურ ტატანაშვილის ხსოვნას!



ჩვენო კეთილო და საყვარელო თემურ! რა მალე დასრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე, წახვედი და გული მოუკალი ყველას, ვინც შენ გიცნობდა. ჩვენ კი სანუგეშებლად კარგი კაცის სახელი დაგვიტოვე. არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი, ძალიან გვიჭირს უშენობა.

როგორ ენატრები შენს საყვარელ დედ-მამას, შენს საოცარ შვილებს, და-ძმას, მეუღლეს და ახლობლებს. ყველანაირად ვცდილობთ შენს სამ შვილს ობლობა არ ვაგრძნობინოთ და აღვზარდოთ ისეთები, როგორზეც შენ ოცნებობდი.

უიმედოდ მომლოდინე, შენი ოჯახი გილოცავს დაბადების დღეს, 28 ნოემბერს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

*შენი ოჯახი*

### კარლო (კაკუშა) გოგიჩაიშვილის გახსენება



საყვარელო მამა, 1 დეკემბერი შენი მარადისობაში გადასვლის დღეა. ერთი წელიწადია, რაც დაშორდი შენს საყვარელ ოჯახს, რომელსაც ერთგულად ემსახურე 8 ათეული წელიწადი. გურიის ლამაზ სოფელ ლესაჭინათში ახსოვხარ, როგორც თბილი, კეთილი, ლამაზი და კარგი ადამიანი, სიტყვისა და საქმის კაცი, ჭირში და ლხინში, მუდამ მათ გვერდში მდგომი.

გავა წლები, გამრავლდებიან ბავშვები და გაიხსენებენ კარლო ბაბუას, როგორც კაცურ კაცსა და დიდ წინაპარს.

შენი საყვარელი მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილი და უხლოესი ადამიანები ღმერთს ვთხოვთ, სულის სიმშვიდე მოგაპოვებინოს სამუდამოსასუფეველში. მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი საქართველოს მიწა.

*შენი ოჯახი*

### ბუთხუზი მანტუას გახსენება



თერთმეტი წელია, ჩვენ შორის შორის აღარა ხარ, წლების გადასახედიდან ცხადად შევიგრძნობთ და გვაცნობიერებს – ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ბიჭი იმთავითვე გამოირჩეოდა ყველა ჩვენგანისგან თავმდაბლობითა და გასაოცარი ტაქტით, კეთილშობილებით, სიწრფელით. მოყვასის სიყვარულით ათენებდი და აღამებდი. წლების მანძილზე უსაზღვრო სითბოსა და სიყვარულს, უანგაროდ და უხვად უნაწილებდი შენს მეგობრებს. შენი ცხოვრება კაცობის ნიმუში და მისაბაძი მაგალითია ყველასათვის.

ასევე უხმაურო და შეუმჩნეველი იყო მისი წასვლა, თითქოს არც კი შეებრძოლა სიკვდილს. იგი ჩვეული სიმშვიდით შეუერთდა მარადისობას. თუმცა თავისი დაუვიწყარი ღიმილით და სითბოთი გამთბარი მზერა მაინც დაგვიტოვა ისევ ჩვენს გასამხნევებლად და სანუგეშოდ.

*მეგობრები*



მეუღლე ვაჟა უხურგუნაშვილი, შვილები კობა და თათია უხურგუნაშვილები, მშობლები გიორგი და ეკატერინე დათაშვილები, ძმები აბესალომ და ალექსანდრე დათაშვილები, რძლები ლეილა ბექაური და ლალი გველესიანი, ძმისშვილები გიორგი, ეკა, თამუნა და ლევან დათაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მარინა გიორგის ასული დათაშვილი-უხურგუნაშვილისა**

**პანაშვიდი** ორშაბათს, 25 ნოემბერს, 16 საათზე;
**დაკრძალვა** სამშაბათს, 26 ნოემბერს, 14 საათზე.
**მისამართი** კასპის რაიონი, სოფელი დოესი.



შვილები გულჩორა, ლია, ზაირა, ლეილა, დარეჯანი, ნონა ნოდიები; და ნაზი, ძმები შუქური, ომარი; შვილიშვილები თამუნა, ლაშა, ირმა, დათო, მოველი, თეა, ნინო, მარიამი, ლევანი, კახი, ბადრი, გოგი, ვერიკო; შვილთაშვილები მარიამი, თორნიკე, ლევანი, ბექა; ძმისშვილები ლამზირა, ლარისა, მიხეილი, ბუთხუზი; რძლები ზამირა ჯლოჯუა, ელზა არქანია, მიმოზა მაკალათია; სიძეები ლადო მაკალათია, როინ მიმინოშვილი, მერაბ ხუბნარია, ფრიდონ მოწყობა, რამაზ კონჯარია, რაულ თოფურია, გიორგი შავიშვილი, გიორგი ბოჭორიშვილი; დედისშვილები, მამიდაშვილები, მულიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნორა მიხეილის ასული კაჭარავა-ნოდია**

ჭორველის საშ. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი

**გულნაზი ნოეს ასული ფხალაძე**

**დაკრძალვა** ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, სოფელ ჭორველში

# გიორგი ლოცვამ განკურნა...

გიორგი ხუნძახიშვილი 19 წლის არის. საოცრად მშვიდი სახე აქვს და თბილი, კეთილი მზერა. მისი განკურნება მძიმე სენისგან — ღვთის სასწაულია!

— ჩემი მშობლები ეკლესიურები არ იყვნენ, რა თქმა უნდა, არც მე — მიყვება გიორგი. მაგრამ უფალი იმდენად კაცთმოყვარეა, რომ მადლს გადმოავლენს ხოლმე ადამიანებს.

ათი წლის წინ შიშისგან ეპილეფსია დამემართა.

იმ დღეს ჩვენს ეზოში ორი წვეროსანი შემოვიდა. დამიძახეს, ხელი გადამხვიეს — გოჩა, როგორ ხარო. სანამ ვუპასუხებდი, გოჩა არ ვარ-მეთქი, ერთმა სახეზე რაღაც ნივთიერებით გაჟღენთილი ცხვირსახოცი ამაფარა. გონება დავკარგე. როცა გამოვფხიზლდი, ლოტკინის გზაზე ვიყავი. კაცებმა მკითხეს, — მამაშენი როდის გარდაიცვალაო. მამაჩემი ცოცხალია,



გაზეთში მუშაობს-მეთქი. სახელი და გვარიც რომ ვუთხარი, გაოგნდნენ. ერთმა თქვა, — ცოდვაში არ ჩავვარდეთ, ბავშვი შეგვშლია და შინ უნდა დავაბრუნოთო. მეორემ ჯერ იუარა, მერე იარაღი მომადო საფეთქელზე და დამემუქრა, — რაც ნახე და გაიგონე, იმაზე კრინტი არავისთან დაძრა, თორემ ვაი, შენი ბრალიო. ამ დროს ტვინში რაღაცამ უსიამოვნოდ დამიარა...

შინ დამაბრუნეს. იმ ღამეს ეპილეფსიის შეტევა პირველად დამემართა.

**— თუ გაირკვა, რატომ მოგიტაცეს?**

— მამამ გაიგო, რაც მომხდარა. იმ კაცებისგან ერთ ქალს 10 ათასი დოლარი უსესხებია პროცენტით და თურქეთში გაქცეულა, შვილი კი ნათესავთან დაუტოვებია. იმ ბიჭში შევეშალე თურმე.

4 წლის განმავლობაში დღეში 3-4-ჯერ მემართებოდა ბნედა. გათენების მეშინოდა. შინიდან ფეხს ვერ ვდგამდი — ქუჩაში არ გავმხდე ცუდად-მეთქი. პენსია დამინიშნეს. დილიდან საღამომდე ათასნაირ ძლიერმოქმედ წამალს ვსვამდი...

ერთ დღეს შინაგანმა ხმამ მიკარნახა — მხოლოდ ლოცვა გიშველისო. მაშინვე განვმარტოვდი. რახან ზეპირად არც ერთი ლოცვა არ ვიცოდი, ლოცვანი ავიღე, „მამაო ჩვენო“ მთელი სულითა და გულით წავიკითხე. ვიგრძენი, შიში და დაძაბულობა სადღაც გაქრა. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი... იმ დღეს შეტევა არ მომსვლია... უკვე ხუთმა წელმა გაიარა. ეპილეფსიისგან სრულიად განვიკურნე.

**— რა იფიქრე, როდესაც ჩვეული შეტევა არ განმეორდა?**

— ლოცვამ მიშველა-მეთქი. „მამაო ჩვენო“ დავიზეპირე. ძილის წინ და დილით ვლოცულობდი. მერე სოფელ დიღმის წმინდა მარინეს სახელობის ტაძარში დავიწყე სიარული.

**— ცხადია, მოძღვარს ეტყოდი შენი სასწაულებრივი განკურნების ამბავს.**

— წმინდა მარინეს ტაძარში მისვლამდე დიდუბის ეკლესიაში ერთ მოძღვარს გადავუხსენი გული. არც ვიცნობდი, მაგრამ რომ შევხედე, ვიფიქრე, უთუოდ უნდა გავენდო-მეთქი. მომისმინა და გამაფრთხილა, — გიორგი, ეს ამბავი არსად თქვაო. ამიტომაც დღემდე არავისთვის გამიმხელია (*გიორგის განკურნების ამბავი ჩვენ მისი ახლობლისგან გავიგეთ. — ი.რ.*). ეტყობა, მოძღვარმა იმიტომ მირჩია დუმილი, რომ ხიბლში არ ჩავვარდნილიყავი.

**— დღეს რას საქმიანობ?**

— სამრევლო სკოლაში ვსწავლობ. ერშიც რომ ვიყო, მაინც ეკლესიისკენ მიმიწევს გული. ამას წინათ ტელევიზიით პატრიარქს ვუსმინე — თუ ადამიანი საქმეს გულით მოეკიდება, უთუოდ გამოუვაო, — ბრძანა. გულით მინდა მღვდელი გავხდე. თუ უფლის ნება იქნება, მივაღწევ ამას. ერთხანს ბერობასაც ვფიქრობდი. ორი კვირა ვიყავი მარტყოფის ღვთაების მონასტერში სალოცავად. მამა პეტრემ მითხრა, — ბერობა ძნელია, თუმცა მადლიანი. ისეთი მძიმე ჯვარია, შეიძლება ვერ ზიდო, ლოცვით თუ შეგაძლებინებს მის ტვირთვას უფალიო.

**— იმაზე თუ გიფიქრია, რად მოგივლინა უფალმა ასეთი განსაცდელი?**

— უფალი თავისი მადლის გარეშე არავის ტოვებს. სახარებაში ხომ წერია: „არა მრავალნი მისდევან ღმერთის გზას, მაგრამ მრავალნი მივლენ მასთან“. ადამიანის ბოლო მაინც ღვთის გზაა.

მამა კომუნისტების დროს იყო გაზრდილი და არ დადიოდა ეკლესიაში. წელს მაისში გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე სასწაულებრივად მოექცა, ტაძარში დაიწყო სიარული, მხურვალედ ლოცულობდა. ერთზე მწყდება გული — ზიარება ვერ მოასწრო...

ერთი გულისტკივილი მინდა გაგანდოთ: ათი მცნება გვასწავლის: პატივი ეცი დედასა და მამასა შენსაო; სახარებაში კი ვკითხულობთ: ენითა შენითა ცხონდე და ენითა შენითა განიკითხოო. ჩემი თანატოლები ხშირად დედას იგინებიან. საკუთარი დედა როგორ უნდა გაიმეტო ამ ბილწსიტყვაობისთვის და თანაც უპირველესი დედა, ღვთისმშობელიც დგას დედის უკან.

*იზო რიკაძე*

# კალენდარი კოსმოსური რიტმების მიხედვით



## (25 ნოემბერი - 9 დეკემბერი)

**25-26/XI** — ხეხილზე წანაზარდების შეჭრა, გასხვლა, ნიადაგის მოხვნა, დამუშავება. მრავალწლიან მცენარეთა რგვა. აუცილებელია ბინის განიავება. დილით სუნთქვითი ვარჯიშები, საღამოს სუფთა ჰაერზე ყოფნა, თუნდაც მცირე ხნით. ნუ გადატვირთავთ გულს, სისხლის მიმოქცევის სისტემას, ზურგის არეს, დიაფრაგმას. მიუღებელია სექსუალური ურთიერთობები, აუცილებელია მსუბუქი ვარჯიშები და ორგანიზმის გაწმენდა, აბაზანის მიღება. მოსალოდნელია ორგანიზმში ჰორმონული ბალანსის დარღვევა, რაც იწვევს თავის ტკივილს, ნევროზს და ქრონიკულ დაავადებათა გამწვავებას. მოერიდეთ მკვეთრ მოძრაობებს. იკვებეთ თევზით, ფრინველის ხორცით, პარკოსნებით, რუხი პურით, ლეღვის ჩირით, ქიშმიშით. აუცილებლად დალიეთ დღეში სამჯერ კუნელის ნაყოფის ან ფოთლის ჩაი. ალკოჰოლს ნუ მიიღებთ.

**27-28-29/XI** — ოთახის ყვავილებისა და მრავალწლიან მცენარეთა რგვა, ნიადაგის გაფხვიერება და განოყიერება. ამ დღეებში მოერიდეთ გაცივებას, გაუფრთხილდით საჭმლის მომნელებელ სისტემას და კუჭქვეშა ჯირკვალს. ორგანიზმში შენელებული ბიოქიმიური რეაქცია არღვევს სისხლის მიმოქცევას თავის არეში, მწვავდება გულსისხლძარღვთა დაავადებები. მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და ტრავმებს, ქირურგიულ ოპერაციებს, თმისა და ფრჩხილების შეჭრას. ნუ მიიღებთ ხორცს, ცხიმებს, ცხარე კერძს. შეზღუდეთ ალკოჰოლი და ყავა. მიიღეთ რძე, ნიგოზი, ხმელი ხილი, თაფლი.

**30/XI-1/XII** — ხეხილის რგვა, ყვავილების გადარგვა, ნიადაგის დამუშავება, განოყიერება, მიუღებელია ოთახის ყვავილების რწყვა. აუცილებელია ბინის განიავება. გაუფრთხილდით თირკმლებს, შარდის ბუშტს. აუცილებელია დილის მსუბუქი ვარჯიშები, ყურადღება დაუთმეთ გულის მუშაობას, მოერიდეთ ენერგიის ზედმეტად ხარჯვას. საღამოს აუცილებელია ორგანიზმის გაწმენდა წიდებისაგან. მოსალოდნელია მეხსიერების დაქვეითება. ნუ მიიღებთ ძლიერმოქმედ პრეპარატებს. საღამოობით მოერიდეთ სტრესებს და აგრესიულობას. აკონტროლეთ არტერიული წნევა. საკვებად აუცილებელია შვრიის ან წიწიბურას ფაფა, მაწონი, ხაჭო, თევზი, ფრინველის ხორცი, ბოსტნეული, ხილი, თაფლი.

**2-3/XII** — ოთახის მცენარეების რწყვა, ხეხილისა და სამკურნალო მცენარეთა თესვა, რგვა, ნიადაგის დამუშავება. მიუღებელია სამასალე ხის ჭრა და ხეხილის გასხვლა. მოერიდეთ გაცივებას, განსაკუთრებით თავის არეში. მოუფრთხილდით ნერვულ სისტემას, სწორ ნაწლავს და სასქესო ორგანოებს. თავი შეიკავეთ სექსუალური ურთიერთობებისაგან. ამ დღეებში მთვარე მაქსიმალურად უახლოვდება დედამიწას, რაც იწვევს მეორე ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანების საერთო მდგომარეობის დასუსტებას, კუჭ-ნაწლავის, თირკმლებისა და შარდის ბუშტის გაღიზიანებას. აკონტროლეთ თქვენი ემოციები. საზიანოა კანის, თმისა და ფრჩხილების მოვლა. აუცილებელია მიიღოთ მხოლოდ მსუბუქი საკვები, წვენები, წიწიბურა, მაწონი, ხაჭო, ხილი. მაქსიმალურად შეამცირეთ ცხარე საკვები, ალკოჰოლი და ყავა.

**4-5/XII** — ბინის პირველი გათბობა. ღვინის გადაღება. ხეხილის რგვა, წანაზარდების შეჭრა, გასხვლა. ნიადაგის განოყიერება. აუცილებელია ბინის განიავება, დილით სუნთქვითი ვარჯიშები, ხოლო ძილის წინ სუფთა ჰაერზე ყოფნა. გაუფრთხილდით სისხლძარღვებს, გრძნობის ორგანოებს, ბარძაყის არეს, ხერხემლის ფუძეს. ჯანმრთელობის თვალსაზრისით, მთვარიდან მოზღვავებული ენერგიის გამო, დედამიწაზე მეტად რთული პერიოდია, რაც შეიძლება გამოიხატოს სისხლის მიმოქცევის, ღვიძლის მუშაობისა და კუჭქვეშა ჯირკვლის გამწვავებაში. ასევე მოსალოდნელია არტერიული წნევის მომატება, მეხსიერების, აზროვნებისა და რეაქციის საერთო დაქვეითება — მოერიდეთ მძიმე ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას. საკვებად გამოიყენეთ ბრინჯის ფლავი, მაწონი, ხაჭო, ბოსტნეული, ხილი, თაფლი. გამორიცხეთ ალკოჰოლი, ყავა. შეამცირეთ სითხის მიღება.

**6-7/XII** — ღვინის გადაღება, ნიადაგის მოხვნა, გაფხვიერება. სათბურში სალათების, მწვანილებისა და კიტრის თესვა. მცენარეების რგვა. ამ დღეებში იოლად ცივდებიან. მოუფრთხილდით კანს, მუხლებს, სახსრებსა და ძვლოვან სისტემას. ჩაიტარეთ თვითმასაჟი, სუნთქვითი ვარჯიშები. ეცადეთ, შეამციროთ ფიზიკური დატვირთვა, რათა აიცილოთ თავის ტკივილები. ეცადეთ არ მიიღოთ სწრაფი გადაწყვეტილებები, ნუ დადებთ ხელშეკრულებას, შეთანხმებას, ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეს. ყურადღება დაუთმეთ თქვენს სულიერ ვითარებას. საკვებად გამოიყენეთ ცილოვანი საკვები, ფრინველის ხორცი, თევზი, სოიაზე დამზადებული საკვები, თხილი, ნიგოზი და ხმელი ხილი.

**8-9/XII** — მიზანშეწონილია საავეჯე ხის ჭრა. ფოთლოვანი ბოსტნეულისა და მწვანილის თესვა. გაანიავეთ ბინა მცირე ხნით. გაუფრთხილდით ქვემო კიდურებს, კოჭის არეს. მოსალოდნელია განწყობილების ცვალებადობა და ემოციურობა. გეომაგნიტური აქტივობა გამოიწვევს თავის ტკივილს, უძილობას, არტერიული წნევის აწევას, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევას და მადის დაქვეითებას. მოამზადეთ სამკურნალო მცენარეთა ნაყენები. ასევე აუცილებელია დილით შეასრულოთ ღრმა ჩასუნთქვები, კანის გამაახალგაზრდავებელი პროცედურები — აუცილებელია, საკვების მიღება ხშირად და მცირე ულუფებით, ძირითადად მიიღეთ რძე, არაჟანი, ხაჭო, ბოსტნეული, ხილი, ნიგოზი და თაფლი.

# მეცნიერი აპირებს სუპერმენის შექმნას

რამდენიმე დღის წინ, ცნობილმა გერმანელმა პათოლოგანატომმა გუნტერ ფონ ჰაგენსმა განაცხადა, რომ გადაწყვიტა სუპერმენის მოდელის შექმნა. მეცნიერი აპირებს მასალად გამოიყენოს ადამიანის ორგანოები. მოხალისეთა ძებნა უკვე დაიწყო. პლანეტის ნებისმიერმა ადამიანმა, რომელსაც თავის მოკვლა აქვს განზრახული ან სიკვდილმისჯილია, შეუძლია ფონ ჰაგენსს უანდერძოს თავისი სხეული. ექიმი მათ ჰპირდება, რომ მათ სახელებს თავის საიტზე უკვდავყოფს.

პათოლოგანატომი ფონ ჰაგენსი მთელ მსოფლიოში ცნობილია თავისი ცდებით — ადამიანის ორგანოების და ქსოვილების დაკონსერვებით. იგი სისხლსა და სხვა სითხეს, რომელიც ადამიანის ორგანიზმშია, ცვლის რაღაც საიდუმლო პოლიმერებზე და ქმნის ძვალსა და ტყავს, რომელთა ქსოვილები დიდხანს ინარჩუნებენ ბუნებრივ ფაქტურას მიკროსკოპულ დონემდე. მეცნიერი ცდებს ებერგის უნივერსიტეტის დაჯავშნულ სარდაფში ატარებს.

მომავალი სუპერადამიანი ჩვეულებრივ ჰომო საპიენსს არ ემგვანება.

ექიმ ფრანკენშტეინის მიმდევარს განზრახული აქვს სუპერმენს ჩაუდგას ოთხი გული, ოთხი ზედმეტი ნეკნი, გაუუმჯობესოს თვალის, ყურისა და სასუნთქი გზების კონსტრუქცია.

თუკი ცდამ დადებითი შედეგი გამოიღო, სუპერმენი დამოუკიდებლად შეძლებს მოძრაობას.

შეკითხვაზე, თუ როგორ მიიღებს ასეთ საოცარ შედეგს, გუნტერ ფონ ჰაგენსი იღიმება და ამბობს: „ეს მხოლოდ დასაწყისია“.

*ვერსია №45*

## „საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა გამოიცანი**
1) — გ); 2) — ა); 3) — გ).

**II. რებუსი**
ბეჯით ჭიანჭველას ზამთარი ვერაფერს დააკლებსო.

**III.** აჭარა.

**IV.** დამალობანას.


# ფრთხილად! იმპოტენციას ერთი ნაბიჯი გაშორებთ!

ძლიერი სქესის წარმომადგენელთათვის კარგადაა ცნობილი დაავადება, რომელიც არა მარტო ფიზიოლოგიური უსიამოვნებების მიზეზი შეიძლება გახდეს, არამედ უხეშად ჩაერიოს ოჯახურ ან პირად ცხოვრებაში და თქვენი ბედნიერება სათუო გახადოს.

პროსტატიტი მტერია, რომელიც ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით მამაკაცს ემუქრება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიმდინარე წლის მონაცემთა მიხედვით, ყოველ მეხუთე მამაკაცს, 20-დან 60 წლამდე, წინამდებარე ჯირკვლის ანთების სიმპტომები აღმოაჩნდა. პროსტატიტის გამომწვევი ფაქტორები მრავალგვარია: მათ შორისაა გაცივება, ინფექცია, იმუნიტეტის დაქვეითება და სხვ. სამწუხაროდ, წინამდებარე ჯირკვლის ანთება, პირველ დღეებში, ხშირად კი თვეებში არავითარ გარეგან გამოვლინებას არ იწვევს, ამიტომ ავადმყოფმა უბრალოდ არ იცის, რომ ავადაა. სწორედ ეს ხდება პროსტატიტის ქრონიკული ფორმის მიზეზი, რომელიც, როგორც ცნობილია, ძალზე ძნელად ექვემდებარება მკურნალობას. დაავადების პირველი საშიში სიმპტომია პოტენციის უმნიშვნელო დაქვეითება, რაც ექიმთან პირველი ვიზიტის მიზეზი ხდება.

პროსტატიტის ქრონიკული ფორმის ყველაზე მძიმე შედეგია კეთილთვისებიანი სიმსივნის, ე.წ. წინამდებარე ჯირკვლის ადენომის წარმოქმნა, რამაც დროის განმავლობაში, შეიძლება ქირურგიული ჩარევის აუცილებლობა წარმოშვას.

არასწორად ან არასრულად ნამკურნალევი პროსტატიტი ზემოთ ჩამოთვლილი გართულებების წინაპირობაა, რისგანაც თავის დაზღვევა დღეს რეალური და აუცილებელია.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი“ დანერგილია მკურნალობის კომპლექსური მეთოდიკა. ამგვარი პრობლემების მქონე პაციენტებისათვის ტარდება გამოკვლევა ქლამიდიოზზე, ექოსკოპია, ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, სისხლის მიმოქცევის შესწავლა და სხვ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ზუსტი დიაგნოზის დაფიქსირებისათვის, შეიძლება ჩატარდეს სპეციფიკური გამოკვლევა. ამის შემდგომ, პაციენტისათვის იქმნება მკურნალობის ინდივიდუალური სქემა, სადაც თანამედროვე სამკურნალო მეთოდებთან ერთად, გამოიყენება მკვდარი ზღვის უნიკალური ბიოორგანომინერალური პრეპარატები, რაც მკურნალობის ეფექტურობას მნიშვნელოვნად ზრდის. სწორედ ამიტომ, სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი“ პროსტატიტის მკურნალობის დადებითი შედეგები 95%-ს აღწევს.

დროული მკურნალობა თავიდან აგაცილებთ მნიშვნელოვან გართულებებს, რომლებიც უფრო მძიმე დაავადებებს იწვევენ და მკურნალობის ხანგრძლივობას ზრდიან.

მათ, ვისაც დღეს პროსტატიტი უმნიშვნელოდ გაწუხებთ და იოლად უყურებთ ამ პრობლემას, გახსოვდეთ, რომ ტრაგედიასთან, რომელსაც იმპოტენცია ჰქვია, თქვენ მხოლოდ ერთი ნაბიჯი გაშორებთ.

სამედიცინო ცენტრი
"ექიმი გილი"
ტ: 29-05-25 25-27-09
ზ. ფალიაშვილის ქ. 44/5

# ნაბრძანებია დაქორწინება და გამრავლება

ქალაქ-სახელმწიფოს, სინგაპურის მთავრობამ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, გაამრავლოს თავისი მოქალაქეები.

2003 წელს, წმინდა ვალენტინის დღეს დაიწყება კამპანია „შეყვარებული სინგაპურელი“, რომელიც ხალხში ოჯახური ცხოვრების პროპაგანდას გასწევს და შობადობას გაზრდის.

ამ უკიდურესი ნაბიჯისკენ ქვეყნის ხელისუფლებას გამოკითხვის შედეგებმა უბიძგა. გაირკვა, რომ 1500 გამოკითხული მარტოხელა ქალიდან ნახევარზე მეტი (30 წელზე ზემოთ) გათხოვების კატეგორიული წინააღმდეგია. მამაკაცები უფრო პოზიტიურად არიან განწყობილნი: ბერბიჭების 80% „პრინციპში“ უარს არ ამბობს ცოლ-შვილის ყოლაზე.

ქალაქ-სახელმწიფოს მამები გამოკითხვის მონაცემებმა გააოგნა და საქმეზე გადავიდნენ. თუმცა იმაზე არაფერს ამბობენ, როგორ აპირებენ მიზნად დასახული გეგმების ხორცშესხმას. სინგაპურელები თავებს იმტვრევენ, აინტერესებთ — მაინც როგორ განხორციელდება იდეა პრაქტიკულად?

***ეხო პლანეტი №45***

# მორიელების დედოფალი



კანჩანა კეტკო მორიელების დედოფლად არის ცნობილი. კანჩანა 30 წლისაა, ცხოვრობს ტაილანდის პატარა ქალაქ პატაიაში. მან 32 დღე-ღამე გაატარა 3400 მორიელთან ერთად 12-მეტრიან ოთახში. ოთახის კედლები მინისა იყო. კეტკოს უფლება ჰქონდა 8 საათში ერთხელ დაეტოვებინა ოთახი შხაპის მისაღებად. ტუალეტი და საწოლი მინის ოთახში იყო და მაყურებლის თვალისგან ფარდებით იყო დაფარული. კანჩანას ჰქონდა ტელევიზორი, ჟურნალები და ოთახის რამდენიმე მცენარე. ერთ თვეში დაიხოცა 400 მორიელი სიბერისა და ავადმყოფობისაგან, მაგრამ სანაცვლოდ გაჩნდა 500. მორიელებმა იგი 10-ჯერ დაკბინეს, ზოგჯერ თვითონაც იყო დამნაშავე — უნებურად დაადგამდა ხოლმე ფეხს. მაგრამ, საბედნიეროდ, გადარჩა. ექიმებს მიაჩნიათ, რომ კეტკოს ორგანიზმმა გამოიმუშავა იმუნიტეტი. იგი 7 წელია მორიელებთან მუშაობს, რაც ტურისტებს ძალიან მოსწონთ.

რეკორდის დამყარების პერიოდში კანჩანამ 4 კილო დაიკლო, თუმცა ნორმალურად იკვებებოდა. გახდომის ძირითადი მიზეზი უძილობა იყო. „მორიელებთან ცხოვრება იგივეა, რაც შინ, რამდენიმე ათას პატარა მეგობართან ერთად ყოფნა,“ — ამბობს იგი. ამჟამად კეტკო ამზადებს ფოტოებსა და ვიდეომასალებს გინესის წიგნისათვის.

მამაცი ტაილანდელი ქალიშვილი რომ უსათუოდ მოხვდება 2004 წელს გინესის წიგნში, არავის ეეჭვება.

***მირ ნოვოსტეი №45***

# გადაყშალეთ გული თუთიყუშს!



უელსის ქალაქ კარდიფში ოთხი წლის თუთიყუში, სახელად ჯესი, რეგულარულად ატარებს ფსიქოთერაპიის სეანსებს. „ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჩემთან კლიენტი მოვიდა და მითხრა, — ჩემს პრობლემებზე სალაპარაკოდ მოვედი, მაგრამ კონფიდენციალური ინფორმაციის არავისთვის გამხელა არ მინდაო“, მაშინ ჯესისთან საუბარი შევთავაზე, — ამბობს ექიმი რაიმონდ რობერტსი, — და ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა. სეანსის შემდეგ კლიენტი დამშვიდებული გამოვიდა, რადგანაც რაც აწუხებდა, იმაზე ილაპარაკა და ამავე დროს საიდუმლო არ გაუმხელია“.

ეს ექსპერიმენტი ექიმმა რობერტსმა თითქოს ხუმრობით დაიწყო. არც უფიქრია, რომ ფსიქოთერაპიულ ბიზნესში ახალი მიმართულება აღმოაჩინა: ჯესი დიდად პოპულარული გახდა! ორი თვის წინ თუთიყუშმა კლიენტების რეგულარულად მიღება დაიწყო. მასთან მოხვედრის მსურველები მიღებაზე წინასწარ ეწერებიან. მსურველები სეანსში 30 გირვანქა სტერლინგს იხდიან.

***ოგონიოკი***

# აშკარა დაუჯერებელი



ტეხასის შტატის პოლიციამ წარმატებით გამოიძია ერთი დანაშაულებრივი საქმე. შარშან მეტად გააქტიურდა რასისტთა გამოხდომები. ამერიკის მთელ სამხრეთს მოედო კუკლუსკლანელთაგან შავკანიანთა დარბევები. მათი აგრესიის მსხვერპლნი, ძირითადად, აფროამერიკელები არიან. საოცარია, მაგრამ თავდამსხმელის შეპყრობას ვერავინ ახერხებდა და არც რაიმე მტკიცებულებებს ტოვებდნენ. გამოძიება დიდხანს იყო ჩიხში, სანამ ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა საბედისწერო შეცდომა არ დაუშვა — ბრიყვმა თავისი თავსაბურავი დაკარგა.

პოლიციამ ნაპოვნი შეისწავლა და დაასკვნა, რომ კუკლუსკლანელთა თავსაბურავი საკმაოდ მძლავრ და დიდ საფეიქრო საწარმოში უნდა ყოფილიყო შეკერილი. გაირკვა, რომ ასეთ ქსოვილს ქსოვს ფაბრიკა, რომლის მფლობელი — ოღონდ ნუ გაიოცებთ! — აფროამერიკელი შავკანიანი ბობ მოულია. რაღას იზამდნენ — იგიც და მისი ხუთი თანამოსაქმე დააკავეს.

ასე რომ, დეკემბრის ბოლოს შედგება სასამართლო პროცესი, სადაც განიხილავენ ტეხასის შტატში ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივების საქმეს — ბრალდებულებად პროცესზე ექვსი შეძლებული შავკანიანი იქნება.

***ვოტ ტაკ! №45***

# ყველაფერი ყირამალა

უნგრელმა ქირურგმა ლასლო პაიორმა უჩვეულო ოპერაცია გააკეთა — ცოლ-ქმარს სქესი შეუცვალა. ქალი გარდაიქმნა კაცად, კაცი კი — ქალად.

თავდაპირველად კლინიკის თანამშრომლებს ეგონათ, მასხარად გვიგდებენო, ისე დაჟინებით მოითხოვდა ცოლ-ქმარი ოპერაციის გაკეთებას. პაიორმა მიმართა უცნაური ოჯახის პირად ფსიქიატრს. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ სქესის შეცვლა ცოლ-ქმრისთვის ახალი ცხოვრების დაწყების ერთადერთი შანსი არისო. საქმე ის იყო, რომ ცოლ-ქმარი ფსიქოლოგთან ბევრს ლაპარაკობდა ერთფეროვანი და მოსაწყენი ცხოვრების შესახებ და ახლა სცადეს, ისე შეეცვალათ ცხოვრება, რომ ერთმანეთს არ დაშორებოდნენ.

ლასლო პაიორმა გააფრთხილა ცოლ-ქმარი — სქესის შეცვლა ცხოვრებას გაგირთულებთო, მაგრამ გაფრთხილება მათ ყურად არ იღეს. „ახალი ქალის“ პირველი დაბრკოლება საავადმყოფოს ქალთა განყოფილებაში გადაყვანისთანავე დაიწყო. სხვა პაციენტებმა იგი არ მიიღეს და მისი ისევ მამაკაცთა განყოფილებაში დაბრუნება მოუხდათ.

ექიმი მართალია, მომავალში ცოლ-ქმარს ალბათ მართლაც სერიოზული ყოფითი და ფსიქოლოგიური სიძნელეები შეხვდება.

***ოგონიოკი***

# ვინ აცმევს რომის პაპს?



39 წლის ელიზაბეტ ბიანჩეტი, რომლის შესახებაც დღეს მთელი მსოფლიო ლაპარაკობს, ვატიკანისა და პირადად რომის პაპის მოდელიერია.

ბიანჩეტიმ საქმიანობა 15 წლის წინ დაიწყო. მაშინ ის სრულიად ახალგაზრდა იყო. ერთხელ, ღვთის მსახურებთან საუბრისას, შეიტყო, რომ ისინი საოცრად უკმაყოფილონი არიან თავიანთი ტანსაცმლით. მონაზვნებს არ ჰქონდათ გასაღების ჩასადები ჯიბე, ხოლო ბერებს ანაფორა კანს უკაწრავდა. ელიზაბეტმა გადაწყვიტა, გაელამაზებინა ცხოვრება ეკლესიის მსახურთათვის, შეუქმნა მათ თანამედროვე და პრაქტიკული უნიფორმა. შემოიარა ყველა ეკლესია-მონასტერი და შესთავაზა მათ თავისი ტანსაცმელი, მაგრამ მისი ყიდვა არავინ მოისურვა. მისი მოდელები საკმაოდ ახალგაზრდული, ფერადი და თანამედროვე იყო, მაგრამ ქალმა არ დაყარა ფარ-ხმალი. შეისწავლა საეკლესიო ლიტერატურა, უძველესი ფრესკები და ყველაფერმა ამან შესანიშნავი შედეგი გამოიღო.

დღეს ახალგაზრდა ქალს 7 საწარმო აქვს მთელ იტალიაში. მისი მოდელები ადგენენ კატალოგებს, რომლებსაც უგზავნის კათოლიკე მღვდლებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ის უკერავს სამოსს რომის პაპსაც. ამ ბოლო დროს მოხუც, ავადმყოფ კათოლიკეთა სულიერ მამას ძალიან მსუბუქი ტიარა შეუკერა.

***ინტერპოლ-ექსპრესი***

# ნინ, ფინჯანი ყავით!

ცნობილია, რომ ყავის მოთაყვანენი უფრო ქალები არიან. დიდხანს ვერ ამოეხსნათ მეცნიერებს ამ ფენომენის საიდუმლო. თუმცა არც ისე დიდი ხნის წინ ინგლისელმა სპეციალისტებმა მგონი მიაგნეს საიდუმლოს გასაღებს.

როგორც გაირკვა, კოფეინი ტკივილის შეგრძნებას აქვეითებს. ცდისპირებს სთხოვეს, ყინულოვან წყალში ხელი ჩაეყოთ და იმდენ ხანს გაეჩერებინათ, რამდენსაც შეძლებდნენ. ამასთან, მსურველებს ყავა ეძლეოდათ. გაირკვა, ისინი, რომლებიც ყავას არ სვამდნენ, გაყინული ხელის ტკივილს ვეღარ უძლებდნენ და ექსპერიმენტსაც ეთიშებოდნენ. ისინი კი, რომლებიც ღმერთების სასმლით იმაგრებდნენ თავს, ტკივილს გაცილებით დიდხანს უძლებდნენ. ვარაუდის გასამართლებლად ცდისპირებს სხვა მტკივნეულ გამოცდასაც უტარებდნენ და ყოველთვის გამარჯვებული ყავა რჩებოდა. საინტერესო ის გახლავთ, რომ ყავა ტკივილს უფრო უამებს ქალებს, ვიდრე მამაკაცებს. ახლა სამხედროები ფიქრობენ, ხომ არ გამოიყენონ ყავა საბრძოლო მოქმედებების — მაგალითად, შეტევაზე გადასვლის წინ ჯარისკაცებს ყავა ხომ არ მიართვან?!

***ვოტ ტაკ! №45***

# მოცინარი ჩინურად



ჩინეთმა წლეულს ევროპას პირველად წარუდგინა კონფუცის დროინდელი უძველესი ხელოვნების ნიმუშები. გამოფენა გერმანიაში, ქალაქ ობერჰაუზენში გაიმართა.

ტრადიციულ ხელოვნებასთან ერთად (რომელიც ათასწლეულებს ითვლის) ჩინელებმა გერმანელებს მოდერნიც უჩვენეს. მაგ. ბუდას ქანდაკების გვერდით თანამედროვე ჩინეთის ფოტოინსტალაციაა გამოფენილი.

ყველაზე მოულოდნელი დამთვალიერებლებისთვის მაინც ცნობილი იტალიელი მხატვრის, სანდრო ბოტიჩელის „ვენერას დაბადების“, ასე ვთქვათ, ჩინური რიმეიქი გახლდათ. მხატვარმა ძი ვენდმა თავისი ვენერა შექმნა — მას გარს ჩინური ფოლკლორის გმირები ახვევია.

გამოფენა ჩინეთის „ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნება“ გერმანიისა და ჩინეთის 30-წლოვან დიპლომატიურ ურთიერთობებს ეძღვნება.

***ნიუ ზუიქი***

# სპილო ზეიმიდან გააგდეს

ინდუისტური დღესასწაულის — დურგა პუჯას დროს ქალაქ ჩაიბასას ქუჩებში სპილო გამოჩნდა. ალბათ ადგილობრივი კულინარების მიერ დამზადებული ნუგბარი კერძების სურნელმა მიიზიდა. გოლიათის დანახვაზე მოქალაქენი პანიკამ მოიცვა — საშველად პოლიციელს უხმეს და გაჭირვებით მიაბრძანეს დაუპატიჟებელი სტუმარი ქალაქგარეთ.

ამ უჩვეულო ოპერაციის ჩასატარებლად პოლიციას 2 საათი დასჭირდა. მასპინძლების უგულობამ სპილო ისე გააბრაზა, რომ გადათელა სამი ჯიხური და რამდენიმე ქვის კედელიც დაანგრია. საბედნიეროდ, სპილოს მრისხანებას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

***ნატურალისტი***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში იმ სიტყვებს ამოიკითხავთ, რომლითაც დემოსთენე, ცნობილი ათენელი ორატორი და სახელმწიფო მოღვაწე სიკვდილს მოიხსენიებდა.

| ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ | ა | რ | მ | ო | ი | წ | ყ | ე | ნ | თ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ა | ნ | ი | ა | ე | ნ | ი | ს | ტ | ს | ნ | ი | ა | ნ | ა | ი | ბ | ო | ი | ჯ | ა | ი |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**ჩ.** ჩინეთში გავრცელებული ძაღლის ჯიში, რომელსაც ლურჯი ენა და როგორც ჩინელები ამბობენ, ძალიან გემრიელი ხორცი აქვს; **ვ.** აზნაურის ტიტული, საშუალო ბარონსა და გრაფს შორის; **ე.** გარკვეული დისტანციის ცალკეული მონაკვეთი; **ნ.** ნიკოლოზის როლის შემსრულებელი ფილმში „უდიპლომო სასიძო“; **თ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ა.** ყაჩაღი, რომელსაც მცხეთაში დაუდგეს ძეგლი; **ნ.** ღმერთის მიერ ევას შესაქმნელად გამოყენებული „ნახევარფაბრიკატი“; **ე.** რა ერქვა ჰემინგუეის; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **თ.** რაიმე პატარა ნივთი, რომელსაც ცრურწმენით მფლობელისათვის ბედნიერების მოტანა შეუძლია; **ა.** განთიადი; **დ.** რა ცხოველია გრიზლი; **ა.** ტროპიკული ხილი; **რ.** სამაგიეროს გადახდა; **მ.** მყიდველი, მომხმარებელი, დამკვეთი; **ო.** რა ერქვა ჰამლეტის საცოლეს; **ი.** ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც საკუთარმა ძმებმა ეგვიპტეში, მონობაში გაყიდეს; **წ.** ის, რასაც ყველა მორწმუნე ღმერთისგან ელის; **ყ.** ქართველი მსახიობი მამაკაცი; **ე.** მეგრული კერძი; **ნ.** ბუდისტების სამოთხე; **თ.** მცენარე, რომლის ტოტისაგანაც ჩიჩილაკი მზადდება.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დისპუტი; **ა.** ათინათი; **ი.** იუმორი; **ს.** სათითე; **ვ.** ვივალდი; **ე.** ებრაელი; **ნ.** ნეაპოლი; **ე.** ეკლერი; **პ.** პრესა; **ა.** აქსიომა; **ლ.** ლუიდორი; **ი.** იაგუარი; **ტ.** ტრიბუნა; **რ.** რეჟიმი; **ა.** ალიანსი; **ს.** სოსელო; **თ.** თავლა; **ა.** აკაკი; **ნ.** ნირვანა; **ე.** ელჯი; **რ.** რეიგანი; **თ.** თუშეთი; **ა.** არითმია; **დ.** დიანა.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება:: სიმთვრალე სიგიჟის ვარჯიშია.**

ჰოლივუდის ვარსკვლავმა კრისტიან სლეიტერმა ყოველთვის იცოდა, რომ ნამდვილმა მამაკაცმა უნდაააშენოს სახლი, დარგოს ხე და იყოლიოს შვილები. სლეიტერს ეს ყოველივე მაშინ გაუჩნდა, როცა იმედი გადაწყვეტილი ჰქონდა.

კრისტიანის დედა, მერი სლეიტერი, რეჟისორი იყო, ხოლო მამა — „საპნის ოპერების" ვარსკვლავი მაიკლ ჰოკინსი. კრისი ბავშვობიდანვე სოლიდურ თანხას შოულობდა შოუბიზნესში. თავიდან პამპერსებს უკეთებდა რეკლამას, ლოყაწითელა, ბუთხუზა ბავშვის ფოტოებით მთელი ამერიკა იყო აჭრელებული. შემდეგ გადავიდა ტანსაცმლის რეკლამაზე, ხოლო 17 წლისას დედამ როლი უშოვა პოპულარულ ახალგაზრდულ სერიალში. მისი ნათელი სახე, მომხიბვლელი ღიმილი მოეწონა რეჟისორს. ამ როლს ურიცხვი მიწვევა მოჰყვა. სხვა რაზე უნდა ეოცნება ბიჭს, რომელიც ეკრანზე ჩნდება შონ კონერთან ერთად. კრისტიანმა გაიცნო და დაუმეგობრდა რობერტ დაუნი-უმცროსს. მოგვიანებით მათ შეუერთდა ჯონი დეპიც... და დაიწყო სმა, „ბალახის" მოწევა, რასაც მოჰყვა ნარკოტიკები.

თითქოსდა ასეთი ყმაწვილები არ უნდა მოსწონდეთ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს, მაგრამ აბა, რას გაუგებ ქალს! ჭკუას კარგავდნენ ამ შფოთიან სამეულზე. სლეიტერის დონჟუანური გამარჯვებების სიას ამშვენებდნენ უაინონა რაიდერი, კრისტი ტარლინგტონი და პატრისია არკეტი. სწორედ მაშინ განაცხადა შარონ



# კრისტიან სლეიტერი: „ვსწავლობ, ვიყო კარგი მამა და ქმარი"

სტოუნმა — მანამ ვერ მოვისვენებ, ვიდრე ეს ყმაწვილი ჩემი საყვარლის როლს არ ითამაშებს ფილმშიო. ეს რომ სლეიტერმა გაიგო, მშვენივრად მიხვდა, რას უარაკებდა ლამაზი ქალი...

სლეიტერმა სმას მიჰყო ხელი. ერთხელ წვეულებაზე ისე გაილეშა, რომ მეგობარი გოგონას შენიშვნაზე, — გეყოფა, უკვე მთვრალი ხარო, ისე სთხლიშა მუშტი, რომ საწყალი იატაკზე უგონოდ დაეშვა და კრისტისნმა 3 თვის პატიმრობასაც გამოჰკრა ხელი. მაგრამ ნათქვამია, დაღმართს აღმართი მოჰყვებაო და სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო. ციხიდან გამოსული კრისტიანი „ანონიმური ლოთების" კლინიკაში დაწვა, იქ მკურნალობდა ჟურნალისტი რაიენ ჰელდონიც.

რაიენი ცნობილი ფოტომოდელისა და მსახიობის ქალიშვილია. ბავშვობა გაატარა პარიზში, სადაც იოლი ცხოვრების სტილი არჩია... კლინიკაში „ანონიმური ლოთები" ერთმანეთს თავ-თავიანთ ამბებს უყვებოდნენ. ჰელდონი მწარედ ააქვითინა სლეიტერის ნაამბობმა. კრისტიანმა დასამშვიდებლად გოგონას მხარზე ხელი მოხვია, ცრემლიან თვალებში ჩახედა და მიხვდა, რომ უიმისოდ ველარ იცოცხლებდა.

მალე ჯვარი დაიწერეს და ნიუიორკში, კრისტიანის ბინაში დასახლდნენ. წლისთავზე ვაჟი — ჯეიდენ ზეკი შეეძინათ. „ბავშვს რბილი კალიფორნიული კლიმატი უფრო მოუხდება", — გადაწყვიტეს მშობლებმა და ლოს-ანჯელესის გარეუბანში გადასახლდნენ, გასული საუკუნის 30-იან წლებში აგებულ სასახლეში. მაშინ რაიენი უკვე მეორე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ. დღეს სლეიტერების ქალიშვილი ერთი წლის არის. ამიტომ სახლის გარემონტების დროს ცოლ-ქმარი პირველ რიგში იმაზე ზრუნავდა, რომ მათ შვილებს თავი ლაღად ეგრძნოთ. „ჩვენი სახლი თოჯინის სახლს ჰგავს, — ხუმრობს სლეიტერი, — მაგრამ ჯერჯერობით გვყოფნის. თანაც გვაქვს ულამაზესი ბაღი, სადაც პირდაპირ სასტუმრო ოთახიდან გავდივართ. ბაღში ლიმონის ხეები, ვარდის ბუჩქები, უნაზესი კამელიები ყვავიან. თბილ ამინდში მთელი ოჯახი აუზში ვნებივრობთ".

სახლი გაწყობილია ევროპის ანტიკვარულ მაღაზიებში შეძენილი ავეჯით და კარგად ერწყმის დიზაინს. XIX საუკუნის წითელი ხის ყავის მაგიდა რაიენმა ინდოეთში შეიძინა, ასევე მარმარილოს ბუდა, რომელიც ბუხარს ამშვენებს. რაიენი ბუდიზმით იყო გატაცებული. ის დარწმუნებულია, რომ აღმოსავლელ ბრძენთა რჩევებმა უშველა, დაეძლია ცხოვრებისეული სირთულეები, დაეხმარა, კრისტიანში ლოთი და ჩხუბისთავი კი არ დაენახა, არამედ კეთილშობილი ადამიანი. ამბობს, — „ჩვენი კავშირი თავიდანვე სულიერ დონეზე გადაწყდა, რამაც განამტკიცა ჩვენი ურთიერთობები".

„ჩვენ ერთად ვსწავლობთ, ვიყოთ მშობლები, სწორად აღვზარდოთ შვილები, რათა მათ არ გაიმეორონ ჩვენი შეცდომები. ბოლო დროს ვცდილობ ვითამაშო არა მთავარი, მაგრამ სახასიათო როლები, რომ გადაღებებს შორის მეტი დრო გავატარო შინ", — ამბობს კრისტიანი. რაიენს კი ამ დროს შეუძლია შვილები მამიკოსთან დატოვოს და ტელევიზიაში შუადღის ტოკ-შოუ წაიყვანოს. „თითქოს მშვენიერ სიზმარში ვცხოვრობ, — იღიმება რაიენი, — და მეშინია გაღვიძების. ყველაფერი, რაც გარს მარტყია, ემთხვევა იმას, რაც ჩემს სულში ხდება".

***7 დღე №45***




## ჯესიკა ლანგის ახალი ჯილდო



სან-სებასტიანის კინოფესტივალზე ამერიკული ეკრანის ვარსკვლავმა ჯესიკა ლანგმა „დიდი ღვაწლისათვის მსოფლიო კინემატოგრაფიაში" საპატიო ჯილდო მიიღო. შეგახსენებთ, რომ მსახიობი დაიბადა კლოკეტში — მინესოტის შტატში, მაღაზიის გამყიდველისა და დიასახლისის მრავალშვილიან ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა მინესოტის უნივერსიტეტში, თანამედროვე ხელოვნების განყოფილებაზე, მაგრამ არ დაასრულა. ბევრს მოგზაურობდა. პარიზში ცეკვავდა „ოპერა კომიკში". მისი დებიუტი შედგა 1976 წელს „კინგ კონგში". მსახიობის ნიჭი და პროფესიული ოსტატობა გამოჩნდა ფილმებში: „ფოსტალიონი ყოველთვის ორჯერ რეკავს", „ფრენსისი", „ტკბილი ოცნებები" („ოსკარის" ნომინაცია), „სოფლელი" („ოსკარის" ნომინაცია), „ტუტსი" („ოსკარი"), „ლაჟვარდოვანი ცა" („ოსკარი" ქალის საუკეთესო როლისათვის).

## ვარსკვლავთა ახირებები

# იარები, იარები...

**მოდაშია იარა. იარით დღემდე მხოლოდ მამაკაცები ამაყობდნენ, ახლა ქალებიც იწონებენ თავს.**

**ქეტრინ ზეტა-ჯონსს** მკერდიდან კისრამდე ასდევს ნაიარევი. ხუთი წლის იყო, სასწრაფო ოპერაცია რომ დასჭირდა, რასაც კინაღამ გადაჰყვა. მსახიობი ძალიან ამაყობს ამ იარით და უარს ამბობს მის მოცილებაზე.



**სანდრა ბალოკმა** 11 წლის ასაკში დაიმშვენა მარცხენა წარბი იარით — თამაშის დროს კლდიდან ჩამოვარდა. თუკი ჰარისონ ფორდს შეუძლია იარით თავი მოიწონოს, მასზე ნაკლები არც მე ვარო, — ამბობს სანდრა.

ჩემი ყველაზე საუკეთესო იარა აპენდიციტის შემდეგ გაჩნდა, — ამბობს **მელ გიბსონი**.

ბრმა ნაწლავი კი მსახიობს თვითმფრინავში ასტკივდა. დაეშვა თუ არა თვითმფრინავი, მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს. მას შემდეგ უზარმაზარი ნაწიბური მიმშვენებს მუცელსო, — ამაყად აცხადებს მელი.



**ჰარისონ ფორდს** იარა ნიკაპზე აქვს, ტუჩთან. ყმაწვილკაცობაში ის ლოს-ანჯელესის ერთ-ერთი დიდი მაღაზიის გამყიდველად მუშაობდა. ერთ საღამოს შინ მიმავალი ავტოავარიაში მოხვდა, არადა სწორედ იმ მომენტში უსაფრთხოების ქამარს იკრავდა. მას შემდეგ არასოდეს მიცდია ამ სუვენირის მოცილებაო, — ამბობს ვარსკვლავი.

მშვენიერი ბანოვანი **კარმენ ელექტრა** მუხლზე ნაიარევს არასოდეს მალავს. თავისუფლად დაქრის მინიკაბითა და ბიკინებით. „ბავშვობისას ველოსიპედიდან გადმოვვარდი. მეორე მუხლზეც მაქვს ღრმულივით რაღაც. ქორეოგრაფიაში ვვარჯიშობდი და სცენაზე გავიშხლართე."

ყველაზე იდუმალი იარა **შარონ სტოუნს** აქვს — კისერზე. არსებობს რამდენიმე ვერსია ამ იარის გაჩენისა, თავად მსახიობს არც ერთი მათგანი არ უარუყვია და არც თვითონ ძრავს კრინტს მისი წარმოშობის შესახებ. ერთ-ერთი ვერსიით, ეს იარა ვნებიანი სიყვარულის ღამის სახსოვარია, მეორე ვერსიით — თითქოს ძმა უპირებდა მოკვლას...



# როგორ იკვებებიან ვარსკვლავები?

**ჰოლივუდის ვარსკვლავები — ჩვენსავით ჩვეულებრივი ადამიანები არიან, მხოლოდ ძალიან ცნობილები. ფორმის შესანარჩუნებლად საყოდავები იძულებულნი არიან, ცოტა ჭამონ, ივარჯიშონ, უარი თქვან სადილის შემდეგ დალევასა და მოწევაზე...**

**მადონა** დიდი თაყვანისმცემელია სხვადასხვა ჯიშის კომბოსტოს კერძების. სწორედ კომბოსტოს დიეტა, ფიზიკურ ვარჯიშებთან ერთად, დაეხმარა მას ჩამოგარიყო ფორმაში მშობიარობის შემდეგ. გარდა ამისა, დღეში სვამს არანაკლებ რვა ჭიქა მინერალურ წყალს.

**კლაუდია შიფერს** არ შეუძლია დიდხანს შიმშილი. ამიტომ სრულყოფილად იკვებება, მაგრამ სვამს უამრავ მწვანე ჩაის, რაც ეხმარება ორგანიზმიდან წიდების გამოდევნაში.




**სინდი კროუფორდიც** ვერ იტანს ხანგრძლივ დიეტას. ცდილობს ნაკლები ცომეული და ტკბილეული ჭამოს. უყვარს თევზი, ბოსტნეული და მწვანილი, განსაკუთრებით ოხრახუში, კვირაში ერთხელ ბრინჯის დიეტაზეა.

**ჯეინ სეიმური** კვირაში ერთ დღეს განმტვირთავ დიეტას იცავს. სვამს მხოლოდ 15 ჭიქა წყალს.

**პეტა უილსონმა** იმდენი იშიმშილა, რომ ანორექსია დაემართა, მაგრამ მერე მოახერხა თავის გამოჯანმრთელება და ახლა მხოლოდ თვეში ერთ დღეს იცავს დიეტას.

CMYK

# „ვინ მოერევა მაფიას“

## „რუსები „რიცარს“ ემახდნენ და ქართველებმა გაიმეტეს...“

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

— თუ პაატასა და საერთოდ, შევარდნაძის ოჯახს გულისხმობთ — ეს აბსურდია. არც არასდროს არ ყოფილა მცდელობა. ისე, დღეს ამაზე ლაპარაკი არ მინდა...

კახი ასათიანის საკუთრებას წარმოადგენდა „ველოტრეკთან“ მდებარე „მერსედესის“ ფირმა, სადაც გერმანიიდან შემოჰყავდათ მანქანები. ჩვენი ინფორმაციით, დაახლოებით ორი თვის წინ „რაღაც“ მოხდა. ზუსტად ვის უკავშირდებოდა ეს „რაღაც“, ჯერჯერობით, არ იშიფრება. სხვათა შორის, ქალბატონმა ლუიზამ (კახი ასათიანის მეუღლე) ჩვენთან საუბრისას მკვლელობის „აირზენასთან“ დაკავშირებული ვერსია გამორიცხა და ასეთი რამ გვითხრა: „შესაძლებელია „მერსედესის“ ფირმის წართმევა უნდოდა ვინმეს და ამიტომაც მოიცილეს...“

კახი ასათიანის მეუღლე მიიჩნევს, რომ კახი ასათიანის მკვლელობა მაფიის მიერ არის მოწყობილი და ამდენად. არასოდეს გაიხსნება.

ამბობენ, რომ გასროლა „ბმვ“-ს ტიპის მანქანის ლუკიდან მოხდა. მკვლელმა გასროლა დაძრული მანქანიდან განახორციელა, რაც იმის მანიშნებელია, რომ მანქანას მეორე პიროვნება მართავდა. ეს არც გამომძიებელ თოფჩიევს დაუმალავს: „სავარაუდოდ მანქანაში ორი, ან მეტი პიროვნება იყო, თუმცა გასროლა რომ ლუკიდან მოხდა, ეს თქვენგან პირველად მესმის“. დადგინდა, რომ ეს იყო AKM-ის ტიპის ავტომატი, რომელსაც მაყუჩი ჰქონდა გაკეთებული და შესაბამისად, გასროლისას, უმნიშვნელო ხმას გამოსცემდა. ამჟამად ბალისტიკური ექსპერტიზაა დანიშნული, თუმცა ნაკლებდამაჯერებელია, რომ იარაღი რეგისტრირებული აღმოჩნდეს. როგორც შსს-თან არსებული ბალისტიკური ექსპერტიზის უფროსმა ზაზა ალთუნაშვილმა განგვიცხადა, ამის დადგენას ერთი თვე ან თვენახევარი დასჭირდება, მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუ იარაღი არარეგისტრირებულია, საინტერესო ერთი დეტალია, ხომ შეიძლება ამ იარაღით სხვა დანაშაულიც იყოს ჩადენილი და ამდენად, კვალზე გასვლა მოხერხდეს?! ვნახოთ, რას დაადგენს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული 16 მასრითა და 3 ტყვიით ბალისტიკური ექსპერტიზა. ჩვენ კი გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს კახი ასათიანის მეუღლესთან.

**ლუიზა ასათიანი:** ვერ ვხვდები, კახის ვინ ერჩოდა... კაცი, რომელიც ღირსებასა და თავმოყვარეობას ყველაფერზე მაღლა აყენებდა. შვილები... ოჯახი... მაკა სულ დასცინოდა: მამა, ციდან დაეშვი, რომელ საუკუნეში ცხოვრობო. ერთ სასაცილო ამბავს მოგიყვებით: მაკამ მაღაზია რომ გახსნა, კახიმ საგადასახადო კოდექსი მიუტანა. მამა ეს რა არისო? გოგო, თავი არ მომჭრა, უკადრებელი არ იკადროო. მამა, რაზე მელაპარაკებიო, — გაგიჟდა მაკა. „ეს კარგად შეისწავლე, გადასახადები არ დამალოო...“ ასეთ კაცს რომ ჩაცხრილავენ არ ვიცი, რა ვთქვა. რუსები „რიცარს“ ემახდნენ და ქართველებმა კი გაიმეტეს...

მკვლელობის დღეს კახიმ გამომიარა (მეორე დღეს მაკას ჩვენება ჰქონდა), კახის შოთა ყავლაშვილის მეუღლისთვის გადასაცემი მოსაწვევი გადავეცი, რომელიც ჩვენგან სამი სახლის იქით ცხოვრობს. კახიმ მითხრა, შენ მაკას მიეხმარე, მოსაწვევს მძღოლს ავატანინებ. შენ მარიანას დაურეკე, სახლიდან გამოვიდეს, გარეთ დამხვდესო (შვილიშვილზეა საუბარი). კახის მასზე ჭკუა ეკეტებოდა. მაკას მაღაზია ბარნოვის №172 მდებარეობს, ეს ამბავი კი, №144 სახლთან მოხდა. ჩემი დაც იმ სახლში ცხოვრობს. მცდარი ინფორმაციაა, თითქოს კახის მაკა ეჯდა მანქანაში. მაკას ამ დროს, როგორც გითხარით, რეპეტიცია ჰქონდა. შვილიშვილმა დამირეკა — „ბაბუკი“ სად არისო. ვუთხარი, ორ წუთში გარეთ იყავი, მოვა-მეთქი. ცოტა ხანში ვიღაც ქალი მოვიდა და მითხრა: ახლა დავინახეთ თქვენი მანქანა, ბატონი კახი შევიცანით, მგონი დაჭრილიაო. მივტრიალდი და მაკას ვუთხარი: მაკა, დედა, გავიქცეთ ჩქარა-მეთქი. მაკამ იცით, რამდენი იცინა? კარგი რა, ხომ არ გაგიჟდი, კახის ვინ ესროდაო. მანქანაში ჩემი ძმისშვილიც ჩაჯდა, ორივე დამცინოდა — ვიღაც გიჟის ჭორს აჰყევიო...

— **მკვლელობამდე ოჯახში ან მის მობილურზე, რაიმე საეჭვო ზარები, ან მუქარა ხომ არ ყოფილა?**

— არანაირი. კახი კვირას ჩამოვიდა მოსკოვიდან და გერმანიაში აპირებდა წასვლას, „მერსედესის“ ფირმასთან დაკავშირებით გეგმა ჰქონდა დასამტკიცებელი.

— **სამართალდამცავებმა მისი ჯიბიდან იარაღი ამოიღეს...**

— ამ იარაღს მთელი ცხოვრება ატარებდა. ისეთი კაცის ნაჩუქარიაო, ასე მეუბნებოდა. არ ვიცი, ვისი ნაჩუქარი იყო. სიმბოლურად ედო ჯიბეში. ვეუბნებოდი: კაი რა, იარაღი რად გინდა-მეთქი. არა, მინდაო, — უყვარდა იარაღი.

— **როგორ ფიქრობთ გამოძიებას რაიმე ხელმოსაჭიდი აქვს?**

— პროკურორმა მითხრა, რომ რამდენიმე ვერსია მუშავდება. დღეს ვინ რას მეტყვის...

— **გაქვთ გამოძიების იმედი?**

— ნარჩემაშვილზე ამბობდა, ეგეთი მინისტრი არ გვყოლიაო. არაჩვეულებრივი იურისტია და როგორ მენანება, რომ გააფუჭონო. დარწმუნებული ვარ, რომ სამართალდამცავები დღე და ღამეს გაასწორებენ, რომ კახის მკვლელობა გახსნან, და თუ ვერ გამოიძიებენ, მაინც მადლობას ვეტყვი, რადგან ეგენი ბოლოში დგანან,



მთავარია, სათავეში ვინ დგას. ჩვენს საზოგადოებაში თანდათან მკვიდრდება აზრი, რომ იტალიას ვემსგავსებით. ის რაც დღეს ფესვებს იდგამს, მის ამოძირკვას საუკუნეები დასჭირდება.

— **მაფიას გულისხმობთ?**

— რა თქმა უნდა. როგორც უკვე გითხარით, ნარჩემაშვილი და გაბრიჩიძე ბოლოში დგანან. დარწმუნებული ვარ, თავს დადებენ, მაგრამ ვერაფერს მიაკვლევენ. განა იმიტომ, რომ არ მოინდომებენ. რუსეთი მონსტრი ქვეყანაა და ყველამ კარგად იცის, ლისტევიდან დაწყებული, რა ხალხი დახოცეს. გაიგო ვინმემ რამე? ამ გაჭირვებულ საქართველოში კი ეგენი მოერევიან მაფიას?

ქალბატონ ლუიზასგან განსხვავებით, დანაშაულის გახსნის იმედი აქვს სპორტულ კომენტატორს და კახი ასათიანის დიდი ხნის მეგობარს, ნუგზარ ჯუღელს, რომელსაც კახი ასათიანთან საინტერესო მოგონებები აკავშირებს.

**ნუგზარ ჯუღელი:** გაუხსნელი მკვლელობა არ არსებობს. მე კახისთან 40-წლიანი მეგობრობა მაკავშირებდა. ეს იყო კაცი, რომელსაც იმედს ვუწოდებდი. ლხინი იყო, გაჭირვება თუ პრობლემა, მისი სახით ჩემს ცხოვრებაში იყო ადამიანი, რომელიც უცებ მოაგვარებდა ყველაფერს. იცით, ისეთ რაღაცებს ამჩნევდა ცხოვრებაში, რასაც ჩვეულებრივი ადამიანი ვერ შენიშნავდა. ერთხელ კახი მიყვება: ბათუმში მივდივარ და მანქანის წინ ფრინველი ამიფრინდა. ველარ დავამუხრუჭე და გადავუარეო. მერე მოხდა საოცრება — უკან რომ ვბრუნდებოდი, მეორე ფრინველი ჩამივარდა ისევ მანქანაში. ალბათ, შეყვარებული ცოლ-ქმარი იყვნენო.

*მარინა მამისაშვილი*

# აშვეთია და დემეტრაძე ტერაქტს გადაურჩნენ

რუსეთში საფეხბურთო სეზონი დასრულდა და გუნდები ოთხთვიან შვებულებაში გაუშვეს. თუმცა, სეზონის დასრულება სულაც არ ნიშნავს ძილს. პირიქით, რუსეთში სწორედ ახლა იწყება ყველაზე მჩქეფარე პერიოდი — სატრანსფერო გაწამაწია.

სამწუხაროდ, არც ამ სეზონში დარღვეულა ბოლო სამი წლის ტენდენცია და ქართველები წამყვან კლუბებში ძველებურად ველარ ხვდებიან. ეს არც არის გასაკვირი, თუკი გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას: რუსული პრემიერლიგა ბოლო დროს ფინანსურად წელში გვარიანად გაიმართა და ისეთ ლიგებსაც გადაუსწრო, როგორიც არის ჰოლანდიის, ბელგიის, შვეიცარიისა და პორტუგალიისა.

მართალია, ფინანსური კეთილდღეობა რუსულ კლუბებს სპორტულ შედეგებზე ჯერაც ვერ დაეტყოთ, მაგრამ ჩრდილოეთში თამაში ქართველი ფეხბურთელისთვის უკვე გართულდა, რუსები უკვე ევროპასა და ამერიკას გადასწვდნენ და ქართველებიც ძველებურ პატივში აღარ ჰყავთ.

თუმცა, არიან გამონაკლისებიც: ლიგის მაჩანჩალის, ვლადიკავკაზის „ალანიას“ პრემიერლიგაში დატოვება ქართული ფეხბურთის გაზრდილთა დამსახურება რომ არის, ამაზე არავინ კამათობს: ძმები ბაზაევების, თეთრაძის, დემეტრაძისა და აშვეთიას ძალისხმევის გარეშე ოსურ კლუბს პირველ ლიგაში დაქვეითება ელოდა. აშვეთიამ და დემეტრაძემ გაიტანეს „ალანიაში“ გოლების 50 პროცენტი. ეს შედეგი მით უფრო დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული დუეტი რუსეთში ზაფხულის შემდეგ თამაშობს. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ამ ქვეყნის წამყვანი გუნდების მწვრთნელებს და შემდეგ უკვე მიხეილ აშვეთიასგან შეიტყობთ, სად შეიძლება გააგრძელოს კარიერა 25 წლის ქართველმა ფორვარდმა...

— **მიშა, როგორ შეაფასებ რუსეთში გატარებულ სეზონს?**

— წარმატებულად. მე და გიორგიმ კლუბის იმედები გავამართლეთ და შევძელით ის, რისთვისაც მიგვიწვიეს „ალანიაში“. ორივესთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ სკამზე ჯდომის შემდეგ ძლივს მოგვეცა თამაშის საშუალება. „ალანია“ ლიგაში დარჩა და ესეც სასიხარულოა. წელს ოსებს სხვა მიზანი არც ჰქონდათ.

— **ცსკა-ში მართლა გიწვევენ?**

— ეს ინფორმაცია მეც რუსული გაზეთებიდან შევიტყვე. ყველაზე რეალურია, რომ „შინიკში“ გადავიდე. მათთან მოლაპარაკებას დღემდე ვაწარმოებ. „შინიკი“ უკვე სერიოზულ გუნდად ითვლება, ევროთასებზე ითამაშებს და ორი აზრიც არ არსებობს, რომ დღეს „ალანიას“ ორი თავით სჯობია.

საერთოდ, აშკარაა, რომ ბოლო დროს რუსეთის ჩემპიონატის დონემ აიწია, ორი წლის წინაც ვთამაშობდი „ალანიაში“ და მიკვირს, რა სწრაფი ტემპებით მიდიან წინ. „ლოკომოტივის“ ჩემპიონთა ლიგის შემდეგ წრეში გასვლაც არ არის შემთხვევითი მოვლენა. დანიიდან „ალანიაში“ რომ მოვდიოდი, გული მეთანაღრებოდა. ევროპელები ფეხბურთს თანამედროვედ აღიქვამენ და ვფიქრობდი, საკმაოდ უკან ვდგამდი ნაბიჯს. საბედნიეროდ, შევმცდარვარ.

— **„ალანია“ და „შინიკი“ არიან კი ის გუნდები, რომლებიც ნაკრებში ფეხის მოკიდების საშუალებას მოგცემს?**

— ნაკრების მწვრთნელისთვის მთავარია, ფეხბურთელი როგორ ფორმაშია. „რეალის“ სათადარიგოებში რომ ვიჯდე, უპრობლემოდ მიმიწვევდნენ? თუმცა კარგად მესმის და ჩემი სურვილიც არის სერიოზულ გუნდში თამაში. იქნებ, მომავალ წელს ასეთად „ალანია“ იქცეს. ეს ერთადერთი გუნდია, სადაც შეგუების პრობლემა არ მქონია. წელს ცხოვრებაში საუკეთესო სეზონი ჩავატარე. ეს ფაქტორიც არჩევანზე მო-



ქმედებს. საერთოდ, „ალანიაც“ ვერ ძლებს ქართველების გარეშე, მაგრამ მე ჩემი გზა და მიზნები მაქვს. უამბიციო გუნდში თამაშიც არ მეპიტნავება.

— **ცსკა-სთან დაკავშირებით არადამაჯერებლად ჟღერს თითქოს მათი დაინტერესების თაობაზე პრესიდან შეიტყვე. გამოდის, რომ რაღაცას მალავ, ან ეს ინფორმაცია არასწორია.**

— რომ არ დაგიმალოთ, ამ თემაზე საუბარი იმიტომაც არ მსურს, რომ თვითონაც ვერ გავრკვეულვარ ბოლომდე, რა შეიძლება მოხდეს. ინტერესს კი ნამდვილად იჩენენ. საბოლოოდ ტრანსფერის საკითხი დეკემბრისთვის გადაწყდება... ძალიან არ მინდა მოლაპარაკება ჩაიშალოს. ცსკა მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად იბრძოლებს და მეც მინდა ლიგაში თამაშის შესაძლებლობა მომეცეს. ასეთი რანგის ტურნირში მონაწილეობა უფრო თავდაჯერებულს გამხდის და ნაკრებში მოხვედრაც არ გამიჭირდება.

— **დემეტრაძე უკრაინაში გადასვლას მართლა აპირებს?**

— გიორგის „ბრიუგეც“ იწვევს, მაგრამ უფრო რეალურია დონეცკის „მეტალურგში“ ითამაშოს.

— **რუსულმა მასმედიამ რატომღაც ძალიან მიჩქმალა ვლადიკავკაზში, სტადიონზე მომხდარი ტერაქტი. იქნებ, შენ უფრო დაწვრილებით გვიამბო მომხდარზე?**

— ეტყობა, ტერაქტის ორგანიზატორები ფეხბურთის ბაიბურში არ იყვნენ და მსხვერპლიც ამიტომ არ ყოფილა. პრესაც ამიტომ არ ახმაურებულა. ყველაფერი ერთმა შეცდომამ გადაწყვიტა. ტერორისტებს თამაშის დაწყების დრო ოთხის ნაცვლად, ხუთი საათი ეგონათ და ბომბაც ისე დაამონტაჟეს, რომ შეხვედრის დამთავრების შემდეგ, ანუ ხალხის სტადიონიდან გასვლისას მოხდა აფეთქება.

— **ესეც ჩეჩნებს დაბრალდათ?**

— აბა, ქართველები მოედანზე ვიყავით და ვის დააბრალებდნენ?

— **რუსებისგან აგრესიას თუ გრძნობთ?**

— ასეც ვერ ვიტყვი, მაგრამ როდესაც ქართველებთან ურთიერთობა გაუფუჭდათ, მას შემდეგ მათგან სიცივე იგრძნობა. თუმცა, ყველაზე ამის თქმა უსინდისობაა. უამრავი მეგობარი და კარგი ადამიანი გავიცანი და ყველას ერთ ჯამში ვერ მოვათავსებ.

*ზვიად კალანდაძე*


# 100 % - ით საიმედო - ბანკი ემ-ბი-ჯი

ალბათ სიახლე არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ცხოვრება ძვირი სიამოვნებაა. ამ მხრივ, ჩვენი მშობლების თაობა, უფრო დაცული იყო. ჩვენ კი უკვე დღეიდან უნდა ვიფიქროთ ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალზე. გაიხსენეთ რა შორეულ მომავლად გეჩვენებოდათ დრო, როდესაც დაამთავრებდით ინსტიტუტს, შექმნიდით ოჯახს, შეიძენდით პირველ ავტომანქანას, სახლს. ალბათ დღესაც გაქვთ გარკვეული სამომავლო გეგმები, რომელთა განსახორციელებლად ფინანსური საფუძვლის ჩაყრა უკვე დღეს უნდა დაიწყოთ.

ცხოვრებამ გვაჩვენა, რომ დანაზოგის სახლში შენახვა არცთუ ისე მართებული გადაწყვეტილებაა, თუ გავითვალისწინებთ რთულ კრიმინოგენულ სიტუაციას და იმ გარემოებას, რომ სახლში ტრადიციული ხერხებით შენახულ ფულს არანაირი მოგება არ მოაქვს. ამ პრობლემის მარტივად გადაჭრა ბანკების საშუალებით შეიძლება. საქართველოში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ მოსახლეობის ინტერესი და ნდობა ბანკების მიმართ დღითი დღე იზრდება, შესაბამისად იზრდება ბანკებში მოსახლეობის შემნახველი დეპოზიტებიც. განსაკუთრებულ ნდობას მოსახლეობის მხრიდან საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი, ემ-ბი-ჯი იმსახურებს, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე საიმედო ბანკად ითვლება ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

მოსახლეობის ნდობას ბანკისადმი ალბათ ისიც განაპირობებს, რომ ემ-ბი-ჯის აქციათა 100%-ის მფლობელები არიან წამყვანი საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები და ბანკები, მათ შორის: გერმანული საერთაშორისო მიკროსაინვესტიციო კომპანია (IMI), გერმანიის სახელმწიფო განვითარების ბანკი (KFW), გერმანული კომერცბანკი (Commerzbank), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ჰოლანდიის სახელმწიფო განვითარების ბანკი (FMO), საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC), რაც მოსახლეობის მიერ ემ-ბი-ჯი-ში განთავსებული დეპოზიტების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დამატებითი გარანტიაა.

უპირველესი ფაქტორი მეანაბრეებისათვის არის ჩვენი საიმედოობა, რაშიც უკვე საქართველოს მრავალი ათასი მოქალაქე დარწმუნდა. თუ რატომ ითვლება ჩვენი ბანკი ერთ-ერთ ყველაზე საიმედოდ, მგონი ისიც ნათელია — საქართველოში არსებობის სამი წლის მანძილზე მიღწეული წარმატება საკრედიტო ბიზნესში და ჩვენი აქციონერების ფინანსური სიძლიერე. მარტო კომერცბანკში, რომელიც გერმანიის ერთერთი უდიდესი ბანკია, აქტივების საერთო მოცულობა 500 მილიარდ ევრომდე აღწევს. მეორე ფაქტორია დეპოზიტზე ყოველთვიური საპროცენტო სარგებლის დარიცხვა. სარგებელი განსხვავებულია და დამოკიდებულია თანხის სიდიდეზე, ვალუტაზე და ვადაზე. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ შევძელით მოსახლეობისათვის ნდობის დაბრუნება, რომლის აშკარა დეფიციტი იგრძნობოდა ბოლო წლების განმავლობაში. ამაზე ჩვენი ფინანსური მაჩვენებლებიც მეტყველებენ: მიმდინარე წელს მოსახლეობის დეპოზიტები უკვე რამდენიმე მილიონით გაიზარდა — აღნიშნავენ ბანკის წარმომადგენლები.

სწორედ აქ ჩამოთვლილი არგუმენტებიდან გამომდინარე ნათელია, რომ თანხის უბრალოდ შენახვა არ არის საკმარისი, აუცილებელია მისი სარფიანი და საიმედო განთავსება.

R


ლურჯი შავი წითელი

# მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №46 (320) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 529 მკითხველი გამოეხმაურა. 9 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 186-მა ქალმა და 334-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი გიორგი იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველი ყველაზე დიდ კეთილგანწყობას ქართველ მოკრივეს — გიორგი კანდელაკს უცხადებს. 42-მა დაუწერა მსოფლიო ჩემპიონს მაქსიმალური — 8 ქულა. მინიმალური — 1 ქულით მხოლოდ სამმა რესპონდენტმა (0,6) შეაფასა. **6,75** საშუალო ქულით გიორგი კანდელაკი პირველ ადგილზეა.

მკითხველი ასევე სიმპათიითაა განმსჭვალული დიდი მსახიობის, გიორგი გეგეჭკორის მიმართ. რესპონდენტთა 29 კი აცხადებს, რომ ყველაზე მეტად სწორედ მის მიმართაა კეთილგანწყობილი. 6,04 საშუალო ქულით გიორგი გეგეჭკორი მეორე ადგილზეა.

ყველაზე ცნობილი „უცნობი“ — გიორგი გაჩეჩილაძე მესამე ადგილზეა საშუალო ქულით 5,19.

მკითხველი აქ ჩამოთვლილთა შორის შედარებით ნაკლებადაა კეთილგანწყობილი პოლიტიკოსთა მიმართ. გიორგი ბარამიძეს — რვა, ხოლო ახალგაზრდა, წარმატებულ ჩინოვნიკს — გიორგი ისაკაძეს მხოლოდ ექვსმა მკითხველმა მიაკუთვნა მაქსიმალური — 8 ქულა.

გიორგი ისაკაძე 2,24 საშუალო ქულით რეიტინგში ბოლო ადგილზეა.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 49 წლის **ნინო კილაძე** და 42 წლის **გიორგი მერებაშვილი.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება. გიორგობასა და რეიტინგში გამარჯვებას ერთად ვულოცავთ პრიზიორებს და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 27 ნოემბერს, 17 საათზე.

## №47 (321) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის პრეციზე*ში.

**№47 (321) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 27 ნოემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 28 ნოემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №47 (321) — ღირსშესანიშნაობები **რომელი ქვეყნის ღირსშესანიშნაობას მოინახულებდით პირველ რიგში** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№47(321) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | თაჯ-მაჰალის მავზოლეუმი (ინდოეთი) | |
| 2 | დიდი კედელი (ჩინეთი) | |
| 3 | ხეოფსის პირამიდა, სფინქსის ქანდაკება (ეგვიპტე) | |
| 4 | ლუვრის სასახლე (საფრანგეთი) | |
| 5 | ვენეცია (იტალია) | |
| 6 | კორიდა (მადრიდი, ესპანეთი) | |
| 7 | ნიაგარას ჩანჩქერი (ჩრდილოეთ ამერიკა) | |
| 8 | რიო-დე-ჟანეიროს კარნავალი (ბრაზილია) | |
| 9 | კენიის გარეულ ცხოველთა ნაკრძალი (აფრიკა) | |

*მკითხველის პრეციზე*

დაასახელეთ ნოემბრის თვის ადამიანი საქართველოში

✓ ______________________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________________

ქალაქი (რაიონი) ______________________

ასაკი __________ ტელეფონი __________

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის თემა ჩვენმა მკითხველმა თ. ტყებუჩავამ შემოგვთავაზა სათაურით — „რაც გინდა, იმას ვერ ნახავ“...

### დამატებითი კითხვის შედეგები

**მოსახლეობას საკრებულოს იმედი აქვს**

**კითხვა:** გაქვთ თუ არა იმედი, რომ ახალი საკრებულო მოსახლეობის საკეთილდღეოდ შეცვლის მდგომარეობას დედაქალაქში?




1. დიახ 49 %
2. არა 27 %
3. მიჭირს პასუხის გაცემა 24 %

*დამატებით კითხვას 502 რესპონდენტი გამოეხმაურა.*

### მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. ზურაბ მჭედლიშვილი, ვაჟა გავაშელი — „ყურადღება, ყურადღება! ლაპარაკობს კოტე მახარაძე“ — 104 ხმა
2. ვაჟა გავაშელი — „უცხოეთის „აგენტი“ სკივრში ცოცხლად ჩატენეს...“ — 98
3. ეკა მახარაშვილი — „მსოფლიო ჩემპიონი ლუდის სმაში თბილისელი პროფესორი გახლავთ...“ — 27
4. ზვიად ჩაკვეტაძე — „სადაზღვევო ბიზნესში ომი დაიწყო“ — 25
5. ეთერ ერაძე — „გაუმარჯოს სიყვარულს!“ — 23 ხმა.



თქვენი პრემიის — 50 ლარის მფლობელები არიან ჟურნალისტები — **ზურაბ მჭედლიშვილი და ვაჟა გავაშელი.**

*„მკითხველის პრემიის“ მფლობელები 401-მა მკითხველმა გამოავლინა.*

# · ფოტოპალიტრა · ფოტოანტიკვარი ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________________

ქალაქი (რაიონი) ______________________



ედუარდ შევარდნაძე, ვანო ზოდელავა, ბადრი პატარკაციშვილი

**„ფოტოანტიკვარში“ მონაწილე მკითხველებმა ცნობილი პოლიტიკოსების ისეთი ფართო სპექტრი შემოგვთავაზეს, რომ კინაღამ დავიბენით...**

**ამ პატარა ბიჭუნაში ზოგმა შინაგან საქმეთა ახლანდელი და ექსმინისტრი „შეიცნო“, ზოგმა გიორგი თარგამაძე, გიორგი ბარამიძე, შალვა ნათელაშვილი, ვახტანგ რჩეულიშვილი, გიგი წერეთელი, ვანო ზოდელავა. არც სხვა პროფესიის ადამიანები დარჩენიათ — კოკა ყანდიაშვილი, დათო კიკალიშვილი და თქვენ წარმოიდგინეთ, ეკა ბერიძეც კი დაასახელეს. დასახელდნენ ასევე, ნინო ბურჯანაძე, მარიკა ლორთქიფანიძე... ერთი სიტყვით, მინიშნების თანახმად, ვისაც კი ღიმილი უხდება, თითქმის ყველა ადამიანი დასახელდა.**

**მხოლოდ ერთადერთმა მკითხველმა შეძლო ამ პატარა ბიჭუნაში „ღიმილის ბიჭის“ — თაზო თოლორაიას ამოცნობა.**





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



თაზო თოლორაია, 4 წლის

## ფოტო განწყობისთვის



პოდიუმი ტყეში

## წინა ნომრის სკანვორდის პასუხები



27/XI უკანასკნელი მეოთხედი

მაგნიტური დღეებია:
27/XI — 13-დან 15 სთ-მდე
29/XI — 13-დან 15 სთ-მდე


## „ფერმერის იურიდიული სახელმძღვანელო"

იურიდიული და პრაქტიკული რჩევები ფერმერებისა და მიწის მესაკუთრეთათვის

მიწის პრივატიზაცია, რეგისტრაცია, გადასახადები, მიწის დაცვა, კრედიტები, სასოფლო-სამეურნეო,




საინტერესო ინფორმაცია და პასუხი თქვენს კითხვებზე.

სახელმძღვანელო შეგიძლიათ უფასოდ მიიღოთ მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის ცენტრალურ და რეგიონალურ ოფისებში.

ტელ: 931276, 986291, 931681.
ელ-ფოსტა: aplr@caucasus.net;
www.aplr.org




**თარაზულად:** 1. ერთად შეერთებული რამდენიმე დენის წყარო; 3. მეუღლე; 5. სამეჯლისო ცეკვა; 7. ადგილობრივი ღვთაება ფილმში „სენიორ რობინზონი"; 8. უდაბნო ცხოველთა და მწერთა უზარმაზარი გამოსახულებებით; 9. უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი; 12. ბრიტანეთის კუნძულების უძველესი სახელწოდება; 17. კამათი მეცნიერულ საკითხებზე; 18. მსახიობი; 19. ვოინიჩის რომანი; 22. ანცი, ცელქი; 24. არისტოკრატთა საყვარელი თამაში; 25. გერმანული წარმოების პარფიუმერიის მარკა; 26. „გოგენის კუნძული"; 27 შუქფარი ნათურაზე; 28. თვე;

**შვეულად:** 1. დაწახნაგებული ალმასი; 2. მტკიცებულება, რომელსაც ზოგჯერ მუშტი ცვლის; 3. ყოფილი საკვირაო გადაცემა „რუსთავი-2"-ზე; 4. უცხოელი, რომელიც სამუდამოდ ჩაგვისახლდა; 6. რიკი-ტიკი-ტავი; 10. ფაშარი ქსოვილი, რომლითაც კბილის ღრუა ამოვსებული; 11. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 13. ბაღის შემქმნელი გამსახურდიას გამზირზე; 14. ფეიქარი მწერი; 15. ანდერსენის ზღაპრის გმირი ბიჭუნა; 16. ლაშქარი ძველად; 19. ცხენოსანი ჯარი; 20. იასონის მეზღვაური; 21. ძალიან დიდი ადამიანი — სვიფტის მიხედვით; 22. მსხვილი კაპიტალის წარმომადგენელთა ეკონომიკურ-პოლიტიკური ბატონობა; 23. პირი, რომელიც მალავს თავის ვინაობას.

შეადგინა რამაზ ალანია






ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 47 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

სიტყვა და საქმე

გაითვალისწინეთ: ... — 30 (...)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№47 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 28 ნოემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

* * *

რესტორნის შვეიცარმა 5 მთვრალი ტაქსიში ჩასვა და უხსნის მძღოლს, ვინ სად უნდა წაიყვანოს.



ნახევარი საათის შემდეგ ტაქსი ისევ რესტორანთან ჩერდება და მძღოლი შვეიცარს ეძახის:

— მოდი ერთი თავიდან ამიხსენი, ვინ სად ცხოვრობს, თორემ მოსახვევში სწრაფად შევედი და ესენი ერთმანეთში აირივნენ...


ფირმა „ბერმუხა"



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე ხარვეზებსა და განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი ბუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54; რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი ¢518

„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „პოლიგრაფში".